საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№28 (119)
3 - 9 აგვისტო, 2011

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

# 08. 08. 08.



2

# პარაზიტიზმის ანატომია



მამა თეიმურაზი:

# რასაც ვერ აკეთებს საერო ხელისუფლება, პატრიარქმა, შეიძლება ერთ საათში გააკეთოს!

6



7

# ცუდად აღზრდილმა, ზერელედ განათლებულმა მიშამ და-გვა-ბე-ჩა-ვა!

ზაზა შათირიშვილი:

# ჩვენ მივიღეთ პოლიციური, აზიური სახანო, რაღაც ბრუნეის მსგავსი

10



# «ტროას ზილი» და

სწორედ ეროსი კიწმარიშვილი – ერასტოფელი მართავს «ტროას ზილს», რომელმაც მთელი ოპოზიციური სპექტრი დაანგრია და სააკაშვილს ძალაუფლებით ტკბობა გაუხანგრძლივა




# ერასტოფელი

12

# გეი<sub>ლაღა</sub> ბათუმმა




მამათმავლების ბათუმურ საიტზე ინფორმაციის ორი მესამედი სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ბათუმში განხორციელებულ აღმშენებლობითი პროექტების პროპაგანდას და ახალაშენებული სასტუმროების ნომრების რეკლამას ეთმობა

# «მოვა დრო და ამ ხელისუფლებას განსასჯელის სკამზე დავსვამთ» 8

## გამოყენებითი სოციოლოგია, ანუ «საკატიო» ბოლო ადგილი

3

## არშემდგარი საინფორმაციო აფეთქება და მორიგი პროპაგან-დისტული ისტერია

4

## საქართველოში ახალი დიდი თურქობა დაიწყო

9

## სადა ხარ, თეთრო ზვიგენო, ანუ გახარქებული ნაწლები

14

ლევან ღვინჯილია:

16

## სიცრუის მარათონი და მიუშვებელი ტელეარხების ქვეცნობიერი აღიარებანი

ვალერი კვარაცხელია:

## ვიდრე აშშ-ის ინტერესშია სააკაშვილის აქ ყოფნა, მანამდე მას რევოლუციებით ვერაფერს დააკლებთ

18

22

## ნავთობის უკანასკნელ ბარელამდე

**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ბევრ მოქალაქეს ჯერაც ვერ გაურკვევია, ვინ არის საქართველოს ყველაზე საშიში მტერი: რუსი ჯარისკაცები, რომლებიც ცხინვალთან დგანან, თუ მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ავლაბრის რეზიდენციაში ზის. ცხადია, თუ ჩვენ მათ მიერ საქართველოსთვის მიყენებულ მატერიალურ და მორალურ ზარალს შევადარებთ, შეიძლება ფრიად პარადოქსულ დასკვნებამდე მივიდეთ, თუმცა შესაძლოა, მთავარი მტერი არც ცხინვალთანაა და არც რეზიდენციაში, არამედ ჩვენს თავში, ჩვენს შიგნით.**



# 08.08.08 პარაზიტიზმის ანატომია

**აგვისტოს ომის დაწყებიდან სამი წელი სრულდება. უახლოეს დღეებში ხელისუფლების წარმომადგენლები, ალბათ, შემოგვთავაზებენ ისტერიული რიტორიკის მორიგ სეანსს, რომლის ცენტრში ამჯერად, როგორც ჩანს, აშშ-ის სენატის მიერ ახლახან მიღებული რეზოლუცია იქნება. ისინი, სავარაუდოდ, რამდენიმე თვე ირბენენ ამ რეზოლუციით, ისევე, როგორც ადრე დარბოდნენ „მაპით", „მაპზე უკეთესით" და „ბუქარესტის სამიტით"; მოკლედ, აგვისტოს ომში ჩვენი მოწინააღმდეგეების ძველისძველი ანდაზისა არ იყოს, „Как дурень с писаной торбой" ირბენენ და იყვირებენ სრულ გამოფიტვამდე. ეს კი, ალბათ, კიდევ უფრო დაგვაშორებს აგვისტოს კატასტროფის გააზრებას, რომლის გარეშე ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაზე ფიქრი, უბრალოდ, არ გამოგვივა.**

**რა თქმა უნდა, ვიღაცას შეუძლია ისტერიკები მოაწყოს, ჰალსტუხი ღეჭოს და მიწაზე იხოხოს; ვიღაცას კი, თავის მხრივ, შეუძლია ამის გამკეთებელს დასცინოს, თუმცა მთელი ეს „მახინჯების ცირკი" (CIRQUE DU FREAK), რომელიც, სხვათა შორის, არა მხოლოდ მასხარებისგან, არამედ მაყურებლებისგანაც შედგება, ალბათ, არ არის ის ადგილი, სადაც აგვისტოს ომის მორიგ წლისთავს უნდა შევხვდეთ. არავინ დავობს იმაზე, რომ სამი წლის წინ მიხეილ სააკაშვილმა უამრავი ისეთი რამ ჩაიდინა, რის ანალოგიც საქართველოს მრავლისმნახველ ისტორიაში, უბრალოდ, არ მოიძებნება, თუმცა გაცილებით პატიოსანი (საკუთარ თავთან), ალბათ, იმის აღიარება იქნება, რომ სააკაშვილიც და აგვისტოს ომიც ქართულმა საზოგადოებამ შვა.**

ჩემს მიზანს პათეტიკური თვითგვემის სეანსის მოწყობა ნამდვილად არ წარმოადგენს, თუმცა აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ იმ მარცხს არამხოლოდ გეოპოლიტიკური წინაპირობები ჰქონდა. გამორიცხული არაა, რომ ქვეყნის მარში კაპიტულაციისკენ 2008 წლის აგვისტომდე გაცილებით ადრე დაიწყო, როდესაც შრომას, სწავლასა და რწენას გადავეჩვიეთ, ზოგი — ერთ-ერთს, ზოგი კი — ყველაფერს ერთად.

**მოწინააღმდეგე ასე ძლიერი რომც არ ყოფილიყო, დეჰუმანიზაციისა და (რაღა დასამალია) დეგრადაციის გზაზე შემდგარი საზოგადოება ახალი დიდგორის მუშაველი, ალბათ, მაინც ვერ გახდებოდა. ასეთი საზოგადოებები და სახელმწიფოები ადრე თუ გვიან მაინც მარცხდებიან.**

საკუთარი ქვეყნის ნანგრევებზე გაღვიძება ძალიან მძიმე რამ არის, თუ, ცხადია, სული ამპუტირებული არ გაქვს და დასაქოქი სათამაშო მაიმუნივით გამუდმებით არ იმეორებ: „დარია თუ ავდარია, მიშა მაგარია". ასეთ დროს უაღრესად რთულია იმ სიტყვების მოძებნა, რომლებიც შექმნილ მდგომარეობას ადეკვატურად მიესადაგება. ალბათ, ურიგო არ იქნება, ორი მაგალითი განვიხილოთ.

1945 წელი, იაპონიის კაპიტულაცია; იმპერატორი ხიროხიტო: **„აუცილებელია, რომ მთელმა ერმა თაობიდან თაობაში მკაცრად დაიცვას ჩვენი ღვთაებრივი სამშობლოს ურღვეობის ტრადიცია, იტვირთოს პასუხისმგებლობის ის დიდი ტვირთი, რომელიც ქვეყანას დააწვა. ჩვენ დიდი გზა გვაქვს გასავლელი, გააერთიანეთ თქვენი ძალა შემოქმედებისათვის, მომავლისათვის. დაიცავით სამართლიანობის გზები, სულის კეთილშობილება და იმუშავეთ იმ განწყობით, რომ შეგიძლიათ იმპერიას მარადიული დიდება მოუტანოთ"**. ამას ვერაფერს დავამატებთ, იმპერატორმა, ალბათ, სწორედ ის სიტყვები იპოვა, რომლებიც ერს სჭირდებოდა და ეს გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ცარიელი რიტორიკა, რომელსაც ასე მივეჩვიეთ. კაცმა რომ თქვას, ეს მთელი პროგრამაა, რომლის წარმატებული განხორციელება დღემდე გრძელდება.

იყო კიდევ ერთი საინტერესო, ცოტა უფრო რთული შემთხვევა. 1865 წელი, ამერიკული სამოქალაქო ომის დასასრული; თავის უკანასკნელ მიმართვაში კონფედერაციის პრეზიდენტი ჯეფერსონ დევისი წერდა: **„უფლის უსაზღვრო მოწყალებასა და ზრუნვას მინდობილებმა, მოდით, დავხვდეთ მტერს თამამი დაუმორჩილებლობით, მედგარი და დაუმარცხებელი გულით; წინააღმდეგობა გაგრძელდება მანამ, სანამ მტერი გამოუვალ მდგომარეობაში არ აღმოჩნდება და არ შეწყვეტს უნაყოფო და აუტანელ მცდელობებს, დაიმონოს ადამიანები, რომლებმაც გადაწყვიტეს, თავისუფლები გამხდარიყვნენ"**. დღეს სამხრეთის შტატები აშშ-ის შემადგენლობაშია, კონფედერაცია აღარ არსებობს, მაგრამ ის, რასაც შეიძლება „სამხრეთის სული" (ან გნებავთ, დევისის მიხედვით, „გული") ვუწოდოთ, ისევ ცოცხალია. სამხრეთში კვლავ იბადებიან კარგი მწერლები, მამაცი მეომრები და ღირსეული, თავისუფალი ადამიანები. თუ ოდესმე გამართლდება სემუელ ჰანტინგტონის ბოლო წიგნის „ვინ ვართ ჩვენ?" პროგნოზი (ამ ნაშრომისთვის ოდესღაც წინასწარმეტყველად შერაცხული მოაზროვნე ლამის ჯვარს აცვეს) და აშშ დეზინტეგრაციის გზას დაადგება, სამხრეთის შტატები, ალბათ, როგორმე მოუვლიან თავს, რადგან აქტივში სწორედ ის დაუმარცხებელი (Invictus - ძველად რომ იტყოდნენ) გული აქვთ.

**აქ შეიძლება ვინმე შეგვეკამათოს და გვითხრას, რომ დევისი მშვენივრად აცნობიერებდა, თუ ვინ იყო სამხრეთელების მოწინააღმდეგე, ჩვენში კი ბევრ მოქალაქეს ჯერაც ვერ გაურკვევია, ვინ არის საქართველოს ყველაზე საშიში მტერი: რუსი ჯარისკაცები, რომლებიც ცხინვალთან დგანან, თუ მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ავლაბრის რეზიდენციაში ზის.** ცხადია, თუ ჩვენ მათ მიერ საქართველოსთვის მიყენებულ მატერიალურ და მორალურ ზარალს შევადარებთ, შეიძლება ფრიად პარადოქსულ დასკვნებამდე მივიდეთ, თუმცა შესაძლოა, მთავარი მტერი არც ცხინვალთანაა და არც რეზიდენციაში, არამედ ჩვენს თავში, ჩვენს შიგნით. მეტიც, დღეს ჩვენ, სავარაუდოდ, არ ვფლობთ ისეთ რესურსს, როგორიცაა „იაპონური სული" ან „სამხრეთული გული" და ჩვენი მდგომარეობა ამ მხრივ კიდევ უფრო პრობლემურია, ვიდრე თავის დროზე ჰიროჰიტოს ქვეშევრდომებს ან ამერიკელ კონფედერატებს ჰქონდა.

სხვათა შორის, ამ ბოლო გარემოების გააზრება ტოტალური ნიჰილიზმის საფრთხეს უკავშირდება, ზოგიერთი ადამიანი ამ დროს იმის მტკიცებას იწყებს, რომ ოდითგანვე უნარშეზღუდულები ვიყავით და არაფერი შეგვიძლია. საქართველოს ისტორია საპირისპიროზე მიუთითებს, როდესაც ერი პოულობდა განვითარების (ან ომის წარმოების) ოპტიმალურ სტრატეგიას, ის მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა, თუმცა ამას წინ უძღოდა კონცენტრაცია ისეთ არამატერიალურ, ძნელად აღსაწერ სფეროებზე, როგორიცაა (იმპერატორ ხიროხიტოს თქმის არ იყოს) „სამართლიანობა" და „პასუხისმგებლობა".

მთავარ საკითხს დავუბრუნდეთ: **რა გახდა ჩვენი ბოლოდროინდელი ყოვლისმომცველი მარცხის მიზეზი, რომლის ყველაზე რელიეფური შემადგენელი ნაწილი აგვისტოს კატასტროფა გახდა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის დროს სხვადასხვა ადამიანები ხშირად ამა თუ იმ უარყოფითი გარემოებების ან თვისებების ჩამოთვლას იწყებენ (მაგალითად, ‚ეკონომიკური ჩამორჩენილობა, სამხედრო სისუსტე, სიზარმაცე, იდიოტიზმი და ა.შ.). საბოლოო ჯამში, ეს ემსგავსება სიმპტომების ჩამოთვლას დიაგნოზის დასმის ნაცვლად.** თუმცა, შესაძლოა, „დედა-ბიოლოგია" დაგვეხმაროს იმაში, რომ ვითარების დასახასიათებლად ზუსტი მეტაფორა ვიპოვოთ.

**არის ამქვეყნად ასეთი რამ, რასაც პარაზიტიზმს უწოდებენ. სასიამოვნო მასში ნამდვილად არაფერია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პარაზიტების უმრავლესობა არ კლავს იმ ორგანიზმებს, რომელთა ხარჯზეც იკვებება. თუმცა არსებობს ერთი გამონაკლისი პარაზიტოიდების სახით, ისინი კვების პროცესში სწორედ რომ კლავენ იმ ორგანიზმებს, რომელთა ხარჯზეც ცოცხლობენ.** მეცნიერებას რომ არ ჩავუღრმავდეთ, აღვნიშნოთ, რომ პარაზიტოიდის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი განსახიერება არის „უცხო" (Alien) რიდლი სკოტის ამავე სახელწოდების ფილმიდან. შესაძლოა, ვინმემ იფიქრა, რომ ეს ვცელი შესავალი იმისთვის დამჭირდა, რომ ჩვენი პოლიტიკური ელიტა პარაზიტოიდებს შევადარო. **ეს, ერთის მხრივ, ალბათ, სავსებით სამართლიანი და ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ, მეორეს მხრივ, საქმე, როგორც ჩანს, უფრო რთულადაა და პარაზიტოიდული ცხოვრების წესი მხოლოდ ქვეყნის მმართველთა ვიწრო წრეში არ სუფევს და მას საზოგადოებაში საკმაოდ მყარი ფესვები აქვს გადგმული.**

საქართველოს მთავარი პრობლემა, შესაძლოა ისაა, რომ მასში კრიტიკულად დიდია იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ცდილობენ, (ნებისმიერ ფასად) ცხოვრება სხვის ხარჯზე მოიწყონ, ხოლო წელში გადატეხილ, დაინვალიდებულ ქვეყანას არ შეუძლია ამდენი პარაზიტოიდი გამოკვებოს და ის ნელ-ნელა კვდება. ყველას ნამდვილად არ ეხება, თუმცა ჩვენ გვერდით ნამდვილად ცხოვრობენ და თავს ასე თუ ისე კომფორტულად გრძნობენ: **მამაკაცები, რომლებიც იმ ფულით ქეიფობენ, რომელიც მათმა ცოლებმა თურქეთის ბორდელებში იშოვეს; ოფიცრები, რომლებიც გარბიან და ბრძოლის ველზე ახალბედა ჯარისკაცებს და დაჭრილებს ტოვებენ; უვიცი ექიმები, რომლებიც პაციენტებს ჯერ ატყავებენ (გადატანითი მნიშვნელობით), შემდეგ კი (პირდაპირი მნიშვნელობით) კლავენ; პოლიციელები, რომლებიც თანამოქალაქეებს, მათ შორის ქალებსა და მოხუცებს სადისტურად უსწორდებიან იმისთვის, რომ პრემია მიიღონ; პოლიტიკოსები, რომლებზეც საუბარი საერთოდ არ ღირს, რაფინირებული ნაძირლები (უკაცრავად, მაგრამ სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ, თანაც ტელევიზორი ჩართული მაქვს და ამ წუთას ეკრანზე ვხედავ), რომლებიც მზად არიან, ყველაფერი ზემოჩამოთვლილი გაამართლონ, და უამრავი სხვა პროფესიისა და საზოგადოებრივი სტატუსის მქონე ადამიანი, რომლებიც საკუთარი თავის გარდა ყველაფერს ანადგურებენ.**

ასეთი ადამიანები ნებისმიერ ქვეყანასა და საზოგადოებაში არსებობენ, თუმცა მათი ხვედრითი წილი საქართველოში, როგორც ჩანს, კრიტიკულად დიდია (ახლა კი მთავარი და პასუხგაუცემელი კითხვა: რატომ?) მათმა ცხოვრების წესმა და „ფასეულობებმა" იმდენად ფართო გავრცელება ჰპოვა, რომ ბევრი ახალგაზრდა მივიდა დასკვნამდე, რომ სწორედ ასე უნდა იცხოვროს. „უცხოთა" (პარაზიტოიდების) ნაკვალევი ყველა სფეროს ეტყობა სოციალური პოლიტიკიდან დაწყებული, ვიდრე საგარეო პოლიტიკამდე, თუმცა სააკაშვილის რეჟიმი ამ კონტექსტში მხოლოდ გვირგვინია, რომელიც არსებობის პარაზიტოიდულ ფორმაზე გადაწყობილმა საზოგადოებამ (კი, ბატონო, მისმა ნაწილმა; იმედია, არავის ეწყინა) თავზე დაიდგა. **აღარ შეუძლია ამ ქვეყანას ამდენის ატანა, ის კვდება, თუმცა რიდლი სკოტის ზემოთ ნახსენები ფილმი ნათლად გვიჩვენებს, რომ საკუთარი ნებით „უცხონი" (პარაზიტოიდები) არასოდეს ჩერდებიან. ნამდვილად არ მინდა ეს ტექსტი საშინელებათა ფილმს დაემსგავსოს, თუმცა ასეთი „უცხო" რაღაც ფორმით, ალბათ, თითოეულ ჩვენგანში ბუდობს; ზოგში — დიდი, ზოგში კი — პატარა.**

ზოგადი ჩამორჩენილობა, სამხედრო-პოლიტიკური სისუსტე, ბარბაროსობა და გაუტანლობა სათავეს, შესაძლოა, სწორედ ამ წყაროდან იღებს, ისევე, როგორც მარცხი აგვისტოს ომში და უამრავი სხვა უბედურება. ასე თუ გავაგრძელებთ, ქვეყნის გადარჩენის შანსი (სრული სერიოზულობით ვამბობ) ძალზე მცირე გახდება (გეგონება, ახლაა დიდი).

დღეს საკმაოდ მძიმე საუბარი გამოგვივიდა, თუმცა აგვისტოს ომის მესამე წლისთავი, ალბათ, მაინც გვიბიძგებდა იმისკენ, რომ ამ რთულ თემებს შევხებოდით. მარცხის მიზეზების გააზრება გულისხმობს არა მხოლოდ გენშტაბის მიერ სამხედრო კამპანიის საგულდაგულო აღწერას, არამედ საზოგადოების თითოეული წევრის დაფიქრებას იმაზე, თუ რა მოხდა სინამდვილეში ჩვენ თავს; მარცხიდან სწორი დასკვნების გამოტანა, როგორც წესი, წინსვლის შესანიშნავ წინაპირობებს ქმნის, შემთხვევითი არაა, რომ ჩინელები სიტყვებს (ცნებებს) „კრიზისი" და „შესაძლებლობა" ერთი და იმავე იეროგლიფებით გამოხატავენ. **თუმცა არის სხვა გზაც: ვლანძღოთ (ან ვადიდოთ) სააკაშვილი, პუტინი, ობამა, სარკოზი, მოკლედ ყველა, ვინც თვალთახედვის არეში მოხვდება, ტრადიციული ტაშ-ფანდური ხშირ-ხშირად გავმართოთ და ვიყოთ ისე, როგორც ახლა ვართ.**

**მიხეილ სააკაშვილმა უამრავი ისეთი რამ ჩაიდინა, რის ანალოგიც საქართველოს მრავლისმნახველ ისტორიაში, უბრალოდ, არ მოიძებნება, თუმცა გაცილებით პატიოსანი (საკუთარ თავთან), ალბათ, იმის აღიარება იქნება, რომ სააკაშვილიც და აგვისტოს ომიც ქართულმა საზოგადოებამ შვა**



**ერთ-ერთი შარშანდელი კვლევის მიხედვით, სააკაშვილი მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ ქართველად დასახელდა. მეორე ადგილზე პაატა ბურჭულაძეა, მესამეზე კი – ედუარდ შევარდნაძე. ყველაზე გავლენიან ქალებში პირველი ორი ადგილი სააკაშვილის ცოლმა და დედამ დაიკავეს. ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან მესამე ადგილი ჯერაც პარლამენტის ექსთავმჯდომარეს – ნინო ბურჯანაძეს უკავია.**



**ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გამოყენებითი სოციოლოგია, ანუ «საპატიო» ბოლო ადგილი



**ყველაზე პოპულარული, ყველაზე მდიდარი, ყველაზე შეურიგებელი, ყველაზე გავლენიანი, ყველაზე მაგარი — ასე ამბობენ ხოლმე სააკაშვილზე, მაგრამ მსოფლიო რეიტინგებში მის გვარს ვერც ერთ ამ ნომინაციაში ვერ შეხვდებით. ერთადერთი შემთხვევა, როცა მას ამ სიტყვით — „ყველაზე" ოფიციალურ დონეზე მოიხსენიებენ, ევროპის მასშტაბით ყველაზე ახალგაზრდა სახელმწიფოს მეთაურია. ეს მართლაც ასე იყო – სააკაშვილი პრეზიდენტი 36 წლის ასაკში გახდა.**

2003 წლის გაზაფხულზე ინგა გრიგოლიამ „მზის" ეთერში პოლიტიკოსთა დედების თოქ-შოუ მოაწყო. სტუდიაში მიხეილ სააკაშვილის, ლევან მამალაძის, გიორგი ისაკაძისა და ამ სტატიის ავტორის დედები მიიწვია. მრავალმხრივ საინტერესო ამ ეთერიდან მაყურებელი ბევრ რამეს შეიტყობდა იმ პოლიტიკოსთა შესახებ, რომელთა დედებიც გრიგოლიამ ერთმანეთს შეაჯიბრა. **შეკითხვაზე, აპირებს თუ არა თქვენი შვილი პრეზიდენტობას, ერთადერთი, ვინც მცირედი პაუზის გარეშე დადებითი პასუხი გასცა, გამოიცნობდით, სააკაშვილის დედა იყო: „რატომაც არა?! რა არის იმაში უცნაური, რომ პრეზიდენტობა უნდოდეს?"**

**დედაჩემმა გაოცება ვერ დამალა: „როგორ, ასეთი იოლია პრეზიდენტობა, რომ ყველას უნდოდეს?!"**

მიმდინარე წლის 1-30 ივნისს საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმმა" კომპანია „მედიალოგიასთან" ერთად რუსულ საინფორმაციო საშუალებებში პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მეთაურთა ხსენების სიხშირის კვლევა ჩაატარა. პირველ სამეულში ვიქტორ იანუკოვიჩი, ნურსულთან ნაზარბაევი და ალექსანდრე ლუკაშენკო არიან. ამასთან, ნაზარბაევი ერთბაშად ექვსი პუნქტით დაწინაურდა. ყირგიზეთის პრეზიდენტმა როზა ოტუნბაევამ დიდი ნახტომი გააკეთა – მან მთელი ხუთი პუნქტით აინაცვლა წინა თვეებთან შედარებით და მერვე ადგილზე ალმოჩნდა. მეოთხე ადგილზე სერჟ სარქსიანი გავიდა, მეხუთეზე კი — ილხამ ალიევი, მეთორმეტე ადგილზე — ალექსანდრე ანქვაბია, რომელიც პირველად ალმოჩნდა ამ სიაში და ისიც — ბაგაფშის გარდაცვალების „წყალობით". ედუარდ კოკოითი მეცხრე ადგილიდან მეთერთმეტეზე ჩამოქვეითდა. **რაც შეეხება სააკაშვილს, მანაც სამი პუნქტით დაიწია და მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა. გაცილებით უარესი მდგომარეობა აქვს მას, ინფორმაციული კეთილგანწყობის თვალსაზრისით, – იგი უკანასკნელ ადგილზეა, მაინც რატომ?**

მკვლევარების დასკვნით, სააკაშვილის მიმართ რუსული მედიის არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება იმით აიხსნება, რომ საქართველოს პარლამენტმა „თავისუფლების ქარტია" მიიღო, რითაც სსრკ სპეცსამსახურებისა და პარტიულ-კომკავშირული ელიტის წევრებს თანამდებობრივი შეზღუდვები დაუწესა. **რუსეთის ფედერაციის საბჭოს ვიცე-სპიკერის, ალექსანდრე ტორშინის განცხადებით, ამ ქარტიამ, ფაქტობრივად, ამოშალა საქართველო იმ ქვეყნების სიიდან, რომელთაც ფაშიზმი დაამარცხეს. მისი აზრით, ეს კურსი შემთხვევითი არ არის — იგი მოსახლეობის ყურადღების გადატანას ემსახურება იმ სასიცოცხლო საკითხებიდან, რომელთა მოგვარება სააკაშვილს არ შეუძლია.**

ამ კვლევასაც გადააქვს ყურადღება – 26 მაისის დარბევიდან, მართლმადიდებელი ეკლესიის იგნორირებიდან, საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებული „უხამსი წინადადებიდან" და სხვ. მაგრამ რაში დასჭირდა ეს „რეგნუმს"? კეთილი, ვთქვათ, ფოტორეპორტიორების „ჯაშუშური სკანდალი" ივლისში მოხდა და ამ კვლევაზე ვერ აისახებოდა, მაგრამ „პადოშას" ქარტია, მიუხედავად მის გარშემო ატეხილი აყალ-მაყალისა, ისტორიას ვერ შეცვლის. ისტორია ის არის, რაც უკვე მოხდა და არა ის, რასაც „პადოშა" დაწერს. **საქართველოს ამოშლა ფაშიზმის დამმარცხებელი ხალხების სიიდან არც ტორშინს შეუძლია და არც სააკაშვილს. თუ რუსეთის უმაღლესი თანამდებობის პირები ისევე ლამობენ ისტორიის გადაწერას, როგორც ქართველი ლიბერტარიანელები, მით უარესი რუსეთისთვის!**

ზოგადად, სხვადასხვა სახის კვლევები იმდენად ურთიერთგამომრიცხავ შედეგებს გვიჩვენებს, რომ მათ მიმართ ნდობა მხოლოდ დამკვეთებს თუ აქვთ შერჩენილი. სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევებით ბევრ საინტერესოს გაიგებ. მაგალითად, **ერთ-ერთი შარშანდელი კვლევის მიხედვით, სააკაშვილი მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ ქართველად დასახელდა. მეორე ადგილზე პაატა ბურჭულაძეა, მესამეზე კი — ედუარდ შევარდნაძე. ყველაზე გავლენიან ქალებში პირველი ორი ადგილი სააკაშვილის ცოლმა და დედამ დაიკავეს. ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან მესამე ადგილი ჯერაც პარლამენტის ექსთავმჯდომარეს – ნინო ბურჯანაძეს უკავია.**

გასაოცარი შედეგების ჩემპიონი მაინც საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტია (IRI); 2010 წლის ოქტომბერში, ნაჩქარევად მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების კვალდაკვალ, IRI-ს კვლევით, საქართველოს მოსახლეობის 56% თანახმაა, 2013 წელს სააკაშვილმა პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავოს! ამავე კვლევით, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას მოსახლეობის 42% უჭერს მხარს, მთელ დანარჩენ პოლიტიკურ სპექტრს კი – 22%. IRI-მ 26 მაისის დარბევის შემდეგ კიდევ უფრო მეტი ოპერატიულობა გამოიჩინა და სასწრაფოდ გამოაქვეყნა ახალი კვლევის შედეგები: თურმე სააკაშვილს მოსახლეობის 78% უჭერს მხარს (საყურადღებოა, რომ ნაცმოძრაობის მიერ შეკვეთილ და დაფინანსებულ კვლევაშიც კი გრინბერგის კომპანიამ 2010 წლის ოქტომბერში, ანუ დარბევამდე 7 თვით ადრე სააკაშვილს 67%-ზე მეტი ვერ გაუფორმა)! იქვე IRI-ს ექსპერტებმა შეფასებაც გააკეთეს, რომ ასეთი მხარდაჭერა სააკაშვილს არასოდეს ჰქონია. კი მაგრამ, ბატონებო, მან ხომ 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ხმების 94% მიიღო! თუმცა ეს რა გასაკვირია, როცა **იმავე IRI-მ 2008 წლის ომის შემდეგ განაცხადა, რომ რუსეთთან ომმა სააკაშვილის რეიტინგი გაზარდა და მას მოსახლეობის 46%-ის მხარდაჭერა აქვს! 2010 წლის ოქტომბერში IRI-მ კიდევ ერთი კვლევით გააოცა ომწაგებული საქართველო. მის თანახმად, მოსახლეობის უმრავლესობას სჯერა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სწორედ სააკაშვილს შეუძლია.**

კერძოდ, შეკითხვაზე, — ვინ უკეთ შეძლებს, მოაგვაროს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, — გამოკითხულთა 49%-მა სააკაშვილს დაადო ხელი. 5% იმედს გიორგი თარგამაძეზე ამყარებს, 3% — შალვა ნათელაშვილზე, ამდენივე – ირაკლი ოქრუაშვილზე, 2% კი — ირაკლი ალასანიაზე.

გრინბერგის კომპანიის ზემოთ ნახსენები კვლევის შედეგები (2010 წლის ოქტომბერი) სრული სახით ასე გამოიყურება: სააკაშვილსა და „ნაცმოძრაობას" 67% უჭერს მხარს, ოპოზიციური ლიდერებიდან გიორგი თარგამაძეს — 47%, ხოლო ირაკლი ალასანიას – 40% (ჯამში ამ მხარდაჭერის პროცენტი 154-ია, მაგრამ ამასაც არა უშავს — „ვარდების რევოლუციის" შემდგომ არჩევნებზე ზოგიერთი რეგიონი სტაბილურად აჭარბებს 100%-ს ხმების დაჯამებისას!). „ნაცმოძრაობის" წინააღმდეგი გამოკითხულთა 28% აღმოჩნდა. ამასთანავე, 83%-მა მიუთითა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ (ვითომ მანამდეც იქ არ იყო!) უმუშევრობასთან დაკავშირებული სიტუაცია გამოსწორდა. ამას არ ეთანხმება მხოლოდ 15%. გრინბერგის კომპანიის შედეგებს არანაირად არ ცილდება IRI-ს 2009 წლის კვლევა, რომლის თანახმადაც, ქვეყნის მოსახლეობა ყველაზე დიდ გამოწვევად სწორედ უმუშევრობას (59%), ტერიტორიულ მთლიანობას (45%) და ეროვნულ უსაფრთხოებას ასახელებს (13%).




**2010 წლის ოქტომბერში IRI-მ კიდევ ერთი კვლევით გააოცა ომწაგებული საქართველო. მის თანახმად, მოსახლეობის უმრავლესობას სჯერა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სწორედ სააკაშვილს შეუძლია.**

**გრინბერგის მიერ გამოკითხულთა 58%-ს მიაჩნია, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება და დადებითი ცვლილებების ტემპი უფრო ჩქარია, ვიდრე სააკაშვილამდე იყო. 26% ამ მოსაზრებას არ იზიარებს. იმავე გამოკითხვით ისიც გაირკვა, რომ საქართველოს (!) და თბილისის მოსახლეობის უმრავლესობა გიგი უგულავას უჭერს მხარს.**

პოლიტიკოსები საკუთარ რეიტინგებს როგორმე შეაჯერებენ, მაგრამ, რაც შეეხება უმუშევრობასა და ცხოვრების დონეს, ორი წლის წინათ ესტონელმა და ქართველმა სოციოლოგებმა დამოუკიდებელი კვლევა ჩაატარეს, რომლის შედეგები შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. **გამოკითხულთა 37%-მა აღიარა, რომ შემოსავალი მხოლოდ კვებისთვისაც კი არ ჰყოფნის. 34% არ შიმშილობს, მაგრამ ტანსაცმელს ვერ ყიდულობს. 24%-ს კვება და ჩაცმა არ უჭირს. 4%-ს საშუალება აქვს, შეიძინოს ხანგრძლივი მოხმარების საგნები და მხოლოდ 1%-ს შეუძლია ბინის ან სხვა უძრავი ქონების შეძენა.** ამასთანავე, რესპონდენტთა 75% 2009 წელს პერიოდულად ან საერთოდ არ მუშაობდა. სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას მაღალი შეფასება მისცა 7%-მა (1999 წელს ეს მაჩვენებელი 19% იყო), საშუალო – 32%-მა (1999 წ. – 44%), დაბალი — 51%-მა (1999 წ. — 27%). ერთი სიტყვით, 1999 წელთან შედარებით, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება თვალსაჩინოა.

იმავე პერიოდში, ინტერნეტ-გამოკითხვის მიხედვით, რომელშიც 5974 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა (ცნობისთვის: IRI-ს გამოკითხვები მხოლოდ 1500 რესპონდენტში ტარდება), მათი 65%-ის ოჯახის წევრები საშოვარზე საზღვარგარეთ არიან წასული.

საბოლოოდ დაგაბნიე ამ ციფრებით, მკითხველო, ხომ? აი, სწორედ ეს არის „გამოყენებითი" სოციოლოგიის დანიშნულებაც. **მთავარი ის კი არ არის, რომ შენ გშია და გწყურია, არამედ — ის, თუ რამდენი პროცენტი უჭერს მხარს სააკაშვილს და რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება! მთავარი არც ის არის, რომ სასწრაფო გადაუდებელი სოციოლოგიური დახმარების ბრიგადები მუდამ მზად არიან, სააკაშვილისთვის ხელსაყრელი შედეგები გამოაცხონ. არც ის, რომ რუსებმა ისიც აღარ იციან, რაზე უსაყვედურონ სააკაშვილს და მისი პოლიციური მიღწევებით მოდიან აღტაცებაში. მთავარი სულ სხვა რამ არის: არასოდეს უნდა დაუჯეროთ სხვის სიტყვებს, დაუჯერეთ საკუთარ თვალებს!**

**ნანა დევდარიანი**

**P.S.** ინგა გრიგოლიას იმ გადაცემაში, რომელზეც სტატიის დასაწყისში მოგახსენეთ, წამყვანმა ასეთი შეკითხვაც დასვა: **„როგორ შეაფასებთ თქვენი შვილების საქმიანობას"? სააკაშვილის დედამ საკუთარი შვილი ხუთიანზე შეაფასა. დედაჩემმა გაოცება ვერ დამალა: „კი მაგრამ, თუ ქვეყანა იქცევა, არაფერი კეთდება და ყველაფერი ძალიან ცუდად არის, საკუთარ შვილს ხუთიანს რაში უწერს? ძალიან მიყვარს ჩემი შვილი, ყველა ასაკში წარმატებული იყო, სკოლაც ოქროს მედალზე დაამთავრა, გაჭირვებული ადამიანების უფლებებს იცავს, მაგრამ დამაკმაყოფილებელზე მეტს არ დავუწერდიო". ვიდრე სოციოლოგიური კვლევები პედაგოგიურ ნიჭს მოკლებული დედის ინსტინქტით იქნება ნაკარნახევი, ჭეშმარიტ სურათს ვერ დავინახავთ. ამას ისევ ერთი კაცის სუბიექტური შეფასება სჯობს, რომლისთვისაც მიშა მართლაც მაგარია!**

**მთავარი არც ის არის, რომ სასწრაფო გადაუდებელი სოციოლოგიური დახმარების ბრიგადები მუდამ მზად არიან, სააკაშვილისთვის ხელსაყრელი შედეგები გამოაცხონ. მთავარი სულ სხვა რამ არის: არასოდეს უნდა დაუჯეროთ სხვის სიტყვებს, დაუჯერეთ საკუთარ თვალებს!**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გრუ“-ს სპეციალური დანიშნულების ძალებს 60 წელი ამზადებდნენ იმისთვის, რომ მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში ემოქმედათ. მათ მთავარ სამიზნეს ნატოს სამეთაურო პუნქტები, აეროდრომები, სარაკეტო ბაზები, კავშირგაბმულობის კვანძები წარმოადგენდა. უკლებლივ ყველა, მათ შორის მოსკოვის სამხედრო ძლიერების მიმართ სკეპტიკურად განწყობილი, დასავლელი ავტორი, რომელიც სხვადასხვა სტატიებსა თუ მხატვრულ ნაწარმოებებში ნატო-სსრკ-ის (რუსეთის) ჰიპოტეტურ კონფლიქტს აღწერს, მიუთითებს, რომ ამ ძალების სრული ნეიტრალიზება შეუძლებელია და ისინი ნატოსთვის სერიოზული ზიანის მიყენებას ნებისმიერ შემთხვევაში მოახერხებენ.**

## განცხადებები



**ილია მეორე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:**

დიდება უფალს და მადლობა თქვენ სიყვარულისთვის, მოთმინებისთვის, სულგრძელობისთვის. საქართველო აუცილებლად გაიმარჯვებს, აუცილებლად გაბრწყინდება. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ შევეჯიბროთ ერთმანეთს, თქვენ უფრო გიყვარვართ, თუ მე უფრო მიყვარხართ. ერთმანეთს სიყვარულში უნდა შევეჯიბროთ.

*„პირველი“*



**მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:**

როცა არ გინდა სახელმწიფო და უარყოფ დემოკრატიის პირობებში წესრიგს, უარყოფ მოწესრიგებულობას, მაშინ ამას მოჰყვება ის, რაც არის მსოფლიოს 90%-ში — ნაგავი ქუჩებში, საღამოს გარეთ გასვლის შიში, კორუმპირებული მებაჟეები, კორუმპირებული პოლიციელები, გაძნელებული ცხოვრება და ა.შ.

*obieqtivi.net*



**გია ცაგარეიშვილი, საპარლამენტო ფრაქციის „ერთობა სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარე:**

ბალზაკს ნათქვამი აქვს, რომ არსებობს ორი სახის სიბრიყვე — მდუმარე და მოლაპარაკე, სააკაშვილის შემთხვევა კი თანამედროვე მსოფლიოში მოლაპარაკე სიბრიყვის კლასიკური მაგალითია. თუკი საზოგადოება სააკაშვილის გუშინდელ მოსაზრებებს კარგად მოისმენს, ის ამ ადამიანზე სხვა დასკვნას ვერ გააკეთებს.

*„პირველი“*



**პავლე კუბლაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:**

თუ ჩვენ მიზნად გავიხდით იმას, რომ ვაიძულოთ ყველა ჩვენი მოქალაქე, გამოცვალოს თავისი პირადობის მოწმობა, შედეგად მივიღებთ იმას, რომ ბევრი ადამიანი, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ მოასწრებს ამ მოწმობების აღებას და არჩევნებზე ხმის მიცემის დროს პრობლემები შეიქმნება.

*„ინტერპრესნიუსი“*

# არშემდგარი საინფორმაციო აფეთქება

**გასული წლის 22 სექტემბერს თბილისში აშშ-ის საელჩოსთან მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებული კამპანია ამერიკულ მედიაში, მეორე კვირაა, გრძელდება. ეს კამპანია უცნაურად მოგაგონებდათ იმ ბომბს საელჩოსთან: მას, ერთი შეხედვით, ძალზე რეზონანსული საინფორმაციო „აფეთქება“ უნდა გამოეწვია, მაგრამ (ჯერჯერობით) ისეთივე მოკრძალებული ეფექტი მოახდინა, როგორც უხარისხო ჩინურმა პეტარდამ. თუმცა ის, ალბათ, მაინც გვიბიძგებს, დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა ცვლილებები შეიძლება მოხდეს აშშ-რუსეთის ურთიერთობებში და როგორ აისახება ეს საქართველოს მომავალზე.**

The Washington Times
the Atlantic
Forbes
EURASIANET.ORG
Los Angeles Times
The Heritage Foundation
LEADERSHIP FOR AMERICA
The New York Times

# და მორიგი პროპაგანდისტული ისტერია

### პატრიოტთა თამაშები-2

ვიდრე ამერიკული მედიის პუბლიკაციებს გადავხედავთ, ალბათ, უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ განხილულ კამპანიას ჩავთვლით რეალურ ბრძოლად „გადატვირთვის“ მომხრე-მოწინააღმდეგეთა შორის და არა მის იმიტაციად, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ვერსიას არსებობის საფუძველი ნამდვილად აქვს.

ვნებათაღელვა შემდეგი ინფორმაციის გამოქვეყნებით დაიწყო: **„22 სექტემბრის ინციდენტთან დაკავშირებული მკაცრად გასაიდუმლოებული ანგარიშის შესახებ „Washington Times“-ს ორმა ჩინოვნიკმა მოუთხრო, რომლებსაც ის წაკითხული ჰქონდა. ისინი ამბობენ, რომ მოხსენებაში მხარდაჭერილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დასკვნები, რომელიც ამ აფეთქებას რუსეთის სამხედრო დაზვერვის ოფიცერს უკავშირებს“. „დოკუმენტი პირდაპირ ადასტურებს ქართული მხარის დასკვნებს,“** — თქვა ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა, რომელიც ამერიკული დაზვერვის ანგარიშს გაეცნო. მან დაამატა, რომ მოხსენებაში საგანგებოდ აღნიშნულია, რომ რუსეთის სამხედრო დაზვერვა, ანუ „გრუ“ აფეთქებების კოორდინირებას ახდენდა. მეორე ჩინოვნიკი, რომელმაც მოხსენების სამგვერდიანი რეზიუმე წაიკითხა, ამბობს, რომ იქ ერთხელ არის ნახსენები მაიორი ბორისოვი და მისი სახელი აფეთქებას უკავშირდება.

ორი ჩინოვნიკის ნათქვამის შეჯერებისას შეიძლება გარკვეული შეუსაბამობის განცდა გაჩნდეს. მეორე მათგანი ამბობს, რომ რეზიუმეში ბორისოვი ერთხელაა ნახსენები, თუმცა მისი ერთი ხსენება (როგორც მინიმუმი) საჭირო ქართული მხარის ვერსიის გადმოცემის დროს გახდებოდა. **ხოლო თუ დოკუმენტის ავტორები „ქართულ ვერსიას“ სრულად გაიზიარებდნენ, ბორისოვს, დოკუმენტში, დიდი ალბათობით, კიდევ ერთხელ ახსენებდნენ, ამჯერად საკუთარი დასკვნის ფარგლებში (საინტერესოა, იყო თუ არა ნახსენები დოკუმენტში კოჭოია და ამ ისტორიის სხვა ფიგურანტები?). თუმცა ჩავთვალოთ, რომ ეს ეჭვები უსაფუძვლოა და რუსების შესაძლო მოტივებზე გადავიდეთ.**

მოტივებთან დაკავშირებით, „Washington Times“-ს დევიდ სმიტის (უფროსი ბუშის ადმინისტრაციაში მუშაობდა, ამჟამად თბილისში „უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის“ დირექტორია) მოსაზრება მოჰყავს: „ნაწილობრივ ისინი ასეთ რაღაცებს იმიტომ აკეთებენ, რომ დასავლეთის წარმომადგენლებისთვის გაუგებარია, თუ რატომ უნდა გააკეთონ მათ ასეთი რამ, — თქვა სმიტმა, — მათ საქართველოს დესტაბილიზაცია სურთ. მათ სურთ, რომ ის გამოიყურებოდეს, როგორც ქაოსში ჩაძირული, კანონიერებას მოკლებული ტერიტორია“.

ჯოშუა ფუსტმა The Atlantic-ში ამ პოზიციას შემდეგი კომენტარი დაურთო: **„მტკიცება იმისა, რომ რუსეთი, რაღაცას მხოლოდ იმისთვის აკეთებს, რომ დაგვაბნიოს, აშკარად პარანოიდალურია“**, კიდევ ერთ წერილში ამ ავტორმა სააკაშვილის ხელისუფლების მტკიცებულებები სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენა: **„ძნელია, ეს ბრალდებები წმინდა წყლის სიმართლედ აღიქვა. საქართველო რამდენიმეჯერ გამოჭერილ იქნა იმაში, რომ ჟურნალისტები შეცდომაში შეჰყავდა რეგიონში რუსეთის „ვერაგულ“ ქცევასთან დაკავშირებით. გვაქვს თუ არა საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ახლა იმავეს არ აკეთებს?“**

**„რა იყო თავდასხმის მიზეზი? თუ თავდასხმის მოწყობა სურდათ, რატომ გააკეთეს ეს ასე უხეიროდ?“** — კითხულობს ჯოშუა კუცერა (Eurasianet).

კუცერას გაკვირვება, ალბათ, ლოგიკურია. „გრუ“-ს სპეციალური დანიშნულების ძალებს 60 წელი ამზადებდნენ იმისთვის, რომ მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში ემოქმედათ. მათ მთავარ სამიზნეს ნატოს სამეთაურო პუნქტები, აეროდრომები, სარაკეტო ბაზები, კავშირგაბმულობის კვანძები წარმოადგენდა. უკლებლივ ყველა, მათ შორის მოსკოვის სამხედრო ძლიერების მიმართ სკეპტიკურად განწყობილი, დასავლელი ავტორი, რომელიც სხვადასხვა სტატიებსა თუ მხატვრულ ნაწარმოებებში ნატო-სსრკ-ის (რუსეთის) ჰიპოტეტურ კონფლიქტს აღწერს, მიუთითებს, რომ ამ ძალების სრული ნეიტრალიზება შეუძლებელია და ისინი ნატოსთვის სერიოზული ზიანის მიყენებას ნებისმიერ შემთხვევაში მოახერხებენ. თუ „გრუ“ მის ხელთ არსებული ყველა საშუალების გამოყენებით შეეცდებოდა „საქართველო ქაოსში ჩაეძირა“, ჩვენს თავს, ძალიან დიდი ალბათობით, დღემდე არნახული უბედურება დატრიალდებოდა. ამ გარემოების გათვალისწინებით, ერთობ ლოგიკური არა მხოლოდ ჯოშუა კუცერას გაკვირვებული კითხვები ჩანს, არამედ მარკ ადომანისის აშკარად სარკასტული კომენტარი, რომელიც Forbes-ში გამოაქვეყნა: **„დავუშვათ, რომ ვლადიმერ პუტინმა ამ ოპერაციის ჩატარების ბრძანება პირადად გასცა, ხოლო თვითონ ხითხითებდა როგორც მანიაკი და ამავე დროს თავის ოთახის ძაღლებს ფეხებით სცემდა. აგრეთვე, დავუშვათ, რომ მხოლოდ მსახიობ კიფერ საზერლენდის თბილისში ყოფნამ ხელი შეუშალა სპეცნაზს (აქ ადომანისი რუსულ შენაერთს გულისხმობს, რომელსაც „Spetsnaz“-ად იხსენიებს. — რედ.) შტურმით აეღო საელჩოს შენობა და ყველა მისი ბინადარი ცოცხლად დაეწვა“.**

მიუხედავად იმისა, რომ ამ თემას განსაკუთრებული ყურადღება ყველა ამერიკულმა გამოცემამ როდი დაუთმო, აშკარად ჩანდა, რომ კომენტატორებისთვის მთავარი იყო არა იმდენად იმის გარკვევა, თუ ვინ მოაწყო აფეთქება თბილისში, არამედ ის, თუ როგორ აისახება მთელი ეს ისტორია „გადატვირთვაზე“. სენატორმა კაილმა „New York Times“-ს განუცხადა, **„სანამ აფეთქება საქართველოში გამოძიებული არ იქნება და საკითხი არ გადაწყდება, რუსეთთან გადატვირთვის მცდელობები უნდა შეჩერდეს“. „თუ ინფორმაცია დადასტურდება, ეს ცხადყოფს, რომ რუსეთი „ცივი ომის“ ყველაზე ცუდი ტრადიციების აღორძინებას ახდენს“** („Heritage Foundation“). „გადატვირთვის“ მოწინააღმდეგეთა რამდენიმე მჭექარე განცხადების შემდეგ თეთრ სახლში, როგორც ჩანს, მივიდნენ დასკვნამდე, რომ სიტუაციაში უნდა ჩაერიონ.

### ბალადა თეთრ ფურგონზე

ძნელი სათქმელია, რა ეწერა სინამდვილეში იმ ყბადაღებულ მოხსენებაში, რომლის შესახებ „Washington Times“-ი წერდა, თუმცა ძნელია, არ გაიზიარო

▶

**«ძნელია, ეს ბრალდებები წმინდა წყლის სიმართლედ აღიქვა. საქართველო რამდენიმეჯერ გამოჭერილ იქნა იმაში, რომ ჟურნალისტები შეცდომაში შეჰყავდა რეგიონში რუსეთის «ვერაგულ» ქცევასთან დაკავშირებით»**

## მოკლედ

### მოსკოვი აშშ-ის კონგრესის რეზოლუციას გამოეხმაურა

**ნატოში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა დიმიტრი როგოზინმა აშშ-ის კონგრესის მიერ საქართველოსთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაზე კომენტარი გააკეთა.** „რუსეთს არ შეუძლია მოახდინოს იმ სახელმწიფოს ოკუპირება, რომელსაც თავადვე აღიარებს და რომლისგანაც მიიღო მიწვევა, რუსული ჯარის განთავსების თაობაზე. ეს დროებითი ზომაა და განპირობებულია მეზობელი სახელმწიფოს, სახელად საქართველოს აგრესიით. თუ აშშ-ის სენატორებს იურიდიული მომზადება აკლიათ, მზად ვართ რუსეთის ერთ-ერთ იურიდიულ უმაღლეს სასწავლებელში მათი კვალიფიკაციის ამაღლება უზრუნველვყოთ,“ — განაცხადა როგოზინმა.

### ნეთანიაჰუ პალესტინასთან მოლაპარაკებებს დათანხმდა

**ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ თანახმაა, 1967 წლის საზღვრებში დაბრუნების შესახებ პალესტინასთან მოლაპარაკება დაიწყოს.** ისრაელის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის განცხადებით, პრემიერ-მინისტრი საკუთარ განცხადებას არ უარყოფს. მისივე თქმით, ნათანიაჰუ კატეგორიულად მოითხოვს, რომ პალესტინამ ისრაელი ებრაულ სახელმწიფოდ აღიაროს. 1967 წელს არსებულ საზღვრებში დაბრუნება ისრაელს ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ რამდენიმე თვის წინ მოუწოდა. მანვე ისრაელს მოუწოდა, პალესტინის დამოუკიდებლობა აღიაროს.

**„აშშ-ის ელჩი არ იზიარებს მოსაზრებას ამერიკასა და რუსეთს შორის გადატვირთვის პოლიტიკის ფაქტობრივი ჩაშლის შესახებ. „როგორც ბასმა განაცხადა, — იტყობინება სააგენტო „პირველი", — „გადატვირთვის" პოლიტიკა იმთავითვე ისეთ სფეროებს ეფუძნებოდა, რომელშიც რუსეთსა და აშშ-ს საერთო ინტერესები აქვთ, ბოლო წლებში კი ამ სფეროებში ორივე ქვეყნისთვის გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა".**

# პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„American Thinker"-ის ვარაუდი იმის თაობაზე, რომ „ეს ინფორმაცია საზოგადოებისთვის ცნობილი არასოდეს გახდება". როგორც გაირკვა: **„აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტორის ოფისის ანალიტიკურმა დეპარტამენტმა, დაზვერვის ეროვნულმა საბჭომ, კონგრესს ამ აფეთქების ახალი ანალიზი მიაწოდა. ადმინისტრაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა „Washington Times"-ს განუცხადა, რომ თბილისში მომხდარ აფეთქებაზე პასუხისმგებლობაზე ერთიანი აზრი არ არსებობს".** ამ ნაბიჯის შემდეგ, იმ „ძველი" მოხსენების სტატუსი და მისი ურთიერთმიმართება ახალთან ძლიერ გაურკვეველი გახდა.

თეთრი სახლის მეორე ნაბიჯი კიდევ უფრო საინტერესო იყო. ანონიმურ მაღალჩინოსანზე დაყრდნობით, „New York Times"-მა გვამცნო, რომ **„ამერიკის დაზვერვის ოფიციალური წარმომადგენლები საიდუმლო მოხსენებაში მივიდნენ დასკვნამდე, რომ შარშან საქართველოში მომხდარი აფეთქებების უკან, მათ შორის აშშ-ის საელჩოსთან, შეიძლებოდა მდგარიყო რუსი ოფიცერი, მაგრამ არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ ადგილი ჰქონდა შეთქმულებას კონკრეტულად ამერიკული ობიექტების წინააღმდეგ";** მსგავს მიდგომას მაიორ ბორისოვის თანამემულეები შემდეგი გამონათქვამით აღწერენ: „Я — не я, корова не моя", და საერთოდ, ამავე ჩინოვნიკმა თქვა, რომ **„ვარაუდი რუსი ოფიცრის აფეთქებასთან კავშირზე ეფუძნება რამდენიმე წყაროს სადაზვერვო და სამართალდამცავი ორგანოებიდან, მათ შორის — ქართული სამსახურებიდან. ჩინოვნიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს არ იყო მყარი შეფასება (not a rock-solid assessment) და მასში არ არის კონკრეტული დასკვნა იმის თაობაზე, რომ აფეთქებები მოსკოვის ბრძანებით განხორციელდა".**

ხოლო კომენტარი ამ ისტორიის შესაძლო ზემოქმედებაზე აშშ-რუსეთის ურთიერთობებზე ჯონ ბასმა გააკეთა: **„აშშ-ის ელჩი არ იზიარებს მოსაზრებას ამერიკასა და რუსეთს შორის გადატვირთვის პოლიტიკის ფაქტობრივი ჩაშლის შესახებ. „როგორც ბასმა განაცხადა, — იტყობინება სააგენტო „პირველი", — „გადატვირთვის" პოლიტიკა იმთავითვე ისეთ სფეროებს ეფუძნებოდა, რომელშიც რუსეთსა და აშშ-ს საერთო ინტერესები აქვთ, ბოლო წლებში კი ამ სფეროებში ორივე ქვეყნისთვის გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა".**

ამ სამი სიგნალით ობამას ადმინისტრაციამ ნათლად აჩვენა, რომ მას გაცილებით უფრო აინტერესებს ურთიერთობები სამკუთხედში „აშშ-რუსეთი-ჩინეთი", ვიდრე სამკუთხედში „უტიაშვილი-ბორისოვი-კოჭოია", და ამასთანავე, დაიკავა პოზიცია, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს საელჩოსთან მომხდარი აფეთქების გამოყენებას „გადატვირთვის" ჩასაშლელად.

რამდენად დიდი იყო შანსი, რომ ეს ისტორია „გადატვირთვაზე" რეალურ გავლენას მოახდენდა? პრეცედენტი, რომელთანაც პირდაპირი პარალელის გავლება შეიძლება არ არსებობს, თუმცა შეგვიძლია ორი ისტორია გავიხსენოთ: 1999 წლის გაზაფხულზე მოსკოვში აშშ-ის საელჩოსთან იუგოსლავიის დაბომბვასთან დაკავშირებით მასობრივი დემონსტრაციები იმართებოდა, საელჩოს ქვებს უშენდნენ, ხოლო მოქანდაკე ალექსანდრე სუსლიკოვმა შენობას ცეცხლი გაუხსნა. საელჩო, ფაქტობრივად, ალყაში იყო, თუმცა არანაირი გავლენა ამ ფაქტებს აშშ-რუსეთის ურთიერთობებზე არ მოუხდენია.

იმავე გაზაფხულზე ამერიკულმა ავიაციამ გაანადგურა ჩინეთის საელჩო ბელგრადში. ვაშინგტონი ირწმუნებოდა, რომ ეს შეცდომის გამო მოხდა, თუმცა პეკინი მის არგუმენტებს ეჭვით ეკიდებოდა; ჩინელმა დემონსტრატებმა აშშ-ის წარმომადგენლობები დაარბიეს. პასუხისმგებელი მფრინავებისთვის სამიზნეების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელი უილიამ ბენეტი იყო. „Los Angeles Times"-ის ცნობით, ის სამსახურიდან „დაშვებული ფატალური შეცდომების გამო" დაითხოვეს. აქ საინტერესო მომენტს ვუახლოვდებით: ერთის მხრივ, არსებობდა თეთრი სახლი ოფიციალური ვერსიით; მეორე მხრივ კი — უილიამ ბენეტი, რომელსაც პოტენციურად შეეძლო მომხდარის ალტერნატიული ვერსია გაეხმოვანებინა. **2009 წლის 22 მარტს მან მეუღლესთან ერთად გასეირნება გადაწყვიტა. თვითმხილველების თქმით, პარკში მის კვალდაკვალ თეთრი ფურგონი შევიდა, შემდეგ საეჭვო ხმაური გაისმა, მოკლედ ცოცხალი იმ გასეირნებიდან უილიამ ბენეტი არ დაბრუნებულა. ცხადია, არაფერი მიუთითებს ამერიკელი ძალოვანების კავშირზე ამ ტრაგიკულ ინციდენტთან და ვერავინ გამორიცხავს, რომ ბენეტი პარკებში თეთრი ფურგონებით მოხეტიალე კრიმინალების მსხვერპლი არ გახდა. რაც შეეხება აშშ-ჩინეთის ურთიერთობებს, რამდენიმეთვიანი დაძაბული რიტორიკის შემდეგ ის ისევ ძველ კალაპოტს დაუბრუნდა.**

22 სექტემბრის აფეთქებას თბილისში, რომელსაც მსხვერპლი და ნგრევა არ მოჰყოლია, ალბათ, მაინც არ ჰქონდა არანაირი შანსი აშშ-რუსეთის ურთიერთობაზე შესამჩნევი ზეგავლენა მოეხდინა. გამორიცხული არაა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვიდეოკამერები საელჩოსთან დააფიქსირებდა მაიორ ბორისოვს რაციით ხელში („Лютик, Лютик, я Ромашка!"), ორი ზესახელმწიფო რაიმე გამოსავალს უხერხული სიტუაციიდან მაინც გამონახავდა.

## ცივი ომის ცხელი წერტილი

**სააკაშვილის ხელისუფლებისთვის და მისი ამერიკელი თანამოაზრეებისთვის (სენატორი მაკეინი და სხვები), „გადატვირთვაზე" საძულველი სიტყვა, სავარაუდოდ, არ არსებობს. თეზისს „ყველაზე უკეთ საქართველოს გადატვირთვა იცავს", ისინი სერიოზულად არ განიხილავენ. საინტერესოა, რა არის ალტერნატივა? კონფრონტაცია? ახალი „ცივი ომი"?**

საქართველოს მსგავსი, მესამე სამყაროს პატარა და არასტაბილური ქვეყნების ხვედრი „ცივი ომის" დროს ძლიერ არასახარბიელო იყო. ერთი ზესახელმწიფო მხარს ხელისუფლებას უჭერდა, მეორე კი — შეიარაღებულ ოპოზიციას ან სეპარატისტებს, დროდადრო ისინი როლებს ცვლიდნენ; ყალიბდებოდა ყოვლად ამაზრზენი რეჟიმები, იღვრებოდა სისხლი, იხოცებოდა ხალხი. „გადატვირთვის" დასრულება, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ მთელი პლანეტა თუ არა, პოსტსაბჭოთა სივრცე მსგავსი ბრძოლის ველად გადაიქცევა, აშშ-რუსეთის ამ კონფრონტაციით კი მხოლოდ ჩინეთი იხეირებს.

**თუ აშშ-რუსეთის დღევანდელი ურთიერთობები, რაც პრაგმატულ ბალანსს და კონსესუსს ეფუძნება, წარსულს ჩაბარდება. საქართველოსთვის ეს, სავარაუდოდ, უსაფთხოების ისეთ დეფიციტს დაუკავშირდება, რომელიც შეიძლება მხოლოდ „შავ ხვრელს" შევადაროთ. ამან შეიძლება ქვეყნის შემდგომი დანაწევრება და სამოქალაქო ომიც კი გამოიწვიოს; თუ საქართველო აშშ-რუსეთის მწვავე კონფრონტაციის (ერთ-ერთი) არენა გახდება, სხვა სცენარი ნაკლებად სავარაუდოა. თუმცა, ამავე დროს, „ახალი ცივი ომი", ალბათ, ერთადერთი შესაძლებლობაა სააკაშვილისთვის ხელისუფლებაში 2013 წლის შემდეგაც დარჩეს და ის, როგორც ჩანს, ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ თავის ამერიკელ თანამოაზრეებს „გადატვირთვის" ჩაძირვაში დაეხმაროს.**

ამას, სავარაუდოდ, მშვენივრად აცნობიერებენ ვაშინგტონში და გამორიცხული არაა, რომ თეთრ სახლს გაუჩნდეს ცდუნება — „სააკაშვილის ნაღმი" სასწრაფოდ გაანეიტრალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინ იცის, კიდევ რა სიურპრიზებს შესთავაზებს ბარაკ ობამა საქართველოს, რბილად რომ ვთქვათ, ექსცენტრიულ მმართველი. **საქართველოს ოპოზიციური სპექტრის ამოცანა (ცხადია, თუ ხელისუფლებაში მოსვლა გულწრფელად სურთ) ამ კონტექსტში, ალბათ, ისაა, რომ შეეცადონ, დაარწმუნონ ამერიკელი პარტნიორები, რომ ამის გაკეთება აუცილებელია, თანაც რაც მალე, მით უკეთესი; დღევანდელი ვითარება ამისთვის კარგ წინაპირობებს ქმნის.**

**დიმიტრი მონიავა**

**ამ სამი სიგნალით ობამას ადმინისტრაციამ ნათლად აჩვენა, რომ მას გაცილებით უფრო აინტერესებს ურთიერთობები სამკუთხედში «აშშ-რუსეთი-ჩინეთი», ვიდრე სამკუთხედში «უტიაშვილი-ბორისოვი-კოჭოია»**

**«ახალი ცივი ომი», ალბათ, ერთადერთი შესაძლებლობაა სააკაშვილისთვის ხელისუფლებაში 2013 წლის შემდეგაც დარჩეს და ის, როგორც ჩანს, ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ თავის ამერიკელ თანამოაზრეებს «გადატვირთვის» ჩაძირვაში დაეხმაროს**



**თუ აშშ-რუსეთის დღევანდელი ურთიერთობები, რაც პრაგმატულ ბალანსს და კონსესუსს ეფუძნება, წარსულს ჩაბარდება. საქართველოსთვის ეს, სავარაუდოდ, უსაფთხოების ისეთ დეფიციტს დაუკავშირდება, რომელიც შეიძლება მხოლოდ «შავ ხვრელს» შევადაროთ**

## გამოხმაურები

**ბარაკ ობამა,**
**აშშ-ის პრეზიდენტი**



დიმიტრი მედვედევი რუსეთის ინტერესებს გაშმაგებით იცავს, მაგრამ ამავდროულად აღიარებს, რომ ქვეყნის განვითარების გზა გარე სამყაროსთან როგორც ორმხრივი, ისე მრავალხმრივი ურთიერთობების განვითარებაზე გადის... პუტინი სრულად უჭერს მხარს „გადატვირთვის" პროცესს, რის შედეგადაც ბოლო ორი წლის განმავლობაში რუსეთსა და ამერიკას შორის ურთიერთობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

*„იტარ-ტასი"*

**სოზარ სუბარი,**
**„ქართული პარტიის" თავმჯდომარე:**



საქართველოში საპროტესტო ელექტორატი არ გამქრალა, რაც ცხადი შეიქნა „რელიგიათა სტატუსის შესახებ" კანონის განხილვისას. საზოგადოება მზად არის დღესვე შეცვალოს სააკაშვილის ხელისუფლება, თუკი დაინახავს ძალას, რომელიც გაუძლევება.

*„კვირის პალიტრა"*

**კახაბერ ძაგანია,**
**„ლეიბორისტების" ერთ-ერთი ლიდერი:**



მაშინ, როდესაც მოსახლეობის უმრავლესობას საშუალება არ აქვს, თუნდაც ერთი დღით აგვისტოს გაუსაძლის სიცხეს ოჯახი გაარიდოს, მუქთახორა პარლამენტარები ნაძარცვი ფულით მსოფლიოს საუკეთესო კურორტებს ლაშქრავენ.

*„პირველი"*

**ნინო ჯანგირაშვილი,**
**ტელეკომპანია „კავკასიის" ხელმძღვანელი:**



4 ივლისს „საქართველოს ტელერადიოცენტრი" გადაკეთდა „ალფა-კომად", 11 ივლისს მოხდა კომპანია „გოლდენ კომის" რეგისტრაცია, 18 ივლისს გამოცხადდა ანძის მმართველობის აუქციონი, ხოლო 22 ივლისს „გოლდენ კომმა" უკვე გააკეთა პირველი ბიჯი აუქციონში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ამით შეიკრა სრული სურათი, რომელიც ადასტურებს, რომ ეს იყო კორუფციული სქემა და კორუფციული აუქციონი.

*„ინტერპრესნიუსი"*

## გაეროს უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი ინდოელი გახდა

**გაეროს უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელად გაეროში ინდოეთის მუდმივი წარმომადგენელი ხარდიპ სინგხ პური დაინიშნა.** გაეროს ახალი ამბების ცენტრის ცნობით, პურიმ განაცხადა, რომ აგვისტოში ძირითადი ყურადღება სამშვიდობო მისიებსა და ლიბიაში მიმდინარე პროცესებს დაეთმობა. ორშაბათს ინდოეთის თავმჯდომარეობით სირიაში შექმნილ ვითარებაზე პირველი სხდომა უკვე გაიმართა. სინგხ პურიმ განაცხადა, რომ თავის სტატუსს უშიშროების საბჭოს რეფორმირებისთვის და ინდოეთის მუდმივ წევრად არჩევისთვის არ გამოიყენებს.

## აშშ-მა დეფოლტს გვერდი აუარა

**ამერიკის კონგრესის ქვედა პალატამ ამერიკის სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარის აწევის გადაწყვეტილება მიიღო. კანონპროექტს 268 კონგრესმენმა დაუჭირა მხარი, 161 წინააღმდეგი იყო.** აღნიშნული გადაწყვეტილება იძლევა შესაძლებლობას, ამერიკამ დეფოლტი თავიდან აიცილოს. იმ შემთხვევაში, თუ სენატიც დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს, უახლოესი 10 წლის განმავლობაში ამერიკის ხელისუფლებამ საბიუჯეტო ხარჯები უნდა შეამციროს. კენჭისყრამდე თეთრი სახლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ პარტიებთან ამ თემაზე მოლაპარაკება შეძლო. ბარაკ ობამას განცხადებით, უახლოესი 10 წლის განმავლობაში საბიუჯეტო ხარჯები 1 ტრილიონ დოლარამდე შემცირდება.

საქართველო და მსოფლიო

რელიგია

ლ: 234-32-95

„ჩვენ გვჭირდება ახალი სასულიერო თაობის აღზრდა, ბერ-მონაზვნობის ინსტიტუტში ძველი ტრადიციების აღდგენა და ჭეშმარიტად ამ ხალხს შეეძლება შემდეგში ზღვარიც გაავლონ მხილებასა და განკითხვას შორის და, რაც დღეს ჩვენ გულს გვტკენს, ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ წარსულის ლაქად დარჩება. იმედიან პასუხს გაძლევთ, რამეთუ მართლა მჯერა, რომ საქართველოს ეკლესიაში მართლაც მოვა ასეთი პერიოდი და, რასაც წიგნებში ვკითხულობთ, ის რეალობად იქცევა.“



# მამა თეიმურაზი: რასაც ვერ აკეთებს საერო ხელისუფლება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სულიწმინდის მადლით შეიძლება ერთ საათში გააკეთოს!

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება წმინდა სამების ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი თეიმურაზ თათარიშვილი.**

**— მამაო თეიმურაზ, როდესაც უწმინდესი კიევში სრულიად რუსეთის პატრიარქთან — კირილთან შესახვედრად მიბრძანდებოდა, მან მრევლს მიმართა, ელოცათ, რომ ეს შეხვედრა დადებითი შედეგით დასრულებულიყო. აქედანაც ჩანს ამ ვიზიტის მნიშვნელობა. შედეგით უწმინდესი კმაყოფილია. იქნებ ამ ორი მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის შეხვედრა შეაფასოთ არა პოლიტიკურ, არამედ სულიერ ჭრილში.**

— დიახ, როდესაც მისი უწმინდესობა მიბრძანდებოდა უკრაინაში, მან სამღვდელოებას დაუბარა, რომ ერს ლოცვა გაეძლიერებინა. ჩვენს ტაძარში თითქმის ყოველდღიურად მღვდელმსახურები პარაკლისებს იხდიდნენ, მორწმუნე მრევლი საგანგებოდ დაუჯდომელ ლოცვებს, ფსალმუნთა კანონებს კითხულობდა იმისათვის, რომ ეს ვიზიტი მშვიდობიანად, შედეგიანად დასრულებულიყო და პატრიარქიც მშვიდობით ყოფილიყო და უფალს მისთვის თავისი სულიწმინდისეული მადლი მიეცა. ღვთის მადლით, ეს შეხვედრა მართლაც ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულდა.

ეკლესია, ქრისტეს სხეული ერთიანი და განუყოფელია. როდესაც ჩვენ მრწამსში ვამბობთ: **„მწამს ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“** ამ ეკლესიაში არა ცალკე რუსეთის ეკლესია, უკრაინის მართლმადიდებლური თემი ან საქართველოს ეკლესია იგულისხმება, არამედ — მსოფლიო ეკლესია მთლიანად, როგორც ერთი სხეული, ის ეკლესია, რომელიც მოციქულთა დროიდან მთელს დედამიწაზე განფენილია ჭეშმარიტი სწავლებით, რომელსაც მართლმადიდებლობა ჰქვია. ასე რომ, ერთი, მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის შეხვედრა მეორე მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურთან უკვე დიდი სულიერი მოვლენაა, რაც დადასტურდა კიდეც გასულ კვირას. ჩვენი პატრიარქის ვიზიტს კიევში და საუბარს რუსეთის პატრიარქთან, კირილთან ჰქონდა ძალიან დიდი მნიშვნელობა. ამ თემას, ალბათ, უფრო ვრცლად შეეხება საპატრიარქოს პრესაც. მანამდე კი შემიძლია გავკადნიერდე და ვთქვა: **წლების განმავლობაში, შეიძლება დიდი სურვილის მიუხედავად, რასაც ვერ აკეთებს საერო ხელისუფლება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, სულიწმინდის მადლით შეიძლება ერთ საათში გააკეთოს, რამეთუ შეუძლებელია, რომ ღვთიური ხელის წინაშე ადამიანური სისუსტე რაიმეს წარმოადგენდეს! ჩვენ ვხედავთ, რომ დაკარგულ ტერიტორიებს კიდევ უფრო მეტი შეემატა, პატრიარქმა კი ძალიან ბევრ რამეს მიაღწია. საუბარია იმაზე, რომ პატრიარქი აფხაზეთის ტერიტორიაზე შევა! ეჭვი თითქმის აღარავის ეპარება და საბოლოოდ დადასტურდა, რომ რუსეთის ეკლესია სცნობს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას როგორც სამაჩაბლოში, ასევე აფხაზეთში, რომელიც ტერიტორიულადაც და ეკლესიურადაც არის განუყოფელი ნაწილი საქართველოს ეკლესიისა. უფალს დიდება ამ ყველაფრისთვის!** დღეს საქართველოს ეკლესია და საქართველოს ეკლესიის მრევლი და ყოველი მართლმადიდებელი ზეიმობს, რომ ჭეშმარიტად, ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის ისევ და ისევ ეკლესია ასრულებს განუსაზღვრელ როლს.

**— მამაო თეიმურაზ, ბევრი ადამიანი ვიცი, ვინც თქვენს მსახურებას იმიტომაც ესწრება, რომ თქვენს ქადაგებას მოუსმინოს. დღეს ქადაგების დროს მრევლს განსაკუთრებით მოუწოდეთ, რომ განკითხვის ცოდვას მორიდებოდნენ... რატომ, მამაო?**

— განკითხვა არის საყოველთაო სენი, ობობას ქსელივით მოდებული დღეს ქართულ საზოგადოებაზე, ზოგადად, კაცობრიობაზე. ადამიანები ძალიან ადვილად განსჯიან მღვდელმსახურთა ქმედებებს, მათ დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხისადმი... გული მწყდება იმაზე, რომ დღეს ყველა გაზეთს, ყველა ჟურნალისტს, ყველა გადაცემას შეუძლია თავს უფლება მისცეს, „განსაჯოს“ საქართველოს ეკლესიაში მიმდინარე პროცესები. **სამწუხაროდ, ზოგიერთი გაზეთი (არ მინდა დავაკონკრეტება), რომელიც მთელი ცხოვრება ლანძღავს პატრიარქს, ლანძღავს წმინდა სინოდის მღვდელმთავრებს და საერთოდ — ეკლესიას, დღეს ვითომ პატრიარქს და ეკლესიას იცავს, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ხვალ რომ დასჭირდეს, უარესს გააკეთებს და უარეს ტალახს ესვრის პატრიარქსაც, ეკლესიასაც და სინოდსაც. ჩვენ არ უნდა ავყვეთ ამას... ცრუ გმირები წარმოიშვა უცებ, ეს არის ფარისევლობის აბსოლუტური ზეიმი, მაგრამ გონიერი ადამიანი, რა თქმა უნდა, ამ საცდურს არ აჰყვება.** იოანე სინელი ბრძანებს, სიკვდილის წინაც რომ ნახო ვინმე ცოდვაში მყოფი, არ განიკითხო, რამეთუ არ იცი, დაფარულია შენთვის ღვთიური საიდუმლოო... წმინდა მამები ამბობენ, განკითხვა — ეს არის მხოლოდშობილის, ანუ ძე ღმერთის პატივის მიტაცება... ანუ, რისი უპირობო უფლებაც მას აქვს, შენ მას სტაცებ და შენს თავს მიაკუთვნებ. **განკითხვა ნიშნავს იმას, რომ ღმერთს ეუბნები: „შენ საქმე არ გაქვს ამ კაცობრიობაში, მე განვსჯი — ვინ უნდა იყოს მართალი და ვინ მტყუანიო“.**

მეჩვენება, რომ გაზვიადებულია და ნაყალბევი, თითქოს რაღაც სერიოზულ დაპირისპირებას და აზრთა განხეთქილებას აქვს ადგილი საქართველოს ეკლესიაში, თუნდაც წმინდა სინოდში... პატრიარქმა მრავალგზის აღნიშნა, რომ წმინდა სინოდი არის გამოვლენა საეკლესიო კრებისა და საეკლესიო კრება არის უმაღლესი ავტორიტეტი ეკლესიისთვის. ჩვენი, მართლმადიდებლების, ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი კათოლიციზმისგან სწორედ ეს არის — კათოლიციზმში მხოლოდ ერთი კაცი, პაპია ავტორიტეტი, მართლმადიდებლობაში კი წმინდა სინოდი — საეკლესიო კრება, რომელსაც ყველა მორწმუნემ უდიდესი პატივი უნდა მიაგოს. მღვდელმთავრის განკითხვა ძალიან მძიმე ცოდვაა... რამდენჯერ ყოფილა, რომ განგვისჯია ზოგიერთი იერარქი, რომელიღაცა კურთხევის თუ ქმედების, თუნდაც უმოქმედობის გამო და წლების მერე მივმხვდარვართ, რომ ის ჭეშმარიტად მართალი იყო და მას სულიწმინდა ჩააგონებდა ამა თუ იმ ქმედებას. კონკრეტული მაგალითები შეიძლება ძალიან ბევრი გავიხსენო. ჭეშმარიტად ბედნიერია ის ადამიანი და ნეტარია, ნეტარად შევრაცხავდი, რომელიც განკითხვის ცოდვას ისევე გაურბის, როგორც შხამიანი ქვეწარმავლების ბუდეში ხელის შეყოფას.

**— მამაო, განკითხვა, რა თქმა უნდა, საშინელი ცოდვაა, მაგრამ განა თქვენ კი ფიქრობთ, რომ საქართველოს ეკლესიაში ყველაფერი თავის ადგილზეა, ყველაფერი წესრიგშია? ან გჯერათ, რომ ყველა მღვდელმსახური თავისი მოწოდების სიმაღლეზე დგას? ერთ-ერთ წერილში საუბარი მქონდა ორსულ ქალზე, რომელიც საზიარებლად მისული მღვდელმა „ეშმაკოს“ ძახილით, ფაქტობრივად, გარეთ გამოაგდო! და ხუთი წელია, ეს ქალბატონი არ ზიარებულა... ასეთი ფაქტების აღნიშვნაც განკითხვაა? ვის ხელეწიფების მხილება ასეთი მღვდელმსახურისა, რომელმაც „უფლის ერთი ცხოვარი“ დააბრკოლა და ტაძრიდან გააგდო? იქნებ გავმიჯნოთ განკითხვა და მხილება.**

— ჯერ ოდნავ განვაზოგადებ და ვიტყვი, რომ ზოგჯერ ისმის ხოლმე ასეთი სიტყვები: დღეს ეკლესიაში, მართლმადიდებლობაში რაღაცები გადასახედია. ეს მოსაზრება სასტიკად დაგმობილია ჩემ მიერ. ეკლესიაში, მართლმადიდებლობაში გადასახედი არაფერია, მე თვითონ სწავლებას, როგორც ასეთს, ვგულისხმობ... ეკლესიას ყველაფერზე თავის სწორი და გამოკვეთილი პასუხი გააჩნია მოციქულთა დროიდან მოყოლებული, რომელიც არ შეიცვლება! ეკლესია ღირებულებათა გადაფასებას არასოდეს დაემორჩილება. ზე ცივილიზებულმა სამყარომ რასაც უნდა მიაღწიოს კოსმოლოგიისა და ტექნოლოგიის სივრცეში, ის, რაც ცოდვა იყო III საუკუნეში, ცოდვა იქნება XXII საუკუნეშიც და სამყაროს აღსასრულამდეც და ეკლესია კომპრომისებზე არ წავა, რომ, იგივე ანგლიკანური და პროტესტანტული სამყაროების მსგავსად, თქვას: დღეს სხვა დროაო.. ეკლესიაში არ არსებობს გამოთქმა — დღეს სხვა დროა! არა! წმინდა ათანასე დიდი (ალექსანდრიელი) ბრძანებს: **„გახსოვდეს, დროს კი არა, ღმერთს უნდა ემსახურო!“**

თუმცა, სამწუხაროდ, ხდება ისეთი რაღაცებიც, რაც მიუღებელია. მხილების უფლება კი აქვს ისევ და ისევ იმ უმაღლეს იერარქიას, რომელიც ზნეობრივად, სულიწმინდით დადგენილნი არიან, ვითარცა „ჭეშმარიტნი მწყემსნი“... თუნდაც იმ ბოლო სინოდის სხდომაზე შეიქმნა ე. წ. ზნეობრივი კომისია, რომელიც გადახედავს გარკვეულ უღირსებას, გარკვეულ ნაკლოვანებას, რომელიც სამღვდელოებაშია, მაგრამ ჩვენ უნდა ვიფიქროთ მათ გამოსწორებაზე, მათში ამ ნაკლოვანების აღმოფხვრაზე და არა იმაზე, რომ ერთიანად გავფილრტოთ ეკლესია ავი — კარგისგან! თუმცა დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თუ ამის საჭიროება შეიქნა, უფალი ამასაც მოაწყობს! მაგრამ, რა თქმა უნდა, გამოსწორების შანსი ყველას უნდა მისცეს ადამიანმა, ისევე, როგორც ღმერთი აძლევს ადამიანს სინანულისთვის დროს! გაიხსენეთ წარლვნის ისტორია! ძალიან ბევრი რამე მართლაც დასაგმობია, კონკრეტულად არაფერს ვგულისხმობ და ვერც გავკადნიერდები, რომ ეს ვთქვა, რამეთუ ჩვენვე არ გვინდა აღმოვჩნდეთ წინარე კითხვაზე გაცემული პასუხის უგულებელმყოფელნი.

მაგრამ მე ღრმად მწამს, რომ საქართველოს ეკლესიაში, წმინდა სინოდში მოხდება მომწიფება იმ სიტუაციისა, როდესაც სამღვდელოებაში არსებულ ნებისმიერ ნაკლოვანებას აღმოფხვრიან.

ის კონკრეტული მაგალითი, რომელიც თქვენ მოყევით და მსგავსი ისტორიები, რომლებიც შეიძლება, სამწუხაროდ, ხდებოდეს, ბუნებრივია, დასაგმობია! ამაზე არც უნდა ვიდავოთ!

მხოლოდ და მხოლოდ სინანული გვმართებს უფლის წინაშე და ერთმანეთის განსჯას უნდა შევეშვათ. მაინც ვიმეორებ იმას, რაც წეღან ვთქვი — მღვდელმსახურთა განსჯა, თუნდაც მხილება დავარქვათ, შეიძლება ჩვენთვის გამამართლებელი იყოს, მაგრამ ამაზე პასუხი არ გვაქვს, ამიტომ საშიშია და ჯობს, ვერიდოთ...

**— მამაო, მაინც უნდა გკითხოთ: სად გადის ზღვარი მხილებასა და განკითხვას შორის? რა არის მხილება და რა არის განკითხვა?**

— ამ დროს ადამიანს, რომელიც საგანგებოდ ამ საკითხებით იქნება დაინტერესებული, თუნდაც მღვდელმთავარს, რომელიც თანამედროვე ეპოქაში ემზადება, რომ განწმინდოს ეკლესია გარკვეული მავნე ჩვევებისაგან, ისევ და ისევ ცოდნა მართებს, ცოდნა ეკლესიის ისტორიისა, იმ უამრავი მაგალითისა, რითაც ესოდენ აღსავსეა სამოციქულო ეკლესია, განსაკუთრებით პირველ, მეორე და უძველეს საუკუნეებში, ბიზანტიის ისტორია ზოგადად და ბიზანტიაში ეკლესიის ისტორია ამის უამრავ, ათასობით მაგალითს წარმოაჩენს. ყოველთვის შეგვიძლია დავინახოთ, რომ მხილების უფლება ჰქონდათ იმ მამებს, რომლებიც საოცარი სიწმინდით იყვნენ განსხივოსნებული; მეორეც — ჩვენ ვხედავთ ძალიან ბევრ მაგალითს, როდესაც მწვალებლები ან ცოდვაში მყოფი ადამიანები ხდებოდნენ მხილებულნი იმ დიდი მნათობების მიერ, რომელთაც, თავის მხრივ, შეიძლება მთელი სიცოცხლის მანძილზე წიგნთან კონტაქტი არ ჰქონიათ, მაგრამ უდაბნოში გასულებს სულიწმინდა მთელი წმინდა წერილის ცოდნას ჩაუნერგავდა და მათ ხალხი განცვიფრებული უსმენდა... ბასილი დიდი როდესაც ქადაგებდა, ხალხი სულიწმინდას მტრედის სახით ხილულად ხედავდა, რომელიც უჩურჩულებდა მას. ამას ეფრემ ასური და სხვა მამებიც მოწმობენ. ძალიან ბევრი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ. ხალხს მაშინ სხვანაირი მადლი ჰქონდა. მახსენდება ერთი ცნობილი პატერიკი IV საუკუნეში პავლე ეპისკოპოსის ცხოვრებისა, რომელსაც ისეთი სიმდაბლე ჰქონდა, რომ ეპისკოპოსობის დროს განიმოსა სამღვდელმთავრო შესამოსელი, წავიდა ქალაქში და მუშად მუშაობდა... მერე ამოიცნეს იგი. ისეთი მაგალითებია, რომ დღეს ზოგიერთი მათგანი შეიძლება არარეალურადაც მოგვეჩვენოს, თუმცა კი გულის სიღრმეში ვიცით, რომ ეს ყველაფერი რეალურად ხდებოდა! უბრალოდ, ჩვენი ეპოქა მართლა დაშორდა უფალს!..

ჩვენ გვჭირდება ახალი სასულიერო თაობის აღზრდა, ბერ-მონაზვნობის ინსტიტუტში ძველი ტრადიციების აღდგენა და ჭეშმარიტად ამ ხალხს შეეძლება შემდეგში ზღვარიც გაავლონ მხილებასა და განკითხვას შორის და, რაც დღეს ჩვენ გულს გვტკენს, ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ წარსულის ლაქად დარჩება. იმედიან პასუხს გაძლევთ, რამეთუ მართლა მჯერა, რომ საქართველოს ეკლესიაში მართლაც მოვა ასეთი პერიოდი და, რასაც წიგნებში ვკითხულობთ, ის რეალობად იქცევა.

ესაუბრა
**შორენა სიხარულიძე**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**„საბოლოოდ დადასტურდა, რომ რუსეთის ეკლესია სცნობს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას როგორც სამაჩაბლოში, ასევე აფხაზეთში“**



აუცილებლად მინდა აღვნიშნო ზოგიერთი პოლიტოლოგის ღვაწლი, პირველ რიგში, ალექსანდრე ჭაჭიასი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო. იგი რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისთვის საქართველოს ხელისუფლებას დიალოგს სთავაზობდა, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე რადიკალური, ანტირუსული კამპანია დაიწყო. ომამდე ცოტა ხნით ადრე, ალექსანდრე ჭაჭია რუსულ პრესაში წერდა, რომ იგი სკეპტიკურად იყო განწყობილი ქართულ-რუსულ ურთიერთობებში შექმნილი ვითარების მიმართ და მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებას ელოდა, რაც ძალიან მალე ახდა კიდეც.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გულბაათ რცხილაძე:

# პრიმიტიულმა, ცუდად აღზრდილმა, ზერელედ განათლებულმა და სასაცილო ხმით «მოჭყლოპინე» მიშამ და-გვა-ბე-ჩა-ვა!

**სამი წელი გავიდა რუსეთ-საქართველოს საბედისწერო ომიდან... რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში და როგორ ვითარდებოდა საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსი, რა ეტაპზეა ქართულ-რუსული ურთიერთობები და როგორია ეკლესიისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება, „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტოლოგი, ევრაზიის ინსტიტუტის დირექტორი გულბაათ რცხილაძე ესაუბრა.**



**— 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სამი წელი გავიდა... როგორ ვითარდებოდა მოვლენები და რა შეიცვალა საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში ამ სამი წლის მანძილზე?**

— ომმა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ 2008 წლის აგვისტოში გააჩაღა, ჩვენი ქვეყნისთვის დამანგრეველი შედეგები მოიტანა. საქართველოს ტერიტორია კიდევ უფრო შემცირდა. თუმცა, ნაცვლად იმისა, რომ მომხდარის გამო, ქართულ საზოგადოებას ხელისუფლებისთვის პასუხი მოეთხოვა, პირიქით მოხდა. **მიხეილ სააკაშვილის ძალაუფლება უფრო განმტკიცდა და ამაში მას კარგად დაეხმარა ოპოზიცია, როდესაც აგვისტოს ომის დროს, საკუთარი პოპულისტური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ხელისუფლებასთან დაპირისპირებაზე მორატორიუმი გამოაცხადა. ხელისუფლების მიერ დანაშაულებრივი ომის დაწყებისთანავე ან თუნდაც საომარი მოქმედებების შეჩერებისთანავე რომ ამოეღო ხმა ქართულ ოპოზიციას და იმ მასკარადებში არ მიეღო მონაწილეობა, რომელიც 12 აგვისტოსა თუ 1 სექტემბერს გაიმართა, შეიძლება რუსეთს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა არ ეღიარებინა. სამწუხაროდ, ეს საერთო ქართული ტინგიცობა საქართველოსთვის ძალიან ცუდად დამთავრდა.**

რუსეთმა კი იმისთვის, რომ აღნიშნულ რეგიონებში საკუთარი ჯარის ლეგიტიმურად დატოვების საშუალება მისცემოდა, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა და დღეს, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით თუ შევაფასებთ, რუსეთი არ არღვევს კანონს და ამასთან, მისი მოქმედება ეფუძნება ამ ტერიტორიებზე ჩატარებულ რეფერენდუმებს, რომლებიც მართალია, უსამართლოდ და ქართული მოსახლეობის სურვილის საწინააღმდეგოდ, მაგრამ მაინც ჩატარდა.

**— კონფლიქტის რეგიონში დაძაბულობის კერა ომამდე უკვე არსებობდა, რამდენად ჰქონდა საქართველოს ხელისუფლებას კონფლიქტის თავიდან აცილების საშუალება?**

— დაძაბულობა მას შემდეგ შეიქმნა, რაც ხელისუფლებაში სააკაშვილი მოვიდა. 2004 წელს ხელისუფლებამ პირველად სცადა ცხინვალის კონფლიქტის ძალისმიერი გზით „გადაჭრა“, დაიღვარა სისხლი. შემდეგ, მიხეილ სააკაშვილის დავალებით, ირაკლი ოქრუაშვილმა კოდორის ხეობაში ყოვლად უკანონოდ შეიყვანა შინაგანი ჯარი და გააუქმა ადგილობრივი სვანი მოსახლეობისგან შემდგარი სამხედრო შენაერთი „მონადირე“, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდა კოდორის ხეობას. ხელისუფლებამ დაარღვია საერთაშორისო ძალის მქონე შეთანხმება და დემილიტარიზებულ ტერიტორიაზე ჯარი შეიყვანა. ამას გარდა, სანამ საქართველოს ხელისუფლება ომს დაიწყებდა, ჯერ რუსული მხარისგან სამშვიდობო მანდატის გაუქმება უნდა მოეთხოვა, მაგრამ ხელისუფლება ასე არ მოქცეულა.

**შედეგად, ქვეყანა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და საქართველოს ინტერესების რეალიზება რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების გარეშე წარმოუდგენელია. რაც უფრო მეტი დრო გადის, საქართველოს უფრო მეტ დათმობაზე მოუწევს წასვლა, ამიტომ არ შეიძლება დროის დაკარგვა და რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების რეალურ პრინციპებზე საქართველოში უკვე უნდა მსჯელობდნენ...**

დიდი ხანი საქართველოს ნეიტრალიტეტის იდეას ვუჭერდი მხარს, ეს მისაღები იყო რუსეთისთვისაც და საქართველოსთვისაც, მაგრამ აგვისტოს ომმა ძირეულად შეცვალა რეალობა. ჩვენ ახლა მოგვიწევს ან აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან საბოლოოდ დამშვიდობება, ან პრიორიტეტების მკვეთრი ცვლილება და ნატოს ნაცვლად ოდკბ-ზე ორიენტაცია, ასევე — რუსეთ-ბელარუს-ყაზახეთის საბაჟო კავშირში შესვლა.

**— საქართველოში ნატო უსაფრთხოების ლამის ერთადერთ გარანტად აღიქმება, საქართველოსთვის რა სარგებლის მოტანა შეუძლია ოდკბ-ში გაერთიანებას?**

— ნატო როგორი გარანტი აღმოჩნდა, დავინახეთ. მე ჯერ კიდევ 2000 წელს ვწერდი პრესაში, რომ გზა ნატოსკენ ქვეყნისთვის ძალიან მტკივნეული და მეტიც, დამანგრეველი იქნება, მაგრამ ნატოში მაინც ვერ შევალთ. რომც შევიდეთ, საქართველო დასუსტებული და დაშლილი აღმოჩნდება ნატოს რიგებში, რაც აზრს უკარგავს ნატოსკენ სწრაფვას. სამწუხაროდ, ყველაფერი სწორედ ასე მოხდა განვლილ ათწლეულში. რაც შეეხება ოდკბ-ს, ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებით საქართველოს საშუალება მიეცემა, პროცესებზე „შიგნიდან“ მოახდინოს გავლენა და რუსეთი, რომელიც დღეს მტრად მოიკიდა ხელისუფლებამ, მოკავშირედ გაიხადოს. **რუსეთისთვის საქართველო უფრო ძვირფასია სტრატეგიულად, ვიდრე ცალკე აღებული აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“. მთავარია, საქართველომ უნდა მოუხსნას რუსულ მხარეს ეჭვები, რომ საქართველო რუსეთისთვის მტრული სახელმწიფოა.**

**— რამდენადაც ცნობილია, რუსეთში მოღვაწე ქართველი პოლიტოლოგები სრულყოფილ ინფორმაციას ფლობენ რუსულ-ქართულ ურთიერთობებსა თუ შესაძლებლობებზე და ისინი დაუფარავად გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს. მათ შორის, ალექსანდრე ჭაჭიამ არაერთხელ გააფრთხილა ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის, ხოლო შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლება, რომ რუსეთთან კონფრონტაცია კატასტროფამდე მიიყვანდა ქვეყანას, რაც 2008 წელს ასრულდა კიდეც. თუმცა კონფრონტაცია დღემდე გრძელდება. მოსალოდნელია თუ არა ვითარების გამწვავება?**

— საქართველო-რუსეთს შორის ვითარება ისედაც საკმაოდ დაძაბულია და უარესი აღარ მოხდება. **თუმცა აუცილებლად მინდა აღვნიშნო ზოგიერთი პოლიტოლოგის ღვაწლი, პირველ რიგში, ალექსანდრე ჭაჭიასი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო. იგი რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისთვის საქართველოს ხელისუფლებას დიალოგს სთავაზობდა, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე რადიკალური, ანტირუსული კამპანია დაიწყო. ომამდე ცოტა ხნით ადრე, ალექსანდრე ჭაჭია რუსულ პრესაში წერდა, რომ იგი სკეპტიკურად იყო განწყობილი ქართულ-რუსულ ურთიერთობებში შექმნილი ვითარების მიმართ და მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებას ელოდა, რაც ძალიან მალე ახდა კიდეც.**

რუსეთში მოღვაწე ქართული დიასპორა ომის შემდეგ გააქტიურდა, რაც თუნდაც ნაგვიანევი იყოს, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი და მისასალმებელი ფაქტორია. მაგრამ საქართველოს ხელისუფლება არ მიესალმება დამოუკიდებელი ქართველების გააქტიურებას, იგი მხოლოდ თავის მიერ დაფინანსებულ და მორჩილ „დიასპორას“ აღიარებს... ნახეთ, რა გამოდის — საქართველოს ხელისუფლება არა მარტო რუსეთის ხელისუფლებას, არამედ რუსეთში მცხოვრებ წარმატებულ და ავტორიტეტულ ქართველებსაც დაუპირისპირდა. ყველა მათგანი ქვეყნის მტრად გამოაცხადა.

**— მოგეხსენებათ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე კიევში რუსეთის პატრიარქ კირილს შეხვდა. ზოგიერთები ამ შეხვედრის მიღმა პოლიტიკურ საფუძველს ხედავენ. რას შეცვლის პატრიარქის ვიზიტი საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში?**

— საქართველოს ეკლესიის წინამძღოლი ყოველთვის თანმიმდევრულად იღვწის, რათა ქართველ და რუს ხალხს შორის ქრისტიანული ურთიერთობები და სიყვარული სუფევდეს. თავად პატრიარქების შეხვედრის ფაქტი და რუსული მხარის მიერ იმის დაფიქსირება, რომ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ქართული ეკლესიის პრიორიტეტია აღიარებული, ძალიან მნიშვნელოვანი შედეგია და ცოტას არ ნიშნავს.

ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია პატრიარქის მოღვაწეობა, თუმცა ის დათმობები, რაც პატრიარქმა დაუშვა სააკაშვილის მიმართ, შეცდომა იყო. როდესაც ხალხისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა მისაღები, მაშინ საპატრიარქო აცხადებს, რომ პოლიტიკაში არ ერევა. ასე მოხდა ახლაც. არადა, ხელისუფლებამ საპატრიარქოს დისკრედიტაცია მოახდინა, ვინაიდან რელიგიურ კონფესიებთან დაკავშირებით კანონში შესულ ცვლილებაზე საპატრიარქოს ჯერ მძაფრი რეაქცია ჰქონდა, შემდეგ კი უკან დაიხია. მესმის, რომ პატრიარქი სააკაშვილს, როგორც სულიერ შვილს, ისე ეპყრობოდა, ცდილობდა სიკეთისკენ მოექცია, მაგრამ ფაქტია, რომ მისი მცდელობა წარუმატებლად დასრულდა.

**— ამერიკულმა გამოცემა STRATFOR-მა ვრცელი სტატია მიუძღვნა პატრიარქების შეხვედრას. წერილში ნათქვამია, რომ „ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა გაფუჭდა და პატრიარქმა გადაწყვიტა, რომ აღარ არის აუცილებელი, მიჰყვეს ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკას... ილია მეორემ ხელისუფლების გამოწვევა გადაწყვიტა“...**

— არანაირი გამოწვევა რუსეთის პატრიარქთან შეხვედრის ფაქტი არ არის. ილია მეორე რუსეთის პატრიარქს შეხვდა, პუტინსა და მედვედევს ხომ არა; მაგრამ, მათაც რომ შეხვდეს, ვერც ამაში ვხედავ ცუდს ვერაფერს. სამწუხაროდ, ამგვარ ნაბიჯებს გამოწვევად ხელისუფლება აღიქვამს ხოლმე.

## რუსეთისთვის საქართველო უფრო ძვირფასია სტრატეგიულად, ვიდრე ცალკე აღებული აფხაზეთი და «სამხრეთ ოსეთი»

**— დაპირისპირება საპატრიარქოსა და ხელისუფლებას შორის მოჰყვა კანონს, რომელიც რელიგიურ გაერთიანებებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს ანიჭებს, თუმცა ხელისუფლება ამტკიცებს, რომ რელიგიურ კონფესიებს ეს კანონი პრივილეგიებს არ მიანიჭებს. ემუქრება თუ არა საფრთხე მართლმადიდებლურ ეკლესიას?**

— ეს კანონი ბევრ რამეს ცვლის. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თავად კონფესიები როგორ მოიქცევიან, რას მოითხოვენ. მათ თუ დაიწყეს მიწების შესყიდვა და რელიგიური ნაგებობების აშენება, რისი უფლებაც ამ კანონით ეძლევათ, ეს, რა თქმა უნდა, გაამძაფრებს დაძაბულობას და უარყოფით შედეგებს მოიტანს. თუ გაჩუმდებიან და არ გამოიყენებენ ამ უფლებას, პრობლემა გაიყინება, თუმცა საფრთხე მუდმივად იარსებებს.

ეკლესიასთან სახელმწიფოს ურთიერთობას რაც შეეხება, აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებაში ორი პირობითი ჯგუფი მოქმედებს: პირველ ჯგუფს წარმოადგენენ საკუთრივ სააკაშვილი, დათო ბაქრაძე, გიგი წერეთელი, რუსუდან კერვალიშვილი, გიგი უგულავა, კობა სუბელიანი და სხვები, რომლებიც არ ვიცი, დიდ მორწმუნეებს თამაშობენ თუ მართლა სწამთ, მაგრამ დასანახად ნამდვილად „პატრიარქისტები“ არიან. ისინი სანთლებით ხელში, დიდ რელიგიურ დღესასწაულებზე ტაძარში მრევლის წინა რიგებში დგანან ხოლმე, ხშირად სტუმრობენ პატრიარქს მის რეზიდენციაში, იწვევენ მას სხვადასხვა ღონისძიებაზე. არის მეორე, უფრო მცირე, მაგრამ ასევე გავლენიანი ჯგუფი, რომელსაც ხელისუფლებაში ყველაზე მკაფიოდ გიგა ბოკერია განასახიერებს (თუმცა მასთან ერთად მე ვანო მერაბიშვილსა და ზურაბ ადეიშვილსაც მოვიაზრებ). მას ზურგს უმაგრებენ „თავისუფლების ინსტიტუტის“ ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციები და ჟურნალისტური გაერთიანებები, ისინი საკუთარ გულგრილ დამოკიდებულებას ეკლესიისადმი არ მალავენ, საზოგადოებას თავს არ აჩვენებენ მორწმუნე ქრისტიანებად და თავიანთ იდეოლოგიურ პოზიციას ღიად აფიქსირებენ. მაგრამ ეს ორივე ჯგუფი ერთნაირად იბრძვის ეკლესიის წინააღმდეგ – ერთი ფარულად, მეორე ღიად.

ღვთის მადლით, ეკლესიაში მრავლად არიან პრინციპული მოღვაწეები, რომლებიც ეკლესიაზე ხელისუფლების უდიდეს ზეწოლას უმკლავდებიან და თეთრს თეთრს არქმევენ, შავს – შავს. მაგრამ ეს მაინც არ არის გრიგოლ ხანძთელის ეკლესია და საქართველო. რაც — ერი, ის — ბერიო, ნათქვამია, ამიტომ რაც ხდება, ნუ გვიკვირს...

**— თუ ხელისუფლების პოლიტიკას გადავხედავთ, ის არასდროს ღიად არ ილაშქრებდა ეკლესიის წინააღმდეგ. იყო მსგავსი ნაბიჯი ხელისუფლების მხრიდან მოსალოდნელი?**

— ახლა ხელისუფლებისთვის ხელსაყრელი პერიოდია, ოპოზიცია განეიტრალებულია — ქუჩის ოპოზიცია სცემეს, მისი აქტივისტები დააპატიმრეს. საპარლამენტო ოპოზიციაც დისკრედიტირებულია, „რვიანი“ კი საერთოდ დაიშალა. **სააკაშვილი მიხვდა, რომ ოპოზიცია ვერც არჩევნებს უგებს და ვერც რევოლუციას უწყობს მას, და გათავხედდა. ჯერ ხორცი გააძვირეს, მერე — ტრანსპორტი, ნაგვის გატანის ტარიფი ელექტროენერგიის ხარჯვას დაუკავშირეს. ხალხი კი ამასობაში ცხვრის ფარად იქცა. ხელისუფლების ექსპერიმენტმა (რომლის რეალური ავტორი შეერთებული შტატებია) მეტად საინტერესო შედეგი გვაჩვენა: ჩვენი კარგად მოვლილი და ნაკვები, ყოყლოჩინა საზოგადოება, რომელიც მკერდზე მჯიღს იბაგუნებდა, „რუსეთის იმპერია“ ვერაფერს დაგვაკლებსო, ერთმა პრიმიტიულმა, ცუდად აღზრდილმა, ზერელედ განათლებულმა და სასაცილო ხმით „მოჭყლოპინე“ მიშამ დააბეჩავა.**

**— რუსეთ-ამერიკას შორის ამ ეტაპზე ურთიერთობების გადატვირთვის ერთგვარი ტორპედირება მიმდინარეობს. რა როლს ასრულებს ამ პროცესში საქართველო?**

— საქართველოს ხელისუფლება ცდილობს გარკვეული დესტრუქციული როლის შესრულებას, რათა უფრო მეტად მოიპოვოს ამერიკის მხარდაჭერა და შედეგად მეტი დაფინანსება მიიღოს. თუმცა საქართველოს არ აქვს არანაირი ბერკეტი, ზეგავლენა მოახდინოს რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებზე, საქართველო ამ ურთიერთობებში ობიექტია და არა სუბიექტი.

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

# საზოგადოება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქ... ტელ: 234-32-95

„თუ გავიხსენებთ იმ ყბადაღებულ დოკუმენტურ ფილმს „ნოემბრიდან-ნოემბრამდე“, სადაც ასევე ქართველ ჯაშუშებზე იყო საუბარი. ფილმის გმირები დღეს არათუ დაპატიმრებულები არიან, ერთ-ერთი მათგანი, კოკო გამსახურდია, რაღაც სასაცილო ორგანიზაციაში ელჩადაც დაინიშნა. აგვიხსნან, სად არის აქ ლოგიკა?“





**გია იაკობაშვილი:**

# სააკაშვილის ხელისუფლება საქართველოს მტერია და მედიამ უნდა გადაწყვიტოს, ვის მხარეს იქნება

**ფოტორეპორტიორების ჯაშუშობის ბრალდებით დაპატიმრებამ საზოგადოებისა და ჟურნალისტების უმრავლესობის აღშფოთება გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ოთხივე მათგანი გათავისუფლებულია, საზოგადოებაში კამათი არ ცხრება და ზოგიერთი ჯაშუშური ისტერიის გაგრძელებასაც არ გამორიცხავს, თუმცა ასე არ ფიქრობს presage.tv-ის მთავარი რედაქტორი, ჟურნალისტი გია იაკობაშვილი. მას მიაჩნია, რომ ხელისუფლებამ ჭკუა ისწავლა და მსგავს სულელურ ნაბიჯებს აღარ გადადგამს. „საქართველო და მსოფლიოს“ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებსა და ქართულ მედიაში არსებულ პრობლემებზე საკუთარ მოსაზრებებს presage.tv-ის მთავარი რედაქტორი გია იაკობაშვილი უზიარებს.**

**— მედიის მიზანი, თუნდაც ნაწილობრივ, მაგრამ მიღწეულია — დაპატიმრებული ფოტორეპორტიორები გაათავისუფლეს, საზოგადოების აზრი კი ორად გაიყო. შეიძლება ითქვას, რომ ამჯერად ხელისუფლება დამარცხდა?**

— ფაქტია, რომ ფოტორეპორტიორები თავისუფლები არიან და საზოგადოებამ საბოლოოდ დაინახა ხელისუფლების სრული უსუსურობა. ამ შემთხვევაში ხელისუფლებამ დასახულ მიზანს ვერ მიაღწია და მედიის დაშინება ვერ შეძლო. აქედან გამომდინარე, მე არ ვეთანხმები იმ ადამიანებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ჟურნალისტები დამარცხდნენ. ვინაიდან სააკაშვილის ხელისუფლება მკვეთრად განსხვავდება შევარდნაძის ხელისუფლებისგან, ჩვენც არსებული ვითარების გათვალისწინებით უნდა ვისაუბროთ.

დღეს საქართველოს ისეთი ხელისუფლება ჰყავს, ყოველი მისი დამარცხება საქართველოს გამარჯვებას ნიშნავს.

**— ჟურნალისტები აცხადებენ, რომ, ფოტორეპორტიორების გათავისუფლების მიუხედავად, ბრძოლა უნდა გაგრძელდეს და საქმე შუა გზაზე არ უნდა მივატოვოთ. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ ბრძოლის გაგრძელება?**

— ჩვენ საზოგადოებას მუდმივად უნდა შევახსენოთ ფოტორეპორტიორების საქმე, ამაზე მუდმივად უნდა ვისაუბროთ და, რაც ამ ბრძოლაში გამოცდილება შევიძინეთ (იყო ეს მედიის პროტესტი პრესის ფურცლებზე თუ საპროტესტო აქციები), კიდევ უფრო უნდა გავამდიდროთ. **სადაც ნიკა გვარამიას გადავეყრებით, უნდა შევახსენოთ, შენ არ ამბობდი, რომ კოკო გამსახურდია აგენტი იყოო, და ვკითხოთ, ახლა რას ფიქრობს? მოუხადა ბოდიში? ყოველთვის უნდა გავახსენოთ ხელისუფლებას, რომ პარლამენტში უმრავლესობის ლიდერები იყვნენ კობა ბექაური და მაია ნადირაძე. ყოველთვის უნდა შევახსენოთ ხელისუფლებას, რომ თბილისის პრემიერი ბიძინა ბრეგაძე იყო, ხოლო, ისეთი დახვეწილი ნაძირალა, როგორიც ბესო ჯუღელია, „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი შემოქმედი გახლდათ. ეს უნდა შევახსენოთ საზოგადოებას, რათა ამ ხელისუფლების სახე არამარტო კარგად დაინახოს, არამედ კარგადაც დაიმახსოვროს. მოვა დრო და ამ ხელისუფლებას განსასჯელის სკამზე დავსვამთ.**

ფაქტია, რომ, 8 წელია, ხელისუფლება მედიას უპირისპირდება და, მგონი, უკვე დროა, მედიაც დაუპირისპირდეს. დაბალანსებული ჟურნალისტიკის დრო წავიდა, თუმცა პირადად ჩემთვის ეგ დრო არც არასდროს მოსულა...

**დღეს ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ: სააკაშვილის ხელისუფლება საქართველოს მტერია და მედიამ უნდა გადაწყვიტოს, ვის მხარეს იქნება. დაბალანსებული ჟურნალისტიკა ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება.** ოღონდ არ ვგულისხმობ ტელეკომპანიებს: „რუსთავი 2“-ს, „იმედს“, „რეალტივის“, ვინაიდან მათ მე საერთოდ მედიადაც არ მივიჩნევ. იმ დროს, როცა რელიგიური საკითხებისა თუ ფოტორეპორტიორების ირგვლივ ქვეყანაში ასეთი ამბები ხდებოდა, ეს ტელეკომპანიები სატელევიზიო სიუჟეტებს იმით იწყებდნენ, რომ თურმე ევროპაში პლასტიკური ბარათების გამყალბებლები აღმოაჩინეს.

# «მოვა დრო და ამ ხელისუფლებას განსასჯელის სკამზე დავსვამთ»

**— გავრცელებული ინფორმაციით, დაპატიმრებულმა ფოტორეპორტიორებმა გამოძიებას „სხვა ჯაშუშების“ შესახებაც მიაწოდეს ინფორმაცია და შესაძლოა, მალე „სხვა ჯაშუში“ ჟურნალისტებიც დააპატიმრონ. თქვენ როგორ ფიქრობთ, არსებობს დღეს ასეთი საფრთხე?**

— თუ დავიჯერებთ, რომ ფოტორეპორტიორებმა ამგვარი ინფორმაცია მიაწოდეს გამოძიებას, მაშინ ისიც უნდა დავიჯეროთ, რომ ისინი აგენტები არიან. მე კი მათი აგენტობის არ მჯერა და, შესაბამისად, არც იმას დავიჯერებ, რომ მათ გამოძიებას ამგვარი ინფორმაცია მიაწოდეს. ამას გარდა, ხელისუფლებამ უკან დაიხია და ვფიქრობ, ასეთ სულელურ ნაბიჯს აღარ გადადგამს. თუ ვინმე აგენტია, ის მართლაც უნდა დაიჭირონ, მაგრამ ამ შემთხვევამ დაგვანახა, რომ არანაირი ჯაშუშები ეს ფოტორეპორტიორები არ იყვნენ. ახლა მათი საქმეებიც უნდა გადაიხედოს, ვინც აქამდე იყო ჯაშუშობაში ბრალდებული, ვინაიდან მე თუნდაც ვახტანგ მაიასიას ჯაშუშობა არასდროს მჯეროდა.

**როდესაც ჯაშუშობის ბრალდებით აპატიმრებს ადამიანებს, ხელისუფლებამ მათი აგენტობის დამადასტურებელი ერთი არგუმენტი მაინც უნდა წარმოადგინოს. თუ გავიხსენებთ იმ ყბადაღებულ დოკუმენტურ ფილმს „ნოემბრიდან-ნოემბრამდე“, სადაც ასევე ქართველ ჯაშუშებზე იყო საუბარი, ფილმის გმირები დღეს არათუ დაპატიმრებულები არიან, ერთ-ერთი მათგანი, კოკო გამსახურდია, რაღაც სასაცილო ორგანიზაციაში ელჩადაც დაინიშნა. აგვიხსნან, სად არის აქ ლოგიკა?**

**— თუმცა საზოგადოებაში აღნიშნული საფრთხის საფუძველს, ალბათ, ისიც ქმნის, რომ ხელისუფლება უკვე ღიად ილაშქრებს მედიის წინააღმდეგ და შეურაცხმყოფელ გამონათქვამებსაც აღარ ერიდება. როცა მინისტრი ვაშაძე მედიას „ეგრეთ წოდებულს“ უწოდებს, ხოლო პრეზიდენტი სააკაშვილი „ვაი თქვენს პატრონსო“ ეძახის, ნიშნავს თუ არა ეს ყველაფერი ჟურნალისტების წინააღმდეგ ღია ბრძოლის დასაწყისს?**

**— პრეზიდენტი არის არაადეკვატური. ვფიქრობ, მას სერიოზული ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდება და რატომღაც მგონია, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ ამაზე იზრუნებენ.**

გრიგოლ ვაშაძეს რაც შეეხება, მის იდიოტურ გამონათქვამებზე არანაირი კომენტარის გაკეთება არ შეიძლება და ისიც გავიხსენოთ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში, ის რუსეთის მოქალაქე იყო და, თუ გრიგოლ ვაშაძის ბიოგრაფიას გადავხედავთ, მას ისეთი ნაბიჯები აქვს გადადგმული, რომ ის ან ყოფილი აგენტი უნდა იყოს, ან ახლაც აგენტია. იმედი მაქვს, ეს ხელისუფლება როცა შეიცვლება, ეს საკითხი ადმინისტრაციული ორგანოების მსჯელობის საგანი გახდება.

**— თქვენ ხელისუფლების პრობლემებზე ისაუბრეთ. აქვე ისიც ვთქვათ, რა პრობლემები აქვს ქართულ მედიას?**

— თუ სტატიებისა და სიუჟეტების ხარისხით ვიმსჯელებთ, დღეს მედიაში არაპროფესიონალიზმის პრობლემაა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ გული შემტკივა. ასევე პრობლემაა მედიასაშუალებებისთვის პოზიციის არქონა, საკუთარი პროფესიისადმი ერთგულების საკითხი. ჟურნალისტების 90% ოცნებობს, სადმე პრესსამსახურში გადაბარგდეს. განსაკუთრებული პრობლემაა ჟურნალისტების ერთიანობაც, რასაც, რა თქმა უნდა, გამომცემელთა განსხვავებული პოზიციები წარმოშობს. **გამომცემელთა უმრავლესობისთვის მედია ჯერ ბიზნესია და მერე სხვა რამ. ამიტომ სოციალურ პასუხისმგებლობას ხშირ შემთხვევაში საერთოდ უგულებელყოფენ, ეს კი მედიასაშუალებებს გარკვეულ ქცევის წესებს კარნახობს.**

**— როდესაც მედიის პრობლემებზე ვსაუბრობთ, რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ პრეზიდენტს პრობლემად ის მიაჩნია, რომ ქართველმა ჟურნალისტებმა ინგლისური არ იციან, ქართული ენის არცოდნასა და მედიაში არსებულ სხვა პრობლემებს კი ვერ ხედავს?**

— ეს არის პრეზიდენტის მხრიდან მხოლოდ და მხოლოდ ცინიზმი, სხვა არაფერი. **ახლოვდება აგვისტოს ომის სამი წლისთავი, ის დღე, როცა ქართველმა ხალხმა რუსთაველზე, დამარცხებულ ომში გამარჯვების დღე იზეიმა. ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ, პრეზიდენტი ფიქრობს, რასაც მინდა, იმას ვიზამ და ვიტყვიო, რადგან ბევრჯერ შერჩა.**

**— ხელისუფლებამ ელექტრონულ აუქციონზე გასაყიდად სატელევიზიო ანძა წარადგინა, რამაც საზოგადოების ნაწილის პროტესტი გამოიწვია. რა საფრთხეს შეიძლება შეიცავდეს ეს დამოუკიდებელი მედიასაშუალებებისთვის?**

— ბუნებრივია, საფრთხეს შეიცავს, რადგან უკვე ნებისმიერ დროს, ნებისმიერი მედიასაშუალების გათიშვა შეუძლიათ.

**— ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა, მათ შორის „ექვსიანმა“, მართალია, დაპირებული „ცხელი პოლიტიკური გაზაფხული“ ვერ აგვისრულა, მაგრამ ამჯერად „ცხელ შემდგომას“ დაგვპირდა. როგორია თქვენი, როგორც ჟურნალისტის, პოლიტიკური პროგნოზი?**

— საქართველო უცნაური ქვეყანაა. აქ ზუსტი პროგნოზების გაკეთება შეუძლებელია. მიმაჩნია, რომ „ექვსიანმა“ იჩქარა, როდესაც „ცხელ ზაფხულს“ დაგვპირდა, მაგრამ ფაქტია, რომ მარტო „ექვსიანი“ და პოლიტიკოსები ვერაფერს მიაღწევენ, საზოგადოება თუ არ გააქტიურდა.

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

**ის, ვის გუნდშიც კეზერაშვილია, «ნაციონალური მოძრაობის» მხრიდან მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ნომერ პირველ კანდიდატურად შეიძლება ჩაითვალოს**

მოკლედ

## ბრეივიკს 2012 წელს გაასამართლებენ



**ნორვეგიელი ტერორისტის, ანდრეს ბრეივიკის სასამართლო პროცესი მომავალ წლამდე არ გაიმართება. ამის შესახებ ნორვეგიის გენერალურმა პროკურორმა ტურ-აქსელ ბუშმა განაცხადა.** მისი თქმით, გამოძიება წლის ბოლომდე გაგრძელდება, თუმცა შესაძლოა, ის 2012 წელსაც გაგრძელდეს. პროკურორმა ისიც აღნიშნა, რომ ყველას, ვისაც ამ საქმესთან დაკავშირებით მუშაობა მოუწევს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა დაეკისრება.

## თურქეთის სამხედრო ხელმძღვანელობა გადადგა

**თურქეთის სამხედრო ხელმძღვანელობა სრული შემადგენლობით გადადგა. თანამდებობა დატოვეს თურქეთის არმიის მთავარი შტაბის უფროსმა, საჰაერო და საზღვაო არმიის შტაბის ხელმძღვანელებმა.** მიზეზად, ხელისუფლებასთან მათი უთანხმოება სახელდება. სხვა დეტალები ცნობილი არ არის, როგორც ტელეკომპანია „ალ-ჯაზირა“ იუწყება, დაძაბულობა სამხედრო მაღალჩინოსნებსა და ქვეყნის პრემიერ-მინისტრ რეჯებ ტაიპ ერდოღანს შორის ცოტა ხნის წინათ წარმოიშვა.

**წარმოიდგინეთ, რა მოხდება 450 მეგავატის კასკადის დაზიანების შემთხვევაში, რიონის ხეობიდან, სოფელ ჟონეთიდან ალპანამდე ყველაფერი დაიტბორება, ქუთაისი კი ნახევარ საათში წყალში აღმოჩნდება. აქ არ ვგულისხმობ სერიოზულ ავარიებს, არამედ — ნებისმიერი სახის დაზიანებებს, მითუმეტეს კარგად ვიცით, როგორი ხარისხის მშენებლობას აწარმოებს ჩვენი ხელისუფლება, ყვარყვარეს ციხესავით რომ მიაჭედ-მოაჭედებენ უცებ-უცებ, კატასტროფა გარდაუვალი იქნება.**

რეგიონი

www.geworld.net



# კარლო კოპალიანი: საქართველოში ახალი დიდი თურქობა დაიწყო

**პროექტის მიხედვით, მხოლოდ და მხოლოდ 1 200 კაცის დასაქმებაა გათვლილი, აქედან ათასი ჩამოყვანილი თურქი იქნება, დანარჩენი კი — ქართველი, მაგრამ არ იფიქროთ, რომელიმე ქართველი იქ თანამდებობაზე დანიშნონ ან მაღალანაზღაურებად სამუშაოზე გაუშვან. ქართველები თურქების მონებად სჭირდებათ, შავი სამუშაოებისთვის. მეტიც, ჩამოყვანილი თურქებისთვის ხელისუფლება ქართულ სოფლებში საცხოვრებლებს აშენებს. ხატოვნად რომ ვთქვათ, საქართველოში ახალი დიდი თურქობა იწყება, თან — პირდაპირ ლეჩხუმის შუაგულში.**

**ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატი კარლო კოპალიანი ნამოხვანჰესის მშენებლობას კატეგორიულად აპროტესტებს და ჰესის საშიშროების შესახებ რეალური ინფორმაციის გატანას ლეჩხუმის რეგიონში აპირებს. შესაძლოა, იგი ამ პროექტის წინააღმდეგ წამოწყებული საპროტესტო აქციების ლიდერადაც მოგვევლინოს.**

— უპირველეს ყოვლისა, მინდა საზოგადოებას ის სამარცხვინო ფაქტი ვაუწყო, რომ ნამოხვანჰესის ე.წ. გრანდიოზული პროექტი, რომლითაც სააკაშვილი თავს იწონებს „google"-დან ამოღებული სურათებითა და სქემებითაა გაკეთებული. ნამოხვანის დღევანდელი სახით მშენებლობის წინააღმდეგ იმერეთისა და ლეჩხუმის მოსახლეობის 70 პროცენტი გამოდის. სხვათა შორის თურქული კომპანია, რომელიც დღეს ამ ჰესს საქართველოში აშენებს, თურქეთშიც აპირებდა მსგავსი სიმძლავრის ჰესის — „იუსუფელის" მშენებლობის დაწყებას, თუმცა იმის გამო, რომ ორი სოფელი მშენებლობის წინააღმდეგ წავიდა, პროექტი არ შედგა. აქ კი მთელი რეგიონია ნამოხვანის ამ პირობებით აშენების წინააღმდეგი, თუმცა ხელისუფლებას საზოგადოების აზრი და ინტერესები არ ანაღვლებს, თურქი კი რას დაეძებს?!

**— პრეზიდენტის თქმით, აღნიშნული პროექტით 2011 წლიდან საქართველოში უზარმაზარი საინვესტიციო პროგრამა ხორციელდება, რომელიც იმერეთსა და რაჭაში 20 ათას ადამიანს დაასაქმებს, გარდა ამისა, საქართველოს ელექტროენერგიის სახით მუდმივი ექსპორტის წყაროც ექნება...**

— ამ „ბრძნული" დაპირებითაც ჩანს, რა განათლებულიც ბრძანდება ჩვენი პრეზიდენტი და რამდენად იცნობს იგი საკუთარი ქვეყნის გეოგრაფიას; ესე იგი რიონის ხეობა მთელი 35 კილომეტრის მანძილზე, რომელიც დაახლოებით 30 სოფელს მოიცავს, რაჭა ყოფილა, გამოდის, რომ იმერეთს რაჭა ესაზღვრება და არა — ლეჩხუმი. მსგავსი უვიცობა გაგონილა?! რიონის ხეობის ის სოფლებიც კი, რომლებიც დღეს იმერეთს ეკუთვნის და რომლებიც ასევე დატბორვის სფეროში ხვდება, ძველი ლეჩხუმის ტერიტორიაა. საერთოდ, რა შუაშია აქ რაჭა?!

რაც შეეხება დასაქმებას, სააკაშვილს ეს ტყუილი იმის გამო დასჭირდა, რომ მოსახლეობა კიდევ ერთხელ „დააბოლოს", რათა მშენებლობის წინააღმდეგ არ წავიდეს. არადა, პროექტის მიხედვით, მხოლოდ და მხოლოდ 1 200 კაცის დასაქმებაა გათვლილი, აქედან ათასი ჩამოყვანილი თურქი იქნება, დანარჩენი კი — ქართველი, მაგრამ არ იფიქროთ, რომელიმე ქართველი იქ თანამდედობაზე დანიშნონ ან მაღალანაზღაურებად სამუშაოზე გაუშვან — ქართველები თურქების მონებად სჭირდებათ, შავი სამუშაოებისთვის. მეტიც, ჩამოყვანილი თურქებისთვის ხელისუფლება ქართულ სოფლებში საცხოვრებლებს აშენებს. ხატოვნად რომ ვთქვათ, საქართველოში ახალი დიდი თურქობა იწყება, თან პირდაპირ ლეჩხუმის შუაგულში. ჯერ ხომ მთელი აჭარა გადასცა თურქებს ამ ხელისუფლებამ, ახლა ლეჩხუმს მიადგა თურქეთის მხედრობით.

სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ თურქი ინვესტორები ამ პროექტში ფულს არ დებენ.

**— ეს როგორ გავიგოთ, ბატონო კარლო?**

**— მაქვს ინფორმაცია, რომ თურქები — ნამოხვანის პროექტის ავტორები, ჰესისი ასაშენებლად სესხს მილიარდი დოლარის ოდენობით საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან იღებენ, გარანტად ჩვენი სახელმწიფო დგება. თუკი თურქები ამ ვალს არ დაფარავენ, რაც მოსალოდნელია კიდეც, მილიარდი დოლარი ჩვენი გასასტუმრებელი იქნება.** ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა. თუკი სახელმწიფო თურქეთის თავდები უნდა გახდეს, მაშინ ამ ჰესით გამომუშავებული ელექტროენერგიაც საქართველოში უნდა რჩებოდეს. ამის შემდეგ სააკაშვილი ბედავს და ამ თურქებს ინვესტორებს ეძახის, ხოლო პროექტს საქართველოს ინტერესებზე მორგებულს არქმევს. ეს არის ყველაზე ანტიეროვნული პრეზიდენტის ქმედება.

**დღეს ერთი მეგავატი სიმძლავრის კასკადის მშენებლობა მილიონიდან მილიონ ორასი ათას დოლარამდე ჯდება, ანუ ეს 450 მეგავატი მილიონ ორასი ათასზე რომ გავამრავლოთ, დაახლოებით 500 მილიონ დოლარს მივიღებთ. პროექტის ავტორები კი ორმაგ თანხას ითხოვენ სესხად. სად მიდის ის ნახევარი მილიარდი თუ არა ვიღაც-ვიღაცების ჯიბეში? ვინ შეიძლება იყოს ის ვიღაც-ვიღაცები? — რა თქმა უნდა, ჩვენი „ძვირფასი" ჩინოვნიკები.**

ეს პროექტი ხეთაგურმა გაახმიანა, რომლის უკან პრემიერი გილაური დგას, თუმცა ხეთაგურისგან აღარაფერია გასაკვირი მას შემდეგ, რაც ტყეების 49-წლიანი იჯარის განკარგულება გასცა და აღებულ ტერიტორიაზე აღმოჩენილ წიაღისეულზე, საბადოზე, მინერალური წყალზე და ა.შ. მეიჯარეს წარმოებისა და მარკეტინგის უფლება მიანიჭა, ისევე, როგორც ამ ზემოთქმულ განკარკულებაში, ნამოხვანის პროექტშიც დიდ კორუფციულ გარიგებას ვაწყდებით.

**— კონკრეტულად რა საფრთხეების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ლეჩხუმისა და იმერეთის რეგიონები?**

**— პროექტის მიხედვით, 14 სოფელი იტბორება, თუმცა რეალურად ეს არის დეზინფორმაცია, რადგან, გარდა 14 სოფლისა, ჩაიძირება ისეთი სოფლები, რომლებიც პროექტში ნახსენები საერთოდ არ არის. რეალური საშიშროების წინაშე დგას მთელი ლეჩხუმისა და იმერეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე.**

ლაჯანურჰესი 112-მეგავატიანია, ანუ ნამოხვანზე 4-ჯერ პატარა, თუმცა მდინარე ლაჯანურის ხეობაში კატასტროფულად შეიცვალა მდგომარეობა: 8 სოფლიდან 6 სოფელი დაიტბორა და დაახლოებით 250 კომლი გადასახლებაში მოჰყვა. **წარმოიდგინეთ, რა მოხდება 450 მეგავატის კასკადის დაზიანების შემთხვევაში, რიონის ხეობიდან, სოფელ ჟონეთიდან ალპანამდე ყველაფერი დაიტბორება, ქუთაისი კი ნახევარ საათში წყალში აღმოჩნდება. აქ არ ვგულისხმობ სერიოზულ ავარიებს, არამედ — ნებისმიერი სახის დაზიანებებს, მითუმეტეს კარგად ვიცით, როგორი ხარისხის მშენებლობას აწარმოებს ჩვენი ხელისუფლება, ყვარყვარეს ციხესავით რომ მიაჭედ-მოაჭედებენ უცებ-უცებ, კატასტროფა გარდაუვალი იქნება.**

თავისთავად განადგურდება ლეჩხუმისა და იმერეთის რეგიონში არსებული ზოგიერთი ისტორიული ძეგლი. მეთოთხმეტე საუკუნით დათარიღებული დერჩის ნათლისმცემლის ეკლესია.

განადგურდება რიონის ხეობისა და იმერეთისთვის დამახასიათებელი ფლორა და ფაუნა, შესანიშნავი ვაზის ჯიშები, ჩაიძირება სასაფლაოები, საიდანაც უკვე მიცვალებულების ამოღება და გადასვენება უნდა ხდებოდეს, ასევე ტარდებოდეს სანიტარული დამუშავება.

გასაოცარია, მშენებლობა ისე იწყება, შესწავლილი არ არის გლობალურ კლიმატზე ზემოქმედება, გეოლოგიური მონაცემები. არადა, კასკადის მშენებლობისას აუცილებელი ხდება ტყეების გაჩეხვა, ახალი გზების გაყვანა, მოსახლეობის გასახლება და კომპენსაციის მიცემა; არაა ნახსენები ეკოლოგიის მხრივ მოსალოდნელი შედეგები, არაა გამოკვლეული მღვიმეების კავშირი ერთმანეთთან. შესაძლოა, ავარიული მდგომარეობის დროს წყალმა სულაც ყუმისთავის მღვიმეში გამოხეთქოს. რომელი ერთი ჩამოვთვალო, როგორც ხედავთ, რიგ საჭირბოტო პრობლემებს აიგნორირებენ.

პროექტი შეფასებული არ არის არც ფინანსურ-ეკონომიური კუთხით, ალბათ, იმიტომ, რომ გამჟღავნდებოდა, თუ რამდენად აღემატება ზარალი სარგებელს. **მითუმეტეს 20-25 წლის განმავლობაში ამ ჰესით გამომუშავებული ელექტროენერგიის ერთი მეგავატიც კი არ მიეწოდება საქართველოს მოსახლეობას. საქართველოს ელექტროენერგიის მხრივ იმდენად არ უჭირს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი რისკების ფასად ნამოხვანი აშენდეს, მითუმეტეს, როცა თავად ქართველებზე 2-თეთრიან ელექტროენერგიას 18 თეთრად ჰყიდიან?!**

**— თქვენ თავად ბრძანდებით ლეჩხუმის წარმომადგენელი და თუ გეგმავთ ამ პროექტის წინააღმდეგ რაიმე კონკრეტულ ქმედებას?**

— ნამოხვანის სახით საქართველოს შუა გულში სერიოზული ბომბი იდება. ასე რომ, მხოლოდ საუბრით საქმეს არ ეშველება. ვაპირებ, ლეჩხუმის ყველა სოფელი მოვიარო და ადგილობრივებს დეტალურად ავუხსნა, რა საშიშროების წინაშე დგებიან, როგორ იმეტებს მათ ხელისუფლება ბუნკერში მოსროლილი ნაგავივით. რატომ უნდა დავმალო სიმართლე, როცა ათასობით ადამიანი უნდა დაზარალდეს და შეეწიროს უპასუხისმგებლობას, ათობით სოფელი რატომ უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა?! ადგილობრივებმა ელემენტარულად თავდაცვა უნდა შეძლონ და ამ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ. ხელისუფლებას მოსახლეობის გაბრიყვების ნებას არ მივცემ. ყველა ლეჩხუმელსა და იმერელს მოვუწოდებ, მშობლიურ კუთხეში ჩავიდეს, საკუთარ ხალხს გააცნოს ხელისუფლების მზაკვრული გეგმა. მხოლოდ სადღეგრძელოები და გულზე მჯიღის ცემა არ შველის საქმეს.

ხმა უნდა ამოიღოს კოლხეთის დაბლობმა, ფოთმა, ქუთაისმა და საერთოდ მთელმა დასავლეთ საქართველომ. თუ ქართული საზოგადოება ერთად იქნება, პრობლემა მოგვარდება. საკმარისია, გავიხსენოთ რაჭის შემთხვევა, როცა ონში მსგავსი ჰესის მშენებლობა დაიგეგმა, იმის გამო, რომ მთელი რაჭა ფეხზე დადგა, პროექტი დღემდე შეჩერებულია.

**ესაუბრა ეკა რობაქიძე**

**ყველა ლეჩხუმელსა და იმერელს მოვუწოდებ, მშობლიურ კუთხეში ჩავიდეს, საკუთარ ხალხს გააცნოს ხელისუფლების მზაკვრული გეგმა. მხოლოდ სადღეგრძელოები და გულზე მჯიღის ცემა არ შველის საქმეს**

მსოფლიო

## ლიბიელი მეამბოხეების სამხედრო მეთაური მოკლეს

**ლიბიელი მეამბოხეების სამხედრო მეთაური აბდელ ფატა იუნესი მოკლეს.** როგორც ლიბიის გარდამავალი საბჭოს ლიდერმა მუსტაფა აბდილ ჯალილმა განაცხადა, იუნესს შეიარაღებული ჯგუფი დაესხა თავს. მისი თქმით, დაჯგუფების ლიდერი მეამბოხეებმა აიყვანეს. ჯალილი ვერ ასახელებს ზუსტ ინფორმაციას, თუ ვის მიერ იყო შეკვეთილი მკვლელობა.




## სამხრეთ კორეამ გზა გახსნა

**სამხრეთ კორეამ ერთი წლის შემდეგ თანხმობა განაცხადა გზის გახსნაზე, რომლითაც ჩრდილოეთ კორეაში ჰუმანიტარული ტვირთები ჩავა.** ჰუმანიტარული ტვირთებით დატვირთულმა თორმეტმა მანქანამ უკვე გადაკვეთა სადემარკაციო ხაზი, რომელიც სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეას ყოფს. სამხრეთ კორეამ ტვირთებისთვის დერეფანი გასულ წელს ჩრდილოეთ კორეის მიერ კუნძულ იონგპანგზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ ჩაკეტა. ჰუმანიტარული ტვირთი ძირითადად საკვები და სამედიცინო პროდუქტებისგან შედგება. ორგანიზაცია „მსოფლიო სასურსათო პროგრამის" ინფორმაციით, ქვეყანაში დაახლოებით 6 მილიონი ადამიანი შიმშილობის ზღვარზეა.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სიტუაცია არის აბსოლუტურად ჩიხური, რევოლუცია უკვე შეუძლებელია იმიტომ, რომ ნიჰილიზმის ტალღაა, არავის არავისი არ სჯერა. ნდობა არ არსებობს. მაგრამ ვითარების შეცვლა არჩევნების გზითაც შეუძლებელია“





ზაზა შათირიშვილი:

# ჩვენ მივიღეთ პოლიციური, აზიური სახელმწიფო, სახანო, რაღაც ბრუნეის მსგავსი

**ფილოსოფოს ზაზა შათირიშვილთან დიალოგი ქართული საზოგადოების სენზე საუბრით დავიწყე. მისი აზრით, ქართული საზოგადოების ყველაზე დიდი პრობლემა, თუ გნებავთ, სენი არის ის, რომ ჩვენ ვცხოვრობთ არასამართლებრივ სახელმწიფოში და ჩვენთან დაწერილი სიტყვის ფეტიშიზმია. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც წესი, საზოგადოების უმრავლესობამ კონსენსუსს უნდა მიაღწიოს იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შემდგომ დაკანონდება, ხელისუფალთა მხრიდან ხალხის აზრი სრულიად იგნორირებულია. ჩვენგან უპირობოდ ითხოვენ კანონების შესრულებას, თვითონ კი ამ დაწერილ სიტყვასაც, ანუ კანონებს გარემოებების შესაბამისად ირგებენ ადამიანები, რომელთა უმრავლესობა სრულიად შემთხვევით მოხვდა უმაღლეს თანამდებობაზე და თვითრეალიზაციის ერთადერთ საშუალებად ძალადობა მიაჩნია. ამიტომაცაა, რომ ლიბერალიზმისა და დემოკრატიის სახელით ფართო ნაბიჯებით მივდივართ ტირანიისკენ ტოტალიტარიზმის გავლით. მოვუსმინოთ ბატონ ზაზა შათირიშვილს, ვფიქრობ, ფილოსოფოსის ნაუბარში მკითხველი ბევრ მისთვის მტკივნეულ პრობლემას მოუძებნის ახსნას.**

## «საქართველო ცხოვრობს ლიბერალურ დემოკრატიულ ტოტალიტარიზმში»

**— ბატონო ზაზა, საქართველო არასამართლებრივი სახელმწიფოა თუ უსამართლო?**

— ნებისმიერი ძალაუფლება რაღაცას ეყრდნობა. მაგალითად, მე-18 საუკუნემდე ევროპაში ძველ წესრიგს ჰქონდა თავისი ლეგიტიმურობა. იგულისხმებოდა, რომ ძალაუფლების საფუძველში დევს ღვთის ნება, ლეგიტიმურობის წყარო არის ღმერთი, ხოლო ხელმწიფე ასრულებს ღვთის ნებას. ახალი ლეგიტიმურობის საფუძველში ღვთის ნება არ არის, ფრანგული რევოლუციიდან მოყოლებული ჩვენ ვამბობთ, რომ ლეგიტიმურობის წყარო არის ხალხი.

**დღეს საქართველოში ლეგიტიმურობის წყარო არც ღმერთია და არც ხალხი. უბრალოდ, ლეგიტიმურობა არ არსებობს. დღევანდელი რეჟიმი არალეგიტიმურია, რადგან ხალხის ნება არ განსაზღვრავს ამ ლეგიტიმურობას, ვინაიდან საქართველოში არჩევნები არ ტარდება და ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება არ არის ლეგიტიმური, სახელმწიფო, რაც ჩვენ ავაშენეთ, არ არის სამართლებრივი.**

**— საქართველოს დამოუკიდებლობა 20 წელიწადს ითვლის. ჰქონდა ისეთი პერიოდი, როცა სამართლებრივი იყო?**

— ჩემი აზრით, არა. არც გამსახურდიას, არც შევარდნაძის დროს არ იყო და არც სააკაშვილის დროს არის სამართლებრივი. უბრალოდ, იყო მეტნაკლებობა. მაგალითად, შევარდნაძის დრო იყო უფრო ლოიალური ჩვეულებრივი ადამიანისადმი, რიგითი მოქალაქისადმი, რაც გამოიხატებოდა ტოტალური კორუფციით... დღეს სხვა სიტუაციაა, როგორც ჯორჯ ორუელი იტყოდა, არიან ყველაზე უფრო თანასწორები თანასწორთა შორის. ტოტალიტარიზმს კი, მოგეხსენებათ, სხვადასხვა იდეოლოგიური საფუძვლები აქვს. არსებობს ნაცისტური ტოტალიტარიზმი, კომუნისტური ტოტალიტარიზმი და არსებობს ლიბერალურ-დემოკრატიული ტოტალიტარიზმიც.

**— საითაც ჩვენ მივდივართ...**

— მე თუ მკითხავთ, ეს უკვე განხორციელებულია. ჩვენ ვცხოვრობთ ლიბერალურ-დემოკრატიულ ტოტალიტარიზმში.

**— ყველაზე მეტად რაში ვლინდება ეს?**

**— იდეოლოგიური საფუძველი, გამართლება იმ ტოტალური ძალადობისა, რაც დღეს ხდება, არის ლიბერალური დემოკრატია, რომ ჩვენ ღირებულებების სახელით შეგვიძლია დავხოცოთ ადამიანები. 26 მაისს ჩვენ სრული უფლება გვქონდა, დაგვეხოცა ადამიანები, — ამას ამბობს დღევანდელი მმართველი ელიტა, — რადგან ეს იყო ბნელი ხალხი, ხოლო ის, ვინც ხოცავდა, ან ვისი სახელითაც ხოცავდნენ, იმათ აქვთ პროგრესული ღირებულებები. ამაღლებული პროგრესული ღირებულებებით ამართლებენ აფრასიძეების დახოცვას. დავით დარჩიაშვილს რომ შეეძლოს ამგვარად არტიკულირება, აზრის ჩამოყალიბება, ის იტყოდა, რომ, რა თქმა უნდა, დავხოცოთ, მაგრამ უნდა დავხოცოთ პროგრესის სახელით.**

**— პროგრესის სახელით ძალიან ბევრი ადამიანი დაიღუპა კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე, თუმცა შედეგი ვერ მიიღეს.**

— მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპა დაფიქრდა და რაღაც დონეზე შეეცადა, გადაეწყვიტა ეს საკითხი და ძალადობა გაეხადა არალეგიტიმური და დღეს ევროპაში შეუძლებელია ასეთი რამის თქმა: „აბა, რა გვექნა, სახელმწიფო ინტერესები მოითხოვდა, რომ 200 კაცი მოგვეკლა ცემით, დაგვეხოცა...“ ევროპულ სივრცეში ამას ვერ იტყვი.

**— ევროპულ სივრცეში გასაგებია, მაგრამ ჩვენ ევროპა არ ვართ. ამერიკაც და ევროპაც წლების მანძილზე ითმენდნენ დიქტატორებს. ერთ-ერთს ახლაც ებრძვიან, თუმცა 30 წლის მანძილზე მისთვის არაფერი უთქვამთ. ანუ ძალადობას ევროპულ სივრცეში არ ამართლებენ, მაგრამ გარკვეულწილად, რაღაც დრომდე, დასაშვებად მიაჩნიათ მესამე სამყაროს ქვეყნებში, ისეთში, როგორიც საქართველოა.**

— ცნობილი ამერიკული ფრაზაა „სომოსა არის ძაღლისშვილი, მაგრამ ჩვენი ძაღლისშვილი“. ეს ჩვეულებრივი მომენტია და როდესაც დემოკრატიაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის ნამდვილად არ არის იდეალური.

**— ბატონო ზაზა, ევროპამ უარი თქვა ნაციონალიზმზეც. 1999 წელს, როდესაც ავსტრიაში ნაციონალისტებმა გაიმარჯვეს არჩევნებში, ამ პარტიის ლიდერი იორგ ჰაიდერი ევროპელმა მმართველებმა აიძულეს, უარი ეთქვა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე. რატომ თქვა ევროპამ უარი ნაციონალიზმზე, ის ძალადობასთან ასოცირდება თუ რაღაც სხვა მიზეზებიც არსებობს?**

— აბსოლუტურად სწორი შეკითხვაა. ეს არის მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი შედეგი. ამ ომის შედეგია ევროკავშირის შექმნა, სადაც ევროპული ნაციები უარს ამბობენ თავიანთი სუვერენიტეტის გარკვეულ ნაწილზე. ამავე დროს ისინი უარს ამბობენ ნაციონალური კულტურის გარკვეულ გამოხატვაზეც. **გერმანიაში, მაგალითად, ათწლეულების მანძილზე (და ესეც მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი შედეგია) არ ახსენებდნენ არამარტო „ნაციონალიზმს“, არამედ სიტყვა „პატრიოტიზმსაც“ კი. ასეთი დევიზიც კი ჰქონდათ: „ჩვენ ვართ არა გოეთესა და შილერის, არამედ „ბოშისა“ და „მერსედესის“ ნაცია“.**

**— საქართველოში რა გზას ადგას ნაცია და ნაციონალიზმი?**

— ქართული ნაცია არსებობს თუ არა, ეს საკმაოდ რთული საკითხია. სპეციალისტების, მოაზროვნეების ნაწილი აღნიშნავს, რომ ჩამოუყალიბებელი ნაციაა, მეორე ნაწილი კი ამბობს, რომ საერთოდ არც დაწყებულა ეს პროცესი. მაგალითად, 26 მაისის შემდეგ ერთ-ერთმა სახელისუფლო ინტელექტუალმა განაცხადა, რომ ჩვენ გვჭირდება კონსენსუსი. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების ინტელექტუალიც აღიარებს, რომ კონსენსუსი არ არის. თუ კონსენსუსი არ არის, მაშინ ნაციაც არა გვაქვს. ისევ ფრანგულ მაგალითზე გეტყვით: არსებობს დომინანტი ნაცია — ფრანგები, არსებობენ არაბებიც. მაგრამ ითვლება, რომ ყველა არის ფრანგი. მთავარი მომენტია ის, რომ ყველამ უნდა იცოდეს ფრანგული ენა და არა მარტო ენა, ფრანგული კულტურაც. იქ ფრანგული კულტურის ცოდნას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ლაპარაკი არ არის მხოლოდ მოქალაქის ვალდებულებებზე, — არაბია, მაგრამ ბალზაკი უნდა ჰქონდეს წაკითხული. **ზინედინ ზიდანის ფრანგობა იმითაც გამოიხატება, რომ მისი ნაციონალური მწერალი არის ბალზაკი და არა — აბულ ალა ალ-მაარი. ეთნიკურად ის არაბია და, ალბათ, კითხულობს აბულ ალა ალ-მაარის, მაგრამ ნაციით ის არის ფრანგი და მისი ნაციის მწერალი არის ბალზაკი. ასე წყვეტენ ფრანგები ამ საკითხს. შეიძლება წახვიდე ფრანგული გზით, შეიძლება — სხვა გზით.**

**— ეს ფორმულა თუ იქნება ჩვენთვის მისაღები, საქართველოსთვის რომელი გზაა ოპტიმალური?**

— დღევანდელ ხელისუფლებას სულაც არ უნდა ევროპული მოდელი. არც მალავენ, რომ უნდათ სინგაპური. დღეს პოპულარულია ლიბერტარიანული ეკონომიკა და ლიბერტარიანული მოდელი. ეს ნიშნავს სახელმწიფოს სრულ ჩაურევლობას ბიზნესში. ყველაფერს არეგულირებს ბაზარი, მათ შორის ჯანდაცვასაც და განათლებასაც. ევროპული მოდელი კი გულისხმობს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას თითოეული მოქალაქისთვის.

**— სინგაპურში არ არის ხელმისაწვდომი ჯანდაცვა?**

— ეს საკმაოდ რთული საკითხია. სინგაპური არის სახელმწიფო-კორპორაცია. ადამიანის უფლებები და დემოკრატია იქ არ არსებობს. პრემიერ-მინისტრი რეალურად არის კორპორაციის მეთაური.

**— ამ „ქართულ სინგაპურში“ ეროვნებას მნიშვნელობა არ აქვს? ეროვნული იდენტობა არ დაიკარგება?**

— მაგასაც რომ თავი დავანებოთ, ჩვენთან სინგაპურის გაკეთება, უბრალოდ, შეუძლებელია. სინგაპური არის ქალაქი-სახელმწიფო. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არის გლეხი, სინგაპურში კი გლეხობა არ არსებობს. ამიტომ აბსოლუტურად არარეალისტურია. გვეუბნებიან, რომ ჩვენ გვინდა სინგაპური.

**მიხეილ სააკაშვილმა თქვა კიდეც „დემოკრატიული სინგაპური“, ანუ იცის, რომ ის დემოკრატიული არ არის. „დემოკრატიული სინგაპური“, მე თუ მკითხავთ, იგივეა, რაც „ავტორიტარული შვეიცარია“. ერთია, რომ სინგაპურს ვერ გააკეთებ, მაგრამ, როცა ამბობ, რომ გინდა სინგაპური, ეს იმას ნიშნავს, რომ სინამდვილეში ევროპა არ გინდა.**

სხვათა შორის, დროდადრო წამოსცდებათ ხოლმე ხელისუფლების წარმომადგენლებს და ამბობენ, რომ ევროპა არის სოციალისტური, რომ ევროპა არ ვარგა. ის, რომ ევროპაში სოციალური დაცვა არსებობს, ზოგიერთისთვის არის სოციალიზმი და კომუნიზმი. აქედან გამომდინარე, მათთვის მნიშვნელოვანია, რომ ევროპამ მათ მხარი დაუჭიროს, მაგრამ ისინი სულაც არ აპირებენ ამ ევროპული მოდელის გაკეთებას. სხვათა შორის, მათი მიზანი სულაც არ არის ევროკავშირი.

**— ბატონო ზაზა, ხელისუფლებას სინგაპურიზაციისკენ მივყავართ, ევროპა კი მაინც აგრძელებს საქართველოსთან ურთიერთობას, ასევე — შეერთებული შტატებიც. რა ინტერესები ამოძრავებთ ევროპას (როდესაც სინგაპურისკენ მიმავალ საქართველოსთან თანამშრომლობს) და შტატებს (რომელიც ამ ხელისუფლებას ხელს აფარებს)?**

— ამერიკელი პოლიტოლოგი ლინკოლ მიტჩელი, რომელიც თავის დროზე მხარს უჭერდა „ვარდების რევოლუციას“ და წიგნიც დაწერა, სააკაშვილის მეგობარიც იყო, ბოლო წლებია, სრულიად იმედგაცრუებულია და ამბობს, რომ საქართველოსა და ამერიკას შორის არის არა პარტნიორული ურთიერთობა, არამედ პატრონსა და კლიენტს შორის ურთიერთობა. **შესაბამისად, ამერიკის ინტერესში მთავარი ქართული მომენტი კი არ არის, არამედ საქართველო მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც არსებობს გარკვეული მიმართება რუსეთთან. საქართველო არის გარკვეული ფიგურა ამერიკულ-რუსულ ურთიერთობებში, რომელიც ხან** ▶

«მე მათ ადგილზე მართლმადიდებლობას სახელმწიფო რელიგიად გამოვაცხადებდი და ვიტყოდი, რომ მიხეილ სააკაშვილი არის ღვთის რჩეული, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ ლიბერალური დემოკრატია აქვთ სიტყვით აღიარებული?»

# ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „დავით დარჩიაშვილს რომ შეეძლოს ამგვარად არტიკულირება, აზრის ჩამოყალიბება, ის იტყოდა, რომ, რა თქმა უნდა, დავხოცოთ, მაგრამ უნდა დავხოცოთ პროგრესის სახელით“



**◀ მძიმეა, ხან — დაპირისპირებული, ხან — პირიქით: ორი დიდი სახელმწიფოა და ეს ბუნებრივია. საქართველო არის მნიშვნელოვანი მხოლოდ ამ ურთიერთობებისთვის და არა ცალკე.**

**— ამ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართულ-რუსული ურთიერთობები. საქართველოს თუ აქვს კოზირი, რომ თავისი სახელმწიფოებრიობა დაიცვას?**

— უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავ, რომ მე პოლიტოლოგი არ ვარ. ვხედავ იმას, რასაც ყველა ხედავს. **ამერიკელები გაურბიან ასეთ გამოთქმას — „გავლენის სფეროები“, მიხეილ სააკაშვილს კი ერთხელ პირდაპირ წამოსცდა კიდეც: „ჩვენ გვინდა, რომ ამერიკის გავლენის სფერო ვიყოთო“, რამაც ვაშინგტონში საშინელი რეაქცია გამოიწვია იმიტომ, რომ იქ არის გარკვეული ევფემიზმები, რაღაცებს არ ამბობენ, არსებობს გარკვეული წესები.**

უნდა ვთქვათ, რომ არსებობს გავლენის სფეროები, არსებობს გეოპოლიტიკა, ამას თვითონ ამერიკელებიც არ უარყოფენ. მინდა შეგახსენოთ ამერიკელი პოლიტოლოგი ზბიგნევ ბზეჟინსკი და მისი ყბადაღებული წიგნი „დიდი საჭადრაკო დაფა“, რომელიც ამერიკული გულახდილობით არის დაწერილი. ბზეჟინსკი პირდაპირ ამბობს, რომ „დიდი საჭადრაკო დაფა“ — ეს არის „ევრაზიული ოთხკუთხედი“ და ამერიკისთვის ყველაზე უფრო დამანგრეველი იქნებოდა ჩინურ-რუსულ-ირანული ერთობა. იქ არის ძალიან საინტერესო ფრაზა: ბზეჟინსკი ყვება, როგორ შლიდნენ საბჭოთა კავშირს, ნაციონალურ რესპუბლიკებთან მუშაობისას როგორი რიტორიკა იყო მათ ელიტებთან. **ისეთ რესპუბლიკებში, როგორიცაა უკრაინა, საქართველო და სომხეთი, ვაძლიერებდით იმის შეგრძნებას, რომ მათი კულტურა რუსულ კულტურაზე მაღლა დგას, ხოლო ცენტრალურ აზიაში, რადგან ეს შეუძლებელი იყო, ისლამს ვაძლიერებდითო, – წერს ბზეჟინსკი.**

შესაბამისად, როცა ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე ვლაპარაკობთ, ამას უნდა შევხედოთ დიდი მოთამაშეების ჭრილიდან. უნდა გვახსოვდეს, რა ხდებოდა 70-80-იან წლებში, მაგრამ, უწინარესად, უნდა შევხედოთ, როგორი იყო ეს ურთიერთობები 90-იანი წლების ბოლოდან 2003 წლამდე — შევარდნაძისეული ბალანსის პოლიტიკისას და 2003 წლის შემდეგ, როდესაც სააკაშვილის რეჟიმი მოვიდა ხელისუფლებაში.

**— კეთილი, დავუბრუნდეთ ხელისუფლების არჩეულ პოლიტიკურ კურსს — „წინ — დემოკრატიული სინგაპურისკენ“!**

— „დემოკრატიული სინგაპური“, ალბათ, ბრჭყალებში იგულისხმება, რადგან ეს იგივეა, რაც „შავი თოვლი“...

**— რომელიც, ალბათ, სვანეთში მოდის...**

— არა, მესტიაში მსოფლიოში საუკეთესო თოვლი მოდის. **მიხეილ სააკაშვილს აქვს, სხვათა შორის, გეოგრაფიული ნაციონალიზმი.** ის ამბობს, რომ საქართველოში არის საუკეთესო თოვლი, საუკეთესო ქარი, საუკეთესო წვიმა და, ალბათ, ცეცხლიც!

**— და საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ტენიანობა იზომება გრადუსებში.**

— ჰო, საქართველოში ისეთი ტენიანობაა, რომ გრადუსებში იზომება.

**— ვინაიდან, როგორც თქვენ ბრძანეთ, ძალაუფლებას საქართველოში არ აქვს ლეგიტიმაცია, მას აუცილებლად სჭირდება სამხედრო ფარი, რომელიც დაიცავს ხელისუფალთ „დემოკრატიულ სინგაპურში“.**

— ეს არის უმარტივესი მოდელი. მათთვის არსებობს გარკვეული მერიტოკრატია, რომლის ხელშია ყველაფერი, მოქალაქე კი არანაირ პოლიტიკურ საკითხებზე არ უნდა ფიქრობდეს.

**— არსებობს ჩვენთან მერიტოკრატია?**

— სამწუხაროდ, ჩვენ მივიღეთ რაღაც აზიური პოლიციური სახელმწიფო, სახანო. ეს არის რაღაც ბრუნეის მსგავსი. როცა აზიას ვახსენებ, აზიაზე ცუდად კი არ ვლაპარაკობ, უბრალოდ, ეს არ არის ევროპა.

**— ბატონო ზაზა, ჩვენ იმაზე არ ვლაპარაკობთ, ცუდია თუ კარგი, შეიძლება თურქმენებს ძალიანაც მოსწონდათ თურქმენბაშის მმართველობა.**

— მეტსაც გეტყვით, როცა ლაპარაკია ხანზე და სახანოზე, ეს უშველებელი აღმოსავლური კულტურა სწორედ ასეთი ტიპის სახანოებში შეიქმნა. დიდი ირანული კულტურის წინაშე, რა თქმა უნდა, ქედს ვიხრი. შესაბამისად, თუ ჩვენ ვლაპარაკობთ თანამედროვე ევროპული ღირებულებებით, მაშინ, რაც ამ ხელისუფლებამ შექმნა, ევროპული არ არის. **ეს არის რაღაც მონღოლური ტიპის სახანო, თანაც XIII-XIV საუკუნეების დროინდელი. მათ, უბრალოდ, არ იციან, როგორ გააკეთონ ლეგიტიმაცია, რადგან მონღოლები ჯერ წარმართები იყვნენ, მერე ისლამი მიიღეს. უღმერთოდ როგორ გავაკეთოთ სახანოს ლეგიტიმაცია, ცოტა რთული საკითხია. სხვათა შორის, მე მათ ადგილზე მართლმადიდებლობას სახელმწიფო რელიგიად გამოვაცხადებდი და ვიტყოდი, რომ მიხეილ სააკაშვილი არის ღვთის რჩეული, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ ლიბერალური დემოკრატია აქვთ სიტყვით აღიარებული?**

ამ დროს ეს ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, სინოდიც მხარს დაუჭერდა, იმიტომ, რომ აღმოსავლეთში ასეა, ბიზანტიური მოდელია. სოსო თოფურიძე სინოდში ზუსტად იგივეა, რასაც აკეთებდა კონსტანტინე იმპერატორი.

**— 26 მაისზე მინდა გკითხოთ. რა დაპირისპირება იყო ეს? მაგალითად, ლაშა ბუღაძემ ამას უწოდა „მაძღრების, გაუმაძღრებისა და მშივრების ომი“. ჩვენ გვახსოვს 2009 წლის აქციები, როდესაც ხელისუფლებამ მთელი 100 დღე მოითმინა. ასევე გვახსოვს 2007 წლის 7 ნოემბერი, როდესაც ძალა გამოიყენეს, მაგრამ ალყაში არ მოუქცევიათ მომიტინგეები. ასევე შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა 26 მაისის შემდგომ განაცხადა, რომ ის იყო ბოლო, ვინც დათანხმდა დარბევის გადაწყვეტილებას. მან ახსენა სიტყვა „დარბევა“. რისი დამტკიცება სურდა ხელისუფლებას ამ ძალადობით?**

— პოლიტოლოგმა თომას დე ვაალმა 26 მაისის დარბევაზე 53-გვერდიანი შესანიშნავი ანგარიში დაწერა. როდესაც მას სთხოვეს 26 მაისის შეფასება, მოკლედ, ლაკონურად უპასუხა, რომ **ეს იყო „უსასტიკესი დარბევა, ჩვენ ყველანი ვიყავით შოკში“.**

## «26 მაისი რეალურად 1989 წლის 9 აპრილის კი არა, 1956 წლის 9 მარტის გამეორება იყო, როდესაც უფლება არ ჰქონდათ, მიცვალებული ეტირათ ოჯახში, როგორც მოკლული. ნიკუშა კვინტრაძეზეც ვერ თქვა ჭირისუფალმა, რომ ის არის მოკლული»

**26 მაისს რაც მოხდა, ეს ნიშნავს, რომ საქართველო არ არის ევროპის ნაწილი. ადამიანს ევროპაში აჭრიდნენ თავს. პავლე მოციქულს თავი მოაჭრეს, სოკრატე სიკვდილით დასაჯეს, მაგრამ სოკრატეს რეგლამენტით ჰქონდა სიტყვა, რომელსაც ის ამბობდა ერთი საათის განმავლობაში და ვერავინ მას ვერ შეაწყვეტინებდა. აი, ეს არის ევროპა, მაშინ, როდესაც აქ ჩვენი ხმა არ ისმის. აქ არ ისმის დახოცილების ხმა. 26 მაისი რეალურად 1989 წლის 9 აპრილის კი არა, 1956 წლის 9 მარტის გამეორება იყო, როდესაც უფლება არ ჰქონდათ, მიცვალებული ეტირათ ოჯახში, როგორც მოკლული. ნიკუშა კვინტრაძეზეც ვერ თქვა ჭირისუფალმა, რომ ის არის მოკლული.**

ევროპაში შეიძლება მოხდეს ასეთი ფაქტები და ასეთი ფაქტები ყველგან ხდება, მაგრამ იქ ვერავინ ვერავის ვერ აუკრძალავს დატირებას საჯარო სივრცეში, სიმართლის თქმას საჯარო სივრცეში. ევროპაში შეიძლება მოხდეს უსამართლობა, მაგრამ ამ უსამართლობაზე ლაპარაკობენ და ყოველთვის ასე იყო, მოქალაქის უფლებები არ შეუქმნია დემოკრატიას, ეს უფლებები დიდი ხანია არსებობს. პირველ საუკუნეში პალესტინაში როცა პავლე მოციქული შეიპყრეს, მან თქვა, მე რომის მოქალაქე ვარო. გუბერნატორს შიშით გული გაუსკდა, რომის მოქალაქეს ბორკილი როგორ დავადეო. პავლე მოციქულმა მოითხოვა კეისრის სასამართლო და ორი თვის განმავლობში იგი რომში მიჰყავდათ. კეისრის სასამართლო დღევანდელი საკონსტიტუციო სასამართლოა. სხვათა შორის, პავლე მოციქული მაშინ გაამართლეს...

**— 26 მაისის შემდეგ „ნაცმოძრაობის“ იდეოლოგები აცხადებენ, რომ ხელისუფლება ერისა და ხალხის წინააღმდეგ კი არ წავიდა, თუ მაინც და მაინც კრიტიკული მოსაზრება გაგვიჩნდებოდა, უნდა გვესაუბრა იმაზე, რომ შესაძლოა ხელისუფლებამ ძალას გადაამეტა, თუმცა სწორად მოიქცა და ამას გამოხატავდა დარჩიაშვილის ის განცხადებაც, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სახელმწიფოში“. 28-29 მაისს კი გაიმართა ხალხმრავალი საპროტესტო აქციები, სადაც ხალხმა გააპროტესტა როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის ძალადობა. ხელისუფლების იდეოლოგებმა ამ აქციების მონაწილეებს უწოდეს მესამე მხარე და განაცხადეს, რომ რუსეთმა ამ აქციებით კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ საქართველოში ნაციონალური კონსენსუსი არ არსებობს. გამოდის, რომ, თუკი ხელისუფლების ძალადობას მოვიწონებდით და ოპოზიციის ძალადობას დავგმობდით, მაშინ ნაციონალური კონსენსუსი იქნებოდა, ხოლო ორმხრივი ძალადობის დაგმობა ხელს უშლის კონსენსუსის მიღწევას. მართალი გითხრათ, არ მესმის ეს ლოგიკა. თქვენ თუ მოუძებნით რაიმე ახსნას ხელისუფალთა ამ ლოგიკას?**

— ჩემი აზრით, ძალიან ზუსტად ჩამოაყალიბეთ, რაც უნდათ. **მათ უნდათ, რომ ხალხს თავში ურტყან და ხალხმა თქვას, რომ ეს ლეგიტიმურია და სწორია.** ასეთი რაღაც შეიძლება ალაჰმა გააკეთოს ან ძველი აღთქმის ღმერთმა — გიგზავნის საშინელ განსაცდელს და შენ მადლობას ეუბნები. **რამდენადაც ვიცი, ყურანში არ წერია, რომ ალაჰი არის მიხეილ სააკაშვილი. თუ დავით დარჩიაშვილი დაასაბუთებს, რომ სააკაშვილი რაღაცნაირად ენათესავება ოთხ მართლმორწმუნე ხალიფას და ალის შთამომავალია, მაშინ კიდევ შეიძლება ლიბერტარიანული შიიზმი დავაფუძნოთ, როგორც რაღაც ახალი იდეოლოგია.**

**— ან მიშიიზმი...**

— ჰო, მიშიიზმი, მაგალითად. მაგრამ სანამ ეს არ დაგვისაბუთებია, მანამდე ძალიან ძნელია ამასთან შეგუება. მუბარაქის რეჟიმიც 30 წელი ითმინეს და ბოლოს თქვეს, რომ მუბარაქი არც ეგვიპტელი ფარაონია და არც ალის შთამომავალი, არის ჩვეულებრივი ადამიანი. სირიაშიც ეს ხდება. აღმოსავლეთშიც ხალხს აღარ სჯერა, რომ ხელისუფლება არის ღვთაებრივი წარმოშობის. თუ აღმოსავლეთში ეს აღარ სჯერათ, მითუმეტეს საქართველოში ამას ვინ დაიჯერებს.

**მიხეილ სააკაშვილი თუ ჩვეულებრივი ადამიანია და ხალხს ხოცავს და ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ კონსენსუსი უნდა გვქონდეს ამაზე, ეს შეუძლებელია. აქედან გამომდინარეობს ორი რამ: ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ მიხეილ სააკაშვილი არის ღვთაებრივი წარმოშობის ან საერთოდ ღმერთია, როგორც რომაელი იმპერატორები. თუ ეს არ შეგვიძლია, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ის არის ჩვეულებრივი ადამიანი, და თუ ასეა, მაშინ ლეგიტიმურობის წყარო არის ხალხი. თუ ლეგიტიმურობის წყარო არის ხალხი, მაშინ საჭიროა არჩევნები და ა. შ.**

**— ანუ ჩვენ გვაქვს არჩევანი.**

— ჩვენ ვართ გაჩხერილები. რეალურად ჩვენ არც აღმოსავლეთი ვართ, ანუ არც მონღოლური სახანო ვართ; მეორე მხრივ, არც ევროპული დემოკრატია ვართ. რაღაცა ვართ და, რომ არ ვიცით, რა ვართ, განაპირობებს სწორედ იმას, რომ საქართელოში არის... ლეგიტიმურობის კრიზისიც აღარ ჰქვია ამას, უბრალოდ, ხელისუფლება ვერანაირად ვერ ამართლებს თავის ძალადობას. მაგალითად, რატომ უნდა ჰქონდეთ მილიარდები მათ და არა დანარჩენ ხალხს, რატომ უნდა შეეძლოს პრეზიდენტს მინისტრის ცემა და მე რატომ არ შემიძლია ეს?

**— ბატონო ზაზა, ჩვენ ახლა იმასაც გვეუბნებიან, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა ოჯახის წევრებიც ხელშეუხებლები არიან.**

— ასე იყო ტიბერიუსის დროს. მაშინ რომში შემოიღეს კანონი და მისი საიმპერატორო ღირსების შეურაცხყოფა სიკვდილით ისჯებოდა. ავგუსტუსის დროს არ იყო, მას მიაჩნდა, რომ დემოკრატია აღადგინა. ტიბერიუსი იყო პირველი იმპერატორი, ამ თვალსაზრისით, მაგრამ ტიბერიუსი ღმერთი იყო. რომში იყო რელიგიაც, ძალიან ეკლექტური, თანამედროვე გაგებით — ტოლერანტული, იქ ყველა ღმერთი შედიოდა, აზიურიც და ევროპულიც და ტიბერიუსი იყო ერთ-ერთი ღმერთი. თუ ჩვენ ვიტყვით და განვახორციელებთ კიდეც, რომ მიხეილ სააკაშვილი არის ღმერთი, კი, ბატონო; პირველი დავუჭერ მხარს, თუ სინოდიც დაამტკიცებს ამას. იმ სინოდში აუცილებად სოსო თოფურიძე უნდა იყოს, თორემ ჩემთვის ეს არ იქნება ლეგიტიმური გადაწყვეტილება.

ასეა თუ ისე, დღევანდელი საქართველოს მთავარი პრობლემა არის: როგორ შევქმნათ ისეთი სახელმწიფო, სადაც ეს იქნება ლეგიტიმური. შევარდნაძის დროს ლეგიტიმურობა არ იყო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ასეთი რაღაცები არ ხდებოდა, იმიტომ, რომ არსებობდა რაღაც გარკვეული დაუწერელი წესები.

**— საზოგადოების, სამოქალაქო სექტორის კონტროლიც არსებობდა.**

— კი, ბატონო. დღევანდელი რეჟიმი კი არის ტიპიური ოლიგარქია, რადგან ბიზნესი და ხელისუფლება ერთი და იგივეა. ასეთი რეჟიმის დროს ეკონომიკური ამოსუნთქვა შეუძლებელია, რაც გინდა თავისუფლება გამოაცხადონ. უცხოეთიდან არავინ ჩადებს ფულს, ეს არის ზღაპარი და თვითონაც ძალიან კარგად იციან. მეორე მხრივ, არის ტირანული თვითნებობის ელემენტები.

**— შესაბამისად, ეროვნული კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობაც არ არსებობს.**

**— მათ რაც ჰგონიათ, რომ ცემით უნდა აღვფრთოვანდეთ, ეს ნონსენსია. აქედან გამომდინარე, მე ასე აღვწერ სიტუაციას: სიტუაცია არის აბსოლუტურად ჩიხური, რევოლუცია უკვე შეუძლებელია იმიტომ, რომ ნიჰილიზმის ტალღაა, არავის არავისი არ სჯერა. ნდობა არ არსებობს. მაგრამ ვითარების შეცვლა არჩევნების გზითაც შეუძლებელია.**

* * *

**თუმცა, როგორც ამბობენ, გამოუვალი სიტუაცია არ არსებობს. ჩვენს შემთხვევაშიც არსებობს გამოსავალი. სად ხედავს ხსნას ცნობილი ფილოსოფოსი, ამის შესახებ მომდევნო ნომერში შეიტყობთ — დასასრული იქნება...**

ესაუბრა
**ბონდო მძინარაშვილი**



პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოქრუაშვილის მანამდელი მკვახე შეძახილებიც ბურჯანაძე-„სახალხო კრების“ მისამართით სწორედ ერასტოფელის პროვოცირებული იყო, რამაც ბურჯანაძის გაღიზიანება და „გრეჩიხაზე“ დარტყმა გამოიწვია. ხელისუფლების სტრატეგია, რომლის შედგენაშიც, ალბათ, ერასტოფელიც აქტიურად მონაწილეობდა, სწორედ გრძელვადიან პერიოდს მოიცავს და 2012 წლამდე მაინც უნდა მიეღწიათ, თუნდაც მცირე დანაკარგებით. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეშვათ ოპოზიციაში ავტორიტეტის გაჩენა და მით უმეტეს, სერიოზული ოპოზიციური ძალების გაერთიანება.**

## რიკოთზე 6 ადამიანი ჩინელების დაუდევრობას ემსხვერპლა

**პოლიტიკურმა პარტიამ „თავისუფალი საქართველო“ სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა რიკოთის შემოვლით გზაზე 18 ივნისს დატრიალებული ტრაგედიის შესახებ. მათი ვერსიით, უღელტეხილზე ღვარცოფის მიზეზი კოკისპირული წვიმა არ ყოფილა. ტრაგედია ჩინელების მიერ ლიხის მთაზე ხელოვნური ტბის დაცლამ გამოიწვია.**

ღვარცოფმა რესტორანს გადაუარა, ექვსი ადამიანი დაიღუპა, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვი. თვითმხილველები ამბობენ, რომ წყალმა პირდაპირ მიწიდან ამოხეთქა. ეჭვებს ისიც ბადებს, რომ 18 ივნისს არც ხაშურში, არც სურამში, წიფასა და ლიხში წვიმა არ ყოფილა. ჩინელებს ლიხის მთაზე ორი ტბა გაუშენებიათ თევზის მოსამრავლებლად. 18 ივნისს ერთი ტბა სანიტარული დასუფთავების მიზნით დაუცლიათ, წყალი კი მეორე ტბაში ჩაუშვიათ. ჯებირმა ვერ გაუძლო და გადმოსული წყალი ორი მიმართულებით მოვარდა – წიფისა და ჩუმათელეთის მიმართულებით, ამან კი მთიდან წყლის სწრაფი ვარდნა გამოიწვია.

**გია ყრუაშვილი, პოლიტიკური პარტია "თავისუფალი საქართველოს" რეგიონული მდივანი:**

— როგორც ცნობილია, ამა წლის 18 ივნისს ხაშური-ზესტაფონის უღელტეხილზე, ლიხის მთის თავზე, კოკისპირული წვიმა მოვიდა და გამოიწვია ღვარცოფი, რამაც იქვე არსებული რესტორანი წაიღო. როგორც თვითმხილველები ამბობენ, მდინარემ, ფაქტობრივად, მიწიდან ამოხეთქა. არადა, საყურადღებოა, რომ ტრაგედიის დროს არ წვიმდა არც ხაშურში, არც სურამში და არც წიფასა და ლიხში. გამოდის, რომ წვიმა მხოლოდ ერთ ადგილას მოვიდა, რაც უამრავ კითხვას აჩენს.

როგორც ჩანს, ტრაგედიის რეალური მიზეზი წვიმა არ გამხდარა. გაირკვა, რომ ლიხის მთაზე ჩინელებს ორი ტბა გაუშენებიათ, სადაც, თევზის მომრავლების მიზნით, სამუშაოებს ახორციელებდნენ. აღმოჩნდა, რომ სწორედ 18 ივნისს კომპანიის მესვეურებმა ერთი ტბის დაცლა გადაწყვიტეს და წყალი მეორე ტბაში შეუშვეს, რასაც შემაკავებელმა ჯებირმა ვერ გაუძლო და წყალმა ტბის კალაპოტი გაარღვია. ამან კი გამოიწვია წყლის მაღლობიდან დიდი სიჩქარით ვარდნა. შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს, რომ ტრაგედიის ადგილას არა წვიმის წყალი, არამედ წყლის ტალღაა მოვარდნილი. ასევე საყურადღებოა, რომ წვიმა მართლაც მოვიდა ტრაგედიიდან რამდენიმე საათში, მაგრამ მდინარეებში წყალმა მომატების ნაცვლად იკლო. თუმცა, როგორც ყოველთვის, ხელისუფლება სიმართლეს ამჯერადაც მალავს.

# «ტროას ზილი» და

**არგოსელ ბერძნებს დანაელებს ეძახდნენ. ტროას ომში ბერძენთა ლაშქარს არგოსის მეფე აგამემნონი მეთაურობდა. როცა დანაელებმა აქილევსის დაღუპვის შემდეგ იარაღით ტროას აღების იმედი დაკარგეს, ხერხს მიმართეს: დაამზადეს ხის უზარმაზარი ცხენი, შიგ რჩეული ვაჟკაცები ჩასხეს და ტროელების თვალის ასახვევად ქალაქს ალყა მოხსნეს. ტროელები ეჭვმა შეიპყრო, მაგრამ საგანგებოდ მიგზავნილმა ბერძენმა სინონმა (ეს ის სინონია, რომელიც დანტეს თავის „ღვთაებრივ კომედიაში“ ჯოჯოხეთის მეათე გარსში ჰყავს მოთავსებული) ცბიერი სიტყვებით დაარწმუნა ისინი, დანაელებმა ალყა ნამდვილად მოხსნესო. ტროელებმა ხის ცხენი ქალაქში შეაგორეს და დაიძინეს. სინონმა გააღო ცხენში დატანებული ფარული კარი, გამოიყვანა მეომრები, გაუღეს ქალაქის ჭიშკარი დანაელებს და მუსრი გაავლეს ტროას. მისანმა ლაოკოონმა დროზე განჭვრიტა დანაელების ეშმაკობა, მაგრამ მის მგზნებარე სიტყვებზე ძლიერი სინონის ცბიერება აღმოჩნდა.**

**არც მე ვარ ლაოკოონი და არც ეროსი კიწმარიშვილია სინონი (ისე, ჯოჯოხეთის მეათე გარსში მოთავსება ამასაც კი აქვს გარანტირებული), თუმცა ჩემს წერილებში ვაფრთხილებდი პოლიტიკოსებს, მორიდებოდნენ ამ ცბიერ და ორგულ კაცს, მაგრამ, როგორც აზრის, პოლიტიკისა და ახლა უკვე დიპლომატიის გიგანტი კოკო გამსახურდია იტყოდა, „ვერ დავძარი“. ამ წერილში იმის შესახებ შეიტყობთ, თუ როგორ შეიქმნა ქართული პოლიტიკის „ტროას ცხენი“ — „ქართული პარტია“ „ნაცხელისუფლების“ მზაკვრული მიზნების განსახორციელებლად, საზოგადოების მუხტის გასანეიტრალებლად და როგორ სძლია სიხარბემ ცნობილ პოლიტიკოსებს, როგორ გადაიქცა „ტროას ცხენი“ „ტროას ზილად“ და ვინ გაითამაშა ფარსი, რასაც ტრაგედია მოჰყვა.**




## სწორედ ეროსი კიწმარიშვილი — ერასტოფელი მართავს «ტროას ზილს», რომელმაც მთელი ოპოზიციური სპექტრი დაანგრია და სააკაშვილის ხელისუფლებას ძალაუფლებით ტკბობა გაუხანგრძლივა

**ისინი ერთმანეთს ზუსტად ორი წლის წინათ პარიზში შეხვდნენ და პირი შეკრეს, რომ „ღვიძლი ძმები“ გახდებოდნენ. ლევან გაჩეჩილაძე და ეროსი კიწმარიშვილი ირაკლი ოქრუაშვილს ეახლნენ და „ერთობლივი მოქმედების“ გეგმაც დასახეს. იმავე 2009 წლის სექტემბრის დამლევს კი ჟენევაში „შესანიშნავ სამეულს“ სოზარ სუბარი და კოკა გუნცაძე შეუერთდნენ და ხელისუფლებასთან ბრძოლის სტრატეგიაც ჩამოაყალიბეს. გაჩეჩილაძე მაშინ საზოგადოებრივი მოძრაობის „დაიცავი საქართველო“ ლიდერი იყო, გუნცაძე — მისი თანაგუნდელი, კიწმარიშვილი — ფონდ „202“-ის დამფუძნებელი, სოზარ სუბარი კი, უბრალოდ, — ოპოზიციონერი. თუმცა პარიზულ-ჟენევური „უმაღლესი დონის თათბირის“ შედეგად, სწორედ ამ უკანასკნელს ხვდა წილად ახლადშექმნილი „ქართული პარტიის“ თავმჯდომარეობა.**

სოზარ სუბარი ბრენდი იყო და ლიდერებს კარგად ესმოდა, რომ მისი „შეურყვნელი“ სახელის გამოყენება სარფიანად შეიძლებოდა. აბა, ვინ გაჰყვებოდა საეჭვოდ გაოპოზიციონერებულ ირაკლი ოქრუაშვილს, რომელიც საქართველოში ვერ ჩამოდის, და საეჭვოდ პრეზიდენტობადათმობილ გაჩეჩილაძეს, რომელმაც ვერა და ვერ შეძლო კეისრის ცოლივით ეჭვგარეშე ყოფნა?! აღარაფერს ვამბობ ყოფილ „მემარჯვენე“ გუნცაძეზე, რომელიც ვერაფრით ჩამოყალიბდა სერიოზულ „ფეისად“ და, მით უფრო, — სიხარბითა და სიწუწკით სახელმოხვეჭილ კიწმარიშვილზე, რომელიც პოლიტიკურ პროცესს ისე უყურებს, როგორც სტაჟიანი მენახირე — ჯიქანსავსე ძროხას!

**პარტიას სახელიც „გაუქართულეს“ და, როცა ამ პოლიტჩანახის მიმართ შეკითხვები გაჩნდა, ბევრი არ უფიქრიათ, პასუხიც უმალ მოგვაგებეს: თუ არ ენდობით ირაკლი ოქრუაშვილს, ენდეთ ლევან გაჩეჩილაძეს, თუ ლევანს არ ენდობით, ენდეთ სოზარ სუბარს, თუ სოზარს არ ენდობით, ენდეთ...**

**მოკლედ, არჩევანი დიდი არ იყო და პოლიტპროცესებში ღრმად ჩახედული ადამიანებიც თავიდანვე ეჭვით შეხვდნენ ამ ეკლექტურ ერთობას — ვერ მიმხვდარიყვნენ, რა საერთო შეიძლება ჰქონოდათ მათ.**

თუ გადავხედავთ „ქართული პარტიის“ ლიდერთა „უმწიკვლო“ წარსულს, ერთ საერთოს ნამდვილად ვიპოვით — კოკა გუნცაძის გარდა (რომელიც მაშინ „ახალ მემარჯვენეებში“ იყო), ყველა მათგანი ე. წ. ვარდების რევოლუციის „კოკორია“ და მათ გაფურჩქვნას მხოლოდ სააკაშვილის ძალაუფლების უსაზღვრო სიყვარულმა და ასევე უსაზღვრო პატივმოყვარეობამ შეუშალა ხელი. **კიწმარიშვილს მაშინდელი გარჯა დაუფასდა და ყოველთვის მოკლე ჯაჭვზე ჰყავდა დაბმული პრეზიდენტ სააკაშვილს; გაჩეჩილაძის სუსტი წერტილი კი მიშამ კი არა, ნებისმიერმა იცის — მისი „სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული“ ერთობ შთამბეჭდავ განზომილებაში „ლივლივებს“.** რაც შეეხება სოზარ სუბარს, 2007 წლის დარბევის დროს თვითონ დაზარალებულმა ობმუდსმენმა ხელახლა გაპრეზიდენტებულ სააკაშვილს „გამარჯვება“ „გაუპრავა“ და პოლიტსარეცელზე ქალწულობაც შეინარჩუნა. თუმცა ამან ვერ უშველა და სახალხო დამცველობას მაინც გამოეთხოვა. **აღარაფერს ვიტყვი ირაკლი ოქრუაშვილზე — მის „ქველობასა“ და „საგმირო საქმეებზე“ იმდენი დაიწერა, ნებისმიერ პოლიტიკოსს შეშურდება.**

**აი, ასეთი კოქტეილი შეიქმნა ორი წლის წინ და ახლა, ორი წლის თავზე, ერთმანეთს სულ „საწრუპავი ჩხირებით“ ეხმალავებიან ჩვენი დროის მუშკეტერები. თითქოსდა ერთის წინააღმდეგ მომართულები ერთმანეთს დაერივნენ და ისეთი ბრალდებები გაისმა, ცნობილი „პოლიტდევნილის“ — ბადრი ბიწაძის „ფარდის უკან ვიჟეძი“ რა მოსატანია...**

სანამ ამ ბრალდებებზე ვიტყოდე, ჯერ იმას გავიხსენებ, რომ შესანიშნავ ხუთეულს მოგვიანებით და მოულოდნელად მეექვსეც შეემატა ბიზნესმენ კოტე გოგელიას სახით, რამაც ვითარება კიდევ უფრო გააბუნდოვანა. გოგელია „ვერის საძმოსთან“ ასოცირდება, ისევე, როგორც კულტურის მინისტრი რურუა. მათი შესაძლო ახლანდელი კავშირი კი ერთობ საინტერესო თემაა. გაჩნდა ეჭვი, რომ პოლიტიკური კვინტეტი გოგელიას ფინანსებით ეცდებოდა მანევრირებას. ტელეკომპანია „მაესტროს“ ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა კი გოგელიას ინტერესები წინა პლანზე წამოსწია — მისი მეუღლე მაკა ასათიანი ტელეკომპანიის მოწილე გახდა.

თუმცა მანამდე ერასტოფელის აჩრდილი „მაესტროსაც“ წამოადგა. 2010 წლის დამლევს მის მიერ დაფუძნებულმა „რუსთავის მედიის მართვის კომპანიამ“, რომელიც „მაესტროს“ მართავდა, ტელეკომპანიას დაფინანსება შეუწყვიტა. „მაესტროს“ მაშინდელი გენერალური დირექტორის — კახა ბექაურის თქმით, **ეროსი კიწმარიშვილმა, რომელმაც ტელეკომპანიაში ობიექტური სამაუწყებლო არხის მშენებლობის იდეით გადაწყვიტა „მაესტროს“ მართვა, „ქართული პარტიის“ შექმნის შემდეგ საკუთარი ხედვა შეცვალა.**

მაინც რა უნდოდა ერასტოფელს? კიწმარიშვილი ტელეკომპანიის პარტიული პროპაგანდის იარაღად გადაქცევას ცდილობდა, რასაც „მაესტროს“ თანამშრომლები და დამფუძნებლები არ დაეთანხმნენ. **„არ შეიძლება ტელეკომპანიამ გაატაროს ხელისუფლების ან ოპოზიციის ინტერესები, ტელეკომპანია ყოველთვის უნდა ატარებდეს საზოგადოების ინტერესებს, საზოგადოებას კი ყოველთვის სჭირდება სიმართლე და ობიექტური ინფორმაცია,“** — აცხადებდა მაშინ ერთ-ერთი დამფუძნებელი მამუკა ღლონტი.

ტელეკომპანიას დავალიანება დაუგროვდა. **„ჩვენ ინტერნეტი გათიშული გვაქვს, მალე დენსაც გაგვითიშა-** ▶

## პოლონეთის თავდაცვის მინისტრი გადადგა

**პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა ბოგდან კლიხმა გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა.** მან ეს მას შემდეგ გააკეთა, რაც პოლონურმა მხარემ სმოლენსკთან მომხდარი ავიაკატასტროფის მიზეზების შესახებ საკუთარი გამოძიების ანგარიში გამოაქვეყნა და თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა სმოლენსკის ტრაგედიაზე.




## ავღანეთში BBC-ს ჟურნალისტი მოკლეს

**დასავლური მედიასაშუალებების ინფორმაციით, ავღანეთში მომხდარ ტერაქტს 17 ადამიანი ემსხვერპლა. BBC-ს ინფორმაციით, დაღუპულთაგან ერთ-ერთი ტელეკომპანიის რეპორტიორი იყო.** დაიღუპა ასევე 10 ბავშვი, 1 პოლიციელი, 2 ქალი და 3 კაცი. სულ დაშავდა 37 ადამიანი. შემთხვევა ურუზგანის პროვინციაში მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, თავი თვითმკვლელმა ტერორისტმა აიფეთქა. როგორც BBC იუწყება, 25 წლის ჟურნალისტმა ტელეკომპანიაში 2008 წელს დაიწყო მუშაობა.

**მერაბიშვილის მიცემულ და გოგელიას „გაპრავებულ“ მილიონებს ნაყოფი უნდა გამოელო. ყველას ეგონა, რომ ოქრუაშვილი საკუთარ ფულს ხარჯავდა. მისი სიძუნწის მცოდნენი კი ჰკვირობდნენ, ასეთი რა დაჰკრა პარიზულმა ნიავმა, ლონდრეს მიერ გაბრიყვებულ ვაჭარ გეოსავით რომ დაიწყო ფანტვაო. შემდეგ გოგელია გამოუჩნდათ და ხალხს უთხრეს, ბიზნესმენები გვაფინანსებენო. არც გოგელიაა პოლიტიკურ პროცესებში იმდენად გაურკვეველი, რომ საკუთარი ფული „ჰაერში გაესროლა“. მით უმეტეს, რომ მან კარგად იცის, რა კატეგორიის ხალხია ახლა ხელისუფლებაში.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერასტოფელი

**ვენ; კიწმარიშვილმა უზარმაზარი ვალი დაგვიტოვა. დაურეკეთ ერთი და ჰკითხეთ, აპირებს თუ არა დავალიანების გასტუმრებას; თუ არ აპირებს, — რა მოტივით; ის იმ პირობით მოვიდა, რომ პრესას მხარში დავუდგებიო, და ეს არის პრესის მხარში დადგომა?“** — მამუკა ღლონტის ეს განცხადება წლეულს, 4 იანვარს, გაავრცელა „ინტერპრესნიუსმა“. მისი განცხადებით, „მაესტროში“ ახალი წლის დღეებში კიწმარიშვილის ნაბიჯს ელოდებოდნენ, რათა გაერკვიათ, ტელეკომპანიასთან მას ომი სურდა თუ მშვიდობა. **„თუ სურს ომი, მიიღებს ომს,“** — დასძინა ღლონტმა.

**ომი კი უკვე დაწყებული იყო — კიწმარიშვილი რამდენიმე ფრონტზე ერთდროულად იბრძოდა.**

2011 წელი მძიმედ შემოვიდა როგორც ბურჯანაძე-გაჩეჩილაძისთვის, ისე „მაესტრო“-კიწმარიშვილისთვის. თუ პირველ ბრძოლაში „ქართული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერის რეპუტაცია დადგა სერიოზული ეჭვის ქვეშ, მეორე ომში „მაესტრო“ აღმოჩნდა ფორსმაჟორში. მაშინ ბევრმა არ მიაქცია ყურადღება ამ დამთხვევას. დრო კი ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. **ოქრუაშვილის მანამდელი მკვახე შეძახილებიც ბურჯანაძე-„სახალხო კრების“ მისამართით სწორედ ერასტოფელის პროვოცირებული იყო, რამაც ბურჯანაძის გაღიზიანება და „გრეჩიხაზე“ დარტყმა გამოიწვია.**

საიდან, ვისგან იცოდა კიწმარიშვილმა სააკაშვილ-გაჩეჩილაძის შავნაბადური შეხვედრის თაობაზე? გასაგებია, ძველ მეგობრობას — „ნაცურ“ მენტალიტეტს ვერაფერს მოუხერხებ...

**ხელისუფლების სტრატეგია, რომლის შედგენაშიც, ალბათ, ერასტოფელიც აქტიურად მონაწილეობდა, სწორედ გრძელვადიან პერიოდს მოიცავს და 2012 წლამდე მაინც უნდა მიეღწიათ, თუნდაც მცირე დანაკარგებით. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეშვათ ოპოზიციაში ავტორიტეტის გაჩენა და მით უმეტეს, სერიოზული ოპოზიციური ძალების გაერთიანება.**

კიწმარიშვილმა კარგად ითამაშა ოქრუაშვილის თავდაჯერებულობასა და „ბატონი პრეზიდენტის“ — გაჩეჩილაძის ვალებზე, ორივეს ცალ-ცალკე აქეზებდა. პარიზიდან გადმოღვრილმა აგრესიამ, უპირველესად, „გრეჩიხას“ ავნო; ბურჯანაძეს ოქრუაშვილზე ახალი რაღა უნდა ეთქვა და, რაკი ნერვებმაც უმტყუნა, „იმ ვანოს“ ბოლომდე გაჰყვა თამაშში — ქმარი მიუქსია გაჩეჩილაძეს. ამ უკანასკნელს კი თავის სამართლებელი არაფერი ჰქონდა. მით უფრო, იმ დღეებში სააკაშვილმაც ირიბად დაადასტურა ამგვარი შეხვედრის გამართვის ფაქტი. ძნელია რაიმეს მტკიცება, მაგრამ კახა კუკავას გაჩეჩილაძისთვის გაწეული დათვური სამსახურიც (ამდენი ვალები აქვს და, თუ ფული აიღო, რატომ არ გაისტუმრაო) იმ ხის ნაყოფია, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში ხარობს და რომელსაც პრეზიდენტი სააკაშვილი სათუთად დაჰფოფინებს.

**„მაესტროს“ დაშანტაჟების საქმეშიც კიწმარიშვილი აქტიურობდა. „ნაცმოძრაობის“ ფეშქაშს კალაპოტში ჩაყენება სჭირდებოდა და გოგელიას პერსონაც სწორედ ამ დროს გამოჩნდა. კარგად გაიხსენონ ოქრუაშვილმა და გაჩეჩილაძემ მაშინდელი პერიპეტიები და მიხვდებიან, რომ ეს სრული სიმართლეა. სამაგიეროდ, უკვე მოგვიანებით, როცა „მაესტროს“ „სილქნეტთან“ დავა ჰქონდა, ამ უკანასკნელის ოფისთან სწორედ „ქართული პარტიის“ აქტივს მოუყარეს თავი — „ობიექტურ ინფორმაციას მონატრებულ მაყურებლებად“ წარმოაჩინეს.**

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, მოვედით მაისამდე და აქ დაიწყო ერასტოფელის აქტიური მოქმედების გადამწყვეტი ეტაპი. **მერაბიშვილის მიცემულ და გოგელიას „გაპრავებულ“ მილიონებს ნაყოფი უნდა გამოელო. ყველას ეგონა, რომ ოქრუაშვილი საკუთარ ფულს ხარჯავდა. მისი სიძუნწის მცოდნენი კი ჰკვირობდნენ, ასეთი რა დაჰკრა პარიზულმა ნიავმა, ლონდრეს მიერ გაბრიყვებულ ვაჭარ გეოსავით რომ დაიწყო ფანტვაო. შემდეგ გოგელია გამოუჩნდათ და ხალხს უთხრეს, ბიზნესმენები გვაფინანსებენო.** არც გოგელიაა პოლიტიკურ პროცესებში იმდენად გაურკვეველი, რომ საკუთარი ფული „ჰაერში გაესროლა“. მით უმეტეს, რომ მან კარგად იცის, რა კატეგორიის ხალხია ახლა ხელისუფლებაში. „იმ ვანოს“ ფული ოქრუაშვილის სიძუნწისა და გაჩეჩილაძის სიხარბის გამო „ქართულ პარტიას“, რომ ეგონა, დედის რძესავით შეირგო, სინამდვილეში ძმრად წამოადინეს!

ამიტომაც დასცხეს ერთმანეთს ლიდერებმა!

**„ქართულმა პარტიამ“ თავისი მისია ამოწურა და აღარავის სჭირდება. მან წარმატებით შეასრულა პირველი მიზანი — „სახალხო კრების“ დასუსტება მოახერხა და საპროტესტო მუხტიც დიდი ხნით გაანელა.** ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი იყო „გრეჩიხასა და კომპანიის“ მისვლა 22 მაისს ტელევიზიასთან, აქციაზე. ამ მისვლას მოჰყვა „კრების“ მხარდამჭერთა სახლებში წასვლა, რადგან მათ კარგად ახსოვდათ, რას აცხადებდნენ დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთზე. ახლა კი რაღაც ფარსში მონაწილეობა არ სურდათ. ცალკე „კრებამ“ დაკარგა მხარდამჭერები და ცალკე „ქართული პარტიის“ მხარდამჭერები გამოეთიშნენ პროცესს. ამას რომ მიხვდა, ამიტომაც მიიღო ბურჯანაძემ გაჩეჩილაძის ხელის გადახვევა და ამბორი ალმაცერად. მაგრამ ვერაფერს იზამდა, მას იმ ვითარებაში გამოსავალი არ დაუტოვეს!

შემდეგ იყო 25 მაისი — ბურჯანაძის მიტინგი პარლამენტთან და ოქრუაშვილის დაანონსებული „მრისხანების დღე“. ეს ყველაფერი რით დამთავრდა, ამის თაობაზე მხოლოდ ქართული კი არა, მსოფლიო პრესა წერდა და ისედაც იცით. ხოლო **ხელისუფლების გავრცელებული სატელეფონო საუბრები შიდა ქართლში „ხვნა-თესვის“ შესახებ და ტელეკადრები, თუ როგორ „მოიწიეს მოსავალი“ სპეცსამსახურებმა, ისევე სასაცილოდ გამოიყურება, როგორც „გვარამია პიქჩერზის“ სამი წლის წინანდელი „ტელეპროდუქტი“. აღარაფერს ვამბობ „ზილზე“ და მის ძარაზე „დატვირთულ“ რუსეთის „გრუს“ სპეცრაზმელებზე. ეს ცალკე სახალისო თემაა — თუ რუსეთმა თავისი სპეცრაზმის გამოყენება სცადა, არა მგონია, „ზილზე“ უკეთესი ვერაფერი მოეძებნა მიზნის მისაღწევად.**

**სინამდვილეში სწორედ ეროსი კიწმარიშვილი — ერასტოფელი მართავს „ტროას ზილს“, რომელმაც მთელი ოპოზიციური სპექტრი დაანგრია და სააკაშვილის ხელისუფლებას ძალაუფლებით ტკბობა გაუხანგრძლივა.**

„ირაკლი მრისხანე“ გვიან მიხვდება, არადა, კარგი იქნება, ახლავე იცოდეს, რომ ერასტოფელის აჩრდილი სულ ახლახან გამომცხვარი ახალი სკანდალის უკანაც დაილანდა. ვინც „მაესტროზე“ ოქრუაშვილის ტელეინტერვიუ ნახა, დამერწმუნება, რომ სწორედ ასეთ რისხვას აფრქვევენ გაბრიყვებული ადამიანები, როდესაც საბოლოდ გააცნობიერებენ, როგორ გაასულელეს. ოქრუაშვილის თავის მართლებაც, გაბუტული გარეგნობაც და დათრგუნული ხმის ინტონაციაც ამის მაჩვენებელი იყო. დარწმუნებული ვარ, ინტერვიუმდე რომ ელაპარაკებოდა ჟურნალისტ ნათია მიქიაშვილს, მაშინ უფრო ადეკვატური იქნებოდა.

**რაც შეეხება გაჩეჩილაძის შენახვის ხარჯებს, ეს აღარავის უკვირს. მისი „პარაშუტისტობის“ ამბავი საყოველთაოდ ცნობილია. მის შენახვას რომ დიდი ფული დასჭირდებოდა, მანამდეც უნდა სცოდნოდა ნაპროკურორალ-ნამინისტრალს. აქ მთავარი ის კი არ არის, რამდენი მოითხოვა „გრეჩიხამ“ და რამდენი მიიღო; მთავარი ის არის, რომ, რაც უნდა თქვა მისი ფულისადმი „სიმპატიების“ შესახებ, აღარავის უკვირს და ისე აღიქვამს, თითქოს სწორედ ასეც უნდა იყოს!**

ვინ დარჩა მოგებული? რასაკვირველია, ხელისუფლება — მან, მართალია, ვერ გაიმარჯვა (და საერთოდ, ამ ბრძოლაში გამარჯვებული არ ყოფილა), მაგრამ მისთვის მთავარია, რომ, როგორც უავგუსტესი სააკაშვილი აცხადებს ხოლმე, „მთავრობა არ ჩამოიშალა“. **ერასტოფელის ფუნქციაც ეს იყო და კიდევ არაერთხელ მოვისმენთ მისგან გაბრიყვებულ ოპოზიციონერთა მოთქმას!**

**ბონდო მძინარაშვილი**




**«ქართულმა პარტიამ» თავისი მისია ამოწურა და აღარავის სჭირდება. მან წარმატებით შეასრულა პირველი მიზანი — «სახალხო კრების» დასუსტება მოახერხა და საპროტესტო მუხტიც დიდი ხნით გაანელა**

## მურატ ჯიოევი უარყოფს აშშ-ის ბრალდებებს რუსეთის მიმართ

**„რუსეთის შეიარაღებული ძალები, ისევე, როგორც მესაზღვრეები, რუსეთის მიერ აღიარებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე იმყოფებიან და მათი „ოკუპანტებად“ მოხსენიება დაუშვებელია,“ — განაცხადა ე. წ. სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მურატ ჯიოევმა.**

მისი ეს განცხადება პასუხად მოჰყვა აშშ-ის სენატის რეზოლუციას საქართველოს შესახებ, რომელიც კიდევ ერთხელ აღნიშნავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის აუცილებლობას და გმობს რუსეთის მოქმედებებს. რეზოლუციის თანახმად, რუსეთს ოკუპირებული აქვს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რითაც ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას არღვევს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეს რეზოლუცია „უმეცარ პიარად“ შეაფასა, რაც საქართველოს ხელისუფლების რევანშისტულ განწყობილებას იწვევს.

**„ჩვენ არ ვასწავლით ამერიკის სენატს ანბანურ ჭეშმარიტებებს იმის შესახებ, თუ რა არის ოკუპაცია. რუსეთის შეიარაღებული ძალები იმყოფება მის მიერ აღიარებული ქვეყნის ტერიტორიაზე და ოკუპანტი ვერ იქნება. ისინი რესპუბლიკის უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ და შეთანხმების საფუძველზე იცავენ ოს ხალხს საქართველოს მხრიდან ხელახალი აგრესიისაგან,“** – აცხადებს ჯიოევი.

იგი ხაზგასმით ამბობს, რომ ოსეთი არასოდეს იყო საქართველოს შემადგენლობაში და ამიტომ მის ტერიტორიულ მთლიანობას ვერაფრით დაემუქრება.

ამერიკელ სენატორთა განცხადებებთან დაკავშირებით, დევნილთა აუცილებელი დაბრუნების შესახებ ჯიოევმა წუხილი გამოთქვა, აშშ-ის მიერ **„ორმაგი სტანდარტების გამოყენების გამო“**. მას მიაჩნია, რომ, **„თუკი ამერიკელ სენატორებს ასე ადარდებთ დევნილთა ბედი, მაშინ ისიც უნდა გაიხსენონ, რომ საქართველოდან ეთნიკური ნიშნით განდევნილი ასი ათასი ოსი დღესაც რუსეთში ცხოვრობს“.**

ჯიოევს მიაჩნია, რომ ამერიკის სენატის რეზოლუცია არის მცდელობა, კიდევ ერთხელ გაუსვას ხაზი, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოს კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიაა, რომელზეც საერთაშორისო ძალების მანდატი ვრცელდება: **„სინამდვილეში ჩვენ არაერთხელ განგვიცხადებია, რომ საქართველოს ტერიოტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტთან სამხრეთ ოსეთსა და რუსეთს არანაირი შეხება არ აქვთ“.**



## ბრიტანეთი ლიბიელ დიპლომატებს დაერია

**ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ქვეყნის ტერიტორია ყველა ლიბიელმა დიპლომატმა უნდა დატოვოს.** ოფიციალური ლონდონი ლიბიის ლეგიტიმურ ხელისუფლებად ამბოხებულებს აღიარებს. ამჟამად ლონდონში მდებარე ლიბიის საელჩოში 8 თანამშრომელი მუშაობს და რვავეს ბარგის ჩალაგება ელის.



## ჩავესი გამელოტდება

**ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა ამომრჩევლები გააფრთხილა, რომ, შესაძლოა, მალე ქიმიოთერაპიის კურსის შედეგად გამელოტდეს და დაემსგავსოს ამერიკელ მსახიობ იულ ბრინერს, რომელიც ფილმებში ქაჩალ პერსონაჟებს განასახიერებს.** „შესაძლოა, რამდენიმე დღის შემდეგ მელოტი ჩავესი იხილოთ, გახსოვთ იულ ბრინერი? მე იულ ჩავესი ვიქნები,“ — განაცხადა ჩავესმა ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს. მიუხედავად მძიმე დაავადებისა, მან ამომრჩევლებს მომავალ არჩევნებში მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

ქრონიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვინც სააკაშვილის ხასიათს მეტ-ნაკლებად იცნობს და ვინც უავგუსტესის ფსიქიკაზე საკმაოდ წონიანი სპეციალისტების კომპეტენტურ შენიშვნებს გასცნობია, შეიძლება ივარაუდოს, რომ სახეზეა მორიგი უნებლიე წამოცდენა, რომ სააკაშვილს, რა თქმა უნდა, არ სურდა კონსპირაციული გეგმების გამჟღავნება და წაწალ ოპოზიციასთან საჯარო პორნოგრაფიული აქტის ჩატარება, მაგრამ ვერ გაუძლო ცდუნებას, სახასიათო შტრიხით გაექლიერებინა დიადი დემოკრატის როლი და „გამოტყდა“, რომ დეპუტატების რაოდენობა მომავალ პარლამენტში, ოპოზიციის თხოვნით და არა მისი ახირების გამო, გაიზრდება.

## იაშვილის კლინიკაში გარდაცვლილი ახალშობილის საქმის შესწავლა დაიწყო

**თბილისში, იაშვილის სახელობის კლინიკაში, ორი დღის წინ საჩხერის სამშობიაროდან გადმოყვანილი ჩვილი გარდაიცვალა.** როგორც ოჯახის წევრები აცხადებენ, მათ მეან-გინეკოლოგს საკეისრო კვეთის ჩატარება სთხოვეს, რადგან ნაყოფის სავარაუდო წონა 5 კილოგრამი იყო, მაგრამ ექიმმა თავი შეიკავა. საბოლოოდ საკეისრო კვეთა მაინც ჩატარდა, მაგრამ ბავშვის გადარჩენა ვერ მოხერხდა. სამედიცინო რეგულირების სააგენტომ საქმის შესწავლა უკვე დაიწყო.

## საპროტესტო აქცია ევროკავშირის წარმომადგენლობასთან

**თბილისში, ევროკავშირის წარმომადგენლობის ოფისთან, საპროტესტო აქცია გაიმართა. იქ მისულ ადვოკატებს აქციებზე უკვე კარგად აპრობირებული წარწერიანი მაისურები ეცვათ. მაისურებზე ეწერა: „დაიცავით ადვოკატები სააკაშვილის რეჟიმისგან“.**

ადვოკატებმა მხოლოდ მაისურები არ იკმარეს და ხელებზე ბორკილებიც დაიდეს. აქციის ორგანიზატორმა, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა ევროკავშირისგან ევროკონვენციის ნორმების დაცვის უზრუნველყოფა მოითხოვა. მისი განცხადებით, დაუცველი ადვოკატები ბრალდებულებს ვერ დაიცავენ.

## მიტოვებულ ფარეხში რარიტეტული ავტომობილები აღმოჩნდა

**ამერიკის ქალაქ დალასის გარეუბანში ავტოფარეხის მყიდველმა რარიტეტული ავტომობილები აღმოაჩინა.** მათი მეპატრონის ვინაობა ცნობილია, მაგრამ რა მოხდა ამ მანქანებთან დაკავშირებით, არ აზუსტებენ. 1972 და 1974 წელს გამოშვებული „ფერარის“ მარკის ავტომობილები, 1977 წლის „მაზერატი“ თითქმის უხმარია. „მაზერატის“ ოდომეტრი მხოლოდ ათას მილს აჩვენებს. როგორც ირკვევა, ამ სუპერკარების ყოფილი მეპატრონე იტალიელ მრბოლელთან – ლუიჯი ჩინეტისთან მეგობრობდა, მას აშშ-ში პირველი „ფერარის“ სადილერო კომპანია ეკუთვნოდა. ფარეხის ახალმა მეპატრონემ რარიტეტული ავტოების აუქციონზე გაყიდვა გადაწყვიტა. აუქციონი აგვისტოში გაიმართება.

# სადა ხარ, თეთრო ზვიგენო, ანუ გახარჭებული წანწლები



**რასაც წინამდებარე წერილში წაიკითხავთ, ჰალსტუხიცოხნია დიქტატორის დამხობაზე მეოცნებე გაბოროტებული ადამიანის ავი ნატვრა არ გეგონოთ, უბრალოდ, მინდა, ათასობით „ბედნიერი ქართველის“ გულისწადილი გავახმიანო. ორიოდ კვირის წინ ჩვენი „სუპერმენი“ პრეზიდენტი ბათუმში ზურგზე ჟანგბადისბალონებაკიდებული წყალქვეშ თექვსმეტი მეტრის სიღრმეზე რომ ვიხილე, თავიდან თვალებს არ დავუჯერე; მეგონა, „დისქავერზე“ დოკუმენტურ ფილმს ვუყურებდი სელაპებზე, მაგრამ მერე, როცა „მივხვდი“, რომ ის, ვინც შავი ზღვის აკვატორიაში თევზებს მყუდროება დაუფრთხო, სელაპი კი არა „ნაცმოძრაობის ბელადი“ იყო, მეხსიერებაში უნებურად ერთი ტრაგიკული ამბავი ამომიტივტივდა: 1967 წელს ავსტრალიაში ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ჰაროლდ ჰოლტი მეტად უცნაურ გარემოებებში გაუჩინარდა. ამ ამბავმა მსოფლიო შეძრა.**






ჰაროლდ ჰოლტი პროფესიონალი მოცურავე იყო და წყალში ყვინთვა მას ბავშვობიდანვე იტაცებდა, ერთ-ერთი ყვინთვის დროს კი (მელბურნთან ახლოს, ერთ-ერთ ყურეში), სავარაუდოდ, მას თავს დაესხა თეთრი ზვიგენი. მიუხედავად სამწლიანი ძებნისა, ჰოლტი ვერც ცოცხალი იპოვეს და ვერც მკვდარი, იგი ოკეანის მორევში (ან თეთრი ზვიგენის სტომაქში) სამარადისოდ გაუჩინარდა...

ეს ამბავი რომ გამახსენდა, „გუგლიში“ რატომღაც ჩავწერე საძიებო ფრაზა — შავი ზღვის ზვიგენი. მგონი, ხვდებით, რისი გარკვევაც მინდოდა — ბინადრობს თუ არა შავ ზღვაში იმავე ჯიშის ზვიგენი, რომელსაც 1967 წელს ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი ჰოლტი გადაეყარა... გაირკვა, რომ ერთადერთი სახეობის ზვიგენი, რომელიც შავ ზღვაში გვხვდება, კატრანია, რომლის შესახებაც ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: **„კატრანი — შავი ზღვის ზვიგენი — ბინადრობს ღრმა წყლებში, ნაპირიდან საკმაო დაშორებაზე. კატრანის მაქსიმალური სიგრძე ერთი მეტრია, წონა კი — თხუთმეტი კილოგრამი და ის ადამიანისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს“.**

თუ გავითვალისწინებთ, რომ „ნაცმოძრაობის მამამთავარმა“ წყალში მხოლოდ 16 მეტრი ჩაყვინთა და თანაც ნაპირთან ახლოს, კატრანი კი ნაპირს სიახლოვეს არ ეკარება, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ **„ვარდოსანთა მამამთავარს“, შუა ზღვაშიც რომ აიშენოს „სადაივინგო რეზიდენცია“, ზვიგენის ხახაში მოხვედრა არამც და არამც არ ემუქრება; ანუ შავი ზღვის ფაუნა, ისევე როგორც ქართული ოპოზიცია, სააკაშვილისთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს, ვინაიდან ზღვა, რომელშიც თუნდაც ერთი რუსეთუმე ან, გნებავთ, შეფიცული თეთრი ზვიგენიც კი არ ბინადრობს, მესტიიდან თხილამურებით დაშვებულ ორ-**

## სააკაშვილმა „წაწალ ოპოზიციად“ ცნობილ „ქრისტიან-დემოკრატებსა“ და „ახალ მემარჯვენეებს“ მთელი კონსპირაცია წყალში ჩაუყარა

**მეტრიან გიჟს „მუხლებამდე“ თუ მოსწვდება...**

...ეჰ, რას ვიზამთ, ასეთია ჩვენი ხვედრი და რეალობა, — კატრანი ჩვენ არ გვწყალობს და ცისფერი ვეშაპი, ვრჩებით მხოლოდ ხამსასა და ქაფშიის იმედად... თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენ არც პოლონეთის პირველი პირები „გვწყალობენ“, უფრო სწორედ, მათი სტუმრობა თარსად და სავალალოდ გვაქვს დაცდილი.

ალბათ, გახსოვთ, აწგანსვენებული ლეხ კაჩინსკის ერთი ვიზიტი მაშინ შედგა, როდესაც სააკაშვილმა დათვს იმდენი უჩხიკინა, რომ ბუნაგიდან გამოიყვანა და მერე იძულებული გახდა, თბილისის ცენტრში უცხო ქვეყნების პრეზიდენტთა ცოცხალი ფარით ესარგებლა; აქაოდა, დათვი ან დამგლეჯს, ან ერთი ადგილით ჩამომკიდებს და, არიქა, მიშველეთო. კაჩინსკის მეორე ვიზიტიც სკანდალური იყო, **მაშინ საქართველოს პრეზიდენტმა პოლონელი კოლეგა შუაღამისას ახალგორისკენ გააქანა, სადაც მათ ესკორტს ცეცხლი გაუხსნეს. ქართული მხარე ამტკიცებდა, რომ ცეცხლი რუსებმა გახსნეს, თუმცა მოგვიანებით პოლონეთის სპეცსამსახურებმაც კი აღიარეს რომ ცეცხლი პროვოკაციულ ხასიათს ატარებდა და მისი მიზანი იყო მსოფლიო მედიის ყურადღების მიქცევა — ნახეთ, რუსებმა საქართველოში პოლონეთის პრეზიდენტსაც ესროლესო. მოკლედ, ამ ავანტიურაში პოლონელებმა გვამხილეს.**

დათარსული აღმოჩნდა პოლონეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის — ბრონისლავ კომოროვსკის ვიზიტიც. კოლეგასთან გამართულ პრესკონფერენციაზე სააკაშვილმა არც აცია, არც აცხელა და „წაწალ ოპოზიციად“ ცნობილ „ქრისტიან-დემოკრატებსა“ და „ახალ მემარჯვენეებს“ მთელი კონსპირაცია წყალში ჩაუყარა, რადგანაც, როგორც თავად განაცხადა, **„ოპოზიციის მოთხოვნით, ჩვენ დავთანხმდით იმას, რაც პირადად მე მაინც და მაინც გულზე არ მეხატება. ეს საკითხი დეპუტატთა რაოდენობის გაზრდას შეეხება. არ მომწონს ეს ფაქტი, მაგრამ საარჩევნი სისტემის შეცვლა ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყოო“.** ამ განცხადებით სააკაშვილმა ნათელი გახადა, რომ თარგამაძე-გამყრელიძის ტანდემის სურვილი და პოლიტიკური მიზანი პარლამენტში რამდენიმე სავარძლით მეტის მიღება რომ იყო მხოლოდ.

ანუ „წაწალმა ოპოზიციამ“, ფეშქაშად მიღებული **„30 დამატებითი სავარძლის“** სანაცვლოდ, გაყიდა ყველაფერი. ვინაიდან გასაყიდი ამ ოდიოზურ და გაკოტრებულ პოლიტგვამებს არაფერი ჰქონდათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ, **„30 დამატებითი სავარძლის“** სანაცვლოდ, ისინი ლეღვის ფოთლის როლზე დასთანხმდნენ იმპრესარიოს.

**ის, რომ ოპოზიცია ხელისუფლების „წაწალია“, აქამდეც ცნობილი იყო. ხელისუფლებაც „წაწლობის“ წესებს გულმოდგინედ იცავდა, ანუ უკეთებდა ოპოზიციას ყველაფერს, მაგრამ უნარჩუნებდა მას ოპონენტის ფასადს, გასაგებად რომ ვთქვათ, — „ქალიშვილობას“.**

მაგრამ სააკაშვილის ეს „ბათუმური აღიარება“ საჯარო პორნოგრაფიული აქტის ტოლფასი იყო და მან გამოუსწორებელი ოპტიმისტების თვალშიც კი გააქარწყლა მითი, რომ თარგამაძე-გამყრელიძის ტანდემი ხელისუფლებასთან ურთიერთობაში „წაწლობაზე“ შორს არ მიდის... დიახ, საქართველოს პრეზიდენტმა აქამდე მხოლოდ „წაწალი“ ოპოზიციონერები საჯაროდ გააბახა.

ვინც სააკაშვილის ხასიათს მეტ-ნაკლებად იცნობს და ვინც უავგუსტესის ფსიქიკაზე საკმაოდ წონიანი სპეციალისტების კომპეტენტურ შენიშვნებს გასცნობია, შეიძლება ივარაუდოს, რომ სახეზეა მორიგი უნებლიე წამოცდენა, რომ სააკაშვილს, რა თქმა უნდა, არ სურდა კონსპირაციული გეგმების გამჟღავნება და წაწალ ოპოზიციასთან საჯარო პორნოგრაფიული აქტის ჩატარება, მაგრამ ვერ გაუძლო ცდუნებას, სახასიათო შტრიხით გაეძლიერებინა დიადი დემოკრატის როლი და „გამოტყდა“, რომ დეპუტატების რაოდენობა მომავალ პარლამენტში, ოპოზიციის თხოვნით და არა მისი ახირების გამო, გაიზრდება.

თუმცა იყო კი ეს მხოლოდ წამოცდენა, თანაც უნებლიე? ეს განცხადება უფრო ჰგავდა დემონსტრაციულ აღიარებას, რომ **საქართველოში ზღვარი ოფიციოზსა და ოპოზიციას შორის პირობითია. იგი მოწყალე პრეზიდენტის ხოშზე გადის და, თუ მას მოუნდება, წაწალსაც ლაჯებშუა გამოივლებს. სააკაშვილმა შინ და გარეთ ყველას დაანახა, რომ როგორც ოფიციოზი, ასევე ოპოზიციაც „მისი ტერიტორიაა“ და ჟინს ამ ტერიტორიაზე მოიკლავს, როცა უნდა, ვისთანაც უნდა და სადაც უნდა** (გნებავთ — ღია აუზში, გნებავთ — რეზიდენციაში და გნებავთ — პოლონელ კოლეგასთან ერთად გამართულ კონფერენციაზე).

ერთი სიტყვით, ბევრი რომ არ გამიგრძელდეს, გაუპატიურების საქმეზე მოწმედ გამოსულ კახელზე რომ ანეკდოტია, იმის არ იყოს, ჩვენ რომ წაწალი გვეგონა, ის თარგამაძე და გამყრელიძე თურმე ხარჭები ყოფილან...

და ბოლოს, ამ ორი პარტიის („ქრისტიან-დემოკრატები“ და „ახალი მემარჯვენეები“) მესანთლეებმა ნათქვამი სხვაგვარად რომ არ მოთარგმნონ, აქვე განვმარტავ, რომ წაწლობა ქალ-ვაჟს შორის სქესობრივი ურთიერთობის წეს-ჩვეულებაა ფშავში. იგი შეზღუდულია ხვევნა-კოცნითა და წელს ზევით ალერსით, ხოლო ხარჭა იგივეა რაც — ხასა, საყვარელი... ერთი სიტყვით, — მეორადი გამოყენების ნაკლა.

**ჯაბა ჟვანია**

**„ვარდოსანთა მამამთავარს“, შუა ზღვაშიც რომ აიშენოს „სადაივინგო რეზიდენცია“, ზვიგენის ხახაში მოხვედრა არამც და არამც არ ემუქრება; ანუ შავი ზღვის ფაუნა, ისევე როგორც ქართული ოპოზიცია, სააკაშვილისთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს**



**451**
**გრადუსი ფარენგეიტით**

**ერთხელ, როცა სახალხო დამცველი ვიყავი, მაშინდელ მაღალჩინოსნებს მთავრობის სხდომაზე ვურჩიე, საკუთარი ხარჯით თითო საკანი მაინც გაერემონტებინათ, „რა იცით, რაში დაგჭირდეთ-მეთქი“. ამ ნათქვამს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სრულიად არასახუმარო გაგრძელება მოჰყვა. იმ პერიოდში ერთმა მაღალჩინოსანმა ცოლს ციხიდან შემოუთვალა: „იქნებ სკამები შემომიგზავნო, თორემ აქ ისეთი ხალხია, საწოლზე ჩამოჯდომა ეუხერხულებათ და ჩამოვწყდით ფეხზე დგომითო“!**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# გაპარსული ტრაილერები და ჯიგრული გაგების სუბიექტები

**მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხელისუფლება ზაფხულს ყოველთვის აქტიურად იყენებს მოსახლეობის სხვადასხვა ფენების გამოსახლების, შევიწროებისა თუ დატერორებისთვის, წლევანდელი ზაფხული განსაკუთრებით ცხელი გამოდგა. „ჯაშუშურმა სკანდალმა“ სიცხე ხელისუფლებასაც აუწია და ისევე აბსურდულად დამთავრდა, როგორც დაიწყო.**

თუმცა ისტორია აქ არ დამთავრებულა. ლაშა ტუღუშმა, სანდრო ბარამიძემ და ვახტანგ ხმალაძემ საჯაროდ განაცხადეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავდნენ სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლის საქართველოს ანტიკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით. ამ მუხლის მიხედვით, **„უცხო ქვეყნისთვის, უცხოეთის ორგანიზაციისთვის ან მათი წარმომადგენლისთვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნივთის, დოკუმენტის, ცნობის ან სხვაგვარის შეგროვება, შენახვა ან გადაცემა, ანდა გამოძალვა, ან გატაცება, მათთვის გადაცემის მიზნით, აგრეთვე, საქართველოს ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის ან უცხოეთის ორგანიზაციის სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე“.**

იურიდიული კაზუისტიკის გარეშეც კი სრულიად ცხადია, რომ „და სხვაში“ ყველაფერი შეიძლება იგულისხმო. ამ „და სხვას“ გამო დააპატიმრეს ფოტორეპორტიორები, თან საქმეს გრიფი „საიდუმლო“ დაადეს, რათა „ეს სხვა“ რამ „სხვებს“ არ გაეგოთ. საქართველოს სახალხო დამცველს უყურადღებოდ არ დარჩენია ამ „ლეგენდარული“ მუხლის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი. შეგახსენებთ, რომ **ე. წ. გიორგაძის მომხრეები სწორედ ამ მუხლით გაასამართლეს და ბევრი მათგანი დღესაც სასჯელს იხდის. ამავე მუხლით ზის ციხეში ვახტანგ მაისაიაც, იგივე მუხლი ჰქონდა მიყენებული სიმონ კილაძეს. მაშინ 314-ე მუხლის ანტიკონსტიტუციურობა არც სახალხო დამცველს გახსენებია და არც ჟურნალისტებს. სამაგიეროდ, დღეს სახალხო დამცველმა „საკუთარი ინიციატივით“ შეისწავლა ამ მუხლის შესაბამისობა კონსტიტუციასთან და დაასკვნა, რომ მისი ფორმულირება არაკონსტიტუციურია.**

სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა საკანონმდებლო ინიციატივით მიმართა საქართველოს პარლამენტს, რათა მოხდეს სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლის იმგვარი ფორმულირება, რომ გამოირიცხოს ნორმის კონსტიტუციის საწინააღმდეგო განმარტების შესაძლებლობა. თითქოს ყველაფერი რიგზეა – საზოგადოებამ პროტესტი გამოთქვა, სახალხო დამცველმა იგი ყურად იღო და პარლამენტსაც მიმართა, რათა კოდექსის შესაბამისი მუხლი გამოსწორდეს, მაგრამ ვინაიდან ჩვენი საზოგადოება ამგვარ „გულისხმიერებას“ ნაჩვევი არ არის, მისი დაჯერებაც უჭირს. საქმე ისაა, რომ **ამ შემთხვევაში სახალხო დამცველი უფრო ხელისუფლებას გაუფრთხილდა, ვიდრე მოქალაქეებს. საკონსტიტუციო სასამართლომ ან თავი უნდა მოიჭრას, ან აღიაროს, რომ 314-ე მუხლი ანტიკონსტიტუციურია.** ამიტომ სჯობს, პარლამენტმა თავად შეიტანოს შესწორება კოდექსში, ვიდრე საკონსტიტუციო სარჩელი წააგოს.

ამ ცხელ ზაფხულში სატელევიზიო ანძის საკითხიც ოპერატიულად მოაგვარა ხელისუფლებამ. ჟურნალისტებმა აქციებიც ჩაატარეს, ვერას სულ „სტოპ“ უძახეს, მაგრამ აუქციონზე (ამას უფრო პირდაპირ მიყიდვას თუ დაარქმევს ადამიანი) ანძის მართვის უფლება გაყიდა. ელექტრონული აუქციონი 1 აგვისტოს 17 საათზე უნდა დაწყებულიყო. დაიწყო და ზუსტად ერთ წუთში დამთავრდა. მართვის უფლება სწორედ იმ ერთადერთმა დარეგისტრირებულმა მყიდველმა მოახერხა მინიმალური ბიჯით. 2 აგვისტოს კი გაირკვა, რომ **ანძის აწ უკვე მმართველი კომპანია „გოლდენ კომია“, რომელიც სულ ახლახან, 11 ივლისს, ერთ საათში დარეგისტრირებულა. ანძაში 12-მილიონიანი ინვესტიციების ჩადებას ვინმე ვასილ ბოლაშვილი აპირებს, რომლის სახელზეც რეესტრში „გოლდენ კომი“ დარეგისტრირდა. როგორც ჩანს, ილფისა და პეტროვის უკვდავ პერსონაჟს, იატაკქვეშა მილიონერ კარეიკას ქართველი მიმდევრები გაუჩნდა.**

ზაფხულში, როცა ცხელა, პრეზიდენტი დროს, ძირითადად, ბათუმში ატარებს, თუმცა არც სვანეთში თხილამურით სრიალზე ამბობს უარს. ახლა მან უკვე იცის, რომ სვანეთიდან სწრაფდაშვებით ზღვაში ჩაყვინთვა არ ღირს. სამაგიეროდ, ჟურნალისტების საჯარო „გაფარჩაკების“ შემდეგ დასკვნა გამოიტანა და ახლა, ძირითადად, **„გაუპარსავ მძღოლებსა“** და **„ჯიგრული გაგების სუბიექტებს“** ერჩის, თუმცა ამ კონტექსტში არც სამოდელო სააგენტოს გოგონები ავიწყდება. მათ ფუნქციას საააკაშვილი ასე განსაზღვრავს: **„გაუპარსავი ტრაილერის მძღოლების ტვინის დაბნელება“.** ტრაილერის გაპარსვას, როგორც ჩანს, ის მებაჟეები ახერხებდნენ, რომლებიც ახლა უცხო ენაზე მოჟღურტულე მოდელებმა უნდა შეცვალონ. უთუოდ ასე უნდა იყოს, თორემ პრეზიდენტი სხვაგვარად იტყოდა — **„ტრაილერის გაუპარსავ მძღოლებს“** ახსენებდა.

საქართველოს განსაკუთრებულობას სააკაშვილი სწორედ ამ ზღაპრული საბაჟოს სახით ხედავს, მაგრამ არც საფრთხე ავიწყდება. მისი თქმით, აქამდე საქართველოს მთავრობასთან ბრძოლა ერთადერთი ნიშნით წარმოებს – დააბრუნონ ქვეყანა **„ჯიგრულ, ნაგვიან, კრიმინალურ, კორუფციულ ყოფაში“.** პრეზიდენტის განცხადებით, ეს ბრძოლა, რასაც ღირსების აღდგენას ეძახიან, ყველაზე დიდი ულირსობაა მსოფლიოში. ეს ულირსობა განსაკუთრებულობად აღიარებს არა ნიჭს, არამედ უბნელობას და ვინმეს შვილობას, თუმცა პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ სამთავრობო შენობების დერეფნებში არასოდეს დაბრუნდებიან „ჯიგრული გაგების“ სუბიექტები. მან საზოგადოებას შეახსენა, რომ ქურდულ მენტალიტეტსა და „ჯიგრულ ცხოვრებას“, ასევე, ეროვნული დამოუკიდებლობის ჩამოშლის მცდელობასა და კრიმინალს შორის პირდაპირი კავშირია. **„როცა არ გინდა სახელმწიფო და უარყოფ დემოკრატიის პირობებში წესრიგს, უარყოფ მოწესრიგებულობას, მაშინ ამას მოჰყვება ის, რაც არის მსოფლიოს 90%-ში — ნაგავი ქუჩებში, საღამოს გარეთ გასვლის შიში, კორუმპირებული მებაჟეები, კორუმპირებული პოლიციელები, გაძნელებული ცხოვრება და ა.შ.,“** — დასძინა პრეზიდენტმა.

**ვისოცკის ჰქონდა ასეთი სიმღერა „ЖИРАФ БОЛЬШОЙ, ЕМУ ВИДНЕЙ“. სააკაშვილმაც „ყველაფერი იცის, ყველაფერს ხედავს“. ჩვენ კი, უბრალო მოკვდავებს, გვიჭირს ხოლმე იმის გაგება, თუ რას გულისხმობს. ვითომ რით ვერ არის ვერონიკა ქობალია „ჯიგრული გაგების სუბიექტი“, ვერ მოახერხა ანძის ჯიგრულად „გასუხარება“? ან საღამოს გარეთ გასვლის შიში რამ გაახსენა? „არაკორუმპირებული“ პოლიციის მსხვერპლთა ჩამონათვალმა ხომ არა? ნაგავმა, რომელიც ელექტროენერგიის მრიცხველზეა მიბმული? გაძნელებულმა ცხოვრებამ? ივარაუდება, რომ ახლა ცხოვრება სულაც არ არის ძნელი. ვისთვის — როგორ!**

ერთს ნამდვილად ვერ დაუკარგავ ჩვენს ხელისუფლებას. იგი ოპერატიული და ეფექტიანია — რასაც გადაწყვეტს, აუცილებლად გააკეთებს. თუ არ გამოუვიდა, რაიმეს ახალს გამოიგონებს. ჩავარდნილი ჯაშუშური სკანდალის შემდეგ აუცილებელია ახალი „ცხელი“ თემა. რაკი საჭიროა, **„ჯიგრებიც“** მოიძებნებიან და **„ულირსებიც“.** ეს ის ხალხია, ვისაც, სააკაშვილის შესავალის მიხედვით, **„გაგვაუბედუროს, უნდა“!** აი, სწორედ ამაშია საქართველოს განსაკუთრებულობა! **ქვეყანა, რომელსაც „ყვარყვარე თუთაბერი“ და „დათა თუთაშხია“ ჰყავს, იოლად ეგუება ყვარყვარეს ციხეს და იმედით ელის, როდის ჩამოჰკრავს ზარს ჭაში დაყუნთული ზებო. ეგუება და ელის, რადგან იცის, რომ ეს ყველაფერი ოდენ ზღაპარია. ზღაპარი კი ყოველთვის კეთილის გამარჯვებით სრულდება.**

სამაგიეროდ, არც ზღაპართან და არც კეთილ ბოლოსთან არაფერი აქვს საერთო ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებას, სადაც აბუგრეიბის წამების მეთოდები დაინერგა. მსჯავრდებული ახმედ აბილოვი ამ დაწესებულების კორპუსის მესამე სართულის სამორიგეოში გადაიყვანეს, სადაც თანამშრომლებმა, ვინმე ანზორმა და ირაკლიმ, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მიზეზი პატიმრის მიერ გასეირნების მოთხოვნა იყო, რაზეც მან უარი მიიღო და განაცხადა, რომ შიმშილობას დაიწყებდა.

დაწესებულების თანამშრომლები მის ეთნიკურ წარმომავლობასაც შეეხნენ. შემდეგ მსჯავრდებული საკნის ტიპის სათავსში გადაიყვანეს და ხელბორკილი დაადეს. **რეჟიმის უფროსი გაგა ლიპარტელიანი და კიდევ ერთი, მისთვის უცნობი თანამშრომელი, აიძულებდნენ დაჩოქებას, რაზეც აბილოვმა უარი განაცხადა. ამის შემდეგ ის კვლავ ცემეს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. მერე ე. წ. ბოქსში გადაიყვანეს და იქ ორი საათის განმავლობაში გააჩერეს შიშველი და ბორკილდადებული.**

საკანში დაბრუნების შემდეგ აბილოვს თავის ტკივილი და გულისრევის შეგრძნება დაეწყო. მან ექიმთან შეხვედრა მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო. სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ვიზუალური დათვალიერებისას აბილოვის სხეულზე შემდეგი დაზიანებები აღმოაჩინეს: ზურგის არეში დაახლოებით 10-15 სანტიმეტრის ზომის სამი სისხლნაჟღენთი, გულ-მკერდისა და კისრის მიდამოებში მრავლობითი სისხლნაჟღენთები, ექსკორიაციები, ორივე ფეხის მუხლზე ფუფხით დაფარული ნაჭდევები, ორივე ხელის მაჯაზე ჰიპერემია, ნაჭდევი და შეშუპება თავის არეში.

**სახალხო დამცველმა მოითხოვა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ დაუყოვნებლივ გადაიყვანოს აბილოვი სხვა დაწესებულებაში და უზრუნველყოს მისი უსაფრთხოება, რადგან მას შეიძლება საფრთხე დაემუქროს დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან. პატიმრებისადმი სასტიკი და არაადამიანური მოპყრობა უკვე წესად იქცა. დეპარტამენტის თავმჯდომარე ხათუნა კალმახელიძე კი ვიდეოპაემნებით ამაყობს და ამტკიცებს, რომ ქართულ ციხეებში ცხოვრება საამურია.**

ერთხელ, როცა სახალხო დამცველი ვიყავი, მაშინდელ მაღალჩინოსნებს მთავრობის სხდომაზე ვურჩიე, საკუთარი ხარჯით თითო საკანი მაინც გაერემონტებინათ, „რა იცით, რაში დაგჭირდეთ-მეთქი“. ამ ნათქვამს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სრულიად არასახუმარო გაგრძელება მოჰყვა. დაპატიმრებულმა ყოფილმა მაღალჩინოსნებმა საკუთარი საკნების მოწესრიგება დაიწყეს, შემდეგ კი ციხეების გიგანტური მშენებლობის ეპოქაც დაიწყო და პატიმრების რაოდენობაც გაოთხმაგდა. **იმ პერიოდში ერთმა მაღალჩინოსანმა ცოლს ციხიდან შემოუთვალა: „იქნებ სკამები შემომიგზავნო, თორემ აქ ისეთი ხალხია, საწოლზე ჩამოჯდომა ეუხერხულებათ და ჩამოვწყდით ფეხზე დგომითო“!**

„Пешком постою!“ — ამბობდა საბჭოთა კინოკომედიის გმირი, რომელსაც დაჯდომა არ შეეძლო საჯდომში ჩარჩენილი საფანტის გამო. მაინც ჩასვეს. მისი თანამზრახველები კი ხმის ჩახლეჩამდე ყვიროდნენ: **„გაუმარჯოს საბჭოთა მართლმსაჯულებას, — ყველაზე ჰუმანურს მსოფლიოში“!** ჩვენი მართლმსაჯულება არც საბჭოთაა და არც ჰუმანური. იგი იმდენად ლიბერალურია, რომ ალუმინის ქურდობისთვის გაცილებით მეტს უსჯიან, ვიდრე ბრეივიკს, რომელმაც 84 უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა. ერთმა ფორუმელმა ინტერნეტში დაიჩივლა: **„თითო მოკლულზე თითო წელი მაინც მიუსაჯონო“!**

**ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები, იმ კინოგმირივით, ცხოვრებას პერსონალური ავტომობილის ფანჯრიდან აკვირდებიან. მინა აწეული აქვთ, კონდიციონერი — ჩართული. მათ არ ცხელათ. არც შიათ, არც წყურიათ, არც გართობა აკლიათ და არც დასვენება. მათი ბედნიერება ის არის, რომ არ ესმით, რატომ დადიან დანარჩენები ფეხით და სამარშრუტო ტაქსში 80 თეთრის გადახდა ენანებათ. არ ესმით, რატომ არ გადის მოსახლეობა სრულ სამედიცინო შემოწმებას ექვს თვეში ერთხელ. ვერ ხვდებიან, რატომ შეიძლება ცუდ ხასიათზე იყო და თანაც – მშიერი. ვერ გაუგიათ, რატომ ვართ ჩვენ ასეთი არაადეკვატურები. ოღონდ გაუგებარია, როგორ შეიძლება იყო ადეკვატური იმ ხელისუფლების მიმართ, რომელიც საკუთარი ხალხის ცხოვრებას სრულიად მოწყვეტილია?!**

**ნანა დევდარიანი**

**ქვეყანა, რომელსაც «ყვარყვარე თუთაბერი» და «დათა თუთაშხია» ჰყავს, იოლად ეგუება ყვარყვარეს ციხეს და იმედით ელის, როდის ჩამოჰკრავს ზარს ჭაში დაყუნთული ზებო**

ლევან ღვინჯილიას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როცა სახელმწიფო ტოტალურ ტყუილებზე იყო დაფუძნებული, სიცრუეს საზოგადოებაშიც ფართო გასაქანი ჰქონდა და, სამწუხაროდ, დღესაც ასეა. ამ ბოლო დროს კი განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა ე.წ. სახელისუფლებო ტყუილებმა, რასაც მიზეზ-შედეგობრივად მოსდევს მმართველი გუნდის მიმართ ლოიალურად განწყობილ ბეჭდურ თუ ელექტრონულ საინფორმაციო საშუალებათა მიერ ტირაჟირებული თუ მათ მიერ მოგონილი მედიატყუილები. ეს თემა იმდენად ამოუწურავი და მრავლისმომცველია, რომ შეიძლება მას საგანგებო ვრცელი ნაშრომიც კი მიეძღვნას**

# სიცრუის მარათონი და მიშმადიდებელი ტელეარხების ქვეცნობიერი აღიარებანი

**„სიცრუე“** და **„ტყუილი“** სინონიმებია და ამიტომაც მათი განმარტებები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება. **„სიცრუე“** — რაც სინამდვილეს განზრახ დამახინჯებულად წარმოგვიდგენს, **რაც მართალი არ არის, — ტყუილი, ცრუობა** (ქეგლ. ტ. VI); ახლა **„ტყუილის“** განმარტებაც ვნახოთ: — **რაც მართალი არ არის, რაც სინამდვილეს არ შეეფერება,** — **სიცრუე** (ქეგლ. იქვე).

ტყუილი ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად იქცა. **იტყუება ყველა: ნაცნობი თუ უცნობი, ხელოვანი თუ პოლიტიკოსი, ვაჭარი თუ გლეხი, მინისტრი თუ პარლამენტარი, ჟურნალისტი თუ პრეზიდენტი...** ჩამონათვალი, ცხადია, ბევრად უფრო ვრცელი შეიძლება იყოს, მაგრამ ამჯერად ეს ვიკმაროთ და, მეტი დამაჯერებლობისთვის, რამდენიმე კონკრეტული მაგალითიც მოვიშველიოთ.

მანამდე კი მინდა შეგახსენოთ ტყუილის ფეხებთან დაკავშირებული ერთი ჩვენებური ანდაზა; იტყვიან ხოლმე — **„ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“** და, რაკი ეს ნამდვილად ასეა, **ტყუილი „შორს ვერ წავა“, იგი მალე გამოაშკარავდება და ამიტომაცაა, რომ სიცრუე (ტყუილი) ულირს საქციელადაა მიჩნეული;** გარდა იმისა, რომ სიცრუე საზიანოა, მავნებელია, წესიერი ადამიანისთვის ყოვლად შეუფერებელია **(„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე — სულსა“).** ჩვენი დიდი წინაპრები ცრუსა და მატყუარას უმკაცრესად დასჯის ღირსად მიიჩნევდნენ, რაც **რუსთაველის** კიდევ ერთი ცნობილი ტაეპიდანაც კარგად ჩანს: **„კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად“-ო, ამბობს ავთანდილი.**

გადმოცემის მიხედვით, კითხვაზე — **„შვილი მოგიკლა თუ სიცრუე მოგიგონოო?“** — ქართველ კაცს უთქვამს: **„შვილი მომიკალიო“** (ქეგლ. ტ. VI).

არცთუ შორეულ წარსულში სიცრუისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება **საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნეოდა** და საამისოდ უხვად იყო მომარჯვებული შესაბამისი მასალები ცხოვრებისეული გამოცდილებიდან თუ მხატვრული ლიტერატურიდან. **„ტყუილის მთქმელს, ცრუს და ორგულს ნუ გაიხდი თანამგზავრად, თორემ ბოლოს დაინანებ და ჩაგყვება გულში ჯავრად“...**

ანალოგიური პოეტური სტროფების შეტანა სასკოლო სახელმძღვანელოებში სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა, მაგრამ, რასაკვირველია, შედეგი ყოველთვის სასურველი არ იყო: **როცა სახელმწიფო ტოტალურ ტყუილებზე იყო დაფუძნებული, სიცრუეს საზოგადოებაშიც ფართო გასაქანი ჰქონდა და, სამწუხაროდ, დღესაც ასეა.** ამ ბოლო დროს კი განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა ე.წ. **სახელისუფლებო ტყუილებმა, რასაც მიზეზ-შედეგობრივად მოსდევს მმართველი გუნდის მიმართ ლოიალურად განწყობილ ბეჭდურ თუ ელექტრონულ საინფორმაციო საშუალებათა მიერ ტირაჟირებული თუ მათ მიერ მოგონილი მედიატყუილები.** ეს თემა იმდენად ამოუწურავი და მრავლისმომცველია, რომ შეიძლება მას საგანგებო ვრცელი ნაშრომიც კი მიეძღვნას, მაგრამ მე ამჯერად განზრახული მაქვს ძირითადად **სიცრუესთან დაკავშირებული ენობრივი ასპექტებით შემოვიფარგლო.**

ტყუილიც არის და ტყუილიც! ზოგჯერ იგი უმეცრებითაა გამოწვეული და შეიძლება ითქვას, რომ უფრო უნებლიე უზუსტობაა. მაგალითად, ასეთი — ამ ცოტა ხნის წინ, ბათუმში ყოფნისას **საქართველოს პრეზიდენტმა** განაცხადა: **„ბათუმში ხუთი წლის წინ ჩვენ დავიწყეთ... მთლიანად შევცვალეთ კანალიზაციის, წყალსადენის სისტემა. ეს ნიშნავს, რომ ამ ქალაქში 300.000 ოჯახს ექნება ევროპაში საუკეთესო წყალსადენი კანალიზაციის სისტემა; ეს ნიშნავს, რომ ბათუმის მოსახლეობა, ჩვენი მოდერნიზაციის 2015 წლის გეგმით, იქნება არა 200.000, როგორც იქნება მომავალი წლის დასაწყისში, არამედ იქნება 300.000 ადამიანი“.**

როგორც ხედავთ, პატივცემულმა ორატორმა, ეს წუთია, ბრძანა, რომ 5 წლის წინ შეცვლილი კანალიზაციის სისტემის წყალობით **„ევროპაში საუკეთესო წყალსადენი კანალიზაციის სისტემა“** მიუღია **300.000 ოჯახს, რაც, რა თქმა უნდა, მტკნარი სიცრუეა — ბათუმში 300.000 ოჯახი (!) არ ცხოვრობს და არც ამის ნახევარი.** აკი, მომდევნო წინადადებაში თვითონვე აზუსტებს, რომ **ბათუმის** მოსახლეობა **2012 წლის დასაწყისში იქნება — 200.000, ხოლო სამი წლის შემდეგ (2015 წ.) გახდება 300.000,** რაც ნიშნავს იმას, რომ **აჭარის** დედაქალაქის მოსახლეობა 2015 წლამდე გაიზრდება 50%-ით. **გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა!** როცა **300.000 ოჯახი** ახსენა, ეტყობა, **პრეზიდენტი** არც კი დაფიქრებულა, რომ **ეს დაახლოებით**



**ერთ მილიონზე მეტი ადამიანია,** ამდენი კი არათუ ბათუმში, არამედ მთელ **აჭარაში** არ ცხოვრობს.

**ცნობისათვის:** 2002 წლის მონაცემებით, **ბათუმში** ცხოვრობდა დაახლოებით 122 ათასი კაცი, ხოლო მთელი **აჭარის მოსახლეობა ჯერჯერობით 400.000-ზე ნაკლებია.** მინდა დავიჯერო, რომ **საქართველოს პრეზიდენტს** არ ჰქონდა განზრახვა, შეგნებულად მოეტყუებინა მისი მსმენელი, უბრალოდ **ცოტათი მათემატიკამ უმუხთლა.**

**შეგნებული ტყუილის** მაგალითი კი იმავე დღეს და იმავე ტელეარხზე მრავლად ვიხილე და მოვისმინე. აი, თუნდაც ასეთი: სვანეთის თოვლიანი მთებით მოხიბლული **ფრანგი ტურისტი ჟან ლუკ ტატელი** ქართველ ტელეჟურნალისტს ეუბნება (ამ დროს მისი ხმა სუფთად ისმის) — **„ჟე სუი ტრე კონტან დ’ეტრ ისი“,** ხოლო ქართულად გვითარგმნიან ასე: **„თავიდან სიტუაცია კარგად ვერ შევაფასე და მოგვიწია, აღჭურვილობა ადგილობრივი მოსახლეობისაგან გვეთხოვა“.**

სინამდვილეში კი **ფრანგმა ტურისტმა თქვა: „მე დიდად (ძალიან) კმაყოფილი ვარ აქ ყოფნით“-ო.**

მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ **ჩვენი ტელეჟურნალისტები ხშირად თურმე უკადრებელსაც კადრულობენ და რესპონდენტის ხმას ადებენ ისეთ ტექსტს, რომლის მსგავსი მას (რესპონდენტს) აზრადაც არ მოსვლია.**

რა თქმა უნდა, ეს სიყალბეა და აუცილებელია, ასეთი უზნეობა (მგონი, არ ვაჭარბებ) ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეთოს.

წინა პუბლიკაციაში მე შეგპირდით, რომ ვისაუბრებდი ისეთი **ფსიქოლინგვისტური** მოვლენის შესახებ, რომელიც ცნობილია **„ქვეცნობიერი აღიარების“** სახელწოდებით. საქმე ისაა, რომ სიტყვით გამოსვლისას თურმე **ორატორს ზოგჯერ წამოსცდება ისეთი სიტყვა ან ფრაზა, რომლის თქმა მას არ უნდოდა,** რასაც საგულდაგულოდ **მალავდა, მაგრამ უნებურად წამოცდენილი სიტყვა (ფრაზა) ფარდას ხდის მის ფარულ ნააზრევს, რისი გამხელაც მას განზრახული არ ჰქონია. საქართველოს** ამჟამინდელი **პრეზიდენტის საჯარო გამოსვლები ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა და, ვფიქრობ, ფსიქოლინგვისტებს უხვი მასალით მოამარაგებდა.**

გთავაზობთ ფრაგმენტს სასტუმრო **„რადისონ ბლუ, ბათუმის“** გახსნაზე წარმოთქმული სიტყვიდან: **„(ბათუმი) ყველა პარამეტრით ცხოვრების და კომფორტით ორ-სამ წელიწადში ჩაისვამს ჯიბეში ნიცასაც** და **კანსაც.** ეს არ არის **ის, რასაც ჩვენ ვიგონებთ, ეს არის აბსოლუტურად ელემენტარული რეალობა“.**

რამდენად **„მოახერხებს“ ბათუმი,** რომ ორ-სამ წელიწადში **ნიცა** და **კანი „ჩაისვას ჯიბეში“,** ეს ცალკე საკითხია და ამის ექსპერტად მე ვერ გამოვდგები. თვით გამოთქმა **„ჯიბეში ჩაისვამს“** რომ ჟარგონია და **პრეზიდენტის ლექსიკას ასეთი გამონათქვამები რომ არ უნდა „ამშვენებდეს“**, ამაზე არაერთგზის გვითქვამს მეც და სხვებსაც, მაგრამ, როგორც ჩანს, **დროა, კედლისთვის ცერცვის შეყრას შევეშვათ,** სანამ მოგვიტრიალდება შენიშვნების მოსმენით (ან წაკითხვით) **გაბრაზებული პრეზიდენტი** და მარტივად გვეტყვის იმას, რაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, **„ერთადერთი პასუხია ამაზე: — ვაი, შენს პატრონს!“**

ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტში ჩემი ყურადღება სხვა წინადადებამ მიიპყრო და არცთუ შემთხვევით; **ბატონმა მიხეილმა** თქვა: **„ეს არ არის ის, რასაც ჩვენ ვიგონებთ“...** მე კი დავსძენ, აი, **ეს არის ის, რაზეც ზემოთ მოგახსენებდით,** ანუ — **„ქვეცნობიერი აღიარება“.** პრეზიდენტმა ერთმნიშვნელოვნად, მკაფიოდ და თავის სიმართლეში დარწმუნებულმა ბრძანა, რომ **„ეს არის აბსოლუტურად ელემენტარული რეალობა“,** რაზეც მე კამათს სულაც არ ვაპირებ, მაგრამ ის, რაც ამ წინადადებას წინ უძღოდა, ნამდვილად საინტერესოა: **„ეს არ არის ის, რასაც ჩვენ ვიგონებთ,“** — თქვა მან და ამით ქვეცნობიერად **„აღიარა“,** რომ, დიახ, **ისინი** („ჩვენ“), **ზოგჯერ მაინც, მსგავს რაღაცებს იგონებენ,** ოღონდ ამჯერად **„ეს არ არის ის”-ო.**

ამ წუთას მომეჩვენა, თითქოს მკითხველმა თავისთვის ჩაილაპარაკა: **„ცნობიერად და შეგნებულად იმდენს „გვაბოლებს“** ეს კაცი და დიდი საქმე, თუ ქვეცნობიერად რაღაც წამოსცდაო“. კი! ნამდვილად ასეა, მაგრამ ჩემთვის, როგორც ლინგვისტისთვის, ასეთი ფაქტები ყოველთვის საინტერესოა.

ან კიდევ: **„დღეს ვისაც... ვისაც საქართველოში** ოდნავ რამის დანახვა შეუძლია, **ვისაც რეგიონში თვალები აქვს და ყურები აქვს,** ყველა ლაპარაკობს საქართველოს ეკონომიკურ სასწაულზე, საქართველოს ეკონომიკურ მოდელზე“ — ამ ამონარიდში ჩემი ყურადღება მიიპყრო ფრაზამ: **„ვისაც რეგიონში** თვა- ▶

**როცა 300.000 ოჯახი ახსენა, ეტყობა, პრეზიდენტი არც კი დაფიქრებულა, რომ ეს დაახლოებით ერთ მილიონზე მეტი ადამიანია, ამდენი კი არათუ ბათუმში, არამედ მთელ აჭარაში არ ცხოვრობს**



# რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს... წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!..

*გრიგოლ ორბელიანი*

ლევან ლვინძილიას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ლები აქვს და ყურები აქვს“, მაგრამ ზეპირად გამოსვლის დროს კაცს (თუნდაც პრეზიდენტს) მსგავსი რამ წამოსცდეს, რა გასაკვირია.**

კიდევ უფრო საინტერესოა მომდევნო ფრაგმენტი: **„...და ეს არ არის ჩემი სიტყვები (ეს თქვა იმათ გასაგონად, ვისაც ჰგონია, რომ მას არ უნდა დაუჯერონ. — ლ.ღ.), ეს არ არის „რუსთავი 2“, „იმედი“, „პირველი არხი“ და არც — „კავკასია“. ეს არის მსოფლიოს ყველაზე წამყვანი ტელევიზია და მისი ყველაზე წამყვანი კორესპონდენტი“.**

რომ გავშიფროთ, **პრეზიდენტი** ამბობს: თუ გინდათ, მე ნუ დამიჯერებთ და ნურც „ჩემს“ ტელეკომპანიებსო და ჩამოთვალა სამივე სამთავრობო არხი **(„რუსთავი 2“, „იმედი“, „პირველი არხი“),** რაც გასაკვირი სულაც არაა, ესენი ხომ ფაქტობრივად **ხელისუფლებისთვის გუნდრუკის კმევაში ათენ-ალამებენ,** მაგრამ, ცოტა არ იყოს, არ მოველოდი ამ კონტექსტში **„კავკასიის“** ხსენებას. **„ქვეცნობიერი აღიარების“** კვალობაზე გამოდის, რომ **პრეზიდენტს „კავკასიაც“** ისევე **„თავის არხად“** მიაჩნია, როგორც **ის სამი.** თუმცა, ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ ამ კონტექსტში **„კავკასიის“** ხსენება შეიძლება სულაც შეგნებული სვლა იყო, რითაც ეჭვის მარცვალი გადაუგდო იმ ტელემაყურებლებს, რომელთაც ტელეკომპანია **„კავკასიის“** მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში აქამდე ეჭვი არ ეპარებოდათ.

გამოსვლის დასასრულს ახალგახსნილი სასტუმროს შესახებ პრეზიდენტმა თქვა: **„ეს დიდი აგურია, მომავალი, ამ წუთში გვადგას თავზე და ვიმყოფებით მასში. კიდევ ერთხელ მომილოცავს, დიდი მადლობა და ეს ერთი და სხვა მრავალი“.**

ცნობილია, რომ ენა, საზოგადოდ, მეტაფორული მოვლენაა, მაგრამ ასეთი მეტაფორის გააზრება ჩემნაირი უბრალო მოკვდავის შესაძლებლობებს ნამდვილად აღემატება. **აგურის** ხსენება აქ, შეიძლება, მთლად უადგილო არ იყოს — **მომავლის საქართველოს წარმატებული აღმშენებლობის საქმეში დადებულ აგურად ამ ახალი სასტუმროს მიჩნევა რატომაც არ უნდა „ჩავუთვალოთ“ ქვეყნის მეთაურს,** მით უმეტეს, რომ **ერთი ასეთი აგური** (ფორმითაც რომ წააგავს) **თბილისშიაც** დგას, ანუ **„ორი აგური“ უკვე ხელში გვიჭირავს, დანარჩენი ჩვენს მარიფათზეცაა დამოკიდებული.**

სხვა საქმეა, რომ მე ამ მეტაფორის იმ ნაწილის გაგება გამიჭირდა, სადაც პრეზიდენტი ამბობს: **„ამ წუთში გვადგას თავზე და ვიმყოფებით მასში“**-ო.

**აგური გვადგას თავზე,** თუ ჩვენ **ვიმყოფებით აგურში,** ეს მთლად კარგად ვერ გავიზიარე და ცოტაც დავიბენი. არადა, ღირსი არ ვარ, ზემოთ მოყვანილი ფრაზის ავტორი მომიტრიალდეს და კიდევ ერთხელ მითხრას: **„ვაი, შენს პატრონსო?“,** მაგრამ თავს იმით ვინუგეშებ, რომ **ასეთ რამეს იგი მხოლოდ ინტელექტუალებს ეუბნება.**

ქართველი ტელემაყურებელი უთუოდ მიაქცევდა ყურადღებას, რომ **„რუსთავი 2“-ის** საინფორმაციო გამოშვებების დაწყებამდე **„კურიერის“** ქუდს წინ უძღვის რამდენიმეწამიანი რეკლამა-პლაკატი: **„ახალი ამბები კეთდება აქ“.** თანაც, სიტყვა **„კეთდება“** საგანგებოდ ხაზგასმულია. მე რომ მკითხოს კაცმა, **ეს არის „ქვეცნობიერი აღიარების“ კლასიკური მაგალითი.**

მართალია, **„კეთდება“** და მასთან დაკავშირებული ზმნები **(„აკეთებს“, „გააკეთა“** და მისთანანი) თანამედროვე ქართულ მეტყველებაში ერთობ გავრცელებულია — **„კეთდება შემოწმება“, „გააკეთა ჩაწოდება (**ბურთისა“**), „გაუკეთა წარდგინება“, „უკეთდება შუამდგომლობა“** და მრავალი სხვა, რაც, ჩვეულებრივ, **ენალარიბთა მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი** და, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მათი აღმოფხვრის იმედი არ ჩანს, მაგრამ **„რუსთავი 2“-ის** ზემოხსენებული რეკლამა ენობრივი თვალსაზრისით გამართულია.

რაც შეეხება მისი შინაარსის მიმართებას სინამდვილესთან, ცხადია, ჯობდა დაეწერათ: **„აქ მზადდება საინფორმაციო გამოშვებები“**-ო, მაგრამ, როგორც ჩანს, **ქვეცნობიერად წასცდათ ის, რასაც ჩვეულებრივ მალავენ, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, „რუსთავი 2“-მა** უნებურად აღიარა, რომ **ისინი ახალ ამბებს მართლა აკეთებენ იმის მიხედვით, თუ როდის, რა ვითარებაში რისი და როგორ გაკეთება იქნება მიჩნეული მიზანშეწონილად (!).**

**„ახალი ამბების** (ანუ ზოგადად — ინფორმაციის) **გაკეთების“ მაგალითების მოყვანა არცთუ ისე ძნელია.** საამისოდ შორს წასვლა არ დაგვჭირდება. სავსებით საკმარისია, ჩემ მიერ **პრეზიდენტის** გამოსვლიდან დამოწმებული ტექსტი შევადაროთ იმ მასალას, რაც გაავრცელეს **პრეზიდენტის პრესსამსახურმა** თუ სხვა სახელისუფლო საინფორმაციო სააგენტოებმა.

ცხადია, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც **პრეზიდენტის** საჯარო გამოსვლის სტენოგრაფიული ჩანაწერი მნიშვნელოვნად განსხვავდება იმავე ტექსტის ოფიციალური ვერსიისგან. მაგალითად, ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ **პრეზიდენტმა** მისთვის ჩვეული რიხით თქვა: **„(ბათუმი) ორ-სამ წელიწადში ჩაისვამს ჯიბეში ნიცასაც და კანსაც, ეს არის აბსოლუტურად ელემენტარული რეალობა“**-ო.

პრესცენტრის ვერსია: **„... 2-3 წელიწადში ცხოვრებისა და კომფორტის ყველა პარამეტრით აჯობებს როგორც ნიცას, ისე კანს“...**

კი, მაგრამ სად გაქრა **პრეზიდენტისეული „ჩაისვამს ჯიბეში?“**

**საინტერესოა, ვისა აქვს უფლება, პრეზიდენტს ტექსტი შეუცვალოს?**

ახ! საჩოთირო გამოთქმა იყო და გაუსუფთავეთ? კი, მაგრამ **შუბი ხალთაში რომ არ იმალება?**

**პრეზიდენტმა** თქვა: **„ეს არ არის ის, რასაც ჩვენ ვიგონებთ. ეს არის აბსოლუტურად ელემენტარული რეალობა“.**

პრესცენტრი: **„ეს ჩვენი გამოგონილი არ არის — ეს არის აბსოლუტური და ელემენტარული რეალობა“.**

მინდა ვიკითხო, **„აბსოლუტურად ელემენტარული“** და **„აბსოლუტური და ელემენტარული“** ვინმეს ჰგონია, რომ ერთი და იგივეა? ჩემი აზრით, **ამის გაკეთება არ შეიძლება.**

ეს არის ისეთივე სიყალბე, როგორი ყალბიცაა თითქმის ყველა ის **„მოულოდნელი“ სტუმრობები პრეზიდენტისა ხანდაზმულებთან, რომლებიც კარს შიგნიდან აღებენ და მერე თვალთმაქცობენ, თითქოს დაუპატიჟებელი სტუმრის მოსვლით უზომოდ გაიხარეს.** იმას კი სულ არ ვაქცევთ ყურადღებას, რომ ამ ამბების გადამღები **ოპერატორი პენსიონერი ბებიისა** თუ **პაპის ზურგსუკან დგას და ისე იღებს** „მოულოდნელი სტუმრის“ შემოსვლას მასპინძლის საცხოვრისში.





«რუსთავი 2»-მა უნებურად აღიარა, რომ ისინი ახალ ამბებს მართლა აკეთებენ იმის მიხედვით, თუ როდის, რა ვითარებაში რისი და როგორ გაკეთება იქნება მიჩნეული მიზანშეწონილად (!)

ან, თუ გნებავთ, ის ადგილი გადავამოწმოთ, სადაც **პრეზიდენტი** ამბობს: **„ეს დიდი აგურია, მომავალი, ამ წუთში გვადგას თავზე და ვიმყოფებით მასში“.**

ამ სიტყვების პრესცენტრისეული ვერსია კი ასეთია: **„ამ სასტუმროს შენობაც აგურის ერთი მწკრივია ჩვენი ქვეყნის მომავალში“.**

ყოჩაღ! აი, რედაქტირებაც ამას ჰქვია! რა **„აგურის ერთი მწკრივი“,** საიდან? ვინ თქვა მსგავსი რამ? ეტყობა, იგრძნეს პრეზიდენტის გულშემატკივრებმა, რომ გამოსვლის ფინალი მთლად ვერ იყო წელში გამოყვანილი, მაგრამ ასეთ თავისუფალ ვარიაციებს მაინც არ მოველოდი, თუმცა რა გასაკვირია იმ ქვეყანაში, სადაც **„ახალი ამბები კეთდება“?** (და — არამარტო ახალი ამბები!).

იმავე გამოსვლაში **პრეზიდენტმა** თქვა: **„კარგად იცით, რასაც ამბობენ ქართველები. გაიარეთ ქუჩაში და თავად მოგიყვებიან ჩემზე უკეთესად, რადგან საქართველო ამაყობს ამ ადგილებით, მაგრამ მინდა გიჩვენოთ და წაგიკითხოთ, თუ რას წერენ ქართველები საქართველოს განვითარებაზე“.**

ხომ არ გეჩვენებათ, რომ ამ კონტექსტში სიტყვა **„ქართველები“** არაა მთლად მორგებულად ნახმარი? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს **ქართველების** შესახებ სხვა — **არაქართველი** მესაუბრება: **„ესენი ვერასოდეს ვერ გაიგებენ** („ინტელექტუალებს“ გულისხმობს. — ლ. ღ.), **მაგრამ ჩვენ და ჩვენი ხალხი** ამას მშვენივრად იგებს **და მიდის წინ“,** — დასძენს **ბატონი პრეზიდენტი“.** გამოდის, რომ **„ისინი“,** ანუ **ქართველები** რაღაცას ვერ იგებენ **(„მინდა გაჩვენოთ და წაგიკითხოთ, თუ რას წერენ ქართველები საქართველოს განვითარებაზე“),** ხოლო **ბატონი მიხეილი** და **„მისი“ ხალხი** („ჩვენ და ჩვენი ხალხი“...) ყველაფერს კარგად ხედავენ და მიდიან წინ.

ორატორი იქვე დასძენს: **„არაფერს ვამბობ ამის დამწერის გონებრივ შესაძლებლობებზე — ნამდვილად არ მინდა ვინმე გავაკრიტიკო, მაგრამ...** და „გაკრიტიკება“ ამის შემდეგ უნდა ნახოთ: **„ის არის კლასიკური არქეტიპი რუსეთის მიერ ჩამოყალიბებული მონისა საქართველოში“** და სხვა... მაგრამ ეს თურმე გაკრიტიკება არ ყოფილა(!).

პრესცენტრისეულ ვერსიაში გამოტოვებულია მთელი მონაკვეთი, რომელიც უძღოდა **პრეზიდენტის** მიერ მეორე **„ქართველი“ „ინტელექტუალის“** ციტირებას. მართალია, **პრეზიდენტის** გამოსვლის პრესცენტრისეულ ტექსტში სიტყვა **ინტელექტუალი** ბრჭყალებშია ჩასმული და, ჩემი აზრით, არა იმიტომ, რომ ადრესატს ეს სიტყვა **(„ინტელექტუალი“)** არ მიესადაგება, არამედ თვით **ბატონი პრეზიდენტი** ფიქრობს ასე და კიდევაც დასცინის მას, მაგრამ ეს ფრაგმენტი **პრეზიდენტის** სამსახურმა ოფიციალურ ვერსიაში გამოსაქვეყნებლად არ მიიჩნია;

ამის მიუხედავად, სათქმელი ითქვა და აწი გინდა — დაბეჭდე და გინდა — დამალე!

სინამდვილეში კი **ბატონმა პრეზიდენტმა** თქვა: **„...ამიტომ მინდა მეორე რაღაცა წაგიკითხოთ. ისე, დღეს ცოტა ამათი (**„ინტელექტუალების“. — ლ. ღ.) **დაცინვის ხასიათზე... დაცინვა არ არის ჩემ სტილში, მარა ცოტა, ცოტა უნდა გავაშაყირო** (აი, კიდევ ერთი **„მარგალიტი“. —** ლ. ღ.), **არ შემიძლია** (ანუ: არ შეუძლია, რომ არ გააშაყირნოს. — ლ. ღ.). **მეორე ინტელექტუალი რას წერს ამას წინათ“.**

ეს ბოლო წინადადება პრესცენტრმა ასე გადააკეთა: **„მინდა კიდევ ერთი რამ წაგიკითხოთ“. მან კი თქვა არა „კიდევ ერთი რამ“,** არამედ — **„მეორე რაღაცა“.**

**ეჰ! რამდენი დაკვირვება და მოზომვაა საჭირო, სანამ კაცი რამეს იტყვი, თორემ შეიძლება ისეთი რამ წამოგცდეს, რომ შენდაუნებურად შენივე არაქართველობის „ქვეცნობიერი აღიარება“ გამოგივიდეს.**



მიხეილ სააკაშვილი:
ეს დიდი აგურია, მომავალი, ამ წუთში გვადგას თავზე და ვიმყოფებით მასში

„ბლუ ივერია“ და „ბლუ ბათუმი“

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ცხინვალში სააკაშვილის შეჭრა იყო წმინდა წყლის პროვოკაცია, რომელსაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოჰყვებოდა საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება. ამ უგუნურ გადაწყვეტილებას მხოლოდ ის შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა, რომელიც მოჰყვა: ერთის მხრივ, უზარმაზარი მსხვერპლი, მეორეს მხრივ კი, ფაქტობრივად დაკარგულის იურიდიულად დაკარგვა. ასეთია იმ ტრაგიკული მოვლენის ჩემეული შეფასება, რომელიც, სხვათა შორის, ემთხვევა ჰაიდი ტალიავინის კომისიის დასკვნას“...**



ვალერი კვარაცხელია:

# ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესშია სააკაშვილის აქ ყოფნა, მანამდე მას რევოლუციებით ვერაფერს დავაკლებთ

**ჯავშნოსანი პოტიომკინი, უფრო ზუსტად, „თავადი პოტიომკინ ტავრიჩესკი“, საბრძოლო ხომალდი, რომლის მეზღვაურები რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის დროს აჯანყდნენ. ლეგენდარული მარტოსული ან თვითკმარი რევოლუციური აქტი იმპერიის შეიარაღებულ ძალებში, რომლის მთავარ ანძაზე 11 დღის განმავლობაში ფრიალებდა თავისუფლების წითელი დროშა. მხოლოდ ამ, სხვა ხომალდების მიერ მხარდაუჭერელმა საბრძოლო ერთეულმა, გაბედა, აღმდგარიყო ცარიზმის წინააღმდეგ. გმირობა — გამონაკლისი.**
**ძალა, რა თქმა უნდა, ერთობაშია, მაგრამ ისტორია გვასწავლის, რომ ერთეულის მაგალითი განსაკუთრებული ძალის მუხტია, საზოგადოებრივი კატაკლიზმების ჟამს. „პოტიომკინი“ რუმინეთის ხელისუფლებას ჩაბარდა ისე, რომ რუსეთის იმპერიის წინაშე ქედი არ მოუდრეკია. რომანტიკული თავზეხელაღებულობისა და იდეის ერთგულების ეს უნიკალური ისტორიული მაგალითი მახსენდება პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ ლიდერთან, ცნობილ ჟურნალისტთან და პუბლიცისტთან — ვალერი კვარაცხელიასთან ინტერვიუს ჩამოსართმევად მიმავალს. ამ პიროვნების მოღვაწეობის თავისებურება, ჩემი აზრით, „პოტიომკინთან“ პარალელის გავლების უფლებას იძლევა.**

**— ხომ არ ვცდები, ბატონო ვალერი?**

— ჯავშნოსანი „პოტიომკინი“ — ეს ძალიან მაღალი შეფასებაა. თუ არ ვცდები, ამ ხომალდს მოგვიანებით სახელი შეუცვალეს და თავისუფლებისთვის მებრძოლი („ბორეც ზა სვობოდუ“) უწოდეს. ჩვენც პოტიომკინივით პირველები და მარტონი ვიყავით... სალაპარაკო ბევრია. ძალიან რთულ ეპოქაში ვცხოვრობთ და სირთულის ერთი უმთავრესი მახასიათებელი ისაა, რომ სიმართლე დავკარგეთ. ყველამ ჩვენ ჩვენი სიმართლის პოვნა მოვინდომეთ და მთავარ ხაზს, გეზს ავცდით, ღირებულებების იერარქია აგვერია, სამშობლო აღარავის ახსოვს, მომრავლდნენ ყვარყვარეები, მედროვენი, რომლებიც ფიქრობენ, რომ სწორედ ახლა შეუძლიათ კარგ მატერიალურ ცხოვრებას გამოჰკრან ხელი. გამოჰკრა კიდეც ხელი ძალიან ბევრმა. **აივსო ქვეყანა პოლიტიკური ნაგვით როგორც ხელისუფლებაში, ისე ე. წ. ოპოზიციაში. მიდის შეჯიბრი, სათავისოდ ვინ მეტის მიღებას მოახერხებს. სამშობლო, ქვეყნის ბედი და ჩვენი შვილების მომავალი მეორეხარისხოვანი და, ხშირ შემთხვევაში, დასაცინი გახდა.**

თუ სწორად იქნება გაგებული თქვენი მოხმობილი ალეგორია, მართლა არ გვიღალატია მრწამსისთვის. მარტო არ ვყოფილვარ: მე და ვახტანგ გოგუაძე ხელიხელჩაკიდებულნი მოვდიოდით და სიმართლე იყო ჩვენს მხარეს.

**— თავიდან ისე ჩანდა, რომ იყავით ორი პიროვნება, განდეგილებივით. როგორ მოხდა პარტიად თქვენი ტრანსფორმაცია?**

— თავიდანვე მართლაც პიროვნების დონეზე იყო ეს ყველაფერი. შემდეგ ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელსაც საქართველო-რუსეთის მეგობრობის ცენტრი დავარქვით. ვცდილობდით, რომ ამ მიმართულებით რაღაც საყრდენი წერტილი არსებულიყო ქვეყანაში.

**ქვეყანა დაგვენგრა იმიტომ, რომ ისტორიული ორბიტიდან მოვწყდით, ჩვენი განვითარების მთავარ ხაზს ვუღალატეთ — ერეკლედან და ერეკლემდე, თამარის ეპოქიდან მოყოლებულს, და სხვა ორბიტაზე გადასროლილი აღმოვჩნდით. ზოგს ჰგონია, რომ ესაა ისტორიული სამართლიანობა, მაგრამ რეალობა საწინააღმდეგო აღმოჩნდა. შედეგად მივიღეთ სამ ნაწილად დაშლილი საქართველო, ბოლომდე განადგურებული ეკონომიკა და სოციალური რეალობა, მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტი საზღვარგარეთაა გაქცეული ლუკმაპურის საშოვნელად, და სრული უპერსპექტივობა.**

ჩვენ მიერ დაფუძნებულ საზოგადოებრივ მოძრაობას ხელი უნდა შეეწყო იმისთვის, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კონფრონტაციის გზით კი არ წარმართულიყო, არამედ — ინტერესთა ჰარმონიზების მიმართულებით.

მაგრამ ერთ მხარესთან — რუსეთთან ინტერესთა ჰარმონიზებას არ უნდა გამოეწვია მეორე მხარესთან დაპირისპირება. ესაა, ჩვენი აზრით, ნეიტრალიტეტი. ჩვენ უარს ვამბობთ ნებისმიერ სამხედრო ბლოკში გაწევრებაზე, ვინარჩუნებთ ნეიტრალიტეტს, რითაც სულ უფრო მაღლდება ჩვენი სუვერენიტეტის ხარისხი, გვარდება რუსეთთან ურთიერთობა, არ ვუპირისპირდებით დასავლეთ სამყაროს.

მოგვიანებით დავაფუძნეთ პარტია „ნეიტრალური საქართველო“. დღემდე ვარსებობთ, მაგრამ დღეს ისეთი ვითარებაა, როცა ფინანსების გარეშე ეფექტიან პოლიტიკურ მუშაობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ჩვენი მიმართულების დამფინანსებელი ადამიანი კი განსაკუთრებით ძნელი მოსაძებნია. ასეა იმიტომ, რომ ეს მიმართულება საქართველოს ხელისუფალთა მიერ პრორუსულ მიმართულებასთან არის გაიგივებული, აქედან გამომდინარე ყველა უბედურებით.

გავუძელით. ამ კუთხით ჩვენი შედარება ჯავშნოსან „პოტიომკინთან“ შეიძლება სწორიც არის. პრაქტიკულად გავწირეთ თავი, ოჯახები, ჩვენი საზოგადოებრივი მდგომარეობა და ა.შ.

**— თქვენ რაც თქვით, ნიშნავს ეს ორიენტაციას რუსეთზე თუ ორიენტაციას საქართველოს მომავალზე?**

— რა თქმა უნდა, საქართველოს მომავალზე, უწინარეს ყოვლისა!

საქართველო არსებობს ამ ცოდვილ დედამიწაზე სხვა სახელმწიფოებთან ერთად. მათი ინტერესების გათვალისწინების გარეშე შევძლებთ ჩვენის გატანას? ვერა, რადგან ამას უდიდესი სახელმწიფოებიც ვერ ახერხებენ: რუსეთი ითვალისწინებს აშშ-ის ინტერესებს და პირიქით, ამერიკა — რუსეთისას.

**ხშირად მსმენია ასეთი მსჯელობა: ჩვენ შევალთ თუ არა ნატოში, რუსეთს ვინ ეკითხება? ნუ კითხავ რუსეთს, მაგრამ, თუ მოხდა ასეთი სასწაული, ხომ შეეხება მის ინტერესებს? უკრაინისა და საქართველოს ნატოში შესვლა რომ არ ჩაშლილიყო, ეს ნიშნავდა ნატოს რკალში რუსეთის მოქცევას, სოჭის მისადგომებამდე ჩრდილოატლანტიკური შეიარაღების მოტანას. რუსეთი ამას, ბუნებრივია, არ მიესალმებოდა და არც დაუშვებდა.** ჩვენ არ გვაქვს ძალის პოზიციიდან ლაპარაკის შესაძლებლობა. 2008 წლის აგვისტომ ამაში უტყუარად დაგვარწმუნა...

**— თუ შეიძლება, აგვისტოს ომის თქვენეული შეფასება...**

— ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს ამა თუ იმ რეგიონის სეპარატისტული გამოხდომის თუნდაც ძალისმიერი მეთოდებით აღკვეთის უფლება, მაგრამ არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს მოსახლეობის უაზრო სისხლისღვრაში ჩათრევის უფლება. **ცხინვალში სააკაშვილის შეჭრა იყო წმინდა წყლის პროვოკაცია, რომელსაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოჰყვებოდა საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება. ამ უგუნურ გადაწყვეტილებას მხოლოდ ის შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა, რომელიც მოჰყვა: ერთის მხრივ, უზარმაზარი მსხვერპლი, მეორეს მხრივ კი, ფაქტობრივად დაკარგულის იურიდიულად დაკარგვა. ასეთია იმ ტრაგიკული მოვლენის ჩემეული შეფასება, რომელიც, სხვათა შორის, ემთხვევა ჰაიდი ტალიავინის კომისიის დასკვნას...**

საბოლოო ჯამში, ესაა რუსეთთან კონფრონტაციის სავალალო შედეგი. არ დააყოვნებს კიდევ უფრო მძიმე შედეგიც, ამ ქვეყანასთან ურთიერთობას რადიკალურად თუ არ შევცვლით. რუსეთთან ერთად ჩვენ ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო უამრავი პროექტის განხორციელება შეგვიძლია...

**— დავაზუსტოთ, თუ შეიძლება: საქართველოსთვის რუსეთთან ერთად, მაგრამ ამერიკის წინააღმდეგ?**

— არავითარ შემთხვევაში. ნეიტრალიტეტი არ შეიძლება ვინმესთან დაპირისპირებას ნიშნავდეს. რაც შეეხება რუსეთს, ფორმულა გვაქვს ასეთი: რუსეთთან მტრობას რუსეთთან მეგობრობა სჯობს! არც ერთი ჭკუათმყოფელი, დარწმუნებული ვარ, არ შეგვეკამათება.

**— შესაძლებელია თუ არა რუსეთთან მეგობრობა ყველაფერ იმის შემდეგ, რაც მოხდა, და როგორი ვითარებაც ჩვენ შორისაა ჩამოყალიბებული დღეს?**

— ხელისუფლებას რომ ჰკითხოთ, არაა შესაძლებელი. ოპოზიციის დიდი ნაწილიც ამასვე გვიმეორებს. ჩვენ ვამბობთ, რომ შესაძლებელია. როგორც უკვე ვთქვი, რუსეთთან პარტნიორობისა და მეგობრობის ამოუწურავი რესურსი არსებობს, თუ მივაგნებთ და სწორად გამოვიყენებთ.

**სადავო არ უნდა იყოს, რომ რუსეთს ხელს აძლევს, თავის სამხრეთ საზღვართან ჰყავდეს დამოუკიდებელი, დემოკრატიული ქვეყანა. ეს მის ინტერესებშია. ოღონდ რუსეთის მიმართ უნდა იყო კეთილად, პარტნიორულად განწყობილი, სათანამშრომლო მზაობით.**

**მაგრამ, როცა ვარ ინსტრუმენტი ვილაცის ხელში, მუდმივად რუსეთის წინააღმდეგ განწყობილი, მის გასაღიზიანებლად, მის წინააღმდეგ საინფორმაციო ომის საწარმოებლად, რა თქმა უნდა, საპასუხო ქმედებაც ადეკვატური იქნება.**

**— თქვენ გჯერათ პუტინის, რომ რუსეთ-საქართველოს კონფრონტაციის მიზეზთამიზეზი პირადად სააკაშვილია, რომ უიმისოდ ქართველ ხალხთან ყველა პრობლემის გადაწყვეტაა შესაძლებელი?**

— პრობლემა სააკაშვილის პერსონა კი არ არის, ის პოლიტიკაა, რომელსაც ამერიკელები მისი ხელით აქ ახორციელებენ.

**თუ ჩვენ რუსეთთან მტრობის პოლიტიკას ვარჩევთ, რა თქმა უნდა, ისიც გვმტრობს, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. ასი პროცენტით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ხელში შეგვრჩება არა მარტო სამ ნაწილად დაშლილი საქართველო, არამედ — უფრო მეტად დანაწევრებული. ამის პერსპექტივა რეალურად არსებობს. გაშიფვრის აუცილებლობას ვერ ვხედავ, ისედაც ყველასთვის ნათელია.**

**— პირდაპირ თქვით: სანამ სააკაშვილი საქართველოს სათავეშია, ეს დამოკლეს მახვილი მუდმივად ეკიდება ჩვენს თავზე? თუ ნეიტრალიტეტის პოლიტიკა ამის თქმის უფლებას არ გაძლევთ?**

— არა, რატომ?! ნეიტრალიტეტის პოლიტიკა არაფრით მზღუდავს... დამოკლეს მახვილი ე. წ. ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაშიც დარჩება ჩვენს თავზე ჩამოკიდებული, რადგან ისინიც იქიდან იმართებიან, საიდანაც ხელისუფლება. მახვილი მხოლოდ იმ შემთხვევაში არ იქნება ჩვენს თავზე, როცა ჩვენ დასავლური მირაჟის ტყვეობიდან გავთავისუფლდებით და მტკიცედ დავმკვიდრდებით იმ გეოპოლიტიკურ სისტემაში, რომელსაც ვეკუთვნით.

**— თქვენ, როგორც ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ვინც თქვენი „პირისპირით“ ზეობდით საქართველოს ტელევიზიაში, როგორ ფიქრობთ, დიქტატურა გარდაუვალია? შეძლებს ოპოზიცია ამ საშიშროების ნეიტრალიზებას?**

— ჩვენი უმთავრესი საშიშროება დიქტატურა კი არ არის, საქართველოს ნგრევაა. დემოკრატიას, რომელიც სამშობლოს მინგრევს, დიდად მირჩევნია დიქტატურა, რომელიც სამშობლოს გადამირჩენს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ უარესთა შორის უარესი ავირჩიეთ — დიქტატურა, რომელმაც სამშობლო დაგვინგრია!

**— ქართული ენის სიწმინდის დაცვაზეც შეგეკითხებით...**

— ეს არის ერთ-ერთი უმტკივნეულესი საკითხი. მე მგონი, ეს არის ის მღვრიე სათავე, საიდანაც იწყება ქვეყნის რღვევა, მისი გაუბედურება და მისი ზნეობრიობისთვის ძირის გამოთხრა. საყოველთაოდ ცნობილ საკითხზე გვიწევს საუბარი, მაგრამ რეალობაა ასეთი და უნდა ვილაპარაკოთ!

არადემოკრატიული (კომუნისტური) ეპოქის, რომელიც ჩვენ გამოვიარეთ, პრესა და ტელევიზია, ენის თვალსაზრისით, განა შეიძლება შევადაროთ იმას, რაც დღეს გვაქვს?!

იყო ის მასმედია არადემოკრატიული, მაგრამ საქართველოსთვის მზრუნველი და ქართული ენის სიწმინდის ხმალამოღებული დამცველი იყო. ენობრივი ლაფსუსები თუნდაც იმდროინდელ ტელევიზიაში სპეციალური რეცენზირებისა და განხილვის საგანი ხდებოდა.

დღეს ამის გაკეთება აზრადაც არავის მოსდის. პირიქით, დღეს წახალისებული და ნებადართულია ენის წარყვნა, მიზანმიმართულად მიდის ქართული ენისთვის საფუძვლის გამოცლა. ახლა ისიც კი დაგვიწესეს, რომ ბავშვი „აი ია“-სთან ერთად, პარალელურად, ინგლისურს უნდა დაეუფლოს. ეს ენის დანგრევაცაა და ეროვნული ფსიქიკის თავიდანვე მოშლაც.

არავინ იფიქროს, რომ ან ინგლისურს, ან რომელიმე სხვა ენას ვებრძვი. მთელი ჩემი ცხოვრება სიტყვასთან და კალამთან ვარ დაკავშირებული და შეუძლებელია ▶

**ალექსანდრე ჭაჭია ჭკვიანი კაცია, პრაგმატულად მოაზროვნე პოლიტიკოსია და, რაც მთავარია, პატრიოტია. მას ძალიან კარგი კავშირები აქვს არა მარტო რუსეთში, მაგრამ მისი პოტენციალი გამოუყენებელი რჩება, ვინაიდან ამ ხელისუფლებისთვის მიუღებელია მისი პატრიოტიზმი**

ვაშენებთ ეკლესიებს და...ეკლესიური სული ხელიდან გვეცლება! ვაშენებთ ვითომ დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოს და... საქართველო ხელიდან გვეცლება! ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა. თქვენს მკითხველებს შევახსენებ ბჟეზინსკის ფორმულას — საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენთვის ნომერ პირველი სამიზნე არის მართლმადიდებლობა. მართლმადიდებლობა, ბჟეზინსკების თვალთახედვით, იდენტიფიცირებულია რუსეთთან, უდიდეს მართლმადიდებელ სახელმწიფოსთან, რომელსაც, სულიერებას თუ გამოაცლი, შემდეგ ადვილად დაშლი კიდეც, მის წიაღისეულ, ბუნებრივ სიმდიდრეებს იოლად ჩაიგდებ ხელში. ამას ვეწირებით ჩვენ, თორემ მათი სამიზნე, პირველ რიგში, რუსული მართლმადიდებლობაა.

ექსკლუზივი

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net

# მართული ხელისუფლება, მართული ოპოზიცია, მართული მედია, მართული არასამთავრობოები და მართული სპეცსამსახურები — ამერიკელები ყველგან ამ ხუთი კომპონენტით მუშაობენ



**«დღეს ჩვენი ქვეყანა ჰგავს იმ ქვეყანას, სადაც ოცი წლის წინ ეროვნულმა მოძრაობამ გაიმარჯვა? არა, რა თქმა უნდა! აქ გაიმარჯვა „ცრუ"-ს პროექტმა, მაგრამ გამსახურდიამ ის მაინც გააკეთა, რომ არ მიიღო ამერიკული დირექტივები»**

◀ შექსპირის ენის წინააღმდეგ გამოვდიოდე...

**— მაგრამ არც ის გვინდა, რომ „ძაღლის ენის" დონემდე დაგვიყვანონ ქართული.**

— აბსოლუტურად გეთანხმებით. როცა სხვა ენა წალეკვით ემუქრება ჩემს მშობლიურს, ნურავის გაუკვირდება, მის დასაცავად უკომპრომისოდ თუ ვიბრძოლებ. არ მინდა, რომ მომავალმა თაობამ „ვეფხისტყაოსანი" ორიგინალში ვერ წაიკითხოს.

**— არადა, აქეთ მივდივართ.**

— ქართული ენისადმი ის დამოკიდებულება, რასაც ჩვენი ხელისუფლება იჩენს, პირდაპირ გეტყვით, უხამსობა, უვიცობა და სამშობლოს ღალატის ტოლფასი ქმედებაა.

როცა ილიასეული ტრიადის — მამული, ენა, სარწმუნოების რევიზიას ჩვენ თვალწინ იწყებენ, ის ფაქტი, რომ ვიღაც ვერაგულად, ფარისევლურად ენის დაცვაზე წამოიკნავლებს ან მართლმადიდებლობის დასაცავად ორ სიტყვას იტყვის, ანტიქრისტეს მოსვლას ჰგავს, ქრისტეს სახით რომ გამოგვეცხადება.

**ვაშენებთ ეკლესიებს და...ეკლესიური სული ხელიდან გვეცლება!**

**ვაშენებთ ვითომ დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოს და... საქართველო ხელიდან გვეცლება! ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა. თქვენს მკითხველებს შევახსენებ ბჟეზინსკის ფორმულას — საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენთვის ნომერ პირველი სამიზნე არის მართლმადიდებლობა.**

მართლმადიდებლობა იდენტიფიცირებულია სამართლიანობასთან, სხვათა შორის, — სოციალისტურ სამართლიანობასთან. ამიტომ ეს იდეოლოგიური მოწინააღმდეგე არ უნდა არსებობდესო.

**მართლმადიდებლობა, ბჟეზინსკების თვალთახედვით, იდენტიფიცირებულია რუსეთთან, უდიდეს მართლმადიდებელ სახელმწიფოსთან, რომელსაც, სულიერებას თუ გამოაცლი, შემდეგ ადვილად დაშლი კიდეც, მის წიაღისეულ, ბუნებრივ სიმდიდრეებს იოლად ჩაიგდებ ხელში. ამას ვეწირებით ჩვენ, თორემ მათი სამიზნე, პირველ რიგში, რუსული მართლმადიდებლობაა.**

მაგრამ ჩვენ მოვყევით ამ ორბიტაში.

**— მარტო გლობალური „წისქვილის ქვები" კი არ შლის და აქუცმაცებს ქართულ ცნობიერებას, — ჩვენი შინაური პრიმიტიული პოლიტიკაც: აქეთ თბილისს უკარგავენ დედაქალაქის ფუნქციას, იქით ბათუმს ალაზევებენ, ტურისტების მომსახურებას გვისახავენ პირველ საქმედ, მეცნიერებას ყურადღების ღირსად არ მიიჩნევენ, ისტორიული მეხსიერება წასაშლელია და ა.შ. ესე იგი, მიზანმიმართულად გვინგრევენ [illegible], რასაც ჩვენი ეროვნულობა ეფუძნებოდა. არის ეს ერთი კაცის ახირება? ვკითხულობ მიამიტურად...**

— ყველას კარგად ესმის, რომ ასე არ არის, მაგრამ არც უამისობაა.

**სააკაშვილი აბსოლუტური ზომბი და ყურმოჭრილი მონაა ამერიკული დირექტივებისა. მას საერთოდ არ აინტერესებს საქართველოს მომავალი**



ეს არის დიდი პოლიტიკის დეტალები. ხოლო ერთი კაცი ამ პოლიტიკის შეიძლება კარგი შემსრულებელი იყოს ან — ნაკლებად კარგი.

სააკაშვილი კარგი შემსრულებელი აღმოჩნდა.

როცა ჩვენი ოპოზიცია ამ პერსონას რადიკალურად უპირისპირდება, ეს გამოსავალი არ არის. ვიმეორებ: გვარების ჩანაცვლება შედეგს ვერ გამოიღებს.

**— ესე იგი, მოწოდება „სააკაშვილის გარეშე!" უშედეგოა?**

— იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ ვაცნობიერებთ, თუ საიდან მოდიან სააკაშვილები, უშედეგოა. რად უნდა თქმა, რომ სააკაშვილი აბსოლუტური ზომბი და ყურმოჭრილი მონაა ამერიკული დირექტივებისა. მას აბსოლუტურად არ აინტერესებს საქართველოს მომავალი. ასეთი კაცი სჭირდებოდათ და ამიტომ ჩაანაცვლეს სააკაშვილით შევარდნაძე.

**— ამერიკას სჭირდებოდა და დასვა. ჩვენ გვჭირდებოდა? რატომ დავსვით, თითქმის ერთხმად?**

— ამ შეკითხვაში ჩანს ცოტა გაზვიადებული წარმოდგენა ხალხის შესაძლებლობაზე, საზოგადოების შესაძლებლობაზე.

ისეთი ტექნოლოგიები აქვთ მათ, უწინარესად, ქართული მედიასაშუალებანი (ცალკეულის გარდა) ისე აქვთ უზურპირებული, რომ უდიდესი გავლენის მოპოვება შეუძლიათ. რეალურად, არავითარი ქართული მასმედია არ არსებობს. არსებობს ამერიკულ მედიასაშუალებათა ფილიალი ჩვენს ქვეყანაში, რომელიც თავისი მიზნის მისაღწევად თავისი პროგრამით მუშაობს. მათ შექმნეს ვირტუალური საქართველო და ყოველდღე გვაყურებინებენ, როგორ ვშენდებით და ვმშვენდებით და რა ბედნიერები ვართ... როცა ასეთი ძალა გააჩნია იმას, ვინც მოდის, იგი თავისუფლად მანიპულირებს საზოგადოებრივი აზრით, პირდაპირ და უხეშად ერევა არჩევნების შედეგებში.

**ჩემი დაკვირვებით, ამერიკელები ხუთი კომპონენტით მუშაობენ ყველგან, სადაც შედიან — ან თოფით და ბომბით, როგორც ერაყში, ავღანეთში, ადრე — სხვაგან და სხვაგან, ან მეგობრის იმიჯით და დემოკრატიის დროშით, ფინანსებით და ა.შ., როგორც ჩვენთან არიან შემოსულები: მოჰყავთ თავიანთი ხელისუფლება, მოჰყავთ თავიანთი ოპოზიცია (ნამდვილი რომ არ გაჩნდეს სადმე), მოაქვთ თავიანთი მედიასაშუალებანი, თავიანთი არასამთავრობო ორგანიზაციები და სპეცსამსახურები.**

აი, ასეთი თაიგულია.

არ მინდა რამე წამომცდეს, რაც უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენებს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ: ქართველი ხალხი არ იყო მზად იმისთვის, რომ თვითონ გადაეწყვიტა თავისი ბედი.

ჯერ რუსეთის იმპერია წყვეტდა, როგორ უნდა ეცხოვრა საქართველოს, შემდეგ — საბჭოთა იმპერია, უფრო ადრინდელ ისტორიაზე არაფერი რომ არ ვთქვათ.

ამას მიჩვეული ადამიანები ვერ გავუძლებდით ფსიქიკაზე იმ ფორსირებულ შემოტევას, რომლის წინაშეც აღმოვჩნდით და ავირჩევდით სწორედ იმას, ვისაც შემოგვთავაზებდნენ.

სამი პრეზიდენტი ავირჩიეთ და სამივე შემთხვევაში ასე მოხდა. ჩვენ ხომ გვგონია, რომ ზვიად გამსახურდია ავირჩიეთ? სინამდვილეში ჩვენ მისი კანდიდატურა გარედან მოგვახვიეს თავს დასავლეთმაც და საბჭოთა კავშირმაც. ქართველმა ხალხმა რა გააკეთა? — 87 პროცენტით აირჩია. სწორად მოიქცა, რადგან იმ დამუხტულ ველში ქართველი კაცი სხვა გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა.

**— ესე იგი, ეროვნული მოძრაობის გამარჯვება კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დავაყენოთ?**

**— დღეს ჩვენი ქვეყანა ჰგავს იმ ქვეყანას, სადაც ოცი წლის წინ ეროვნულმა მოძრაობამ გაიმარჯვა? არა, რა თქმა უნდა! აქ გაიმარჯვა „ცრუ"-ს პროექტმა, მაგრამ გამსახურდიამ ის მაინც გააკეთა, რომ არ მიიღო ამერიკული დირექტივები.** ეს მისი პირადი ვაჟკაცობა იყო. მაგრამ ამას შეეწირა საქართველო: ამას მოჰყვა სამოქალაქო ომი, ამას მოჰყვა მისი დამხობა და სიკვდილი. ზვიად გამსახურდია თვითონ ამბობდა რადიო „თავისუფლებისთვის" მიცემულ ინტერვიუში: **„საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა ამერიკის შეერთებული შტატების დირექტივით, ბუშის ლოცვა-კურთხევითა და სახელმწიფო მდივან ბეიკერის უშუალო მონაწილეობით".** სწორი იყო.

მაგრამ ეს ყველაფერი დაბრალდა რუსეთს, იმიტომ, რომ რუსეთში იყო შტატების მარიონეტი ხელისუფლება. იდეა იყო ამერიკული, ავტომატი — რუსული.

შემდეგ კვლავ ამერიკის ხელდასმით მოვიდა ედუარდ შევარდნაძე.

ასე მოვიდა ახალი ხელისუფალიც.

ასე რომ, ქართველი ხალხის ნების გატეხვას ამ შემთხვევაში დიდი ძალისხმევა არ სჭირდებოდა.

ახლა, მე ვფიქრობ, ოცწლიანი ტრაგიკული, სისხლიანი და ცრემლიანი გზის გავლის შემდეგ, დადგა ის დრო, როცა ქართველ ხალხს მოუწევს დაირაზმოს და, თუ მოახერხებს იმ მასშტაბის პროტესტით არჩევნებში მისვლას, რომლითაც თავის დროზე ხმა მისცა სამ პრეზიდენტს, მაშინ ასეთი შედეგების გამყალბებელი ძალა საქართველოში ვერ იარსებებს.

**— მოახერხებს ამას?**

**— არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში ვერანაირი რევოლუცია, ვერანაირი სახალხო აჯანყება, მღელვარება, ახლო მომავალში სააკაშვილის ხელისუფლებას ძვრას ვერ უზამს. ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესშია მისი აქ ყოფნა, მანამდე მას რევოლუციებით ვერაფერს დავაკლებთ. „ცრუ"-ს, „ფბრ"-სა და პენტაგონს ძალას ვერ დავუპირისპირებთ.**

**ასი ათასობით ადამიანის გამოსვლაც გვინახავს, საპროტესტო დემონსტრაციების დაფანტვაც და დარბევის გამართლებაც — კი იყო ძალის გადამეტება, მაგრამ ქვეყანა დემოკრატიული განვითარების გზით მიდისო.**

**— ხალხი რომ ცოტა დაბნეულია იმ კითხვით, რომელიც შემოგვიგდეს: მიშა არა, მაშ, — ვინ? ეს, რა თქმა უნდა, ხელს შეუშლის მაღალპროცენტიან დარაზმულობას.**

— შემოგდებული შეკითხვაა. დავანებოთ თავი გამსახურდიას, შევარდნაძეს, სააკაშვილს ან ნებისმიერ სხვა — ძეზე, შვილზე ან იაზე დამთავრებულ გვარს. ჩვენ რეალობა უნდა შევცვალოთ. ამ შეცვლის გზა კი ასე გვაქვს ჩამოყალიბებული: ნეიტრალური სახელმწიფოს მშენებლობა, ამის შეთავაზება მსოფლიოსთვის არ არის ადვილი: დღეს რომ გამოვაცხადოთ ნეიტრალიტეტი, ხვალ არ გვაღიარებენ. მაგრამ ეს გზა არ არის უფრო რთული, ვიდრე ნატოს წევრობა ჩვენთვის. ნატოს წევრი ვერ გავხდით, მაგრამ ნეიტრალური სახელმწიფო გავხდებით!

ცალმხრივი მოძრაობა დასავლეთის მიმართულებით რეალურად არც არის დასავლეთისკენ მოძრაობა. ჩვენ რუსეთის მტრად უფრო ვიქეცით, ვიდრე — დასავლეთის პარტნიორად.

ამიტომ უნდა შევცვალოთ არა პერსონა, არამედ ვითარება.

რუსეთი არ არის ისეთ მდგომარეობაში, რომ ჩვენგან მოითხოვოს ის, რასაც ამერიკა ითხოვს, ანუ არ მოითხოვს, რომ ჩვენ გავხდეთ აშშ-ის მტერი.

ამერიკას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში პროვოკატორები სჭირდება, პროვოკატორის ფუნქცია ჩვენ დაგვაკისრეს.

**— ამასვე ამტკიცებს ცნობილი პოლიტიკოსი ალექსანდრე ჭაჭიაც.**

— ალექსანდრე ჭაჭია ჭკვიანი კაცია, პრაგმატულად მოაზროვნე პოლიტიკოსია და, რაც მთავარია, პატრიოტია. მას ძალიან კარგი კავშირები აქვს არა მარტო რუსეთში, მაგრამ მისი პოტენციალი გამოუყენებელი რჩება, ვინაიდან ამ ხელისუფლებისთვის მიუღებელია მისი პატრიოტიზმი.

**— ხვალინდელ დღეზე რას იტყვით, ბატონო ვალერი?**

— ძნელია ძალიან. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გააცნობიერებს ქართველი ხალხი იმას, რაც მოხდა, რაც გვემართება, საით მივდივართ და რა არის აუცილებლად შესაცვლელი. ამიტომ ყველამ, ვისაც სიტყვა გვეთქმის, უნდა დავეხმაროთ ჩვენს ხალხს ამის გაცნობიერებაშია.

თუ ასე მოხდება, მაშინ, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქართველი ხალხი თვითონ მოახერხებს შეცვალოს არსებული დამანგრეველი მდგომარეობა.

ამის პოტენციალი მას აქვს. ეს მისი გადასაწყვეტია და არა — ცხინვალიდან შემოსული ოქრუაშვილის ან მის მიერ გამოგზავნილი ტანკების.

**უნდა დავდგეთ საარჩევნო ყუთებთან და ვთქვათ, რომ ხმას არ ვაძლევთ მატყუარა ოპოზიციას. ხმას ან ნაციონალური მოძრაობის მიერ შემოთავაზებულ გზას — საქართველოს დაშლისკენ მიმავალ გზას ვაძლევთ, ან მის ერთადერთ ალტერნატივას — „ნეიტრალურ საქართველოს", ანუ იმ ძალას, რომელიც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, დამოუკიდებლობისა და ეკონომიკური აღორძინების რეალურ პროგრამას გვთავაზობს!**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**დღეს რომ გამოვაცხადოთ ნეიტრალიტეტი, ხვალ არ გვაღიარებენ. მაგრამ ეს გზა არ არის უფრო რთული, ვიდრე ნატოს წევრობა ჩვენთვის. ნატოს წევრი ვერ გავხდით, მაგრამ ნეიტრალური სახელმწიფო გავხდებით!**

ნაც-ჩეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ გინდა, ბათუმში ჩაგესვლებოდეს და თანაც იქ თავს ისე გრძნობდე, როგორც — სამშობლოში, ან თურქი უნდა იყო, ან — სომეხი; ხოლო თუ არც ერთი ხარ და არც — მეორე, მინიმუმ უიმედო სიყვარულით გულდამწვარი პედერასტის მოსმენა და ნუგეში მაინც უნდა შეგეძლოს... თუ თვითონაც პედერასტი ხარ ან მომავალში მაინც გაპედერასტდები, მთლად გადასარევი, თუ არა და, შავი ზღვის „სიამაყეს“ თქვენთვის კარი მუდამ დახურული აქვს...**

# გეი ლაღა ბათუმმა

**გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ ამ რამდენიმე ხნის წინათ სამშენებლო მოედნად ქცეულ ბათუმს, „ვარდოსანთა“ პატრონაჟით კიდევ ერთი „ღირსშესანიშნაობა“, საიტი Gaybatumi.com შეემატა, სადაც მთელი საქართველოს „ნაღებ-ელიტური ცისფერობა“ ლამის ოცდაოთხსაათიან რეჟიმში გამწარებული ემესიჯება ერთმანეთს და დაბეჯითებით არწმუნებს საზოგადოებას, რომ ცისფერობა თურმე ის წარმოუდგენელი ბედნიერებაა, რომელიც ცხოვრებაში ერთხელ მაინც ყველა მამაკაცმა უსათუოდ უნდა გამოსცადოს.**




რაც ყველაზე მთავარი და საყურადღებოა, საიტი მეტწილად ინგლისურადაა შედგენილი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი, პირველ რიგში, გათვლილია არა ქართველ მომხმარებელზე და ზოგადად, ქართულ საზოგადოებაზე (რაც ჩვენი მენტალობიდან გამომდინარე, ალბათ, ჯერ კიდევ ლოგიკურია), არამედ უცხოელ ტურისტზე, რომელიც ახლა შეიძლება ბარგშეკრული ზის და წამოსვლას იმიტომ არ ჩქარობს, რომ ფიქრობს, ვაითუ ამ პაპუასების ქვეყანაში გეებს პირდაპირ კუპრის ქვაბში ხარშავენ ან სულაც ანუსში გავარვარებულ შანთებს ურჭობენო...

...არ ვიცი, იქნებ ჩვენთვისვე სჯობდეს, მართლა ასე იყოს (იმედია, ლიბერალები ამას მაპატიებენ), მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ (ეს უკვე თვითონ განსაჯეთ), „ვარდოსანთა“ გამალებული გეიპროპაგანდის წყალობით, დღესდღეობით ჩვენ მიმართ მსგავსი წარმოდგენა საქართველოში ჩამოსვლისთანავე ეცვლებათ. ამას მოწმობს იგივე საიტ Gaybatumi.com-ზე ერთ-ერთი უცხოელი ტურისტის მიერ ამასწინათ დადებული კომენტარიც, რომელიც იმ აღვირახსნილობის მნახველი, ბათუმში რომ ტრიალებს, გაოცებით აღნიშნავს: **არ მეგონა, საქართველოში ასეთი თამამი და კომპლექსებისგან სრულიად თავისუფალი ხალხი თუ ცხოვრობდაო. ახლა წარმოიდგინეთ, რამხელა უბედურებასთან გვაქვს საქმე, თვით ევროპელ და მითუმეტეს ამერიკელ ტურისტსაც რომ ვაკვირვებთ სოდომ-გომორიზმში მიღწეული რეკორდული შედეგებით...**

მოკლედ, არ მინდა თავი შეგაწყინოთ, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი საქმე მართლაც ისე მიდის, რომ მალე ჰოლანდიაში სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლები თავს დაჩაგრულად იგრძნობენ, შესაბამისად, იქიდან აიყრებიან და თავიანთი „თავების“ ხელახლა საპოვნელად, ვშიშობ, საქართველოში, კერძოდ კი, ბათუმში გადმობარგდებიან; **შედეგად მივიღებთ იმას, რომ ბათუმი კიდევ უფრო გეილაღებს და გეიფურჩქნება, ჩვენ კი, ვინც ამ პროცესებს ფეხს სათანადოდ ვერ ავუწყობთ, ან შუბლზე წითელი ჯვრებით მოგვნიშნავენ, რაც იმის მაუწყებელი იქნება, რომ „გეისაშიშნი“ ვართ, ან სულაც სპეციალურ გეტოებში ჩაგვასახლებენ (მით უფრო, რომ „ნაცებს“ უკვე აქვთ ამის გამოცდილება) და შესასვლელთან გაკეთდება წარწერა: ფრთხილად, შიგნით ჭეშმარიტი ქართველია...**

## აჭარა თურქების, სომხებისა და პედერასტების სალივლივედ «ღორძინდება»

ასე თუ ისე, გეილაღებს და გეიფურჩქნება თუ არა ბათუმი, ჩვენი ადგილი იქ ნამდვილად აღარ იქნება, ვინაიდან, **როგორც ჩანს, რეალურად ეს ქალაქი თურქი ინვესტორების, სომეხი ტურისტებისა და პედარასტების სალივლივედ „ღორძინდება“, რაც ჯამში იმას ნიშნავს, რომ, თუ გინდა, ბათუმში ჩაგესვლებოდეს და თანაც იქ თავს ისე გრძნობდე, როგორც — სამშობლოში, ან თურქი უნდა იყო, ან — სომეხი; ხოლო თუ არც ერთი ხარ და არც — მეორე, მინიმუმ უიმედო სიყვარულით გულდამწვარი პედერასტის მოსმენა და ნუგეში მაინც უნდა შეგეძლოს...**

თუ თვითონაც პედერასტი ხარ ან მომავალში მაინც გაპედერასტდები, მთლად გადასარევი, თუ არა და, შავი ზღვის „სიამაყეს“ თქვენთვის კარი მუდამ დახურული აქვს...

**არ ვიცი, შეიძლება ამის თქმის უფლება არც მქონდეს, მაგრამ, როცა ქვეყანაში ცისფერები თუ ვარდისფერები კალიებივით მრავლდებიან, ხალხი კი, იმის ნაცვლად, რომ დუღდეს და ბობოქრობდეს, მამა აბრამის ბატკანივით გარინდულა, არ შემიძლია იმ ადამიანებს არ მივმართო, რომელთაგან ზოგი დღეს მხსნელის მანტიაში იმალება და ზოგიც — პატრიოტის ანაფორაში: თქვე დალოცვილებო, ჯიპებიც გეყოლებათ, ღიპებიც გამოგეზრდებათ, ჭიპებიც გამოგიჩნდებათ და მუცელამოყორილებს, პრობლემა რას ქვია, საერთოდ დაგავიწყდებათ, მაგრამ ახლა თუ იყუჩებთ და იმ ოქრო-ვერცხლის სანაცვლოდ, მიშა რომ ჯიბეში უხვად გიყრით, პირში წყალს ჩაიგუბებთ, სულ მალე შაგრენის ტყავივით შემოგველევა საქართველო. მერე ითვალეთ, რამდენიც გინდათ, ანაფორის კალთებში თვალ-მარგალიტი, თუმცა რა საჭიროა, რამდენიც უნდა დაითვალო, ოცდაათი ვერცხლი ხომ მაინც ოცდაათი ვერცხლია?..**

**და ბოლოს, დუმილით ქართული საზოგადოება ვერაფერს მოიგებს, „ნაცები“ კი ხეირობენ და კიდევ იხეირებენ ჩვენი ბრმაყრუობით; მაგრამ ჩვენ რა ხეირი? როგორც ჩანს, სანამ მთელი საზოგადოება არ გეიჩალიჩებს, მანამ დუმილი კვლავაც ოქრო იქნება...**

**ჯაბა ჟვანია**





პედერასტების საიტზე ინფორმაციის ორი მესამედი სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ბათუმში განხორციელებულ ალმშენებლობითი პროექტების პროპაგანდას და ახალაშენებული სასტუმროების ნომრების რეკლამას ეთმობა

მოკლედ

## ნატომ ავღანელი პოლიციელები დახოცა



**ნატოს საჰაერო ძალებმა ავღანეთში პოლიციის საკონტროლო-გამშვები პუნქტი დაბომბეს, რის შედეგადაც ოთხი პოლიციელი დაიღუპა და ორი დაიჭრა.** აღმოსავლეთში მდებარე ნურისტანის პროვინციის გუბერნატორის, ჯამალუდინ ბადრის თქმით, იერიშის მიზეზი არასწორი სადაზვერვო ინფორმაცია იყო. პოსტი დაიბომბა, მიუხედავად იმისა, რომ ობიექტზე ავღანეთის დროშა იყო აღმართული, იქ მყოფ პირებს კი პოლიციის უნიფორმა ეცვათ.

## სენატის რეზოლუცია კავკასიაში მყიფე მშვიდობას არღვევს

**აშშ-ის სენატის მიერ მიღებულმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის მხარდამჭერმა რეზოლუციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ამერიკელ სენატორებს მიდრეკილება აქვთ, საკუთარი პოლიტიკა პრინციპით „ჩვენიანი“-„უცხო“ აწარმოონ.** ამის შესახებ საუბარია სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომლითაც უწყება რეზოლუციას გამოეხმაურა.

**ყველაზე უვარგის კაცს გახვრეტილი კონდომის სახელით ამკობენ. რა დასამალია და, როდესაც გავიგე, თუ როგორ გააგდეს სამსახურიდან ქალბატონი, რომელმაც ხელმძღვანელი პირის სამუშაო კაბინეტიდან გადაყრილი, ექსპლუატაციაში ნამყოფი პრეზერვატივებისგან ეზოს გასუფთავებაზე უარი თქვა, უნებურად წამომცდა ერთადერთი სიტყვა — გან-დონი! ადრესატს მკითხველი თავადაც მიხვდება.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კონდომი

**რა არის კონდომი, ანუ პრეზერვატივი, საქართველოში ყველამ იცის. სკოლებში ან-ბანიდან პირდაპირ გან-დონზე გადადიან. კაცობრიობას დღემდე ვერ დაუდგენია, საიდან მოდის ეს სახელწოდება: ერთი ვერსიით, — ინგლისის მეფის, კარლოს II-ს ეპოქაში მცხოვრები, არცთუ ცნობილი ექიმის სახელიდან; მეორე ვერსიით, — იტალიური guantoe-guanto-დან, რაც ნიშნავს ხელთათმანს. ჩამოიცვი ხელთათმანივით და დაზღვეული ხარ არასასურველი მემკვიდრის გაჩენით თავსდამტყდარი პრობლემებისგან, ბეკინა სამანიშვილს რომ დაემართა, ხომ გახსოვთ, ისეთისგან.**

კონდომი — პრეზერვატივის ალტერნატიული დასახელება, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებაა.

და — არა მარტო. რადგან ფრიად ფართოდაა განფენილი მისი სინონიმების ნაირფერი სპექტრი მრავალეროვან თანამედროვე ლინგვისტიკაში, მახვილსიტყვიერებაში გინების ზღურბლზე — კონდომს ცუდ კაცს უწოდებენ, უსიამოვნო ადამიანს, უსინდისოსა და უნამუსოს, ნაძირალასა და მახინჯს.

„ღამის წინდააო“, — ასეც იტყვიან რაიც ჩამოცმასთან ასოცირდება და ორიგინალის უშუალო დანიშნულებასთანაა ახლოს.

გერმანიაში პრეზერვატივს „პარიზელს“ უწოდებენ, საფრანგეთში — „ინგლისურ კაპიუშონს“, აშშ-ში — „ჯიმის ქუდს“, სამხრეთ აფრიკაში — „ფრანგულ წერილს“.

უმდიდრესი გამაა.

მაგრამ რა კავშირია კონდომსა და ლენინურ შაბათობას შორის, თავს დავდებ, არც თქვენ იცით, ვერც ვიკიპედიაში ამოიკითხავთ!

ამიტომ დაძაბეთ ინტელექტი!

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი გვატყობინებს: **„დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი დოდო ჩოხელი რაიონის გამგებელს ლაშა ჯანაშვილს სასამართლოში უჩივის: „სამსახურიდან იმიტომ გამათავისუფლეს, რომ ზურაბ ოტიაშვილის კაბინეტის ფანჯრიდან ეზოში გადაყრილი პრეზერვატივების ასაკრეფად არ მივედი,“** — ამბობს ჩოხელი.

ოფიციალური ინფორმაცით, სამსახურიდან ის იმიტომ გაათავისუფლეს, რომ 21 მაისს გამართულ შაბათობაში მონაწილეობა არ მიიღო“.

დოდო ჩოხელი რაიონის გამგებელს კი უჩივის, მაგრამ ზურაბ ოტიაშვილი ჰყავს მიზანში ამოღებული, რომელიც საკრებულოს რიგითი წევრია, მაგრამ ისეთი გავლენით სარგებლობს, რომ რაიონში, ფაქტობრივად, ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ეს კაცი იღებს. დუშეთის მოქმედი გამგებელი ლაშა ჯანაშვილი მხოლოდ შემსრულებელიაო.

ოტიაშვილსა და ჩოხელს ურთიერთობა მას შემდეგ დაეძაბათ, რაც ამ მნიშვნელოვანმა კაცმა მისგან **„ამბების მიმტანი და ინფორმატორი ვერ შექმნა“**.

იჩივლა ჩოხელმა და, რა თქმა უნდა, მისი საჩივარი **„მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატმა მოსამართლემ დუშეთის მუნიციპალიტეტში თეიმურაზ ჯერვალიძემ არ დააკმაყოფილა“.**

სხვა სად და როდის დაუკმაყოფილებიათ?

არც უნდა დაეკმაყოფილებინა.

დაკმაყოფილება ნიშნავდა, რომ დოდოსთან დაპირისპირებული ორივე ადამიანი კონდომის რომელიმე სინონიმად უნდა ელიარებინა.




**„დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი დოდო ჩოხელი რაიონის გამგებელს ლაშა ჯანაშვილს სასამართლოში უჩივის: „სამსახურიდან იმიტომ გამათავისუფლეს, რომ ზურაბ ოტიაშვილის კაბინეტის ფანჯრიდან ეზოში გადაყრილი პრეზერვატივების ასაკრეფად არ მივედი“**

**დოდო ჩოხელი რაიონის გამგებელს კი უჩივის, მაგრამ ზურაბ ოტიაშვილი ჰყავს მიზანში ამოღებული, რომელიც საკრებულოს რიგითი წევრია, მაგრამ ისეთი გავლენით სარგებლობს, რომ რაიონში, ფაქტობრივად, ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ეს კაცი იღებს. დუშეთის მოქმედი გამგებელი ლაშა ჯანაშვილი მხოლოდ შემსრულებელიაო.**

**არ იცით, რა კავშირია კონდომსა და ლენინურ შაბათობას შორის? პროლეტარების ბელადი შაბათობებში პირადად მონაწილეობდა და გარემოს მორებისგან ასუფთავებდა. «ნაცმოძრაობის» ადგილობრივი კალიგულა-ჩინოვნიკები კი კონდომს კონდომზე იცვლიან და მათგან, ფანჯარაში გატყორცნილი პრეზერვატივებისგან ეზოს დასასუფთავებლად შაბათობის მოწყობაა საჭირო**



**იმასაც ნიშნავდა, რომ დუშელი კალიგულა ისეთ მგზნებარებაში იყო შესული, რომ კონდომს კონდომზე იცვლიდა, იმდენს და ისეთი სიხშირით, რომ შაბათობის მოწყობა გახდა საჭირო მუნიციპალიტეტის ეზო-გარემოში ეკოლოგიური ბალანსის აღსადგენად, ანუ იძაუროზის გასაწმენდად „საწარმოო ნარჩენებისგან“.**

სწორედ რომ საწარმოოს ნარჩენებისგან: **ინდოეთის ქალაქ ვარანასში დღეში 600 ათას პრეზერვატივს გამოიყენებენ ინდოელი ქალების კაბის (წამოსასხამის) — სარის საწარმოებლად. მქსოველი ქალები საფეიქრო მაქოებს უსვამენ პრეზერვატივებს, დაზგების ლაითად ასამუშავებლად.**

პრეზერვატივი ერთჯერადი გამოყენებისთვისაა ვარგისი, შემდეგ გადააგდებენ. წარმოიდგინეთ 600 ათასი გადაყრილი კონდომი ყოველდღიურად.

მოსამართლემ, ეტყობა, არ გამორიცხა დუშეთის მუნიციპალიტეტის ფანჯრებიდან ინდოელი ქალების მიერ ნახმარი პრეზერვატივების გადაყრის შესაძლებლობა.

ჩინელები ხომ მოგვიმრავლდნენ საქართველოში და ინდოელებს ვინ დაადო ვეტო?!

ან სულაც ბრაზილიელი მხატვრისა და სკულპტორის — ანდრიან ბერტანის მიმდევარი ჩასახლდა ოტიაშვილის კაბინეტში! ვინაა ბერტანი? ორიგინალური შემოქმედია, რომელიც ავლაბრის რეზიდენციის წინ მოძრავი ქანდაკების სტილში მუშაობს, პრეზერვატივებისგან სკულპტურებს ძერწავს და პრეზერვატივებისავე სამოსს აცმევს.

**უცხოელ არქიტექტორებზე გადარევა ხომ გვჭირს, და არ შეიძლება დუშეთის, ერთ, ცალკე აღებულ რაიონში კონდომების მოქანდაკე რომ მიეწვიათ?!**

**ჰოდა, მაინც და მაინც იმ კაცს შეაჩეჩეს, ეტყობა, წუნდებული პრეზერვატივების პარტია. იმანაც აიღო და ფანჯრიდან გადაყარა ქანდაკების მასალა.**

აგერ, ბატონო, სულ ახლო აღმოსავლეთში გლეხებს პრეზერვატივებით გადააქვთ წყალი, თულუხჩობენ; სახლების მშენებლობის დროს ბეტონის ფენებს კონდომებით „ადუღაბებენ“ და სახურავების წყალგაუმტარობას ასე უზრუნველყოფენ; მეგზეველი კი დამდნარფისიან როფებში ჰყრიან კონდომებს ასფალტისთვის უმეტესი სიგლუვის მისაცემად.

საწარმოო პროცესის შემადგენელი ელემენტია პრეზერვატივი.

**ეგებ, დუშეთის რაიონშიც დანერგეს ავტობანების დაგების მსგავსი ტექნოლოგია? ოტიაშვილის ფანჯრიდან ეზოში გადაყრილი კონდომები გამოხშირული წუნდებული სამშენებლო პროდუქციაა და არა მაინც და მაინც ის, რაზეც არაორაზროვნად მიგვანიშნებს სამსახურიდან მოხსნილი დოდო ჩოხელი?**

კონდომების შაბათობაზე არ მივედიო... მიდით, თორემ გადაგიყოლებენ ეს მართლა კონდომები. ამიტომ, დუშელებო და სხვებო, — ყველანი შაბათობაზე! და ნუ ეძებთ ვლადიმერ ილიჩის მხარზე გასადებ მორს საზოგადოებრივი სიკეთის ამაღლებაში თქვენი პირადი წვლილის შეტანის დემონსტრაციის მიზნით. კეთილი ინებეთ და წაიკუზეთ — სხვანაირად ვერ შეძლებთ ახალ ნაწვიმარზე ამოსული სოკოების მრგვალ-მრგვალი ქუდებივით უხვად მიმობნეული კონდომების აკრეფას.

**პეტრე ვაჩაძე**

**P.S. ყველაზე უვარგის კაცს გახვრეტილი კონდომის სახელით ამკობენ. რა დასამალია და, როდესაც გავიგე, თუ როგორ გააგდეს სამსახურიდან ქალბატონი, რომელმაც ხელმძღვანელი პირის სამუშაო კაბინეტიდან გადაყრილი, ექსპლუატაციაში ნამყოფი პრეზერვატივებისგან ეზოს გასუფთავებაზე უარი თქვა, უნებურად წამომცდა ერთადერთი სიტყვა — გან-დონი! ადრესატს მკითხველი თავადაც მიხვდება.**

მოკლედ

## რუსეთი სენატის რეზოლუციას აკრიტიკებს



**რუსეთის ხელისუფლება ცალსახად აკრიტიკებს რეზოლუციას, რომელიც აშშ-ის სენატმა 29 ივლისს მიიღო და რომლითაც რუსეთს მოუწოდა, თავისი ჯარები სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიიდან გაეყვანა.** რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ალექსანდრე ლუკაშევიჩმა ამ რეზოლუციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ იმის თქმა, თითქოს რუსეთის ჯარმა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ტერიტორიის ოკუპაცია განახორციელა, მოკლებულია იურიდიულ საფუძვლებს და ეწინააღმდეგება ფაქტებს.

## მილიონი რუსი მილიციელი პოლიციელად გადაიქცა

**რუსული მილიციის პოლიციად გადაკეთების მიზნით, რიგგარეშე ატესტაცია ჩატარდა. მილიონმა ადამიანმა ატესტაცია გაიარა და ახლა თავს პოლიციელად გრძნობს.** რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს 350 ხელმძღვანელთაგან ატესტაციის გავლა 21-მა ვერ შეძლო. ატესტაცია 1 ივნისს უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მისი ვადა 31 ივლისამდე გააგრძელეს. პრეზიდენტ მედვედევის განცხადებით, რეფორმის პირველ ტალღას 183 ათასი მილიციელის სამსახურიდან დათხოვნა მოჰყვა.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ლეონ პანეტა:**
**„ჩემთვის ცხადია, რომ ერაყი განიხილავს შესაძლებლობას, თხოვნით მიმართოს ვაშინგტონს, იქ ამერიკული სამხედრო ნაწილების დარჩენის თაობაზე... დარწმუნებული ვარ, რომ ამგვარი თხოვნით წლის ბოლომდე მოგვმართავენ“**

„ამოცანა შესრულებულია!“ — „ერაყზე გამარჯვებასთან“ დაკავშირებით 2003 წლის 1 მაისს ავიამზიდ „აბრამ ლინკოლნის“ ბორტზე პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები მომავალში მრავალი გამაღიზიანებელი, მწარე და ხშირად დამცინავ-შეურაცხმყოფელი კომენტარების საბაბად იქცა. მაგრამ მძლავრი ზესახელმწიფოს მებრძოლი მეთაური თავისებურად მართალი იყო — მთავარი საქმე მართლაც გაკეთებული იყო: სადამი და მისი რეჟიმი ლიკვიდირებულ იქნა, ისრაელის მტერი დამარცხდა, რეგიონის უმდიდრესი ქვეყნის რესურსები კი მთლიანად აშშ-ის კონტროლს დაექვემდებარა. მთელი მომდევნო რვა წლის მანძილზე ამერიკელები ცდილობდნენ, როგორმე გაემყარებინათ თავიანთი სამხედრო-პოლიტიკური გავლენა და უზრუნველეყოთ საიმედო კონტროლი ნავთობის საბადოებზე ექსპლოატაციის კუთხით.

# ნავთობის უკანასკნელ ბარელამდე



## სადამ ჰუსეინის რეჟიმის ჩამოგდებიდან მთელი რვა წლის განმავლობაში ერაყის მოსახლეობის უმეტესობისთვის ცხოვრება გადარჩენისთვის ბრძოლად იქცა

ერაყის „ნავთობის ღვეზელის“ საუკეთესო ნაჭრები ოთხ კომპანიას — Halliburton-ს, Baker Hughes-ს, Weatherford International-სა და Schlumberger-ს ერგო. ყველა მათგანი ტეხასის შტატთანაა დაკავშირებული. ამერიკული ნავთობგიგანტები ერაყის პროექტებში 150 მილიარდამდე დოლარის დაბანდებას აპირებენ. ეს ციფრი თავადაც მრავლისმთქმელია. **კონგრესმა უკვე მოიწონა აშშ-ის ერაყში გრძელვადიანი ყოფნის გაფართოება: ერაყის ყველა მსხვილ ქალაქში ამერიკის 15 წარმომადგენლობა გაიხსნება, თითოეული — თანამშრომელთა შთამბეჭდავი რაოდენობით. ოფიციალური მონაცემებით, ამჟამად ერაყში უკვე მუშაობს 17 ათასი სამოქალაქო სპეციალისტი.**

გასაგებია, რომ ამგვარი შორს მიმავალი მასშტაბური გეგმები ყოველმხრივ უზრუნველყოფას საჭიროებს და გარანტიებს მოითხოვს, მაგრამ ერაყის შემთხვევაში ეს იოლი ამოცანა არაა და მთავარ პრობლემად უსაფრთხოება რჩება. ქვეყანაში მდგომარეობის სტაბილიზებისთვის 8 წლის მანძილზე დახარჯული მთელი ძალისხმევა სასურველ შედეგამდე ვერ მივიდა. პირიქით, ბოლო პერიოდის მოვლენები იმაზე მიანიშნებს, რომ მდგომარეობის გაუმჯობესება მოსალოდნელიც კი არაა.

ძალზე რთულად განსახორციელებელი აღმოჩნდა უცხოელი მფარველებისადმი ლოიალურად განწყობილი ადგილობრივი უშიშროების ძალების მომზადება. **2011 წლის 1 ივლისისთვის ერაყის ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა ოფიციალურმა რაოდენობამ 780 ათასს გადააჭარბა. მიუხედავად ამისა, ეს ძალები ვერ აკონტროლებენ სიტუაციას და დიდ დანაკარგებს განიცდიან. მხოლოდ ივნისში ერაყში საბრძოლო შეტაკებების შედეგად სამხედროების და პოლიციელების რიგებიდან 116 კაცი დაიღუპა, 262 კი — დაიჭრა. ეს დაახლოებით მესამედით აღემატება მიმდინარე წლის მაისის მაჩვენებლებს.** სამხედრო გარნიზონებისა და პოლიციის განყოფილებების გარდა, თავდასხმის ობიექტებს წარმოადგენენ სამთავრობო ორგანოები, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობები, ბანკები, სამედიცინო დაწესებულებები, ერაყული და უცხოური ფირმების ოფისები. გამოსასყიდის მიღების მიზნით, ადამიანთა, მათ შორის უცხოელების გატაცება, ერაყში მომგებიან „ბიზნესად“ იქცა. **ქვეყანას ახრჩობენ მრავალრიცხოვანი, კარგად შეიარაღებული და დიდი საბრძოლო გამოცდილების მქონე დამნაშავეობრივი ბანდები, რომლებიც დიდი წარმატებით იყენებენ „დემოკრატიზაციის“ შედეგებს საკუთარი ინტერესების რეალიზებისთვის.**

ამ პირობებში აშშ იძულებულია, პერიოდულად უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა ოპერაციებში, თუმცა ჯერ კიდევ 2010 წლის დეკემბერში გამოცხადდა, რომ ერაყში ამერიკის სამხედრო ნაწილები აღარ დარჩა. 2011 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში აშშ-ის შეიარაღებული ძალების დანაკარგები ერაყში 44 ადამიანს შეადგენს, მათგან 15 ივნისში მოკლეს, რაც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ივლისში ერაყში როტაციის ფარგლებში 7175 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე გაიგზავნა, მათ შორის — მესამე ქვეითი დივიზიის შტაბი და ორი ბრიგადული ტაქტიკური ჯგუფი, აშშ-ის არმიის პირველი და მეოთხე ბრონესატანკო დივიზიიდან.

**ამჟამად აშშ-ის სამხედრო ძალების საერთო შემადგენლობა ერაყში დაახლოებით 49 ათას ადამიანს შეადგენს, მათგან დაახლოებით 1600 ერაყის ჯარსა და პოლიციაში სამხედრო მრჩევლად ან ინსტრუქტორია. ამავე დროს „მშვიდობისმყოფელთა მზრუნველობით“ ერაყი განვითარების მხრივ მრავალი წლით უკან გადავარდა. ქვეყანა გაძარცვულია, წარმოებაცა და სოფლის მეურნეობაც მთლიანად პარალიზებულია, ოდესღაც მშვენიერი სამედიცინო უზრუნველყოფა და განათლების სისტემა მხოლოდ უფროსი თაობის მეხსიერებას შემორჩა. სადამ ჰუსეინის რეჟიმის ჩამოგდებიდან მთელი რვა წლის განმავლობაში ერაყის მოსახლეობის უმეტესობისთვის ცხოვრება გადარჩენისთვის ბრძოლად იქცა.**

მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრად შემცირების ფონზე უმუშევრობის დონემ ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 15%-ს, ანუ 1 მილიონ ადამიანს მიაღწია. ამდენად, ბუნებრივია, რომ ბოევიკები თავიანთი რიგების შესავსებად კადრების დეფიციტს არ განიცდიან.

საკუთარი უსუსურობის გამართლების ძიების პროცესში ერაყის ხელისუფლება სახსრების არასაკმარისობაზე შეჩერდა და იმასაც კი შეეცადა, რომ აშშ 17 მილიარდი დოლარის მოპარვაში დაედანაშაულებინა. სახსრები 2004 წელს იმხანად პოლ ბრემერის ხელმძღვანელობით მოქმედი ერაყის დროებითი ადმინისტრაციის ბრძანებით შექმნილ ეგრეთ წოდებულ ერაყის განვითარების ფონდში ინახებოდა. ფონდის ანგარიშებზე ფული ერაყის ნავთობის გაყიდვიდან შედიოდა, ნაწილს გაეროს პროგრამის „ნავთობი სურსათის სანაცვლოდ“ ნარჩენები შეადგენდა, ნაწილს — საზღვარგარეთ, ძირითადად, აშშ-ში ერაყის გაყინული ანგარიშებიდან გადარიცხვები. ფონდის განმკარგველები, ცხადია, ამერიკელები იყვნენ.

პარლამენტის სტრუქტურაში შემავალი ერაყის ერთიანობის კომიტეტი ამაყად აცხადებდა: **„ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ აშშ-მა ერაყელი ხალხის ის ფული მოიპარა, რომელიც ერაყის განვითარებისთვის იყო განკუთვნილი“.** ერაყის ხელისუფლება ამ ფულის დახარჯვას „ომის შედეგად დანგრეული ქვეყნის აღდგენაზე“ აპირებდა. კომიტეტმა ფულის გაქრობას „ფინანსური დანაშაული“ უწოდა და გადაწყვიტა, გაეროსთვის მიემართა თხოვნით, დახმარებოდა მოპარული მილიარდების პოვნასა და დაბრუნებაში. კომიტეტს არც ის დავიწყებია, რომ, გაეროს რეზოლუციების მიხედვით, ერაყს უშუალოდ აშშ-ის წინააღმდეგ სარჩელის წარდგენის უფლება არ ჰქონდა.

ეს იურიდიული კაზუსი მხოლოდ წვრილმანი შტრიხია, რომელიც თანამედროვე ერაყის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ხარისხს ასახავს. კიდევ უფრო შთამბეჭდავია ის გარემოება, რომ **ათი ათასობით შეიარაღებული ადამიანი, უცხოეთის ქვეყნების მოქალაქე ოფიციალურად, აბსოლუტურად უპრობლემოდ გადადის ერაყის სახელმწიფო საზღვრებზე, რადგან ამ ქვეყნის კანონმდებლობა მათზე არ ვრცელდება. მათ არ ესაჭიროებათ ვიზები, მათ არ ამოწმებს საბაჟო, ისინი საქმის კურსშიც კი არ აყენებენ ერაყის მთავრობას, თუ სად არიან, რამდენი არიან და რას აკეთებენ. საუბარია ეგრეთ წოდებული მრავალეროვნული ძალების შეიარაღებულ წევრებზე და დაცვის კერძო სტრუქტურების უცხოელ თანამშრომლებზე, რომლებიც გაეროში მსახურობენ და მათ კონტინგენტს იცავენ. აშშ-ის სამხედროები, როგორც ცნობილია, უკვე დიდი ხანია, ფლობენ იმუნიტეტს უცხოეთში სასამართლო დევნისგან დასაცავად. 2004 წელს კი აშშ-ის საოკუპაციო ადმინისტრაციამ ერაყში მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც იმუნიტეტი მიენიჭათ კერძო დაცვის სამსახურების უცხოელ თანამშრომლებსაც. ეს უამრავ ერაყელს სიცოცხლის ფასად დაუჯდა.**

ერაყის შსს-ს მონაცემებით, ახლა ერაყში უცხოური დაცვის სამსახურების 12 ათასი თანამშრომელი იმყოფება. ერაყის მთავრობის მცდელობა, საკუთარი კონტროლისთვის დაემორჩილებინა და შეძლებისდაგვარად შეემცირებინა მათი რაოდენობა, მაშინვე შეეჯახა გაეროს განცხადებას რასობრივი და ეროვნული დისკრიმინაციის დაუშვებლობის თაობაზე. რაც შეეხება ამერიკელებს, სახელმწიფო დეპარტამენტი უკვე აფორმებს კონტრაქტს კარძო დაცვის რვა კომპანიასთან, ერაყში ოპერაციის გაფართოების მიზნით. სახელმწიფო მდივნის მოადგილემ პატრიკ კენედიმ განაცხადა თავისი უწყების გადაწყვეტილებაზე, გამოყოს სამი მილიარდი დოლარი ერაყში „უსაფრთხოების სფეროს პროფესიონალების“, სულ 5100 პირის გაგზავნისთვის.

**ცხადია, რომ 2008 წელს ვაშინგტონის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2011 წლის 31 დეკემბრამდე ერაყიდან ამერიკული ჯარების სრული გაყვანის თაობაზე პოლიტიკური დეკლარაცია იყო. იშვიათობას არ წარმოადგენს მსგავსი შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური განცხადებები ან მალავს რეალურ განზრახვებს, ან რეალობასთან საერთოდ არ აქვს შეხება. ამერიკელი ექსპერტები თანხმდებიან, რომ ერაყში ამერიკის სამხედროების დარჩენა აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების ინტერესებს შეესაბამება. გარდა ამისა, ვაშინგტონში მიიჩნევენ, რომ ერაყში ამერიკელი სამხედროების დარჩენით დაინტერესებული არიან სხვა ქვეყნებიც — იორდანია, თურქეთი, საუდის არაბეთი და სხვები, ვისაც რეგიონში ირანის გავლენის ზრდა აწუხებს.**

მიმდინარე წლის დეკემბრის შემდეგაც ერაყში ამერიკელი სამხედროების დარჩენის საკითხი აშშ-ში ახლა უკვე ღიად განიხილება უმაღლეს დონეზე, როგორც პრაქტიკულად გადაწყვეტილი საქმე. გადადგომამდე სულ ცოტა ხნით ადრე პენტაგონის შეფმა გეიტსმა პირდაპირ მიანიშნა: **„ეს იქნება როგორც აშშ-ის, ასევე ერაყის ინტერესებში. ვფიქრობ, ერაყელი სამხედროები აღიარებენ, რომ მათ ჯერ კიდევ სჭირდებათ ჩვენი დახმარება ზურგის სამსახურსა და დაზვერვაში. მათ არ აქვთ საშუალება, დაიცვან საკუთარი საჰაერო სივრცე. არის კიდევ რამდენიმე სხვა სფერო, სადაც შეგვიძლია მომავალშიც გავუწიოთ დახმარება“.** ▶



**ამერიკელი ექსპერტები თანხმდებიან, რომ ერაყში ამერიკის სამხედროების დარჩენა აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების ინტერესებს შეესაბამება**

**ჩვენ ახლა საზოგადოებაში ახალი კასტების ფორმირების მომსწრენი ვხდებით. ეს კასტები ყალიბდება არა იმდენად სუბკულტურების საფუძველზე, როგორც ვინმეს შეიძლება ეგონოს, რამდენადაც — ეგრეთ წოდებულ ახალ კლასებთან კუთვნილების საფუძველზე.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ თანამდებობაზე მისმა შემცვლელმა, ცსს-ის ყოფილმა ხელმძღვანელმა ლეონ პანეტამ განაცხადა: **„ჩემთვის ცხადია, რომ ერაყი განიხილავს შესაძლებლობას, თხოვნით მიმართოს ვაშინგტონს, იქ ამერიკული სამხედრო ნაწილების დარჩენის თაობაზე... დარწმუნებული ვარ, რომ ამგვარი თხოვნით წლის ბოლომდე მოგვმართავენ“.** პანეტამ ისიც დაამატა, რომ, მისი აზრით, აშშ-ის ადმინისტრაციამ მსგავს მიმართვას დადებითად უნდა უპასუხოს.

ივლისის დასაწყისში, თავდაცვის მინისტრად დანიშვნიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ, ლეონ პანეტა ხანმოკლე ვიზიტით ეწვია ბაღდადს, სადაც ხაზგასმით აღნიშნა: **„უნდა ვთქვა, რომ ერაყში მდგომარეობა კვლავაც არამდგრადია და ვთვლი, რომ უნდა გადავდგათ ყველა აუცილებელი ნაბიჯი იმისათვის, რომ დარწმუნებულნი ვიყოთ იქ მიღწეული პროგრესის შენარჩუნებაში“.**

ერაყის ხელისუფლების რეაქციას არ დაუგვიანია: პრემიერმა ნური ალ-მალიკიმ განაცხადა, რომ **„ერაყს შესაძლოა 2012 წელსაც დასჭირდეს მხარდაჭერა ქვეყანაში უსაფრთხოების შესანარჩუნებლად“.** მაგრამ ამგვარ თვალსაზრისს ერაყში ყველა არ ეთანხმება. **ბევრი კვლავაც ოკუპირებულად მიიჩნევს საკუთარ ქვეყანას, ხელისუფლებას კი — მარიონეტულად. ცნობილმა შიიტმა ლიდერმა მუქთადა ას-სადრმა უკვე განაცხადა, რომ აღადგენს 2007 წელს დათხოვნილ „მახდის არმიას“ და აიძულებს ამერიკას, წავიდეს.**

30 ივნისს აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა ერაყში ოპერაციის ახალი პერიოდის შესახებ. 2010 წლის 1 სექტემბრიდან, ანუ წინა თარიღით, დაიწყო ფაზა „ახალი განთიადი“. ეს ქვეყნის ოკუპაციის ისტორიის მერვე ეტაპია. მანამდე იყო „ხელისუფლების გადაცემა“, „ეროვნული თანხმობა“, „სუვერენიტეტი“ და ასე შემდეგ. ყველაფერი კი „ერაყის განთავისუფლებით“ დაიწყო. ვაშინგტონის ვერსიით, ერაყი განთავისუფლდა 2003 წლის 19 მარტიდან 1 მაისამდე პერიოდში. პენტაგონში ამ ფაზისთვის „განთიადის“ დარქმევა იმაზე მიანიშნებს, რომ ამერიკელ სტრატეგებს ფანტაზია ეწურებათ — 2003 წელს სადამ ჰუსეინის პოვნისა და შეპყრობის ოპერაციას მსგავსი სახელწოდება „წითელი განთიადი“ ჰქონდა. არის სხვა ფერები და შუქ-ჩრდილებიც. კიდევ არსებობს ნუმეროლოგია, რაც კიდევ უფრო ამარტივებს პერიოდიზაციას. სწორედ ასე მოიქცა პენტაგონი ავღანეთში, სადაც „განთავისუფლების“ შემდეგ „კონსოლიდაციების“ ფაზები დაინომრა. იმავე ბრძანებით ახლა ავღანეთში ფაზა „კონსოლიდაცია III“ მოქმედებს, თუმცა მისი ათვლა ასევე წინა თარიღით — 2009 წლის 1 დეკემბრიდანაა ნაბრძანები.

**იქმნება შთაბეჭდილება, რომ ციკლის თავისებური დასასრული დადგა — ის, რასაც ამერიკელები აღმავალ ხაზად მიიჩნევდნენ, სინამდვილეში სპირალისებურად დახვეული მრუდი აღმოჩნდა. ზემოთ, ქვემოთ მიმავალი კიბით.**

FONDSK.RU

# პროფესიონალი პოლიტიკოსები — კრიზისების წყარო

**მსოფლიო ფინანსური კრიზისის მიზეზს, როგორც წესი, წმინდა ეკონომიკურ სიბრტყეებზე ეძებენ და შესაბამის ტერმინებში: დევალვაცია, ინფლაცია, დერივატივები და ასე შემდეგ, გამოხატავენ. ერთი შეხედვით ყველაფერი სწორია, მაგრამ პოლიტიკის როლის დავიწყებით, რომელიც ეკონომიკური რეალობის ფორმირებაზე „საბაზრო კანონებზე“ ნაკლებ გავლენას არ ახდენს, შეგნებულად ვიგდებთ თავს სიტუაციაში, როდესაც ნებისმიერი თეორია მცდარი იქნება, ვინაიდან არასწორ საწყის მონაცემებს ეყრდნობა.**




## სახალხო პოლიტიკოსები, როგორც სალაპარაკო ჟანრის დიდოსტატები

პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, რომელსაც დემოკრატიულს უწოდებენ, სახალხო პოლიტიკა შოუ-ბიზნესის განშტოებად იქცა. პოლიტიკოსები ზუსტად ისეთივე პიარ-პროდუქტებს წარმოადგენენ, როგორსაც კინოს, სცენისა თუ ტელევიზიის ვარსკვლავები. უფრო მეტიც, **სახალხო პოლიტიკოსები ქმნიან ერთგვარ კასტას, მისთვის დამახასიათებელი ატრიბუტიკით — სპეციალიზებული ტერმინოლოგიით, ქცევის მოდელებით და ასე შემდეგ.**

დროის დიდ ნაწილს სახალხო პოლიტიკოსი, ისევე, როგორც კარგი მსახიობი, თავის გარეგნობაზე ზრუნვას, გამოსვლათა ტექსტების სწავლას, ელიტურ ღონისძიებებში მონაწილეობას, სახალხო გამოსვლებს, ამომრჩევლებთან შეხვედრებს და სხვა ისეთ საქმეებს ანდომებს, რომელიც გადაწყვეტილების მიღების მხრივ, მუშაობის თვალსაზრისით, აბსოლუტურად არაპროდუქტიულია. შედეგად სახალხო პოლიტიკოსი ყალიბდება სალაპარაკო ჟანრის კარგ სპეციალისტად, მაგრამ კარგავს კვალიფიკაციას (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს კვალიფიკაცია ოდესმე ჰქონდა) როგორც საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის სპეციალისტი.

**რაც უფრო წარმატებულია პოლიტიკოსი სახალხო მოღვაწის ამპლუაში, მით უფრო მეტად უწევს მას, სიტუაციის ანალიზსა და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებლობა იმ ადამიანებისგან შემდგარ ჯგუფს გადაულოცოს, რომლებთანაც მუშაობს.**

ამით პოლიტიკოსები სულ უფრო მეტად სცილდებიან იმ ფუნქციონალურ როლს, რომელიც თავდაპირველად იყო მათთვის მინიჭებული. **შედეგად, ისინი სულ უფრო ნაკლებ გავლენას ახდენენ მიმდინარე მოვლენებზე, თუმცა შორიდან ეს ყოველივე ისე გამოიყურება, თითქოს სწორედ ისინი მართავენ სახელმწიფოს.**

თავისი კარიერის მწვერვალზე სახალხო პოლიტიკოსი გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს გაცილებით მეტად ჩამორჩება, ვიდრე ამ კარიერის დასაწყისისას. მიზეზი ბანალურია: საქმისთვის დროის არქონა. მთელი დრო იმიჯის შექმნაზე იხარჯება. ამიტომ კარგად ბალანსირებული სისტემაც, მისი მართვის არარსებობის შემთხვევაში, ნელ-ნელა იშლება და იწყება იმ კრიზისების კასკადი, რომლის აღმოფხვრაც პოლიტიკოსებს არ შეუძლიათ. არ შეუძლიათ არა მხოლოდ იმიტომ, რომ აღარ შეუძლიათ ინფორმაციის გადამუშავება და გადაწყვეტილების მიღება, არამედ იმიტომაც, რომ მიმდინარე მოვლენების შესახებ მონაცემებს არ ფლობენ.

## გადაწყვეტილების მიღების სისტემის ინფორმაციული კოლაფსი

XX საუკუნის დასასრულსა და XXI-ის დასაწყისში იმ ინფორმაციის მოცულობის ზრდამ, რომლის გადამუშავებაც ყოველდღიურად უწევს ადამიანს, აჩვენა, რომ არც განათლების სისტემა, არც ადამიანის გონება, ამისთვის მზად არაა. შედეგად, რამდენიმე დონეზე გადანაწილებული მიღებული ინფორმაცია ყველასთან გაშალაშინებული და არსებითად შეცვლილი სახით აღწევს. გადაწყვეტილების მისაღებად პოლიტიკოსს უხდება საქმის ვითარების შესახებ უკიდურესად არასაიმედო და ხშირ შემთხვევაში აბსოლუტურად არასწორი ინფორმაციით ხელმძღვანელობა.

ინფორმაციის გადანაწილების უხეში კლასიფიკაცია შემდეგნაირად გამოიყურება:

**I. ფიქსაციური.** ამ დონეზე მონაწილეობენ მოვლენის თვითმხილველები, რომლებიც არ ფლობენ სრულ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა ხდება და იმახსოვრებენ მოვლენის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც მათთვისაა ხელმისაწვდომი.

**II. პირველადი ინტერპრეტაცია.** ამ ეტაპზე საინფორმაციო სააგენტოები გადასცემენ თვითმხილველების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

**III. მეორადი ინტერპრეტაცია.** საინფორმაციო სააგენტოებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჟურნალისტები ამზადებენ მასალას და მომხდარს გადმოსცემენ საკუთარი თვალთახედვისა და რედაქციის პოლიტიკის გათვალისწინებით.

**IV. პირველადი ანალიზი.** ჟურნალისტური მასალების საფუძველზე ანალიტიკური ცენტრების თანამშრომლები მოვლენის, მისი მიზეზებისა და შედეგების თაობაზე დასკვნებს აკეთებენ.

**V. აგრეგატორული დონე.** საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მონიტორინგის სპეციალისტები, ასევე მოყვარულები, რომლებიც სხვადასხვა სახის ინფორმაციის ძიებით არიან დაკავებულნი, აგროვებენ მასალებს, რომლებიც მოსწონთ და სპეციალიზირებულ რესურსებზე ათავსებენ.

**VI. მეორადი ინტერპრეტაცია.** იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც აგრეგატორული დონიდან იღებენ, პარტიების ანალიტიკოსები ამზადებენ მასალებს პოლიტიკოსების თანაშემწეებისთვის.

**VII. მესამე ინტერპრეტაცია.** ანალიტიკოსთა მონაცემებზე დაყრდნობით მზადდება პოლიტიკოსების მოხსენებათა ჩანაწერები და გამოსასვლელი სიტყვები.

ასეთი უხეში სქემაც კი საკმარის წარმოდგენას იძლევა ფილტრების იმ რაოდენობაზე, რაც ფაქტიდან პოლიტიკოსამდე გზაზეა განლაგებული. პრაქტიკულად იმის უმცირესი შანსიც კი არ არსებობს, რომ უკანასკნელს ექნება საშუალება, ზოგადი წარმოდგენა მაინც შეექმნას რეალურად მომხდარზე. შესაძლოა, გაჩნდეს კითხვა: **რატომ არ იღებს პოლიტიკოსი ინფორმაციას თუნდაც მეორე დონიდან? იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მას დრო არ ეყოფოდა თუნდაც იმისთვის, რომ გაცნობოდა მეტ-ნაკლებად საიმედო წყაროების მიერ წარმოდგენილ მასალებს.** საუბარიც აღარაა ამ ინფორმაციის გაანალიზებაზე, დასკვნების გამოტანასა და გადაწყვეტილების მიღებაზე.

## „მუნჯის ყრუსთან“ დიალოგის პერსპექტივები

სახალხო პოლიტიკოსის პროფესიონალად ქცევა „დემოკრატიულ ქვეყნებში“ მოცემულ ეტაპზე პრაქტიკულად დასრულებულია. და მშვენივრად ჩანს, თუ რატომ არ ესმით პოლიტიკოსებს, ვთქვათ, მეცნიერების ან ვინმე სხვის. იმიტომ, რომ ისინი სხვადასხვა სამყაროში ცხოვრობენ, რადგან სპეციალიზაცია იქამდე მივიდა, რომ პოლიტიკა ისევე იქცა პროფესიად, როგორიც არის მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა და ასე შემდეგ. **პროფესიონალი პოლიტიკოსი ვერც ფილოლოგს გაუგებს, ვერც — პოლიტოლოგს, ვერც — სოციოლოგს, ერთი უბრალო მიზეზის გამო: მან არ იცის იმ სიტყვების უმეტესობა და ვერ ახერხებს ორიენტირებას მცნებათა იმ სისტემებში, რომლებითაც მეცნიერი ოპერირებს.**

შედეგი ერთია: **ვინც რა უნდა გააანალიზოს ახლა და ვინც რა უნდა შეიმუშაოს, ნებისმიერი ამ ანალიზიდან და პროდუქტიდან იმავე ბარაკ ობამასთვის ზუსტად იმდენადვე გასაგები იქნება, რამდენადაც — ჩინურ ენაზე შედგენილი აქტი. იგი ვერ შეძლებს მის გამოყენებას.**

თუ აშშ-ის პრეზიდენტს მოუნდება, კონსულტაცია მიიღოს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს ამა თუ იმ სიტუაციაში, საუკეთესო შემთხვევაში ის იკითხავს: რა ვქნა? მას უპასუხებენ: თუ გსურთ, ნამდვილად ეფექტურად იმუშაოთ, დაუქვემდებარეთ თქვენი პრეზიდენტობა სხვა სახის სამუშაოს, ვიდრე სახალხო პოლიტიკოსობაა. ცხადია, ის ამას ვერ შეძლებს; კავშირებისა და ურთიერთობების მთელი კომპლექსი კი მის ირგვლივ, მისი გარემოცვა ამგვარ შემობრუნებას ვერ აღიქვამს. შესაბამისად, გადაწყვეტილება მიღებულ იქნება არა რაციონალური მოდელიდან ან გათვლიდან გამომდინარე, ან იმის მიხედვით, თუ რა სურს პოლიტიკოსს და მის გარემოცვას და რისი გაგება შეძლეს მათ ხელთ არსებული ინფორმაციიდან.

## მსოფლიო „ახალი ბნელი საუკუნეების“ მიჯნაზე

უკრაინელი ფილოსოფოსისა და ფუტუროლოგის, სერგეი დაციუკის თქმით, მსოფლიო ახლა „ახალი ბნელი საუკუნეების“ ფაზაში შედის და ტექნოლოგიური პროგრესი ამას არაფერს უშლის. სახელმწიფოები მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიან. **„ეს საერთოდაც არ იქნება სახელმწიფო ჩვენთვის ცნობილი ფორმით,“** — ამბობს იგი.

**მრავალი სოციოლოგი, ფილოსოფოსი და პოლიტოლოგი აღნიშნავს, რომ მსოფლიო ნელ-ნელა სტრუქტურირდება და ამავე დროს დიფერენცირდება. გლობალიზაციის პროცესების პარალელურად საზოგადოებათა ფრაგმენტაციის პროცესებიც მიდის.**

ჩვენ ახლა საზოგადოებაში ახალი კასტების ფორმირების მომსწრენი ვხდებით. ეს კასტები ყალიბდება არა იმდენად სუბკულტურების საფუძველზე, როგორც ვინმეს შეიძლება ეგონოს, რამდენადაც ეგრეთ წოდებულ ახალ კლასებთან კუთვნილების საფუძველზე (კატეგორია ძირითადად ბაზირებულია ინდივიდის შრომასთან, წარმოების საშუალებებთან და სოციალურ მობილურობასთან დამოკიდებულებაზე).

**მსოფლიოს მოწყობა ნელ-ნელა ემსგავსება ფეოდალურ საზოგადოებას როგორც შუასაუკუნეებიდან ცნობილი მრავალი შტრიხით, ასევე ახალი ფორმებით. არა მხოლოდ დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ინსპირირებული, არამედ მათი აქტიური მონაწილეობით მიმდინარე ლოკალური ომების ჯერის საშუალებით დაწყებული მსოფლიოს გარდაქმნის პროცესი დღითიდღე მხოლოდ დაჩქარდება. ჯერჯერობით გაურკვეველია, რას მივიღებთ შედეგად, მაგრამ სასურველია, ეს არ ჰგავდეს მომავალს, რომელიც აღწერილია რომანში „451 გრადუსი ფარენგეიტით“.**




**მსოფლიო ნელ-ნელა სტრუქტურირდება და ამავე დროს დიფერენცირდება. გლობალიზაციის პროცესების პარალელურად საზოგადოებათა ფრაგმენტაციის პროცესებიც მიდის**

FONDSK.RU

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**აშშ-ის ციხეების ფართო სისტემა, რომლებშიც ამჟამად 2,4 მილიონი ადამიანია გამოკეტილი, ძალიან ჰგავს ამერიკის მიერვე საზღვარგარეთ აშენებულ გულაგებს. ამერიკამ ხომ საკუთარ თავზე აიღო მსოფლიო ბადრაგის ფუნქცია.**



# აშშ-ის სახელმწიფო რეზერვებს პირადი მიზნებისთვის იყენებდნენ

**აშშ-ის საანგარიშო პალატამ დაასრულა ფედერალური სარეზერვო სისტემის ისტორიაში პირველი აუდიტი, რომლის შედეგებმაც კანონმდებლებსა და ანალიტიკოსებს შორის ნამდვილი შოკი გამოიწვია. აღმოჩნდა, რომ მრავალი წლის განმავლობაში ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცენტრალური ბანკის ფუნქციებს ასრულებს, ჩუმად გასცემდა სამაშველო კრედიტებს ამერიკისა და უცხოეთის კერძო კომპანიებისა და ბანკებისთვის. სახელმწიფო სახსრების საერთო რაოდენობამ, რაც ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელობასთან დაახლოებული დაწესებულებების მხარდაჭერისთვის გამოიყენებოდა, 16 ტრილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა.**



საკანონმდებლო ინიციატივით, გადაემოწმებინათ ფედერალური სარეზერვო სისტემის საქმიანობა, მიმდინარე წლის მაისში ვერმონტის შტატის სენატორი ბერნი სანდერსი გამოვიდა. სენატის 96-მა წევრმა ინიციატივას მხარი დაუჭირა. მის წინააღმდეგ ხმა არავის მიუცია და კენჭისყრისას თავიც არავის შეუკავებია.

პრინციპში, 1913 წელს შექმნილი ფედერალური სარეზერვო სისტემის მართვაში ძირითად როლს სახელმწიფო უნდა ასრულებდეს, მაგრამ მასში კაპიტალის კუთვნილების ფორმა კერძოა — აქციების განსაკუთრებული სტატუსით.

შედეგად, საანგარიშო პალატის მოხსენების შესაბამისად, ფედერალური სარეზერვო სისტემა იცავდა თავისი თანამშრომლებისა და კერძო კონტრაქტორების ინტერესებს და გასცემდა საგანგებო სესხებს იმ ფინანსური ინსტიტუტებისა და კორპორაციებისთვის, რომლებშიც მათ პირადი ინვესტიციები ჰქონდათ განთავსებული.

**მაგალითად, პლანეტაზე ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე გავლენიანი ფინანსური კომპანია JP MORGAN CHASE-ის გენერალური დირექტორი ფედერალური სარეზერვო სისტემის ნიუ იორკის ფილიალის დირექტორთა საბჭოს წევრი იყო; მაშინ, როდესაც მისმა ბანკმა ფედერალური სარეზერვო სისტემიდან, ფინანსური დახმარების სახით, 390 მილიარდი დოლარი მიიღო. უფრო მეტიც, JP MORGAN CHASE გახდა ერთ-ერთი უფლებამოსილი კლირინგული ბანკი ფედერალური სარეზერვო სისტემიდან საგანგებო კრედიტირების პროგრამისთვის.**

„ფედერალური სარეზერვო სისტემა ცალმხრივად გასცემდა ტრილიონობით დოლარს ფინანსური დახმარების სახით უცხოური ბანკებისა და კორპორაციებისთვის სამხრეთ კორეიდან მოყოლებული შოტლანდიამდე. ეს მდიდრებისთვის სოციალიზმის მკაფიო და აშკარა შემთხვევაა და წარმოადგენს ყველა დანარჩენთათვის მხოლოდ საკუთარ ძალებსა და რესურსებზე დაყრდნობის შეთავაზებას,“ — განაცხადა ბერნი სანდერსმა.

მისივე თქმით, ამის შემდეგ ფირმის არც ერთ თანამშრომელს, რომლებიც პირდაპირ ფინანსურ დახმარებას იღებენ ფედერალური სარეზერვო სისტემიდან, არ უნდა მიეცეს უფლება, იყოს ფედერალური სარეზერვო სისტემის დირექტორთა საბჭოს წევრი ან თუნდაც, უბრალოდ, მუშაობდეს ფედერალურ სარეზერვო სისტემაში. ცხადია, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემა უნდა რეფორმირდეს მშრომელი ოჯახების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და არა მხოლოდ უოლ-სტრიტელი „თეთრი საყელოების“ საკეთილდღეოდ“.

საინტერესოა, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია და თავად ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომლებიც თავიდანვე აუდიტის ჩატარების კატეგორიული წინააღმდეგი იყო, მის ჩატარებაზე მხოლოდ იმ პირობით დათანხმდა, რომ აუდიტი იქნებოდა ერთჯერადი და რომ ანტიკრიზისული დახმარების მიმღებთა სიები მხოლოდ 2011 წლის 1 დეკემბრის, ანუ აშშ-ის კონგრესში შუალედური არჩევნების შემდეგ გამოქვეყნდება.

**TELEGRAF.LV**

**რაც უფრო მეტად მოედო მთელ მსოფლიოს ამერიკული იმპერია, მით უფრო მეტად დაემსგავსა ამერიკა თავისი მოქალაქეებისთვის პოლიციურ სახელმწიფოს. ამერიკელები ახლა საკუთარ თავზე ცდიან ქცევის იმ მეთოდებსა და ძალადობას, რომლითაც აშშ-ის არმია ადრე მხოლოდ სხვათა სახლებში ვარდებოდა.**

# გარეთ — იმპერია და შიგნით — პოლიციური სახელმწიფო

გასული წლის სექტემბერში, რეიგანის პრეზიდენტობისას, აშშ-ის ფინანსთა მინისტრის თანაშემწემ პოლ კრეიგ რობერტსმა დაწერა წერილი, რომელსაც ერქვა **„აშშ — პოლიციური სახელმწიფო. ეს ახლა ფაქტია“.** სტატიაში გამოხატული იყო შემდეგი თვალსაზრისი:

**მცნება „ძალადობრივი ექსტრემიზმი“ პოლიციურ სახელმწიფოში იმდენად ბუნდოვანია, რომ ხელისუფლებას შეუძლია, ისე გამოიყენოს, როგორც მოესურვება. ამიტომ ახლა თუ ერთ მშვენიერ დღეს დილაადრიან ჩვეულებრივი ადამიანის სახლში გამოძიების ფედერალური ბიუროს რაზმი შევარდება, ამას ეწოდება ადეკვატური ზომები, რომელიც ტერორიზმის მატერიალური მხარდაჭერის აღსაკვეთად იქნა მიღებული.**

**დარბევები, რომელთაც გამოძიების ფედერალური ბიურო რეგულარულად ახორციელებს საკუთარ ქვეყანაში, ძალიან ჰგავს ამერიკელი სამხედროების მიერ ოკეანის გაღმა განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებს.** მაგალითად, როდესაც სამხედროები ერაყში, პროფკავშირების ორგანიზაციების ოფისებში შედიოდნენ, პირდაპირ აპატიმრებდნენ ლიდერებს. მათი „დანაშაული“, ძირითადად, იმაში მდგომარეობდა, რომ ოკუპანტებს ხელს უშლიდნენ ადგილობრივ ნავთობკომპანიებთან გარიგებების ორგანიზებაში.

**აშშ-ის ციხეების ფართო სისტემა, რომლებშიც ამჟამად 2,4 მილიონი ადამიანია გამოკეტილი, ძალიან ჰგავს ამერიკის მიერვე საზღვარგარეთ აშენებულ გულაგებს. ამერიკამ ხომ საკუთარ თავზე აიღო მსოფლიო ბადრაგის ფუნქცია.**

2006 წელს ალან უტმანმა საიტ AlterNet-ზე განათავსა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბუშის რეჟიმმა რაღაც „ახალი პროგრამით“ დაკავებულთა გამოსამწყვდევად „წინასწარი დაკავების ადგილების“ მშენებლობა დაიწყო. ამ პროექტის ჩარჩოებში სამშენებლო კომპანია Kellogg Brown & Root-ს თითქმის 400 მილიონი დოლარი გამოუყვეს.

სახლში იმავეს ვაკეთებთ, რის კეთებასაც საზღვარგარეთ დავეჩვიეთ.

**პოლიციური სახელმწიფოს ოკეანისგაღმელ სუბიექტებზე დამუშავებული მეთოდების დაბრუნება მშობლიურ ამერიკაში ხანგრძლივ ისტორიას ითვლის. როდესაც ამერიკის მიერ ესპანური კოლონიზაციისგან „გათავისუფლებულმა“ ფილიპინელებმა სცადეს, თავიანთი „განმათავისუფლებლებისგან“ დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ, სიმშვიდის დამრღვევები მიჰყავდათ და წყლით აწამებდნენ.**



გავიდა სულ რაღაც ოცი წელი და მსგავსი წამება საკუთარ თავზე გამოსცადეს ამერიკელმა პაციფისტებმა, რომლებიც ვილსონის ხელისუფლების მიერ პირველ მსოფლიო ომში ჩართვის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ. მათ ხელებით კიდებდნენ და სახეში წყლის ჭავლს ასხამდნენ.

ჟურნალ The Nation-ის 25 ივლისის ნომერში წამყვან სტატიაში ამერიკა დადანაშაულებულია საიდუმლო არმიების, საიდუმლო ოპერაციების, საწამებელი ცენტრების, არაკონტროლირებადი სამხედრო კორპორაციების, უზომო სამხედრო დანახარჯების, დისტანციური ომების, შეკვეთილი მკვლელობების გამოყენებაში.

**კონგრესი, როგორც წესი, იწონებს ხოლმე საზღვრებს გარეთ ომების წარმოების იდეებს და იღებს კანონებს, რომლებიც ასამარებს პირად თავისუფლებას საზღვრებს შიგნით. პოლიციური სახელმწიფო ძალას იკრებს.**

რამდენიმე დღის წინ ფლორიდის შტატის სადგურ ორლანდოში ადამიანებს აიძულებდნენ, სხეულის სკანირების პროცედურა გაევლოთ. ამერიკელებისთვის ფრენის ან მატარებლით მგზავრობის წინ ამგვარი პროცედურა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და ისინი ნელ-ნელა აბსოლუტურად უკომენტაროდ იწყებენ შეგუებას საკუთარ ცხოვრებაში „ნაციონალური უსაფრთხოების“ სახელით განხორციელებულ ჩარევებთან.

ბუშის რეჟიმისგან შემორჩა თვალთვალის სიები (75 ათასი სახელი) და „ფრენის აკრძალვები“ (45 ათასი სახელი). მათში მოხვედრილი მოქალაქეები ვერასდროს იფრენენ. იჩივლონ, რამდენიც უნდათ, შედეგი ნულოვანი იქნება.

ხალხი დაშინებულია. იურიდიული სკოლის პროფესორმა დევიდ კროულმა განაცხადა, რომ კონგრესმა გასული წლის მაისში განმეორებით დაამტკიცა ეგრეთ წოდებული **პატრიოტიზმის შესახებ კანონის** მდგომარეობა, რომელიც ხელისუფლებას ნებას აძლევს, გამოიყენოს მობილური ტელეფონების მიკროფონების აქტივაციის მეთოდიკა და ამოიღოს ნებისმიერი დოკუმენტი „მსხვერპლის“ ტერორიზმთან ან რაიმე სხვა სახის დანაშაულებრივ ქმედებასთან კავშირის დამადასტურებელი რაიმე მასალის წარდგენის გარეშე.

კროული დარწმუნებულია, რომ მალე გენერალური პროკურორი ერიკ ჰოლდერი გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებს დაავალებს, ამერიკელების ჭუჭყიანი თეთრეული ქექონ, მათი კომპიუტერებიდან ინფორმაცია ამოიღონ და უთვალთვალონ ყველას, რაიმე საფუძვლის ან სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. **სასამართლო გათავხედებული პოლიციელისგან მოქალაქის დაცვის ერთადერთი საშუალება იყო. ახლა მოქალაქეებს ესეც აღარ აქვთ.**

**ამერიკელებს უფლებებს უფლებებზე ართმევენ. ჰაროლდ ლასკიმ, ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის ყოფილმა ლიდერმა, ერთხელ აღნიშნა: „ჩვენ ვცხოვრობთ სისტემაში, სადაც ერთი მუჭა ხალხი ექსპლოატაციას უწევს უმრავლესობას, ომი კი მწვანე შუქს უნთებს ამგვარ ექსპლოატაციას“.**

იმპერიალიზმი ყველა დროში — XVI საუკუნის ესპანეთში იქნება ეს, XVII საუკუნის ინგლისში, საბჭოთა რუსეთში, იმპერიალისტურ იაპონიაში, ნაცისტურ გერმანიაში თუ თანამედროვე ამერიკაში — არის განგრენა, რომელიც ზუსტად იმდენადვე მტკივნეულია შინ, რამდენადაც — საზღვარგარეთ.

**GLOBALRESEARCH.CA**

ყოველწლიურად ნაციონალური ნავთობკომპანია იღებს კონტრაქტის ძირითად ნაწილს წყნარი ოკეანის რეგიონის დასავლეთით ამერიკული ჯარების მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციების საწვავით უზრუნველსაყოფად. ბაჰრეინის ნაციონალურ საწვავის კომპანიას უიშვიათესი სტატუსი აქვს: მილიონიანი მოსახლეობის მქონე სამეფო საწვავის ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელია და ამისთვის მილიარდობით დოლარს იღებს.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ-ის სამხედრო ბაზებიდან სარგებელს დიქტატორები იღებენ

**ოფიციალურად აშშ სხვა ქვეყნებს ფულს არ უხდის იმისთვის, რომ მათ ტერიტორიაზე საკუთარი სამხედრო ბაზები განათავსოს. ლოგიკა სავსებით მარტივია: უცხოელი დიქტატორების ხაზინისთვის ფულის მიცემა ვერ ჩამოაყალიბებს საფუძველს ნამდვილი სტრატეგიული კავშირებისთვის. მაგრამ მაინც, იმისთვის, რომ ერაყსა და ავღანეთში ომები აწარმოოს და გულმოდგინედ ადევნოს თვალი ირანში მოლებს, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე პენტაგონს უხდებოდა იმ სამხედრო ბაზების ქსელზე დაყრდნობა, რომელიც მთელ ახლო აღმოსავლეთშია მიმოფანტული. Newsweek-ის მიერ ჩატარებული გამოძიება ეხებოდა პენტაგონის პრაქტიკას აბუ-დაბიში, ქუვეითსა და ბაჰრეინში კონტრაქტების გაფორმების თემას და მისი წყალობით გაირკვა, რომ 14 მილიარდ ამერიკულ დოლარზე მეტი გადაუხადეს კომპანიებს, რომლებსაც სპარსეთის ყურის ქვეყნების მმართველი ოჯახები აკონტროლებენ.**

**გამოაშკარავებულ ფაქტებთან დაკავშირებით ჩნდება ფუნდამენტური კითხვა: ამდიდრებს თუ არა ამერიკელ გადასახადების გადამხდელთა დოლარები მეგობრული რეჟიმების მმართველ მბრძანებლებს?**

## Newsweek-ის გამოძიებამ გამოააშკარავა, თუ როგორ ხვდება პენტაგონის მილიარდები ახლო აღმოსავლეთის დიქტატორების ხელში



მაგალითისთვის ავიღოთ, ვთქვათ, აბუ-დაბი. არის რა არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ყველაზე მდიდარი, მის ტერიტორიაზე განთავსებულია ალ-დაფრის ამერიკული სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობის ცენტრია ამ რეგიონში საწვავის ავზების შესავსებად. როგორც ყურეში სახელმწიფოთა უმეტესობაში, აბუ-დაბის ერთი ოჯახი მართავს, ის მბრძანებლობს ხელისუფლებაზეც და ბიზნესის სექტორზეც. ეს ნაიანების ოჯახია, ემირი კი, 63 წლის შეიხ ხალიფა ბინ ზაიედ ალ-ნაიანი, ცნობილია აქლემების რბოლისადმი სათუთი დამოკიდებულებით. **იგი აკონტროლებს ნაციონალურ ნავთობკომპანია ADNOC-საც. როგორც გაირკვა, ავიასაწვავის ყველა წვეთი, რომელსაც ამერიკა ალ-დაფრეში თავისი თვითმფრინავებისთვის ყიდულობს, ეს კი წელიწადში 200 მილიონი გალონია და 2005 წლიდან ამ დრომდე ამერიკას 5,2 მილიარდი დოლარი დაუჯდა, სწორედ ამ კომპანიისგან შეიძინა.**

მაგრამ, როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ამ ფულს არ გაუვლია საკონკურსო ვაჭრობის პროცესი, რაც პენტაგონის მხრიდან ნებისმიერ შენაძენს უნდა ახლდეს. აბუ-დაბიში „შესაძლოა უბრალოდ ვყიდულობთ ჩვენს იქ ყოფნას“, — ამბობს ბერნარდის კოლეჯის პროფესორი ალექსანდრე კული. **ამერიკა რეგულარულად იხდის საიჯარო გადასახადს უცხოელი მიწის მფლობელების სასარგებლოდ, მაგრამ ეს გადახდები ხორციელდება ბაზების განთავსებაზე იმ უფლებებისგან დამოუკიდებლად, რომლებიც ხელისუფლებათშორისი შეთანხმებების საფუძველზე ყალიბდება. რაც შეეხება თავად ბაზებს, კულის თქმით, აქ მუშაობს პრინციპი „სამსახური სამსახურის სანაცვლოდ“.**

თითქმის 30 წლის წინ, დანახარჯებთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი სკანდალის შემდეგ კონგრესმა დაამტკიცა **„კანონი კონკურენციის შესახებ კონტრაქტების გაფორმების დროს“.** პრინციპი საკმაოდ მარტივია: კონკურენცია ამცირებს ფასს და ზრდის ხარისხს. საომარ დროს კონტრაქტების ფედერალური კომისიის წევრის — ჩარლზ ტიფერას თქმით, **„კანონი ითხოვს კონკურენციას უმნიშვნელო გამონაკლისებით“.**

**აბუ-დაბიმ ბრწყინვალედ გამოიყენა ამგვარი შეღავათებიდან ერთ-ერთი. ხუთი წლის წინ, ერაყში გაგანია ომისას, ამერიკის საწვავის კონტრაქტორმა ფლორიდაში მდებარე ამერიკული კომპანია IOTC-ის სახით გამოწვევა ესროლა კომპანია Adnoc-ს. „კონტრაქტი უნდა გაფორმდეს კეთილსინდისიერი კონკურენციის საფუძველზე“ — წერდა თავის საპროტესტო წერილში ფედერალურ საბიუჯეტო-საკონტროლო სამმართველოს იურისტი რონალდ უშერი. პენტაგონი შეეწინააღმდეგა იმის მოშველიებით, რომ ეს არაბეთის გაერთიანებული საემიროების კანონია, მაგრამ IOTC-ის იურისტი ამბობდა, რომ სამხედრო ხელისუფლებას არანაირად არ შეეძლო ამგვარი კანონის ან ბრძანების შემუშავება.**

პენტაგონის შიდა ელექტრონული წერილები, რომლებიც Newsweek-მა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის საფუძველზე მოიპოვა, ცხადყოფს სამხედრო შეძენებით დაკავებული სააგენტოს შიგნით გამეფებულ გაურკვევლობას აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ზურგის მომარაგების საკითხებში. **მას შემდეგ, რაც 2008 წელს პოლკოვნიკმა გამოხატა საკუთარი ეჭვები კომპანია ADNOC-იდან საწვავის მიწოდების შესახებ ერთადერთ კონტრაქტთან დაკავშირებით, სააგენტოს მოქმედმა ხელმძღვანელმა უპასუხა: „ეს არის ერთადერთი კომპანია, რომლისგან საწვავის შეძენის უფლება გვაქვს“. მოგვიანებით შემკვეთის წარმომადგენელმა იკითხა, არსებობს თუ არა რაიმე დოკუმენტაცია ან ისტორია აბუ-დაბის კანონის მიხედვით. აბუ-დაბიში ამერიკის საელჩომაც კი განაცხადა, რომ ამ კანონის ასლი ვერსად მოიპოვა. რამდენიმე თვის შემდეგ პენტაგონმა კომპანია ADNOC-ს 918 მილიონი დოლარის ღირებულების კიდევ ერთი კონტრაქტი გაუფორმა.** როგორც ტიფერმა განაცხადა, **„თქვენ ხსნით ხაზინას ემირატის სასარგებლოდ“.**

პენტაგონი აცხადებს, რომ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა. **„ჩვენ გვაქვს არჩევანი“,** — უთხრა Newsweek-ს ზურგის უზრუნველყოფის სააგენტოს წარმომადგენელმა. — **„გინდათ, იყოთ ამ ქვეყანაში, გქონდეთ აქ ბაზები და გამოიყენოთ მათ მიერ მოწოდებული საწვავი, თუ — არა?“** როგორც ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის ყოფილი ელჩი რონალდ ნიუმენი ამბობს, დილემა — ეს არის **„ბიზნესის წარმოების პოტენციური გავლენა არადემოკრატიულ სახელმწიფოებში“.**

სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნებში, სადაც ამერიკის ბაზებია განლაგებული, მმართველები, როგორც ჩანს, მოგებას ამავე სქემის შესაბამისად ნახულობენ. მაგალითად, **ასეთივეა საქმის ვითარება ქუვეითში, სადაც ძირითადი ამერიკული ბაზა „არიფჯანი“ ემსახურება ერაყში მიწოდების მთავარ სამხედრო მარშრუტებს. ისევე, როგორც ალ-ნაიანის ოჯახი აბუ-დაბიში, ქუვეითში ქვეყანას ალ-საბახის კლანი მართავს. ეს კლანი, აბუ-დაბის მმართველის მსგავსად, თავადვე მართავს ნავთობის ნაციონალურ კონცერნს KUWAIT PETROLEUM CO. 2005 წლიდან ამ კონცერნმა პენტაგონისგან 4 მილიარდი დოლარის ღირებულების კონტრაქტები მიიღო.**

როგორც ზურგის უზრუნველყოფის სააგენტო განმარტავს, **„ერაყისათვის განკუთვნილი საწვავის მიწოდებების შესახებ კონტრაქტები სრულდება ერთადერთი კონტრაქტორის მიერ ქუვეითის საკანონმდებლო შეზღუდვის გათვალისწინებით“.**

შეგვიძლია, მაგალითისთვის ბაჰრეინის სამეფოც განვიხილოთ. გასულ თვეში იქ საპროტესტო აქციები მძვინვარებდა. ამ ქვეყანაში ამერიკის შეერთებული შტატების მეხუთე ფლოტის შტაბ-ბინაა განლაგებული. უფრო მეტიც, ბაჰრეინში განთავსებულია ზურგის უზრუნველყოფის სააგენტოს რეგიონალური შტაბ-ბინაც. ქვეყანას მეფე ხამად ბინ ისა ალ-ხალიფა მართავს.

ყოველწლიურად ნაციონალური ნავთობკომპანია იღებს კონტრაქტის ძირითად ნაწილს წყნარი ოკეანის რეგიონის დასავლეთით ამერიკული ჯარების მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციების საწვავით უზრუნველსაყოფად. **ბაჰრეინის ნაციონალურ საწვავის კომპანიას უიშვიათესი სტატუსი აქვს: მილიონიანი მოსახლეობის მქონე სამეფო საწვავის ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელია და ამისთვის მილიარდობით დოლარს იღებს.**

საწვავით უზრუნველყოფის სააგენტო აღნიშნავს, რომ ბაჰრეინის ნაციონალური საწვავის კომპანია, აბუ-დაბის კომპანია Adnoc-ისგან განსხვავებით, ერთადერთი კონტრაქტორი არაა. პირიქით, როგორც პენტაგონი აცხადებს, ბაჰრეინი ყოველთვის მოგებაშია, ვინაიდან საწვავზე მისი ფასი ნაკლებია; ის საწვავის დიდ რაოდენობას გვთავაზობს; და მას არ ჰყავს ბევრი კონკურენტი რეგიონში „ტრადიციულ მიმწოდებლებს“ შორის, თუ ასეთები საერთოდ არსებობენ.

როგორც კონსალტინგური ფირმა PFC Energy-ის დირექტორი დევიდ კირში ამბობს, Bahrain Petroleum Co, ალბათ, ვერ მოიგებდა ამ კონტრაქტებს, საწვავი რომ ბაზისთვის არ ყოფილიყო განკუთვნილი. ზურგის უზრუნველყოფის სააგენტოს წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათი უწყება მთელი ძალით ცდილობს, რომ ამერიკულ ჯარს მთელს მსოფლიოში საწვავი დაბალ ფასად მიაწოდოს.

**საკითხავი ისღაა, არსებობს კი ეს სტრატეგიული ალიანსები კიდევ რაიმეს ხარჯზე, გარდა გადასახადების გადამხდელთა ფულისა?**

**NEWSWEEK**

მოკლედ

## კვიპროსის მთავრობა გადადგა

**კვიპროსის პრეზიდენტმა დიმიტრის ქრისტოფიასმა რიგგარეშე სხდომაზე მთავრობის წევრებს გადადგომის შესახებ განცხადებების დაწერა დაავალა.** ქვეყნის პირველმა პირმა ამ გადაწყვეტილების საფუძვლად მომავალში დაგეგმილი ფართომასშტაბიანი ცვლილებები დაასახელა. ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე კი უკვე ყოფილი მინისტრები მოვალეობის შემსრულებლებად დაინიშნებიან. მთავრობის გადადგომა კვიპროსის პოლიტიკურ კრიზისს უკავშირდება, რაც 11 ივლისს მომხდარი აფეთქების შედეგად შეიქმნა.



## ამერიკელი სამხედროები პროტესტს აცხადებენ

**პენტაგონის ხელმძღვანელობა სამხედრო ბიუჯეტის 800 მილიარდი დოლარით შემცირების შესახებ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მიღებული გადაწყვეტილებებით შეშფოთებულია.** დაფინანსების შემცირება, სამხედროების თქმით, შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვნად შემცირებას გამოიწვევს. აშშ-ის შეიარაღებული ძალების გენერლები სენატში თავდაცვის ხარჯების შემცირების გასაპროტესტებლად მივიდნენ. გენერლების თქმით, დაფინანსების შემცირება აშშ-ის არმიის შემცირებასაც გამოიწვევს.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ ოფიციალური პირები სომალის „ტერორისტებისთვის იდეალურ ადგილად“ მიიჩნევენ. თუმცა, ფაქტია, რომ კლანების ზოგიერთი ხელმძღვანელები, მაგალითად, როგორც აწ გარდაცვლილი მოჰამად ფარახ აიდიდი, 1992 წელს თანამშრომლობდა გაეროს მშვიდობისმყოფელებთან, მაგრამ — მცირე ხნით. ერთი წლის თავზე მან მათთან ბრძოლა დაიწყო. სომალელი კლანების წინამძღოლებს ჰყავთ მცირერიცხოვანი, მაგრამ ძალიან მობილური და კარგად შეიარაღებული არმიები, მაგრამ ამერიკელებს ამ არმიების წინააღმდეგ არ უბრძოლიათ, ისინი მშვიდობიანი მოსახლეობის ამოწყვეტით შემოიფარგლნენ.**

# ინტერვენციის

## ამერიკის შეერთებული შტატების ყველა სამხედრო დანაშაულის სრული სია

**სხვა ხალხების ექსპლუატაციის უფლების შესანარჩუნებლად ამერიკა რეგულარულად მიმართავს ძალადობის უკიდურეს ფორმებს, უწინარეს ყოვლისა კი, — ომებს.
დღეს ვაგრძელებთ ცნობილი შეიარაღებული ინტერვენციებისა და სხვა დანაშაულობათა სიის პუბლიკაციას. ამ ჩამონათვალს აბსოლუტური სისრულის პრეტენზია არ აქვს, მაგრამ უფრო სრული არ არსებობს.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №23-27



**ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტ ჯონას სავიმბას ხელმძღვანელობით, 800 ათასამდე რუანდელს ყელი გამოსჭრეს. ლაპარაკია ეთნიკურ წმენდაზე — ხუტუს ხალხის ამოწყვეტაზე. კბილებამდე შეიარაღებული ნატოს კონტიგენტი ამ დროს ქვეყანაში იმყოფებოდა, მაგრამ თითი თითზე არ დაუკარებია ამ საშინელების შესაწყვეტად.**

**1991 წელი** — კუვეიტი. მაგრად მოხვდა კუვეიტს, რომელიც ამერიკამ „გაათავისუფლა“ — დაიბომბა ქვეყანა, შეიყვანეს ჯარები.

**1992-1994 წლები** — სომალის ოკუპაცია. შეიარაღებული ძალადობა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, მოქალაქეების დახოცვა. 1991 წელს დაამხეს სომალის პრეზიდენტი მოჰამად სიად ბარი. მას შემდეგ ქვეყანა ფაქტობრივად კლანების ტერიტორიებად არის დაყოფილი. ცენტრალური ხელისუფლება ქვეყანას სრულად ვერ აკონტროლებს. **აშშ ოფიციალური პირები სომალის „ტერორისტებისთვის იდეალურ ადგილად“ მიიჩნევენ. თუმცა, ფაქტია, რომ კლანების ზოგიერთი ხელმძღვანელები, მაგალითად, როგორც აწ გარდაცვლილი მოჰამად ფარახ აიდიდი, 1992 წელს თანამშრომლობდა გაეროს მშვიდობისმყოფელებთან, მაგრამ — მცირე ხნით. ერთი წლის თავზე მან მათთან ბრძოლა დაიწყო.**

**სომალელი კლანების წინამძღოლებს ჰყავთ მცირერიცხოვანი, მაგრამ ძალიან მობილური და კარგად შეიარაღებული არმიები, მაგრამ ამერიკელებს ამ არმიების წინააღმდეგ არ უბრძოლიათ, ისინი მშვიდობიანი მოსახლეობის ამოწყვეტით შემოიფარგლნენ.** მაგრამ არც მოსახლეობამ დაიკრიფა გულზე ხელი, ისიც შეიარაღებულია და წინააღმდეგობაც გაუწია. ამერიკელებმა დაკარგეს ორი სამხედრო ვერტმფრენი, რამდენიმე დაჯავშნული „ჰამერი“, 18 ჯარისკაცი მოუკლეს, 73 დაჭრილია (სპეცრაზმელები, ჯგუფი „დელტა“, ვერტმფრენის ეკიპაჟები). მათი საგმირო მონაგარი კი ასეთია: ქალაქის რამდენიმე კვარტლის განადგურება, რომლის დროსაც, სხვადასხვა მონაცემით, დაიღუპა რამდენიმე ათასი კაცი. **ამერიკელების თითქმის 30-ათასიანი დანაყოფი, წესრიგის დამყარების ორწლიანი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, 1994 წელს, იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა ქვეყანა.** აიდიდი მაშინ არ დაუპატიმრებიათ, მოკლეს 1995 წელს. ამერიკელებმა გადაიღეს ფილმი Black Hawk down, რომელშიც თავიანთი თავი ტერორისტებთან მებრძოლ გმირ გამათავისუფლებლებად წარმოგვიდგინეს.

**1992 წელი** — ანგოლა. ნავთობისა და დიამანტების ხელში ჩაგდების იმედით, ამერიკა აფინანსებს პრეზიდენტობის თავის კანდიდატს ჯონას სავიმბის. კანდიდატმა არჩევნები წააგო. არჩევნებამდე და შემდეგაც აშშ მას კანონიერად არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად იარაღით ამარაგებს. კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 650 ათასი ადამიანი. აჯანყებულთა მხარდაჭერის ოფიციალურ მიზეზად კომუნისტური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა გამოაცხადეს. **2002 წელს ამერიკამ მაინც მიიღო სასურველი შეღავათები თავისი ფირმებისთვის. სავიმბი ზედმეტი ტვირთი გახდა. აშშ-მა მას საომარ მოქმედებათა შეწყვეტა მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. ამასთან დაკავშირებით ერთმა ამერიკელმა დიპლომატმა განაცხადა: „თოჯინების პრობლემა ისაა, რომ ისინი ყოველთვის არ რეაგირებენ, როცა ძაფს მოქაჩავენ“.**

ამერიკის დაზვერვის მინიშნებით, მარიონეტი „თოჯინა“ იპოვა და მოსპო ანგოლის მთავრობამ.

**1992 წელი** — ერაყში ჩაიფუშა პროამერიკული გადატრიალება, რომელსაც ჰუსეინი აშშ მოქალაქით — საიდ სალიჰ ჯაბრით უნდა ჩაენაცვლებინა.

**1993 წელი** — ამერიკელები ეხმარებიან ელცინს რამდენიმე ასეული ადამიანის დახვრეტაში უმაღლესი საბჭოს შენობის შტურმის დროს. დაჟინებით ვრცელდება დაუმოწმებელი ხმები ამერიკელი სნაიპერების შესახებ, რომლებიც ეხმარებოდნენ ბორის ნიკოლაევიჩს „წითელი ფაშისტების გადატრიალების“ წინააღმდეგ ბრძოლაში. ამას გარდა, ამერიკელები დაეხმარნენ ელცინს, მომდევნო არჩევნებში რომ გაემარჯვა, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე მას მხარს უჭერდა რუსეთელთა მხოლოდ ექვსი პროცენტი.

**1993-1996 წლები** — ბოსნია. სამოქალაქო ომის დროს ფრენისთვის აკრძალული ზონების კონტროლირება; ჩამოგდებული თვითმფრინავები, სერბების დაბომბვები.

**1994-1996 წლები** — ერაყი. ჰუსეინის დამხობის მცდელობა ქვეყანაში დესტაბილიზაციის მცდელობის გზით. არც ერთი დღე არ წყდებოდა დაბომბვები. სანქციების მიზეზით, შიმშილითა და დაავადებებით იღუპებოდნენ ადამიანები. სისტემატურად აფეთქებდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს, რისთვისაც ამერიკელები იყენებდნენ ტერორისტულ ორგანიზაციას YNA („ერაყის ეროვნული კონგრესი“). საქმე ჰუსეინის ჯარებთან შეტაკებამდეც მიდიოდა. **ტერაქტები მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ იყო მიმართული, ამერიკელები ამით ცდილობდნენ, გამოეწვიათ ხალხის უკმაყოფილება ჰუსეინის რეჟიმის მიმართ.** 1996 წლისთვის ხელისუფლებამ YNA-ს წევრების უმრავლესობა გაანადგურა. მისი წარმომადგენლები ერაყის ახალ მთავრობაში არ შეიყვანეს.

**1994-1996 წლები** — ჰაიტი. სამხედრო მთავრობის წინააღმდეგ შემოღებული ბლოკადა; გადატრიალებიდან სამი წლის შემდეგ ჯარები არისტიდს პრეზიდენტის თანამდებობაზე აბრუნებენ.

**1994 წელი** — რუანდა. ბნელით მოცული ისტორიაა, ბევრი რამ ჯერ კიდევ გასარკვევია, მაგრამ ზოგი რამის თქმა უკვე შეიძლება.

**ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტ ჯონას სავიმბას ხელმძღვანელობით, 800 ათასამდე რუანდელს ყელი გამოსჭრეს. ლაპარაკია ეთნიკურ წმენდაზე — ხუტუს ხალხის ამოწყვეტაზე. კბილებამდე შეიარაღებული ნატოს კონტიგენტი ამ დროს ქვეყანაში იმყოფებოდა, მაგრამ თითი თითზე არ დაუკარებია ამ საშინელების შესაწყვეტად.** როგორაა ამ ყველაფერში ჩარეული ამერიკა, რა მიზნების განხორციელება იყო ჩაფიქრებული, ჯერჯერობით გაურკვეველია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ რუანდის არმია, რომელიც ძირითადად ხალხის განადგურებით იყო დაკავებული, არსებობს აშშ-ის სახსრებით და იწვრთნება ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ. ისიც ნიშანდობლივია, რომ რუანდის პრეზიდენტმა პოლ კაგამემ, ვის დროსაც მასობრივი მკვლელობები მოხდა, სამხედრო განათლება ამერიკაში მიიღო. მან შესანიშნავი ურთიერთობა დაამყარა არა მარტო ამერიკელ სამხედროებთან, არამედ აშშ-ის დაზვერვასთანაც. მაგრამ რაიმე თვალსაჩინო მოგება ამ გენოციდიდან ამერიკელებს არ მიუღიათ.

**1994 წელი** — ჩეჩნეთის პირველი და მეორე კამპანიები. 1995 წელს გაჩნდა პირველი ცნობები, რომ დუდაევის ცალკეული „ბოევიკები“ იწვრთნებოდნენ პაკისტანისა და თურქეთის საწვრთნელ ბანაკებში. როგორც ცნობილია, აშშ-მა კასპიის ნავთობსიმდიდრეები თავისი ეროვნული ინტერესების ზონად გამოაცხადა და შუამავლების მეშვეობით ნერგავდა იდეას რუსეთიდან ჩრდილოეთ კავკასიის გამოყოფის შესახებ. „ფედერალურ გამოძიებათა სააგენტოს“ ინტერნეტსაიტის მონაცემებით, აშშ-ში დამკვიდრებულია 16 ჩეჩნური და პროჩეჩნური ორგანიზაცია. აი, ციტატა, რომელიც დანიის ხელისუ- ▶

მოკლედ

### პოლონეთმა დანაშაული საკუთარ თავზე აიღო

**2010 წლის 10 აპრილს პოლონეთის პრეზიდენტის თვითმფრინავის კატასტროფის მიზეზი ლაინერის მაღალ სიჩქარეზე დაშვება გახდა. ამის შესახებ ნათქვამია კატასტროფის მიზეზების შემსწავლელი პოლონური კომისიის დასკვნაში.** დასკვნის თანახმად, შემთხვევა გამოიწვია თვითმფრინავის დადგენილ მინიმალურ სიმაღლეზე დაბლა დაშვებამ, რაც დიდი სისწრაფით მოხდა. ამას თან ახლდა მეტეოროლოგიური პირობების გამო გამოწვეული ცუდი ხილვადობა.



### სარკოზის ჰაკერები უტევენ

**საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის რეზიდენციის ვებგვერდი ჰაკერებმა გატეხეს.** ინტერნეტ-ხულიგნებმა ელისეს სასახლის ოფიციალურ ვებგვერდზე კომპიუტერული თამაში განათავსეს, რომლის ბანერზე დაწკაპების შემდეგ, მომხმარებლის წინ სარკოზის მულტიპლიკაციური გმირი ჩნდება. ყოველი დაკლიკების შემდეგ სარკოზის კაცუნა სასახლის კარის მიმართულებით მანქანით მიქრის. იქვე განმარტებულია თამაშის მიზანი: „რაც უფრო სწრაფად დააწკაპუნებთ მაუსს, მით მალე მოშორდება სარკოზი ელისეს სასახლეს“.

**ცნობისთვის: სწორედ ბჟეზინსკის მოფიქრებულია საბჭოთა კავშირის ჩათრევა ავღანეთის კონფლიქტში, სწორედ იგი აფინანსებდა ბენ ლადენს, სწორედ მან გაითქვა სახელი განცხადებებით, რომ მართლმადიდებლობა ამერიკის მთავარი მტერია, რუსეთი კი — ზედმეტი ქვეყანაა.**



დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ანატომია

◄ფალთ გაუგზავნეს ზბიგნევ ბჟეზინსკიმ (აბსოლუტურმა რუსოფობმა) და მაქს მ. კამპელმანმა (აშშ-ის ყოფილმა ელჩმა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციაზე). მათ შესთავაზეს დანიის მთავრობას, თავი შეიკავოს რუსეთისთვის ზაკაევის გადაცემისგან. წერილში ნათქვამია: **„ჩვენ ვიცნობთ ბატონ ზაკაევს, გვიმუშავია მასთან. ზაკაევის გადაცემა სერიოზულად დააზარალებს ომის შეწყვეტის გადამწყვეტ მცდელობებს“. საინტერესოა, რომ ამერიკაში გაიწვრთნენ: ხატაბი, ბენ ლადენი, „ამერიკელი“ ჩიგითოვი და მრავალი სხვა. ისინი აშშ-ში სახვითი ხელოვნების საფუძვლებს არ ეუფლებოდნენ.**

ცნობილია ინგლისის კომპანია „ჰელო-ტრასტთან“ დაკავშირებული სკანდალი. 80-იანი წლების ბოლოს დიდ ბრიტანეთში შექმნილი „ჰელო-ტრასტი“ თეორიულად საქველმოქმედო ორგანიზაციაა, რომელიც დაკავებული უნდა იყოს შეიარაღებული კონფლიქტების დროს დაზარალებული რაიონების ტერიტორიის განაღმვითი სამუშაოთი. **დაკავებული ჩეჩენი „ბოევიკების“ ჩვენებით, „ჰელოს“ ინსტრუქტორებმა 1997 წლიდან მოამზადეს ასზე მეტი დანაღმვისა და აფეთქების სპეციალისტი. ამ ორგანიზაციას აფინანსებს დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების სამინისტრო, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, ევროკავშირი, გერმანიის, ირლანდიის, კანადის, იაპონიის, ფინეთის მთავრობები, აგრეთვე, კერძო პირები.**

უფრო მეტიც, რუსეთის კონტრდაზვერვის ორგანოებმა დაადგინეს, რომ „ჰელო-ტრასტის“ თანამშრომლები აქტიურად აგროვებენ სადაზვერვო ცნობებს სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სფეროებიდან.

ცნობილია, რომ ამერიკულ სისტემას GPS გამოიყენებენ რუსეთის სამხედროები საკუთარი ანალოგიური პროექტების დაუფინანსებლობის მიზეზით. ჩეჩნეთის ომის დროს ამ სისტემის სიგნალი გამიზნულად იყო გაუხეშებული, რის გამოც რუსი სამხედროები ვერ ახერხებდნენ ჩეჩენი ლიდერების ლიკვიდაციას ამ სისტემის მეშვეობით. ცნობილია ბჟეზინსკის ხმაურიანი განცხადებაც იმის თაობაზე, რომ რუსები სადაცაა გამოიყენებენ ქიმიურ იარაღს მშვიდობიანი ჩეჩნების წინააღმდეგ. პარალელურად რუსმა სამხედროებმა მოისმინეს და დაიწერეს ჩეჩენი „ბოევიკების“ საუბრები, რომლებმაც სადღაც იშოვეს დიდი რაოდენობით ქლორი და აპირებდნენ მის გამოყენებას თავიანთივე მოსახლეობის წინააღმდეგ, ამ ბოროტმოქმედების რუსებზე დაბრალების მიზნით.

ამ ფაქტების ურთიერთკავშირი აშკარაა.

**ცნობისთვის: სწორედ ბჟეზინსკის მოფიქრებულია საბჭოთა კავშირის ჩათრევა ავღანეთის კონფლიქტში, სწორედ იგი აფინანსებდა ბენ ლადენს, სწორედ მან გაითქვა სახელი განცხადებებით, რომ მართლმადიდებლობა ამერიკის მთავარი მტერია, რუსეთი კი — ზედმეტი ქვეყანაა.**

1995 წელი — მექსიკა. ინდიელების აჯანყება. ხელშეკრულება სანტოს ამოქმედების წინააღმდეგ. შეიარაღებული შეტაკებები. ჩაპატისტური თემების ჩამოყალიბება, მათ შორის, აშშ-ის ოთხ შტატში. მანამდე აშშ-ის ადმინისტრაცია აფინანსებდა სეპარატისტების წინააღმდეგ „ნარკოტიკებთან ბრძოლის“ საფარით. ადგილობრივ მცხოვრებთა წინააღმდეგ გამოყენებული იყო ვერტმფრენები ტყვიამფრქვევებით, რაკეტებითა და ბომბებით.

**1995 წელი** — ხორვატია. სერბეთის კრაინას აეროდრომების დაბომბვა ხორვატების შეტევის წინ.

**1996 წლის 17 ივლისი** — ატლანტიკის ოკეანის თავზე აფეთქდა „ბოინგი“ (რეისი 800, ავიაკომპანია TWA). ბორტზე მყოფი 230-ვე მგზავრი დაიღუპა. არის მტკიცებულებანი, რომ თვითმფრინავი ამერიკულმა რაკეტამ ჩამოაგდო. მოტივაცია დაუდგენელია. ძირითად ვერსიებს შორისაა შეცდომა სწავლების დროს და თვითმფრინავის ბორტზე მყოფი არასასურველი პირის ლიკვიდაცია.

**1996 წელი** — რუანდა. 6000 ათასი მშვიდობიანი მცხოვრები დახოცილია მთავრობის ჯარების მიერ, რომლებიც იწვრთნება და ფინანსდება ამერიკისა და სამხრეთ აფრიკის მიერ.

**1996 წელი** — კონგო. ვაშინგტონი აქტიურად ეხმარება რუანდელებსა და კონგოელებს დიქტატორ მობუტუს დამხობაში, შემდეგ — აწ გარდაცვლილი პრეზიდენტის, კაბილას წინააღმდეგ ბრძოლაში. ყველაფერი კეთდება აშშ-ის სამთომომპოვებელი კომპანიების ინტერესების დასაცავად.

**1997 წელი** — ამერიკელებმა მოაწყვეს აფეთქებების სერია კუბის რესტორნებში.

**1998 წელი** — სუდანი. ამერიკელები სარაკეტო დარტყმით ანადგურებენ ფარმაცევტულ ქარხანას, რომელიც მედიკამენტების ქვეყნისთვის აუცილებელი რაოდენობის 90 პროცენტს აწარმოებდა. ეს აფეთქება ათი ათასობით ადამიანის დაღუპვის მიზეზი გახდა.

**1998 წელი** — ერაყის ოთხდღიანი აქტიური დაბომბვა მას შემდეგ, რაც ინსპექტორებმა განაცხადეს, რომ ერაყი არასაკმარისად კოოპერატიულია.

**1998 წელი** — ავღანეთი. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი საწვრთნელი ბაზების დაბომბვა, რომლებსაც იყენებდა ისლამისტური ფუნდამენტალისტების დაჯგუფებები.

**1998 წელი** — საერთაშორისო სამართლის ნორმების იგნორირებით, გაეროსა და უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით, ნატოს ძალების გამოყენებით აშშ-მა დაიწყო იუგოსლავიის სუვერენული სახელმწიფოს 78-დღიანი საჰაერო დაბომბვა.

**32 ათასი საბრძოლო გაფრენის დროს გამოყენებული იყო 21 ათასი ტონა ბომბები, რაც ჰიროსიმაზე ჩამოგდებული ატომური ბომბის სიმძლავრეს ოთხჯერ აღემატებოდა. დაიღუპა 2000-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე, 6000 დაიჭრა და დასახიჩრდა, 1 მილიონზე მეტი უსახლკაროდ დარჩა, 2 მილიონი კი — უსახსროდ.**

**2000 წელი** — გადატრიალება ბელგრადში. ამერიკელებმა, როგორც იქნა, ჩამოაგდეს საძულველი მილოშევიჩი.

**2001 წელი** — შეჭრა ავღანეთში.

**2001 წელი** — ამერიკელები მთელს მაკედონიაში დასდევენ ალბანელ ტერორისტებს კოსოვოს გათავისუფლების არმიიდან, რომლებიც თვით ამერიკელების მიერ იყვნენ გაწვრთნილნი სერბებთან საომრად.

**2002 წელი** — ამერიკელების ჯარები შეჰყავთ ფილიპინებში, რადგან ეშინიათ შესაძლო სახალხო მღელვარების.

**2002-2004 წლები** — ვენესუელა. ამჟამად იქ მიმდინარეობს ბრძოლა მთავრობასა და ამერიკის მხარდაჭერილ ოპოზიციას შორის. ვენესუელა ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორის, რომლებიც დაუფარავად აკრიტიკებენ ამერიკის საგარეო პოლიტიკას.

**2003 წელი** — „ანტიტერორისტული ოპერაცია“ ფილიპინებში.

**2003 წელი** — ერაყი.

**2003 წელი** — ლიბერია.

**2003 წელი** — სირია. სირიელ მესაზღვრეებთან შეტაკება.

**2003 წელი** — სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში. ორგანიზატორი — თეთრი სახლი, შემსრულებელი — აშშ ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი, დამფინანსებელი — მილიარდერი ჯორჯ სოროსი.

**2004 წელი** — ჰაიტი. ანტისამთავრობო გამოსვლები. ამერიკას შეჰყავს ჯარები.

**2004 წელი** — გადატრიალების მცდელობა ეკვატორულ გვინეაში, სადაც ნავთობის სოლიდური მარაგებია. ბრიტანელების, ამერიკელების და ესპანელები სპეცსამსახურები შეეცადნენ, ქვეყანაში შეეგზავნათ 70 დაქირავებული მებრძოლი, რომლებსაც ადგილობრივ მოღალატეებთან ერთად უნდა დაემხოთ პრეზიდენტი თეოდორ მბასო. დაქირავებულები დააკავეს, მათმა მეთაურმა მარკ ტეტჩერმა (მარგარეტ ტეტჩერის ვაჟიშვილი) თავშესაფარი აშშ-ში ჰპოვა.

**2004 წელი** — პროამერიკული გადატრიალება უკრაინაში.

**2008 წლის 8 აგვისტო** — ომი სამხრეთ ოსეთში.

**2011 წელი** — ლიბიის დაბომბვები.

**საომარი მოქმედებები აშშ-ის ტერიტორიაზე ფაქტობრივად არ წარმოებულა. ერთადერთი თავდასხმა აშშ-ზე იყო ინგლისთან ომი დამოუკიდებლობისთვის XVIII საუკუნის ბოლოს და ინგლისელების შეტევა ვაშინგტონზე 1814 წელს.**

**საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი OKO-PLANET.SU-ს მიხედვით**

**დაკავებული ჩეჩენი „ბოევიკების“ ჩვენებით, „ჰელოს“ ინსტრუქტორებმა 1997 წლიდან მოამზადეს ასზე მეტი დანაღმვისა და აფეთქების სპეციალისტი. ამ ორგანიზაციას აფინანსებს დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების სამინისტრო, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, ევროკავშირი, გერმანიის, ირლანდიის, კანადის, იაპონიის, ფინეთის მთავრობები, აგრეთვე, კერძო პირები.**



## გაფრაზებული

**რუსეთის პატრიარქი კირილი:**



▼ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არსებობს საქართველოს პატრიარქის იურისდიქცია, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ აფხაზეთში დღეს ერთგვარი კანონიკური არეულობაა, რაც ადამიანების სულიერ ცხოვრებას ვნებს... არც ერთ სხვა მართლმადიდებლურ ეკლესიასთან რუსეთის ეკლესიას ისეთი ძმური ურთიერთობა არ გააჩნია, როგორიც საქართველოსთან აქვს. ქართული და რუსული ეკლესიების ურთიერთობამ დროს გაუძლო, ძალზე სასტიკ დროს, ვინაიდან, წარმოუდგენელია ჩვენს სახელმწიფოებს შორის იმაზე უფრო ცუდი ურთიერთობა, ვიდრე ეს დღეს არის.

*patriarchia.ru*

**დიმიტრი როგოზინი, ნატოში რუსეთის მუდმივი წარმომადგენელი:**



▼ ევროპაში განთავსებულ აშშ-ის ანტისარაკეტო თავდაცვით სისტემას რუსეთის წინააღმდეგ გამოიყენებენ. ზოგიერთი ამერიკელი პოლიტიკოსი, განსაკუთრებით რესპუბლიკური პარტიის მემარჯვენე რადიკალური ფრთის წარმომადგენლები, ამის შესახებ ღიად საუბრობენ.

*newsru.com*

**გრიგორი კარასინი, რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე:**



▼ საქართველოს ხელისუფლება დაჟინებით აგრძელებს საერთაშორისო საზოგადოებისა და საკუთარი მოსახლეობის დარწმუნების მცდელობებს, თითქოს საქართველო რუსეთის ჯაშუშებითა და დივერსანტებითაა სავსე, რომელთაც ადგილობრივი გენიოსი სამართალდამცველები დაუღალავად ებრძვიან.

*rian.ru*

**ედუარდ კოკოითი, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი:**



▼ სამხრეთ ოსეთი რუსეთს თავის სტრატეგიულ პარტნიორად და მოკავშირედ განიხილავს და ამიტომაც მასთან სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნას აპირებს.

*regnum.ru*

## ბრეივიკის გულშემატკივარი ევროპარლამენტარია

**ევროპარლამენტის წევრი, იტალიური პარტია „ჩრდილოეთის ლიგის“ წარმომადგენელი მარიო ბორჯეზიო ნორვეგიელი ტერორისტის, ანდრეს ბრეივიკის რადიკალურ იდეებს გამართლებას უძებნის.** როგორც პარლამენტარმა ერთ-ერთ რადიოინტერვიუში განაცხადა, იგი ძალადობის წინააღმდეგია, თუმცა ბრეივიკის იდეები მეტ-ნაკლებად მოსწონს. „ძალადობის გარდა, იდეები მართლაც შესანიშნავია,“ — განაცხადა ბორჯეზიომ, რომლის განსაკუთრებული მოწონება ბრეივიკის ანტიისლამურმა მოწოდებებმა დაიმსახურა.



## ჯორჯ სოროსი მიდის

**კერძო ინვესტორები ჯორჯ სოროსისგან კუთვნილ ინვესტიციას მილიარდ დოლარზე მეტს მიიღებენ. მსოფლიოში უმსხვილესი ფინანსისტი ჯორჯ სოროსი აქტიურ საქმიანობას თავს ანებებს.** სოროსის ფონდის მმართველებმა კლიენტებს განცხადებით მიმართეს: „ყველას მადლობას ვუხდით, ვინც თავისი ფული 40 წლის განმავლობაში გვანდო. იმედი გვაქვს, რომ კარგი მოგება ნახეთ,“ — ნათქვამია დოკუმენტში. სოროსის ფონდში კერძო ინვესტორების წილი მხოლოდ 4% — 1 მილიარდი აშშ დოლარია. დანარჩენი 25 მილიარდი დოლარი ჯორჯ სოროსის ოჯახის საკუთრებაა.

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ინგლისელი დიპლომატები და სამხედროები შეეცადნენ, დაეცვათ ანგლოფილური სომხეთის ინტერესები. ამაში მათ დიდი დახმარება გაუწიეს ამიერკავკასიაში ინგლისის მისიის მიერ საქართველო-სომხეთის ურთიერთობის მოგვარების მიზნით სპეციალურად დანიშნულმა გენერალმა რაიკფორდმა და ამიერკავკასიაში საფრანგეთის მისიის მეთაურმა, პოლკოვნიკმა შარდინიმ. მათ აიძულეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, დაუყოვნებლივ შეეწყვიტა საომარი მოქმედებანი სომხეთის წინააღმდეგ და დათანხმებულიყო მოლაპარაკებაზე.**

# ინგლისის ინტერესები და საქართველო-სომხეთის ომი

**ანტანტის წინაშე გერმანიის იმპერიის კაპიტულაციას კომპიენის ტყეში (1918 წლის ნოემბერი) წინ უძღოდა თურქეთის მიერ საომარი მოქმედებების შეწყვეტა მუდროსის ყურეში (1918 წლის ოქტომბერში). კომპიენისა და მუდროსის საზავო ხელშეკრულებების ძალით, გერმანიასა და თურქეთს უნდა დაეტოვებინათ ამიერკავკასია. ამ პროცესზე კონტროლი ინგლისს უნდა განეხორციელებინა. ჯერ კიდევ 1917 წლის 23 დეკემბერს ხელმოწერილი ინგლის-საფრანგეთის კონვენცია „რუსეთის საკითხში" მოკავშირეთა პოლიტიკის კოორდინაციას ისახავდა მიზნად.**



ძველი ბათუმი

კონვენცია საქართველოს ინგლისის მოქმედების ზონად აცხადებდა. პირველ მსოფლიო ომში გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ, 1918 წლის 13 ნოემბერს, ხსენებული კონვენცია ხელმეორედ დამტკიცდა. ინგლისმა გერმანიისა და თურქეთის ჯარების ევაკუაციის პარალელურად საქართველოს ტერიტორიაზე თავისი ჯარების განლაგება დაიწყო. ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას ხელმძღვანელობდნენ ამიერკავკასიაში ინგლისის მისიის მეთაური, პოლკოვნიკი ჯორდანი და ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარების მთავარსარდალი, გენერალი ფორესტიეუოკეი მრავალრიცხოვან დიპლომატებსა და სამხედროებთან ერთად. 1918 წლის 29 ნოემბერს ინგლისის სამხედრო ფლოტის გემები სოხუმში შევიდნენ, 29 ნოემბერს — ფოთში, 1 დეკემბერს — ბათუმში.

**საქართველოს ინგლისის მოქმედების ზონად (ფაქტობრივად, საოკუპაციო ზონად) გამოცხადებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.** იმთავითვე ცხადი გახდა, რომ ბათუმითა და, საერთოდ, მთელი აჭარით (ბათუმითა და ბათუმის ოლქით) ინგლისელები განსაკუთრებით იყვნენ დაინტერესებულნი.

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არანაირი საშუალება არ გააჩნდა, წინ აღდგომოდა ომში გამარჯვებულ მოკავშირე სახელმწიფოებს (ანტანტას). 1918 წლის 24 დეკემბრის ნოტით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა თანხმობა განაცხადა ინგლისის ჯარების საქართველოში განლაგებაზე.** ოფიციალური თანხმობის მიღებამდე, 1918 წლის 22 დეკემბერს, ბათუმში შემოვიდა ინგლისის 5 გემი 20-ათასიანი ჯარით.

**25 დეკემბერს ინგლისელთა პირველი ბატალიონი თბილისშიც გამოჩნდა. ინგლისელებმა აჭარაში (ბათუმსა და ბათუმის ოლქში) საოკუპაციო რეჟიმი დაამყარეს. აქ მათ შექმნეს საგენერალგუბერნატორო, რომლის სათავეშიც ინგლისელი გენერალი კუკ-კოლისი ჩააყენეს. ფაქტობრივად, აჭარაში თურქი ოკუპანტები ინგლისელმა ოკუპანტებმა შეცვალეს.**

## აჭარასა და ბათუმში ინგლისის აღმოსავლურ პოლიტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა

**აჭარასა და ბათუმში ინგლისის აღმოსავლურ პოლიტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. სწორედ ამიტომ 1918 წლის დეკემბრიდან 1920 წლის ივლისამდე აჭარაში ფაქტობრივად მთლიანად შეწყდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქცია.**

ინგლისის ჯარების ყოფნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე (აჭარის გამოკლებით) 1918 წლის დეკემბრიდან 1919 წლის სექტემბრამდე გაგრძელდა. მართალია, ამ პერიოდში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავ რჩებოდა დამოუკიდებელ სუვერენულ ქვეყნად, **ინგლისელი პოლიტიკოსები და სამხედროები უხეშად ერეოდნენ საქართველოს საშინაო საქმეებში, ასევე — საქართველოს ურთიერთობაში მეზობელ ქვეყნებთან.**

1918 წლის დეკემბერში მიმდინარე საქართველო-სომხეთის ომში, სომხეთის არმიის სერიოზული მარცხის შემდეგ, საქართველოს მთავრობას შეეძლო, შემოეერთებინა ძირძველი ქართული ტერიტორია — ლორეს რაიონი. სომხეთის მთავრობას წინააღმდეგობის გაწევის უნარი აღარ ჰქონდა, ხოლო სომხეთის არმიას აღარ ძალუძდა ქართველთა ჯარის შეტევა შეეჩერებინა. საქართველო-სომხეთის ომის დასასრული დაემთხვა ინგლისის ჯარების შემოსვლას საქართველოში. **ინგლისელი დიპლომატები და სამხედროები შეეცადნენ, დაეცვათ ანგლოფილური სომხეთის ინტერესები. ამაში მათ დიდი დახმარება გაუწიეს ამიერკავკასიაში ინგლისის მისიის მიერ საქართველო-სომხეთის ურთიერთობის მოგვარების მიზნით სპეციალურად დანიშნულმა გენერალმა რაიკფორდმა და ამიერკავკასიაში საფრანგეთის მისიის მეთაურმა, პოლკოვნიკმა შარდინიმ. მათ აიძულეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, დაუყოვნებლივ შეეწყვიტა საომარი მოქმედებანი სომხეთის წინააღმდეგ და დათანხმებულიყო მოლაპარაკებაზე. 1918 წლის 30 დეკემბერს ყარაქილისში საქართველოსა და სომხეთის მთავრობების წარმომადგენლებმა მოილაპარაკეს, რომ 31 დეკემბრის 24 საათისათვის შეეწყვიტათ საომარი მოქმედებანი.**

1919 წლის იანვარში ინგლისის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით გამართულ საქართველო-სომხეთის მოლაპარაკებაზე შეთანხმდნენ საქართველოსა და სომხეთს შორის ნეიტრალური ზონის საზღვრების შესახებ, ასევე, ბორჩალოს მაზრაში ქართული და სომხური გარნიზონების, ხოლო ახალქალაქის მაზრაში ქართული გარნიზონების რაოდენობისა და სამხედრო ტყვეების გაცვლის თაობაზე. შეთანხმების მიხედვით, ბორჩალოს ნეიტრალური ზონის მმართველობა უნდა გადასცემოდა მოკავშირე სახელმწიფოების (ანტანტის) კონტროლის ქვეშ მყოფ „კოლეგიურ კომისარიატს", რომლის თითო წევრს საქართველოსა და სომხეთის მთავრობები ნიშნავდნენ. უთანხმოების შემთხვევაში საკითხი მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლობას უნდა გადაეწყვიტა. ინგლისის ანტიქართული პოლიტიკა მხოლოდ ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონად გამოცხადებაში არ გამოიხატა. მართალია, ახალქალაქში ქართული ადმინისტრაცია შენარჩუნდა, მაგრამ მიღწეული შეთანხმების მიხედვით ახალქალაქის მაზრის ქართულ ადმინისტრაციაზე ზედამხედველობას ახორციელებდა მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენელი, რომელთანაც იმყოფებოდნენ ადგილობრივი სომეხი და მუსლიმანური მოსახლეობის რწმუნებულები. ამით, ფაქტობრივად, ახალქალაქის მაზრაც სადავო ტერიტორიად გამოცხადდა.

**საქართველო-სომხეთის ურთიერთობის მოგვარებაში ინგლისის ანტიქართული პოლიტიკის წყალობით განპირობებულმა უარყოფითმა შედეგებმა შემდეგში დიდი პრობლემები შეუქმნა ქართველ დიპლომატებს პარიზის საზავო კონფერენციაზე, ერთა ლიგაში და საქართველო-საბჭოთა რუსეთის ურთიერთობაში.**

1918 წლის დეკემბერში ძალზე დაიძაბა ურთიერთობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და დენიკინის მოხალისეთა არმიას შორის. ამ პერიოდისათვის სოჭის ოლქი ქართულ ჯარსა და სახალხო გვარდიას ეკავა. დენიკინის მოხალისეთა არმია ემზადებოდა სოჭის ოლქის ოკუპაციისთვის.

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და დენიკინის მოხალისეთა არმიის სარდლობის ურთიერთობაში ინგლისელები ჩაერივნენ. 1918 წლის 29 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი და ამიერკავკასიაში ინგლისის მისიის მეთაური პოლკოვნიკი ჯორდანი შეთანხმდნენ, რომ სოჭის ოლქის ტერიტორია საერთოდ დაეტოვებინათ როგორც ქართულ ჯარს, ისე დენიკინის მოხალისეთა არმიას.**

საქართველომ პირობა შეასრულა, დენიკინმა კი პირიქით — ქართული ჯარის მიერ დატოვებული ტერიტორიის დაკავება დაიწყო. ამავე დროს ტუაფსეს რაიონში თავმოყრა იწყეს მოხალისეთა არმიის საჯარისო ნაწილებმა. 1919 წლის 6 თებერვალს მოხალისეთა არმიამ სოჭი დაიკავა და შემდეგ მთელი ოლქის ოკუპაცია მოახდინა. მის ხელში აღმოჩნდა გაგრაც. ქართული ჯარი და სახალხო გვარდია მდინარე ბზიფის მარცხენა ნაპირზე გამაგრდნენ.

**ქართველი დიპლომატები სამი თვის მანძილზე ცდილობდნენ, ზეგავლენა მოეხდინათ ინგლისელებზე, რათა მათ მიეღოთ ზომები და აეძულებინათ მოხალისეთა არმია, დაეტოვებინა აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორია. ინგლისელთა პოლიტიკა უკვე აშკარად ანტიქართული ხდებოდა. ამიერკავკასიაში ინგლისის მისიის მეთაური და ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარების მთავარსარდალი აშკარად ცრუ დაპირებებს აძლევდნენ ქართულ მხარეს.**

მათ სიცრუეში დარწმუნებულმა საქართველოს მთავრობამ 1919 წლის 12 აპრილს მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ აფხაზეთში საომარი მოქმედებები დაიწყო, რაც მკაცრად დაგმო ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარების მთავარსარდლობამ. **ინგლისელებმა ოფიციალურად გააფრთხილეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომ მის ჯარებს არ განეხორციელებინათ შეტევა გაგრის მიმართულებით. ინგლისელები ულტიმატუმის ფორმით ითხოვდნენ საქართველოსგან 1919 წლის თებერვლისთვის არსებული მდგომარეობის დაცვას, ე.ი. იმ მდგომარეობისა, რომელიც შეიქმნა მოხალისეთა არმიის მიერ სოჭისა და გაგრის ოკუპაციის შემდეგ.**

1919 წლის 21 მაისს დაიწყო მოლაპარაკება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და დენიკინის მოხალისეთა არმიის სარდლობას შორის. მოლაპარაკებაზე ქართული მხარე (ევგენი გეგეჭკორი, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი) ინგლისის მთავრობისა და მოხალისეთა არმიის სარდლობის ერთობლივ წინააღმდეგობას წააწყდა. ქართული დიპლომატიის ბრძოლა მათი პოლიტიკის წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა (აქ კიდევ ერთხელ გამოვლინდა ინგლისის ანტიქართული პოლიტიკა).

1919 წლის 11 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას აცნობეს ინგლისის ხელისუფლების გადაწყვეტილება: **სადემარკაციო ხაზი საქართველოსა და მოხალისეთა არმიას შორის მდ. ბზიფზე გავიდოდა, ქართულ ჯარს კი მდ. ბზიფის მარცხენა ნაპირზე უნდა დაეკავებინა პოზიცია მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ. ასე შეუწყო ხელი ინგლისის მთავრობამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას.**

**ინგლისის ანტიქართული პოლიტიკის აშკარა გამოვლინებებს ქართველი დიპლომატები მომავალშიც ბევრჯერ წააწყდნენ.**


სახალხო გვარდიელები

მზადდებოდა ინგლის-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულება. ინგლისის მთავრობას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რუსეთის მხრიდან გარკვეული დათმობის სანაცვლოდ, ეცნო საბჭოთა რუსეთის ინტერესები ყოფილი რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე და, კერძოდ, საქართველოში. ინგლისს რომ ერთა ლიგაში საქართველოს მიღებისთვის დაეჭირა მხარი, ეს შეაფერხებდა ინგლის-რუსეთის დაახლოებას და სავაჭრო ხელშეკრულების დადებას, რისკენაც დაჟინებით მიისწრაფოდა ინგლისი.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს საკითხი პარიზის კონფერენციაზე

**პირველი მსოფლიო ომის შედეგები შეაჯამა და ომისშემდგომი მსოფლიოს პოლიტიკური რუკა დაადგინა პარიზის საზავო კონფერენციამ, რომელიც გამარჯვებულმა ქვეყნებმა (ანტანტამ) მოიწვიეს. პარიზის კონფერენცია მიმდინარეობდა 1919 წლის 18 იანვრიდან 1920 წლის 21 იანვრამდე.**



კონფერენციის მუშაობაში წამყვან როლს თამაშობდნენ ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. საბჭოთა რუსეთი პარიზის საზავო კონფერენციაზე არ მიუწვევიათ. 1919 წლის პარიზის კონფერენციამ მოიწონა საერთაშორისო ორგანიზაციის — ერთა ლიგის — წესდება, რომელსაც დასავლეთის ევროპის ქვეყნებთან წინააღმდეგობის გამო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ხელი არ მოაწერა.

**თუ პარიზის კონფერენცია არასგზით არ ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მაშინ საქართველოს დელეგაცია უნდა დათანხმებულიყო რომელიმე ევროპული ქვეყნის პროტექტორატს.**

**მიუხედავად დიპლომატიური მუშაობისა, პარიზის საზავო კონფერენცია არ ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას. მთავარ როლს ამ შემთხვევაში ინგლისი ასრულებდა. მისი პოზიცია 1919 წლის 14 ნოემბერს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლორდმა კერზონმა ასე ჩამოაყალიბა: საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი დაკავშირებულია ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფოების საკითხთან, ხოლო ამ უკანასკნელებისა — რუსეთის პრობლემის გადაწყვეტასა და თურქეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებასთან.**

ბოლოს და ბოლოს, 1919 წლის 24 დეკემბერს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო მემორანდუმი ამიერკავკასიის შესახებ. ინგლისის მთავრობის პოზიცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე ასეთი იყო:

**პირველი** — საქართველოს მოთხოვნა მისი დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ აზერბაიჯანთან შედარებით უფრო საფუძვლიანი იყო.

**მეორე** — მიუხედავად ამისა, ძალზე ძნელი იყო საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხისადმი სხვადასხვაგვარად მიდგომა. თუ რუსეთი აზერბაიჯანს დაიკავებდა და ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის ერთ ბოლოს დაეუფლებოდა, მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნებოდა;

**მესამე** — თუ ინგლისი საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხს ერთდროულად გადაწყვეტდა დადებითად, მაშინ ინგლისს უნდა გაერკვია:

ა) რამდენად იყო ინგლისი მზად დენიკინთან დასაპირისპირებლად;

ბ) რამდენად მნიშვნელოვანი იყო ინგლისისთვის ირანსა და რუსეთს შორის ბუფერული სახელმწიფოების (საქართველო, აზერბაიჯანი — ავტ.) შექმნა;

**მეოთხე** — შეიძლებოდა თუ არა საქართველოსა და აზერბაიჯანის დაუყოვნებლივ ცნობა მოკავშირე სახელმწიფოების (ანტანტის) მიერ. თუ ეს მოხდებოდა, მაშინ ორივე ქვეყნის მანდატი უმოკლეს დროში უნდა გადასცემოდა ინგლისს ან ამერიკის შეერთებულ შტატებს. ამ შემთხვევაში მანდატის მფლობელ სახელმწიფოებს მოუწევდათ დენიკინთან დაპირისპირება. საერთოდ, მანდატის აღება მოითხოვდა ისეთ პასუხისმგებლობას, რომელსაც შექმნილ ვითარებაში ვერც ერთი მოკავშირე სახელმწიფო ვერ იკისრებდა;

**მეხუთე** — არსებობდა საქართველოსა და აზერბაიჯანის საკითხის გადაჭრის კიდევ ერთი გზა: დენიკინის არმიის მდგომარეობის საბოლოოდ გარკვევამდე, ამ ქვეყნების ცნობისგან თავის შეკავება. ამასთან, აუცილებელი იყო დენიკინზე გავლენის მოხდენა, რათა იგი თავს არ დასხმოდა საქართველოსა და აზერბაიჯანს.

**ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციამ გადაწყვიტა საქართველოს ბედი. კენჭისყრაში მონაწილე 24 ქვეყნიდან ერთა ლიგაში საქართველოს მიღების მომხრე აღმოჩნდა მხოლოდ 10 სახელმწიფო. საქართველო ერთა ლიგის წევრი ვერ გახდა**

**ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს მემორანდუმი უპირატესობას მაინც (დენიკინის არმიის მდგომარეობის გარკვევამდე) საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გადადებას ანიჭებდა. ასევე, ცნობილია, რომ ინგლისის გეგმით, საქართველოსა და აზერბაიჯანს საბჭოთა რუსეთსა და ანტანტას შორის ბუფერის როლი უნდა ეთამაშა.**

1920 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ერთა ლიგის მუდმივ სამდივნოსთან მოლაპარაკებისა და მიმოწერის გზით ქართველმა დიპლომატებმა მიაღწიეს იმას, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთა ლიგაში მიღების საკითხი მისი საერთო კრების დღის წესრიგში შეიტანეს. ერთა ლიგის საერთო კრებამ საქართველოს საკითხი განიხილა 1920 წლის 16 დეკემბერს. კენჭისყრაში 24 სახელმწიფო მონაწილეობდა. ერთა ლიგაში საქართველოს მიღებისთვის აუცილებელი იყო 16 სახელმწიფოს მხარდაჭერა.

ერთა ლიგის წესდების მეათე მუხლის თანახმად, მისი წევრი ქვეყნები ვალდებულებას იღებდნენ, პატივი ეცათ და დაეცვათ ორგანიზაციის ყველა წევრის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. სწორედ ამიტომ **საქართველოსთვის ერთა ლიგაში შესვლას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.**

ნორვეგიის წარმომადგენელმა ნანსენმა და სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელმა სესილმა მხარი დაუჭირეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთა ლიგაში მიღებას. **ინგლისის წარმომადგენელმა ფიშერმა განაცხადა, რომ ნანსენისა და სესილის განცხადებანი სწორია, მაგრამ საქართველოს დაცვა ერთა ლიგას გაუჭირდება. გარდა ამისა, ფიშერმა აღნიშნა, რომ საქართველოსა და ბალტიის რესპუბლიკათა ერთა ლიგაში გაწევრების საკითხების გამოცალკევება არ შეიძლებოდა. საქმე ის იყო, რომ საქართველოს საკითხის განხილვამდე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი წინააღმდეგი გამოვიდა ერთა ლიგაში ბალტიის რესპუბლიკათა მიღებისა.**

ინგლისის მთავრობის პოზიცია არ იყო მოულოდნელი. ამ დროისთვის საბჭოთა რუსეთისა და ინგლისის დაახლოება აშკარა და თვალშისაცემი იყო. **მზადდებოდა ინგლის-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულება. ინგლისის მთავრობას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რუსეთის მხრიდან გარკვეული დათმობის სანაცვლოდ, ეცნო საბჭოთა რუსეთის ინტერესები ყოფილი რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე და, კერძოდ, საქართველოში. ინგლისს რომ ერთა ლიგაში საქართველოს მიღებისთვის დაეჭირა მხარი, ეს შეაფერხებდა ინგლის-რუსეთის დაახლოებას და სავაჭრო ხელშეკრულების დადებას, რისკენაც დაჟინებით მიისწრაფოდა ინგლისი.**

ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციამ გადაწყვიტა საქართველოს ბედი. კენჭისყრაში მონაწილე 24 ქვეყნიდან ერთა ლიგაში საქართველოს მიღების მომხრე აღმოჩნდა მხოლოდ 10 სახელმწიფო. საქართველო ერთა ლიგის წევრი ვერ გახდა.

ქართული დიპლომატია უძლური აღმოჩნდა, გადაელახა ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგობა. დასავლურ სამყაროში საქართველოს ინტეგრაციის ცდა მარცხით დამთავრდა. აქედან გამომდინარე, ცხადია, გართულდა ქართველი დიპლომატების ბრძოლა საქართველოს დე იურე აღიარებისთვის.

**1920 წლის 30 დეკემბერს ევგენი გეგეჭკორი პარიზში შეხვდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალურ მდივანს — ბერტელოს. შეხვედრაზე ევგენი გეგეჭკორმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაუყოვნებლივ ცნობისა და იარაღით დახმარების საკითხი დააყენა. საუბრისას გაირკვა, რომ, საფრანგეთისგან განსხვავებით, ინგლისს საქართველოს დე იურე ცნობასთან დაკავშირებით შემდეგი პოზიცია ჰქონდა:**

**1) ინგლისი ნაადრევად თვლიდა ამ აქტს;**

**2) არა მარტო ნაადრევად, არამედ სახიფათოდაც, რადგან საქართველო-რუსეთის ურთიერთობა არასტაბილური იყო.**

1920 წლის მიწურულსა და 1921 წლის დამდეგს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა უაღრესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა:

**პირველი.** ინგლის-რუსეთის დაახლოება დამთავრდა იმით, რომ ინგლისმა ცნო საბჭოთა რუსეთის ინტერესები საქართველოში, ე.ი. ინგლისი წინ არ აღუდგებოდა რუსეთს, თუკი იგი აზერბაიჯანისა და სომხეთის შემდეგ საქართველოსაც დაიპყრობდა. ინგლისის პოზიციამ განსაზღვრა მოკავშირე სახელმწიფოების (ანტანტის) გადაწყვეტილება.

**მეორე.** პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ ინგლისისა, და საერთოდ ანტანტის, დაპირისპირებამ თურქეთთან ეს უკანასკნელი აიძულა, მოკავშირეობა საბჭოთა რუსეთისთვის ეთხოვა, რის სანაცვლოდაც რუსეთმა აიძულა თურქეთი, ეცნო მისი ინტერესები ამიერკავკასიაში და მათ შორის — საქართველოშიც.

**ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დიპლომატიურ იზოლაციაში მოექცა.**

**„ქართული დიპლომატიის ისტორია“,**
**თსუ, თბილისი 2003 წ.**



გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეოცე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 100 წლის სილამაზის დედოფალი

**100 წლის ფელმა შრაიმსაირი 2011 წლის „მის ალაბამა“ გახდა. კონკურსი ალაბამაში მდებარე მოხუცებულთა თავშესაფარმა ჩაატარა და მასში უამრავი მოხუცი მონაწილეობდა. ზოგიერთი მათგანი სცენაზე ეტლითაც კი აიყვანეს, რადგან თავისუფლად გადაადგილება არ შეეძლოთ.** ფინალისტების ტოპ-ათეული სასტუმრო „უინფრიში“ მიიყვანეს, სადაც მათ სპეციალური ჟიური დახვდათ. ჟიურიმ მოხუცები გრაციოზულობისა და სტილის მიხედვით შეაფასა. კონკურსანტებმა მოულოდნელ კითხვებსაც გასცეს პასუხი, ზუსტად ისე, როგორც ეს მსოფლიო დონის სილამაზის კონკურსებზე ხდება.



# ტურინის სუდარის საიდუმლო

**იტალიის ქალაქ ტურინში, საკათედრო ტაძარში, ინახება ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე – სუდარა, რომელშიც გარდაცვალების შემდეგ იესო ნაზარეველი გაახვიეს. თანამედროვე ღვთისმეტყველები სუდარას მეხუთე სახარებას უწოდებენ, რადგან მასზე სასწაულებრივადაა აღბეჭდილი ის ვნებანი, რომელიც მაცხოვარს ჯვარცმისას მიანიჭეს.**











გადმოცემის თანახმად, სუდარა თავდაპირველად პეტრე მოციქულთან ინახებოდა, შემდგომ კი გადაეცემოდა სხვა მოციქულებს. ქრისტიანების დევნის დროს სუდარას მალავდნენ, რადგან იუდეველები და რომაელები ქრისტიანული რელიქვიების განადგურებას ცდილობდნენ. ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ სუდარა ჯერ კონსტანტინოპოლში, V საუკუნიდან კი ვლაქერნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ბაზილიკაში დააბრძანეს.

**ხატმებრძოლობის დროს სუდარა იერუსალიმში გადაიტანეს, შემდეგ უკან დააბრუნეს. 1204 წელს ჯვაროსნებმა დაარბიეს ბიზანტია. სუდარა საუკუნე-ნახევრის განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა.**

1355 წელს სუდარა გრაფ გოტფრიდ I-ის საკუთრება გახდა, მისმა შვილიშვილმაც, დღემდე გაურკვეველი მიზეზების გამო, სუდარა ლუდოვიკო სავოიელის მეუღლეს გადასცა. ლუდოვიკოს ვაჟმა ამადეი IX-მ სუდარის შესანახად საგანგებო ეკვდერის აგება ბრძანა. 1578 წელს სავოიის ჰერცოგმა ემანუელ ფილიბერტმა და მისმა მეუღლემ სუდარა გადაიტანეს თავიანთ ციხესიმაგრეში, სადაც წმინდა იოანე ნათლისმცემლის ტაძართან მარმარილოს ეკვდერი ააგეს. სუდარა სპეციალურ ვერცხლის ზანდუკში ინახებოდა. დღეისათვის სუდარას დაცვის სხვა საშუალებებთან ერთად ტყვიაგაუმტარი მინა იცავს.

**1898 წლის 25 მაისს ტურინის რელიგიური ხელოვნების ნიმუშთა გამოფენაზე გამობრძანებული სუდარა ტურინელმა ადვოკატმა და მოყვარულმა ფოტოგრაფმა სეკუნდო პიამ გადაიღო და დაბეჭდა ორი ფოტო დიდი ზომის ფურცლებზე (50 სმ X 60 სმ).** ფირის გამჟღავნებისას იმ დროისათვის მეცნიერულად აუხსნელი და წარმოუდგენელი მოვლენა მოხდა: ნეგატივზე გამოჩნდა მშვიდი და კეთილშობილი მამაკაცის ფოტოგამოსახულება. სწორედ ამან დაუდო სათავე ტურინის სუდარის მეცნიერულ შესწავლას, რაც XX საუკუნიდან რამდენიმე მიმართულებით გაიშალა. პირველ რიგში, ყურადღება მიექცა სუდარის ავთენთიკურობის დადგენას. ექსპერიმენტებმა დაადასტურა, რომ ეს არის ძალიან ძველი და განსაკუთრებულად ნაქსოვი ტილო, რომლის მსგავსი მხოლოდ პირველ საუკუნემდე მზადდებოდა. იგი პალესტინელებისთვის დამახასიათებელი წესითაა ნაქსოვი. ძაფი თითისტარზეა დახვეული და ძველი წესისამებრ გათეთრებული. ნაქსოვია ნაძვისებურად. მის ბოჭკოებში შეინიშნება ბამბა, რაც გვიჩვენებს, რომ სუდარა ახლო აღმოსავლეთში იყო დამზადებული.

1973 წელს შვეიცარელ კრიმინოლოგ მაქს ფრეის ნება დართეს, ლაბორატორიული ანალიზისთვის სუდარიდან მტვერი და სხვა ნაწილები აეღო. სუდარაზე 58 ტიპის ყვავილის მტვერი აღმოჩნდა. თავდაპირველად ექსპერტმა ვერ ამოიცნო ისინი, რადგან ასეთი მცენარეები ევროპაში არ ხარობს. ფრეიმ შვიდჯერ იმოგზაურა ახლო აღმოსავლეთში და 1978 წელს დაადგინა, რომ 58 ყვავილიდან 13 იზრდება პალესტინის უდაბნოში და მკვდარი ზღვის მიდამოებში, 20 – სამხრეთ-დასავლეთ თურქეთსა და ჩრდილოეთ სირიაში, 16 — სხვადასხვა ადგილას, ევროპის ჩათვლით.

**მოგვიანებით ფრანგმა პროფესორმა ვაგნერმა სუდარაზე სხეულის გარშემო 28 სახეობის ყვავილის ანაბეჭდი იპოვა. 20 მათგანი ხარობს იერუსალიმში, ხოლო რვა – იერუსალიმიდან 12 მილის შემოგარენში. ეს მცენარეები ყვავილობს მარტსა და აპრილში. ეს ზუსტად აღდგომის პერიოდს ემთხვევა. 1995 წელს ზემოთქმული დაადასტურა იერუსალიმის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბოტანიკოსმა კოსმა დენინმა.**

ძალიან საინტერესო იყო საკითხის ნუმიზმატიკური ასპექტით კვლევა. საქმე ის არის, რომ 1931 წელს ფრენსის ფილასმა ჩიკაგოს ლიოილას უნივერსიტეტიდან სუდარაზე თვალების არეში ორი ჭიკარტის მაგვარი საგანი შენიშნა. ეს მონეტებია. ებრაული ტრადიციით, მიცვალებულს თვალებზე ადებდნენ მონეტებს, რომ არ გახელოდათ.

მონეტები მოჭრილია იუდეის პრეფექტის, პილატე პონტოელის დროს, 29-30 ან 30-31 წლებში. ამიტომ ამ მონეტებს „პილატეს ბისტი“ ეწოდება. მონეტების წარწერებში დაშვებულია გრამატიკული შეცდომები. სიტყვებში „ტიბერიუს“ და „იმპერატორი“ ლათინური და ბერძნული ასოებია აღრეული. თავდაპირველად ეს მეცნიერებს აბსურდი ეგონათ, მაგრამ კერძო კოლექციებში მოძიებულ მონეტებზე იგივე შეცდომები იპოვეს.

**განსაკუთრებული ინტერესით სწავლობენ მაცხოვრის ტანჯვის ამსახველ მასალებს. XX საუკუნის 30-იან წლებში ცნობილი იტალიელი ფოტოგრაფის — ჯუზეპე ენრის მიერ გადაღებულ ფოტოზე დაკვირვებისას სამხედრო ქირურგმა, პიერ ბარბემ (იგი ათეისტი გახლდათ და სუდარაზე ჩატარებული კვლევების შემდეგ ღმერთის არსებობა აღიარა) შენიშნა, რომ სამსჭვალეები ხელის სახსრის ზედა ნაწილზეა მოთავსებული.**

რომაელმა ჯარისკაცებმა გამოცდილებით უკვე იცოდნენ, რა ადგილას უნდა მოხვედრილიყო სამსჭვალი, კერძოდ, — ხელის სახსარს ორ დიდ ძვალს შორის. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეეძლო მას სხეულის ჯვარზე გაჩერება, თუმცა ეს აუტანელ ტკივილს უკავშირდებოდა.

**ჯვარზე აღსრულების სისასტიკე ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, რა სახით აცვამდნენ ჯვარს.** ჯვარზე გაკვრის რამდენიმე ვარიანტი არსებობდა: პირველი ვერსიით, ჯვარცმულს ხშირად კიდურებს თოკით უმაგრებდნენ. მეორე ვერსიით, მხოლოდ ხელებით აცვამდნენ ჯვარს. ამ დროს ხელები ძალიან დაჭიმული იყო და ჯვარცმულს სუნთქვა უჭირდა. მესამე ვერსიით, სიკვდილმისჯილი ქვედა და ზედა კიდურებით იყო მიმსჭვალული. ხშირად ფეხების ქვემოთ საყრდენ ფიცარს აჭედებდნენ. მეოთხე ვარიანტი გულისხმობდა ჯვარცმას ყოველგვარი საყრდენის გარეშე. იმ დროს ჯვარცმისათვის გათვალისწინებული იყო მაღალი და დაბალი ჯვრები. ჯვრის სიდაბლის გამო ჯვარცმულს ხშირად მხეცები გლეჯდნენ. მაცხოვრის ჯვარცმისთვის მაღალი ჯვარი შეარჩიეს, რათა მისი დასჯისთვის ყველას ეცქირა.

**მაცხოვრის სხეულის ანაბეჭდის სუდარაზე გადასვლის შესახებ რამდენიმე ჰიპოთეზა არსებობს.**

მეცნიერებს თავდაპირველად სუდარა პროფესიონალი მხატვრის მიერ შესრულებული ტილო ეგონათ. გაჩნდა მოსაზრება, თითქოს ის ლეონარდო და ვინჩიმ მოხატა. ზემოთ ჩამოთვლილმა გამოკვლევებმა კი ცხადყო, რომ სუდარაზე საღებავის კვალი არსად შეინიშნება. სხვათა შორის, ეს ფაქტი 1984 წელს საბჭოთა ათეისტურმა ჟურნალმაც დაადასტურა.

**სხვა ვერსიებით, ქრისტეს სხეული თხის რძით განბანეს და სუდარაზე რძემ დატოვა სხეულის უხილავი ანბეჭდი, რომელიც ხანძრის დროს გამომჟღავნდა.**

1988 წლის გამოკვლევებით დადგინდა, რომ სისხლის ლაქები სუდარაზე უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე სხეული გამოისახებოდა. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ სისხლის წვეთები კონტაქტში იმოფებოდა სხეულთანაც და სუდარასთანაც. რეალური იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ გამოსახულება სასწაულის შედეგად გაჩნდა, კონკრეტულად — უფლის აღდგომისას.

**მეცნიერთა აზრით, აღდგომა მოხდა ცეცხლოვანი სხეულით, ღვთაებრივი ძალითა და ენერგიით და სხეულმა დატოვა სუდარაზე ხელთუქმნელი გამოსახულება.**

ცეცხლის შეხებამ ბოჭკოებში ქიმიური ცვლილებები გამოიწვია და გაამუქა, მაგრამ ეს ცეცხლი არ განვრცობილა ფიზიკის კანონის თანახმად. მეცნიერები ამ ცეცხლს უკავშირებენ მაცხოვრის საფლავზე გარდამომავალ ზეციურ ცეცხლს. არგუმენტად მოაქვთ ის ფაქტი, რომ ზეციური ცეცხლი თავდაპირველად მხოლოდ პატრუქს უკიდია და ფიზიკის კანონებს არ ემორჩილება. გასათვალისწინებელია, რომ მეცნიერებს ისეთი მოვლენების შესწავლა უხდებათ, რომელთა გამეორებაც თავიანთ ლაბორატორიაში არ ძალუძთ.

ქრისტეშობის 2000 წლისთავისთვის მოეწყო კიდევ ერთი გამოკვლევა, რომელშიც მეტი სანდოობისთვის ოქსფორდის, ბაზელისა და არიზონის უნივერსიტეტთა პროფესორები მონაწილეობდნენ. მათ კიდევ ერთხელ დაადასტურეს და ზოგიერთი ახალი არგუმენტით შეავსეს მანამდე არსებული მოსაზრებები. რადიკალურად უარყოფილია მიგელ დე საიტოს თვალსაზრისი (1998 წ.) სუდარის დახატვასთან დაკავშირებით.

**2008 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორებმა, ქრისტოფერ რამსის ხელმძღვანელობით, სუდარა გამოიკვლიეს, რამაც რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის დასკვნები გაამყარა.** კერძოდ, შეისწავლეს ადამიანის სისხლის ლაქები, აღმოაჩინეს მისი კომპონენტები: ჰემოგლობინი, ბილირუბინი და ალბუმინი. ამ უკანასკნელის მომატებული რაოდენობა მიუთითებს, რომ ადამიანი გარდაიცვალა სტრესულ მდგომარეობაში, წამებისას. ლეიკოციტებში ქრომოსომათა განლაგებით განისაზღვრა მამრობითი სქესი და კიდევ ერთხელ დადასტურდა ინფორმაცია სისხლის IV ჯგუფის შესახებ. 2008 წელსვე მეცნიერებმა სუდარის უზუსტესი ციფრული ფოტოს შექმნა შეძლეს, რაც ქმნის შესაძლებლობას, დავინახოთ ქრისტეს გამოსახულების უმცირესი დეტალებიც კი. დაგეგმილია ამ ფოტოს ინტერნეტში განთავსებაც.

**დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ ტურინის სუდარა ერთ-ერთ უდიდეს ქრისტიანულ სიწმინდეს წარმოადგენს, რომლის მრავალმხრივმა მეცნიერულმა შესწავლამაც მისი ნამდვილობა დაადასტურა.**



## იყიდება ქალაქი

**აშშ-ში, სამხრეთ დაკოტაში მდებარე ქალაქის, სცენიკის შეძენა მსურველს 799 ათას დოლარად შეუძლია.** ქალაქი, რომელიც 18,6 ჰექტარზეა გაშენებული, მოსახლეობამ დიდი ხნის წინათ მიატოვა. მისი ამჟამინდელი მფლობელი, ამერიკელი ტუაილ მერილი წლების განმავლობაში ყიდულობდა ქალაქში მიწის ნაკვეთებს, რათა მისთვის სიცოცხლე დაებრუნებინა. ქალაქის გაყიდვა მერილის ქალიშვილმა გადაწყვიტა. იგი ქალაქს ადრე 3 მილიონ დოლარად ყიდდა, მაგრამ შეძენის მსურველი არ გამოჩნდა. ამ დროისთვის ქალაქში, სადაც სულ 8 ადამიანი ცხოვრობს, არის ფოსტა, ავტოგასამართი სადგური, მაღაზია, ბარი, მუზეუმი და 2 ციხე.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კრიონიკის შემქმნელის სხეული გაყინეს

**92 წლის ასაკში გარდაიცვალა ამერიკელი მეცნიერი, კრიონიკის კონცეფციის ფუძემდებელი რობერტ ეტინგერი. მან მრავალი ნაშრომი მიუძღვნა კრიონიკის იდეას, რომელიც გარდაცვლილი ადამიანის სხეულის განუსაზღვრელი დროით გაყინვასა და მომავალში მისთვის სიცოცხლის დაბრუნებას ითვალისწინებს.**

ეტინგერი ბოლო დროს თავს შეუძლოდ გრძნობდა და ექიმების ზედამხედველობის ქვეშ იყო. მისი საწოლის გვერდით მომზადებული იყო ყინულით სავსე აბაზანა, რათა სხეულის გაყინვის პროცესი დროულად დაწყებულიყო.

**დღეისათვის პროცედურა დასრულებულია, მეცნიერის გაყინული სხეული მიჩიგანის შტატში მდებარე მის მიერვე დაარსებული კრიონიკის ინსტიტუტის საცავში მოთავსდა.** არავინ იცის, საბოლოოდ განხორციელდება თუ არა გარდაცვლილი მეცნიერის იდეა.

ეტინგერი ფიზიკოსისა და მათემატიკოსის დიპლომებს ფლობდა. გარდაცვლილის სხეულის გაყინვის იდეა მან პირველად მეორე მსოფლიო ომის დროს გაახმიანა, თუმცა იმ დროისათვის ნოვაციას არავინ გამოეხმაურა. **ეტინგერის ნაშრომით საზოგადოება 60-იან წლებში დაინტერესდა.** მისი ავტორობით გამოვიდა წიგნი „უკვდავების გამზირი", სადაც ავტორი წერს: **„გარდაცვლილი სხეულების დაბალ ტემპერატურაზე შენახვა განუსაზღვრელი დროით შეიძლება. როცა მედიცინა სიბერის ან სასიკვდილო დაავადებების დამარცხებას შეძლებს, შეგვეძლება, რომ ამ სხეულებს სიცოცხლე დავუბრუნოთ".** 1976 წელს მან კრიონიკის ინსტიტუტი დააარსა და პირველი პაციენტიც მიიღო. იგი დედამისი გახლდათ. ინსტიტუტის კედლებში ინახება ეტინგერის 2 ცოლის გაყინული სხეულებიც. თავად მეცნიერი ინსტიტუტის 106-ე პაციენტია.

**დღეისათვის სხეულის გაყინვა კრიონიკის ინსტიტუტში 28 ათასი დოლარი ღირს. თანხის გადახდის შემთხვევაში, ნებისმიერი სხეული თხევადი აზოტით სავსე რეზერვუარში მინუს 196 გრადუსზე განუსაზღვრელი დროით განთავსდება.**



# ყველაზე უჩვეულო მაღვიძარები

**როგორც ჩანს, მსოფლიოში ძალზე აქტუალურია დროულად გაღვიძების პრობლემა და იმისათვის, რომ ადამიანებს სამსახურში არ დააგვიანდეთ, ჩვეულებრივი მაღვიძარა უკვე აღარ კმარა. ამიტომაც გამოიგონეს ორიგინალურად მოაზროვნე ადამიანებმა ყველაზე უჩვეულო მაღვიძარები, რომლებიც არ მოგვცემენ უფლებას, რომ ჩაგვეძინოს.**







### MONEY SHREDDING ALARM CLOCK-ი

ეს მსოფლიოში ყველაზე მკაცრი და დაუნდობელი მაღვიძარაა. ძილის წინ მასში ფულს ჩაალაგებთ და მშვიდად დაიძინებთ. დილით კი, თუ პირველივე სიგნალზე მაღვიძარის ღილაკს ხელს არ დააჭერთ, ის თქვენი ფულის განადგურებას შეუდგება. ამგვარი პერსპექტივის წყალობით, თქვენ დროულად ადგებით.





### დილა — კარლსონთან

დანიშნული დროისთვის ამ მაღვიძარას ერთი ნაწილი ძვრება და მიფრინავს მაღლა, პირველი ნაწილი კი არასასიამოვნო ხმებს მანამ გამოსცემს, ვიდრე გაფრენილ ნაწილს არ დაიჭერთ და თავის ადგილას არ დაამაგრებთ. ამის შემდეგ კვლავ დაძინება წარმოუდგენელია, მით უფრო, თუ მფრინავი ნაწილი კარადის უკან ჩავარდა....

### სნაიპერი

მის გასაჩუმებლად გვარიანად უნდა გამოფხიზლდეთ, რადგან ლაზერული იარაღი უნდა დაუმიზნოთ სპეციალური წრეწირის შუაწერტილს და რამდენიმე წამით დაყოვნდეთ. მხოლოდ ამის შემდეგ გაჩუმდება მაღვიძარა.







### თავსატეხი

ეს არის დილით წვალების ყველაზე ინტელექტუალური გზა. თქვენ არამხოლოდ უნდა ააწყოთ მის მიერ გადმოყრილი ნაწილები, არამედ ისინი სწორი თანმიმდევრობით უნდა მოათავსოთ უკან.





### მათემატიკა — დილიდან

არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომელთათვისაც მათემატიკაზე დიდი საშინელება ძნელად წარმოსადგენია. სწორედ მათთვისაა განკუთვნილი ეს მაღვიძარა. ორ ეკრანზე ჩნდება ციფრები და მათემატიკური ნიშნები. მაღვიძარის გასათიშად სპეციალურ ველში მათემატიკური დავალების სწორი პასუხი უნდა შეიყვანოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუტანელი ხმაური გარანტირებულია.



### SHOCKING ALARM CLOCK-ი

ბევრს უყვარს თავისი ემოციების მაღვიძარაზე გადატანა, მაგრამ Shocking Alarm Clock-თან ესეთები არ გაგივათ, ღილაკზე დარტყმის პასუხად, დამრტყმელზე დენი გადავა.

### PHELION-ი

ამ მაღვიძარის გამომგონებლებმა საკმაოდ კარგ მეთოდს მიაგნეს. მაღვიძარას თუ არ გათიშავთ, იგი სახეში გესვრით ბურთს და შემდეგ შეუჩერებლივ დაიწყებს წრიპინს, ვიდრე გასროლილ ბურთს არ მოძებნით და თავის ბუდეში არ დააბრუნებთ.

# 34-თითიანი ბავშვი

**ინდოელი გოდოვალი აკშატ სეხანა გინესის წიგნში მოხვდა. ბიჭს ხელებზე შვიდ-შვიდი, ხოლო ფეხებზე ათ-ათი თითი აქვს. „შვილის დაბადებამ გამახარა, მაგრამ, როდესაც მისი თითები დავინახე, შევშფოთდი," — ამბობს აკშატის დედა.** აკშატის დაბადებამდე რეკორდსმენი იყო 6 წლის იაპონელი ბიჭი, რომელსაც ხელებზე — 15, ხოლო ფეხებზე — 16 თითი ჰქონდა. მას პლასტიკური ოპერაცია ჩაუტარდა და რეკორდსმენის ტიტულიც დაკარგა. რამდენიმე წელიწადში აკშატის მშობლებიც გეგმავენ ბავშვისთვის პლასტიკური ოპერაციის ჩატარებას.







# 85-პროცენტიანი სვირინგი

**41 წლის ჯეკი მური ცნობილი თავისი მოსვირინგებული სხეულის წყალობით გახდა. ჯეკის სხეულის 85 პროცენტი ტატუთი აქვს დაფარული. სხეულის მოხატვას 8 წელიწადი დასჭირდა. ჯეკიმ სხეულის მოსვირინგება ქმართან გაყრის დღეს გადაწყვიტა, თავიდან პატარა ტატუ გაიკეთა, რომელიც ღირსშესანიშნავ თარიღს შეახსენებდა ხოლმე.**

ყველაფერი მას შემდეგ დაიწყო, რაც მან სვირინგების მხატვარი ანდრეას მური გაიცნო. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ. მას შემდეგ ჯეკის სხეულს ტატუ ყოველ წელს ემატება. „მომწონს ეს პროცესი. მსიამოვნებს, როდესაც ვხედავ, რომ ჩემს სხეულს ახალი დეტალი ემატება; თუმცა არიან ადამიანები, რომლებსაც პირდაპირ უთქვამთ, რომ ჩემი სვირინგები საზიზღრობაა," — ამბობს ჯეკი, რომელსაც ამჟამად სულ 13 440 ევროს ღირებულების სვირინგები აქვს.



# ევროპა ნაციზმსა და ტოლერანტობას შორის იჭყლიტება

**ნორვეგიული ტერაქტების შემდეგ ევროპაში ულტრამემარჯვენე განწყობის მკვეთრი მატება შეიმჩნევა. ბრეივიკის მიერ ნახსენებმა დაჯგუფებამ, ინგლისური დაცვის ლიგამ, თავის რიგებში ათი ათასობით ახალგაზრდა გადაიბირა.**

ევროპარლამენტში არიან პოლიტიკოსები, რომლებიც ღიად იზიარებენ ბრეივიკის შეხედულებებს. საფრანგეთის ნაციონალური ფრონტის თავმჯდომარემ ჟან-მარი ლე პენმა კი გააკრიტიკა ნორვეგიის მთავრობა, რომელმაც, მისი თქმით, გულუბრყვილოდ ვერ გააცნობიერა მასობრივი მიგრაციის საფრთხეები. რით ემუქრება ბებერ ევროპას ნაცისტური სოლიდარობა?

იმ დღეებში, როდესაც ნორვეგიაში ნაცისტი ბრეივიკის მიერ მოწყობილი ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი აქციები იმართებოდა, ევროპარლამენტის დეპუტატმა იტალიის ნაციონალური პარტია „ჩრდილოეთის ლიგიდან“, მარიო ბორგეზიომ განაცხადა ის, რამაც ევროპას თავად ტერორისტის ქმედებებზე არანაკლები შოკი მოჰგვარა.



**„მე მისი დღიურის მხოლოდ 500 გვერდი წავიკითხე, ამონარიდები და ვიტყვი, რომ ასევე ფიქრობს დღეს ევროპელთა 20 პროცენტი, ანუ ევროპაში 100 მილიონი ადამიანი იზიარებს მის აზრებს ისლამის შემოტევისგან ქრისტიანული მოსახლეობის დაცვის თაობაზე. მისი ჩანაწერების ნაწილი, რა თქმა უნდა, მოიცავს ძალადობისკენ მოწოდებას, მაგრამ ზოგიერთი იდეა, უბრალოდ, შესანიშნავია“.**

საშინელი სკანდალი გამოვიდა, ბორგეზიოს ბოდიშის მოხდა მოუხდა, მის თანაპარტიელებსაც, მაგრამ ბორგეზიომ გაახმიანა ის, რაც უიმისოდაც გამომდინარეობდა სტატისტიკური მონაცემებიდან და გამოკითხვებიდან. **მემარჯვენე იდეებს ევროპაში სულ უფრო მეტი მხარდაჭერა აქვს, მემარჯვენე პარტიებს — სულ უფრო მეტი ადგილი.**

მეორე მსოფლიო ომის წინ ულტრამემარჯვენეები ძლიერნი იყვნენ საფრანგეთშიც, ინგლისშიც, იმავე ნორვეგიაშიც. იქ ნაცისტური პარტია მოსახლეობის მხრიდან სერიოზული მხარდაჭერით სარგებლობდა, ცნობილმა მწერალმა კნუტ გამსუნმა კი გერმანელი ნაცისტების სასარგებლოდ თავისი ნობელის პრემია გაიმეტა.




**მემარჯვენე განწყობის ახლანდელი გამოცოცხლება მულტიკულტურული საზოგადოების მშენებლობის პოლიტიკის ჩავარდნის პირდაპირი მაჩვენებელია. ამ პოლიტიკის კრახი ევროპის ყველა ლიდერმა აღიარა.**

ჯერ კიდევ ხუთი-შვიდი წლის წინათ ევროპა სიხარულით იღებდა მიგრანტებს აფრიკული და ახლოაღმოსავლური ქვეყნებიდან.

სულ ერთი კვირის წინ თითქოსდა ძალიან ლიბერალური ბელგიის პარლამენტმა ერთხმად აკრძალა ფარანჯის ტარება. ამ წესის დამრღვევთათვის სასჯელი ერთკვირიანი პატიმრობაა.

ცოტა ხნით ადრე ანალოგიური აკრძალვა შემოიღო საფრანგეთმაც. შვეიცარიამ მხარი დაუჭირა ქალაქებში მინარეთების შენების აკრძალვას.

ევროპა ნელ-ნელა ითვისებს არა მემარჯვენე, მაგრამ მაინც თავდაცვით იდეოლოგიას, იმიტომ, რომ გაირკვა — მიგრანტებს მოსწონთ ევროპული სოციალური გარანტიები, ევროპული კომფორტი, მაგრამ ყოველთვის არ სურთ, გახდნენ ევროპელები და გაიზიარონ მისი კულტურული ღირებულებები. მალე კი შესაძლოა მიგრანტები თავად ევროპელებზე მეტნი გახდნენ.

**„ევროპაში ახალშობილ ბიჭებს შორის ყველაზე პოპულარული სახელი მუჰამედია,“** — აცხადებს პოლიტოლოგი, ფონდ „პოლიტიკის“ პრეზიდენტი ვიაჩესლავ ნიკონოვი.

კონფლიქტი ღიაა, უკვე დიდი ხანია. ინგლისურ თავდაცვის ლიგას — პირველ ნაცისტურ პარტიას ქუჩაში მხოლოდ რამდენიმე ათასი მომხრე გამოჰყავს, მაგრამ მემარჯვენეთა იდეებს ბევრად მეტი მხარდამჭერი ჰყავს. 32 ათასი ბრიტანელი ამომრჩევლის გამოკითხვამ აჩვენა, რომ 44 პროცენტი ეთანხმება თეზისს, რომ ისლამი და ისლამისტები საშიშნი არიან დასავლური ცივილიზაციისთვის.

**„ევროპა მემარჯვენე ტერორიზმს შეეჯახა და ეს საშიშია. და ევროპის ლიდერებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მემარჯვენე განწყობის მატებაზე,“** — აცხადებს გერმანიის საგარეო პოლიტიკის საბჭოსთან არსებული ბერთოლდ ბეიცის ცენტრის დირექტორი ალექსანდრე რარი.

**გასულ შემოდგომას გერმანია სკანდალმა შეარყია. ფედერალური ბანკის მმართველობის წევრმა ტილო სარაცინიმ გამოაქვეყნა წიგნი „გერმანია თვითლიკვიდირდება“, რომელიც ქვეყნის დამანგრეველ მუსლიმანურ მიგრაციას ეძღვნებოდა. ავტორი, ცხადია, სამსახურიდან გააგდეს, მაგრამ გაირკვა, რომ სარაცინის წიგნი მშვენივრად იყიდებოდა.**

ხანდახან კი წიგნებიც არაა საჭირო, რომ მიგრაციულ პოლიტიკაში უცნაურობები აღმოვაჩინოთ. რედე სეიადმა, რომელიც ტერორისტებთან კავშირსა და ისლამზე გადასული გერმანელების ბოევიკებად მომზადებაშია ეჭვმიტანილი, თავის შვილს ჯიჰადი დაარქვა. იგი არ მუშაობს, მაგრამ იღებს ყოველთვიურ დახმარებას 2300 ევროს ოდენობით და ბერლინის რესპექტაბელურ რაიონში ცხოვრობს.

**საერთოევროპული მდგომარეობა წნეხს ჰგავს: მიგრანტებთან დაკავშირებით, პოლიტიკის ძალზე მკაცრად გადაკეთება არ შეიძლება, რადგან ისინი უკვე საკმაოდ ბევრნი და შეკრულნი არიან.**

მეორეს მხრივ, შეუძლებელია არ გაიგო ძირძველი ევროპელების უკმაყოფილება. პრობლემა ისიცაა, რომ, **რაც უფრო უხეშად იმოქმედებს მთავრობა მიგრანტებთან ან ევროპელებთან მიმართებაში, მით უფრო მწვავე რეაქციას უნდა ელოდეს საპასუხოდ.**

MAIL.RU

# «თეთრი სიკვდილი» მსოფლიოს მოედო

## გაერო შეშფოთებულია

**„შარშან მსოფლიოში 15-დან 64-წლამდე ასაკის 210 მილიონი ადამიანი აღირიცხა, ვინც თუნდაც ერთხელ გასინჯა აკრძალული ნარკოტიკული ნივთიერებანი“, — ნათქვამია გაეროს მოხსენებაში ნარკოტიკების შესახებ.**

2010 წელს ოპიუმის წარმოება წინა წელთან შედარებით 38 პროცენტით შემცირდა იმ მიზეზით, რომ ხაშხაშის დაავადების გამო ავღანეთში ამ კულტურის მნიშვნელოვნად ნაკლები შემოსავალი მოიწიეს. მიუხედავად ამისა, ეს ქვეყანა რჩება ოპიუმის მთავარ მწარმოებლად მსოფლიოში (3600 ტონა, ანუ სართო მოცულობის 74 პროცენტი).

მიანმეში (ყოფილი ბირმა) ხაშხაშის წარმოება 20 პროცენტით, ოპიუმისა 5 პროცენტით გაიზარდა. შემცირდა კოკაინის წარმოება, მაგრამ აშშ მაინც რჩება ამ ნარკოტიკის უმსხვილეს მომხმარებლად, რომლის მოხმარების მოცულობამ 2009 წელს 157 ტონა, ანუ მსოფლიო მოცულობის 36 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილზეა ევროპა, სადაც ბოლო 10 წელიწადში კოკაინის მოხმარება ორჯერ გაიზარდა. შედეგად, ევროპაში კოკაინის საორიენტაციო ღირებულებამ 36 მილიარდ დოლარს მიაღწია და მაქსიმალურად დაუახლოვდა კოკაინის აშშ ბაზრის ღირებულებას — 37 მილიარდ დოლარს.

**მსოფლიოში ყველაზე უფრო პოპულარულ ნარკოტიკად რჩება კანაბისი. მისი მცენარეული მასის (მარიხუანის) წარმოება ფართოდაა გავრცელებული ამერიკის კონტინენტსა და აფრიკაში, კანაბისის ფისის (ჰაშიშის) წარმოება მაროკოსა და ავღანეთშია თავმოყრილი.**

ბოლო წლებში აკრძალული ნარკოტიკების ნაცვლად ტრადიციულ ბაზრებზე გამოჩნდა ახალი სინთეტიკური ნივთიერებები. მაგალითად, ჰიპერაზინი, კატინონი და ეფედრინი. ზოგიერთ ქვეყანაში გაიზარდა მოთხოვნილება სინთეტურ კანაბინოიდებზე — „სპაისზე“.

**ნარკომანებს შორის, რომლებიც „ნემსზე სხედან“, შიდსით 17,9 პროცენტია დაავადებული — 2,8 მილიონი ადამიანია ასეთი; ჰეპატიტ C-ს მატარებელია 50 პროცენტი — 8 მილიონამდე ადამიანი. სიკვდილიანობის რაოდენობა მათ შორის ყოველწლიურად 104 ათასიდან 263 ათასამდეა.**

2009 წელს ოპიატების მოხმარების რაოდენობა სტაბილური იყო — მათ მოიხმარს 12-დან 21 მილიონამდე ადამიანი, მათგან სამი მეოთხედი — ჰეროინს. ამ პერიოდში ჰეროინული ნარკომანების რაოდენობა მსოფლიოში 12-14 მილიონი იყო. 2009 წელს მსოფლიო ბაზრებზე შეიტანეს 365 ტონა ავღანური წარმოების ჰეროინი. რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში იგი ცენტრალური აზიის ჭიშკრით შედის, „ჩრდილოეთის მარშრუტით“.

2009 წელს აღმოსავლეთ ევროპის ნარკომანებმა მოიხმარეს 73 მეტრიკული ტონა ჰეროინი. რუსეთში ოპიატებს იღებს მოზრდილი მოსახლეობის 1,6 პროცენტი, ანუ — 70 მეტრიკულ ტონას.

**ჰეროინი ყველაზე უფრო გავრცელებული აკრძალული ნარკოტიკია ცენტრალურ აზიასა და ამიერკავკასიაში. ყირგიზეთში ოფიციალურად დარეგისტრირებულ ნარკომანთა შორის მისი მომხმარებელია 47 პროცენტი, ტაჯიკეთში — 82 პროცენტი.**

**სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ოპიატები ნაკლებ პოპულარულია. საქართველოში მათ მოიხმარს მოსახლეობის 0,31 პროცენტი, სომხეთში — 0,22 პროცენტი.**

ჰეროინის (ამოღებულის ჩათვლით) საერთო რაოდენობა მსოფლიოში 460-480 მეტრიკული ტონა ივარაუდება. ოპიატების მსოფლიო ბაზარი 2009 წელს შეფასებული იყო 68 მილიარდ დოლარად, მათგან 61 მილიარდი ჰეროინის მომხმარებლებზე მოდიოდა.

**2010 წელს 1 გრამი ჰეროინი ავღანეთში არანაკლებ 4 დოლარი ღირდა. დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში მომხმარებელი ერთ გრამში 40-დან 100 დოლარამდე იხდის, აშშ-სა და ჩრდილოეთ ევროპაში — 170-200 დოლარს, ავსტრალიაში 230-დან 370 დოლარს.**

კოკაინის მსოფლიო ბაზარი დაახლოებით 85 მილიარდ დოლარადაა შეფასებული, 1995 წელს 165 მილიარდით იფარგლებოდა.

**ყოველწლიურად ნარკოტიკების მოხმარების გამო ევროპაში 25-27 ათასი კაცი იღუპება, ძირითადად — ოპიუმისგან, შემდეგია კოკაინი. გარდაცვლილების 80 პროცენტი უკრაინაზე, რუსეთის ფედერაციაზე, დიდ ბრიტანეთზე, ესპანეთსა და გერმანიაზე მოდის.**

**მიახლოებითი გამოანგარიშებით, ოპიატებით მოვაჭრეთა ყოველწლიური სუფთა მოგება სულ ცოტა 7 მილიარდი დოლარია.**

ნარკოტიკების მწარმოებლები ავღანეთში თალიბანის შეიარაღებულ დაჯგუფებებს თავიანთი მოგების 10 პროცენტს „ბეგარის“ სახით უხდიან.

2009 წელს რუსეთის დანაშაულებრივმა დაჯგუფებებმა ჰეროინის ვაჭრობით 18 მილიარდი დოლარი ჩაიჯიბეს.

ИТАР-ТАСС → **იტარ-ტასი**



საქართველო მსოფლიო ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net